

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

სოფიო ჩხარტიშვილი

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული
მემკვიდრეობა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა - ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის დოქტორი,

პროფესორი მარინე გიორგაძე

ბათუმი

2018

სარჩევი

შესავალი	3
ნაშრომის მეცნიერული სიახლე.....	3
ნაშრომის მიზნები და ამოცანები	4
კვლევის მეთოდოლოგია	5
ნაშრომის სტრუქტურა	6
საკითხის შესწავლის ისტორია.....	8
თავი I. პონტოელი ბერძნები აჭარაში	16
1.1. ტერმინ „პონტოელი ბერძნების“ წარმომავლობის საკითხისათვის	16
1.2. პონტოელ ბერძენთა აჭარაში დასახლების ისტორია	21
1.3. პონტოელ ბერძენთა დიალექტი და მისი თავისებურებანი	32
თავი II. საოჯახო-საწესჩვეულებო ფოლკლორი	35
2.1. ბავშვის დაბადება და საყმაწვილო ზეპირსიტყვიერება	35
ბავშვის დაბადება და მოვლა.....	35
იავნანები.....	40
გათვალვა და შელოცვები	47
ბავშვის მეტყველება.....	53
საბავშვო თამაშები	56
ნათლობა	57
სახელის დარქმევა და მეტსახელები	60
ბავშვის აღზრდა.....	65
2.2. საქორწილო წეს-ჩვეულებანი და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება.....	67
2.3. სამგლოვიარო წეს-ჩვეულებანი და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება.....	79
2.4. საყოფაცხოვრებო-საოჯახო, პატრიოტული და სატრფიალო ლექს-სიმღერები.....	84
თავი III. საწესჩვეულებო-კალენდარული და რელიგიური ფოლკლორი	93
3.1. წელიწადის დროები	93
3.2. წელიწადის 12 თვე (კალენდარული და რელიგიური დღესასწაულები).....	110
3.3. კვირის დღეებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და ზეპირსიტყვიერება	164
დასკვნები	169
გამოყენებული ლიტერატურა	176
დანართი 1. მთქმელები	192

შესავალი

ფოლკლორის შესწავლა ფართო და მრავლისმომცველი თემაა, რომელიც გულისხმობს ერის ტრადიციების და ადათ-წესების სიღრმისეულ კვლევას არსებული წყაროების ანალიზისა და ხალხში გაბნეული, მივიწყებული მასალების შეგროვებისა და წარმოჩენის გზით.

ხალხის წარსულის შესასწავლად არ არის საკმარისი მხოლოდ წერილობითი და ნივთიერი წყაროები. მართალია, სწორედ მათი წყალობით გვეძლევა საშუალება, უფრო მრავალმხრივ და ობიექტურად შევისწავლოთ საზოგადოების ისტორია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ამ საქმეში არანაკლები წვლილი ფოლკლორსაც მიუძღვის. ამიტომაცაა, რომ ხალხთა უძველესი წარსულის შესასწავლად, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული, არქეოლოგიური და სხვა მასალების გვერდით, მიმართავენ ხალხურ თქმულებებს, გადმოცემებს, ლეგენდებს, ლექს-სიმღერებს და სხვა ჟანრის ფოლკლორულ ნიმუშებს (ახვლედიანი, 1990: 3).

ხალხური ტრადიციების, ადათ-წესების და მათთან დაკავშირებული ზეპირ-სიტყვიერების შესწავლის მიმართ ინტერესი ბოლო დროს სულ უფრო მეტად იზრდება როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში. ეთნოგრაფთა და ფოლკლორისტთა კვლევის საგანი სწორედ წეს-ჩვეულებები და მათთან დაკავშირებული ფოლკლორის ადამიანთა ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებასთან არსებული მჭიდრო კავშირი ხდება.

ფოლკლორი სწორედ ის მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის, აღწერს და გადმოსცემს ხალხური შემოქმედების ფართო სპექტრს: წეს-ჩვეულებებს, სარიტუალო თუ საყოფაცხოვრებო მოქმედებებს, ზღაპრებს, სიმღერებს, ცეკვებს, ზეპირ გადმოცემებს, ხუმრობებს, მითებს და ა.შ.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული შემოქმედების ფიქსაციის, შესწავლისა და კვლევის შედეგების ფართო საზოგადოებისათვის

მიწოდების პირველ მცდელობას პონტოელთა ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის უკეთ გაცნობის მიზნით.

აჭარაში მიგრირებულ ბერძენთა ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებული გამონათქვამების, სიმღერების, ლექსების თუ ადათ-წესების აღნუსხვა, მათი საფუძვლიანი კვლევა და მოპოვებული მასალის პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მემკვიდრეობის საერთო კონტექსტში გააზრება, ფაქტობრივად, პირველად წინამდებარე ნაშრომში განხორციელდა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, ვინაიდან ფოლკლორული შემოქმედების მატარებელი ცოცხალი წყარო, ძირითადად, ხანდაზმული ადამიანები არიან და საშური საქმეა მათთან მუშაობა, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერა, რათა დავიწყებას გადავარჩინოთ ხალხური შემოქმედების მარგალიტები. გაქრობის ზღვარზე მყოფი ზეპირსიტყვიერების აღნუსხვა არამხოლოდ ქართველი მკითხველისთვის, არამედ თავად პონტოელ ბერძენთა შთამომავალთათვისაც საინტერესო და მნიშვნელოვანია; ფოლკლორული ტექსტების შეგროვება, თემატური კლასიფიკაცია, თარგმნა და ქართულ მასალასთან შედარება, უდავოდ, წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძენების ფოლკლორული მემკვიდრეობის აღნუსხვასა და მოპოვებული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების საფუძველზე, მათი ყოფის, მსოფლმხედველობის, კულტურის შესწავლას. მნიშვნელოვანია, ასევე, ქართულ ფოლკლორთან საერთო ან განმასხვავებელი ელემენტების წარმოჩენა.

მეცნიერული ანალიზისას სადისერტაციო ნაშრომში გათვალისწინებულია საქართველოში მიგრირების შემდეგ აქ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებმაც, დიდი გავლენა მოახდინეს პონტოელ ბერძენთა ყოფასა და, შესაბამისად, ფოლკლორზე.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე, კონკრეტულად აჭარაში, მიგრირებულ პონტოელ ბერძენთა ცხოვრებისა და კულტურის დღემდე ნაკლებად გაშუქებული საკითხების შესწავლას და სამეცნიერო საზოგადოებისთვის გაცნობას. კვლევის

შედეგები და დასკვნები, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ცალკეული ფილოლოგიური საკითხების სალექციო კურსებსა და სპეცკურსებში. ასევე, საინტერესო იქნება ბერძნული საზოგადოებისთვის კვლევის შედეგების გაცნობა, ვინაიდან მოპოვებული და დაფიქსირებული იქნა აჭარის რეგიონთან დაკავშირებული ბევრი მანამდე უცნობი ტექსტი და ინფორმაცია.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომისათვის ფოლკლორული მასალის შეგროვებისას გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ „ფოლკლორულად მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ნაწარმოები, როცა გაუძლებს დროს, ზეპირად გადავათაობიდან თაობაში, შემორჩება ხალხის მეხსიერებას, როგორც გამომხატველი მისი თვალსაზრისისა“ (ქურდოვანიძე, 2001: 20), ანუ ზეპირსიტყვიერების უმთავრესი სპეციფიკა.

წინამდებარე ნაშრომის შესრულებისას:

- განისაზღვრა საკვლევი თემის რაობა, პრობლემატიკა და აქტუალობა;
- შემუშავდა გამოკვლევის პროგრამა, მასალის მოპოვების ადგილი, პირობები და საშუალებები;
- შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა თემის ირგვლივ არსებული ზოგადი სახის ლიტერატურა;
- საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად, შემუშავდა კითხვარები, ჩატარდა სავლე სამუშაოები;
- მთქმელების ანკეტირების, ინტერვიუების ჩაწერის და ფოლკლორული მასალების აღნუსხვის შემდეგ დამუშავდა მოპოვებული ინფორმაცია, მოხდა ტექსტების თემატური კლასიფიკაცია და თარგმანი;
- მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადდა კვლევის ანგარიშები და განხორციელდა მიღებული შედეგების პუბლიკაცია.

კვლევის პროცესი წარიმართა კომპლექსურად, კომპარატივისტიკის, ისტორიზმის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით. მოპოვებული მასალების ძირითადი ნაწილი ზეპირი სახით არის გადმოცემული და

დაფიქსირებული (აუდიო და ვიდეო ჩანაწერები); კვლევისას მნიშვნელოვანი იყო საოჯახო არქივებსა და პირად დღიურებში დაცული მასალების აღნუსხვაც.

ნაშრომის შექმნის პროცესში რესპოდენტები მოძიებულ იქნა როგორც ქალაქების (ბათუმი და ქობულეთი), ასევე აჭარის სოფლების (ახალშენი, კვირიკე, დაგვა, აჭყვა, ყოროლისთავი, საჩინო) მკვიდრ ბერძენ მოსახლეობას შორის. საველე სამუშაოები ჩატარდა, ასევე, საბერძნეთის ქალაქებში: ათენში, ალექსანდრუპოლისში, კომოტინიში, თესალონიკში (აჭარიდან მიგრირებულ პონტოელ ბერძნებთან).

ნაშრომის სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე დაბეჭდილ 194 გვერდს და შედგება შესავლის, 3 თავის, ზოგადი დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან; მონაცემები მთქმელების შესახებ დანართის სახითაა წარმოდგენილი.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალში განხილულია პონტოელ ბერძენთა ისტორიის, ფოლკლორისა და დიალექტის თავისებურებები; ასევე, წარმოჩენილია პონტოელთა ფოლკლორის შესწავლის საკითხი.

ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილია პონტოელ ბერძენთა აჭარაში დასახლების ისტორია და ქართველებთან თანაცხოვრების ამსახველი ფაქტები. სხვადასხვა სოფლის დაარსების და ეკლესიების აგების მიმოხილვის ფონზე, ასახულია იმდროინდელი საზოგადოებრივი მოვლენები. აქვეა განსაზღვრული ის ტერმინები, რომელთაც პონტოელი ბერძნები იყენებდნენ როგორც სამშობლოს, საკუთარი წარმომავლობის და ენის, ასევე ქართული ენის, საქართველოს და ქართველების აღსანიშნავად. დაფიქსირებულია აჭარის რეგიონში გავრცელებული განსხვავებული ტერმინებიც. მოცემულ თავში განხილულია ის ტერმინოლოგია, რომელიც საერთოა პონტოელი ბერძნებისა და ქართველებისთვის; ასევე გამოყოფილია ქართული ენის გავლენით წარმოშობილი სიტყვებიც.

ვფიქრობთ, ამ საკითხების გაშუქება აუცილებელი იყო არჩეული თემის სიღრმისეულად წარმოსაჩენად.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა საოჯახო-საწესჩვეულებო ფოლკლორის კვლევას. აქ ცალ-ცალკეა განხილული ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ციკლთან დაკავშირებული მოვლენები: დაბადება, ნათლობა, ქორწინება და გარდაცვალება. ბავშვობაში საფუძველი ეყრება ადამიანის განვითარებას და ვხვდებით ბევრ საინტერესო გარემოებას; ამ მიზნით, ბავშვობის პერიოდში გამოვყავით ცალკეული ქვეთემები: ბავშვის მოვლა, გათვალვა და შელოცვები, იავნანები, სახელის დარქმევა და მეტსახელები, თამაშები და სხვა. მოპოვებული მასალის საფუძველზე, თითოეული საკითხი გავაშუქეთ მასთან დაკავშირებული ტრადიციების თუ ლექსიკური ელემენტების, ფრაზეოლოგიზმების დეტალურად ასახვის ფონზე. მოხმობილია მაგალითები როგორც საველე ჩანაწერებიდან, პირადი მოგონებებიდან, ასევე - სხვა ცნობილი წყაროებიდანაც; აქვეა განხილული საოჯახო-საწესჩვეულებო ფოლკლორთან დაკავშირებული ხალხური სიმღერები, რომლებმაც დიდი კვალი დატოვა პონტოელ ბერძენთა ცხოვრებაში.

მესამე თავში წარმოჩენილია კალენდარული და რელიგიური საწესჩვეულებო ფოლკლორი. აქ ცალკე ქვეთავებად გამოიყო წელიწადის დროებთან, თვეებთან და კვირის დღეებთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი მასალა. პონტოელ ბერძენთა რელიგიური შეხედულებების გათვალისწინებით, ყურადღება გამახვილდა ქრისტიანულ დღესასწაულებზე და მათი შესრულების წესებზე. აღნიშნული თავი განსაკუთრებით გამოირჩევა მთქმელთა პირადი მოგონებების და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების სიმრავლით.

საკვალიფიკაციო ნაშრომს ერთვის დასკვნები, სადაც განზოგადებული და შეჯამებულია ჩატარებული კვლევის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურის სიაში შესულია კვლევის პროცესში დამოწმებული მონოგრაფიები, კრებულები, სტატიები, ინტერნეტწყაროები.

ნაშრომს ახლავს დანართი, რომელშიც მოცემულია მთქმელთა სია და მონაცემები; ხოლო ჩვენ მიერ შეგროვებული ტექსტები (სიმღერები, ლექსები, ლოცვები, გამონათქვამები, მოგონებები და სხვა) პირად არქივშია დაცული.

აუცილებლად მიგვაჩნია იმის ხაზგასმა, რომ ჩვენი მთქმელები ძირითადად ხანდაზმული ადამიანები არიან.¹ ზოგიერთი მთქმელის მონაცემი არათუ მათმა შვილიშვილებმა, არამედ შვილებმაც კი არ იციან; ასე რომ, ამგვარი მასალის დაფიქსირება უდავოდ, მნიშვნელოვანია.

მართალია, ჩაწერილი ფოლკლორული მასალების ავტორები ხშირ შემთხვევაში, უცნობნი არიან, მაგრამ, როგორც ვიცით, ანონიმურობა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი სპეციფიკაა; ფოლკლორულ ქმნილებას ჰყავს თავდაპირველი (ხშირად უცნობი) და რეალური მთქმელი, მთხრობელი (ქურდოვანიძე, 2001: 20).

ვიმედოვნებთ, წინამდებარე ნაშრომი რამდენადმე მაინც შეავსებს იმ სიცარიელეს, რაც აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მემკვიდრეობის კვლევასთან დაკავშირებით არსებობს და საზოგადოებას საშუალებას მისცემს, უკეთ გაეცნოს მათ მსოფლმხედველობას და კულტურას.

საკითხის შესწავლის ისტორია: პონტოელ ბერძენთა საწესჩვეულებო და რიტუალური ფოლკლორი ნაკლებადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის. მართალია, საბერძნეთში პონტოური ფოლკლორის შესწავლას სათანადო ყურადღება ეთმობა, მაგრამ საქართველოში ამ მხრივ არსებული გამოკვლევების ნაკლებობა შეიმჩნევა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიგრირებულ პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მემკვიდრეობა ნაწილობრივ იქნა განხილული ქართველ მეცნიერთა მიერ წიგნში „ბერძენები საქართველოში“. აღნიშნული მონოგრაფია საქართველოში დასახლებულ ბერძენთა ყოფის შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს.

რაც შეეხება აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძენების საწესჩვეულებო და რიტუალურ ლექსიკას და მასთან დაკავშირებულ ფოლკლორს, თუ არ ჩავთვლით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული

¹ 27 რესპოდენტიდან ოთხი, სამწუხაროდ, კვლევის პროცესში გარდაიცვალა.

პროექტის - „პონტოელი ბერძნები აჭარაში - წარსული და თანამედროვეობა“ - ფარგლებში 2015-2017 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ექსპედიციებს, მანამდე ეს თემა დეტალურად არ იყო შესწავლილი, რაც მოცემული საკითხის მიმართ ინტერესს ზრდის და აქტუალურს ხდის მის კვლევას.

პონტოელ ბერძენთა მდიდარი ფოლკლორული მასალა მრავალმხრივ არის საინტერესო; უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მასში არქაული (მხედველობაში გვაქვს ძველი ბერძნული) ელემენტის არსებობის საკითხი, ვინაიდან აქ ხშირად გვხვდება ამა თუ იმ ძველი ბერძნული მითის ეპიზოდები ან ვარიანტები (ბერძნები საქართველოში, 1990: 108).² საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პონტოელთა დიალექტში მრავლადაა შემორჩენილი ძველი ბერძნული ტერმინები. არსებობს შემთხვევები, როცა თანამედროვე ბერძნულში ამ ტერმინებმა სახე იცვალა ან გაქრა, პონტოურ დიალექტში კი - შენარჩუნებულ იქნა სრულად ან სახეშეცვლილად; ამიტომაც მოიხსენიებენ პონტოურ დიალექტს, როგორც „ძველი ბერძნული ენის სიტყვების კიდობანს“ («Ποντιακή διάλεκτος: Η κίβωτός λέξεων της αρχαίας ελληνικής».)³ პონტოურ დიალექტში არსებულ (ძველბერძნულ) ტერმინებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ბოლო წლებში კემბრიჯის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, იოანა სიტარიდუს მიერ თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე შენარჩუნებულ „რომეიკას“-თან მიმართებაში ჩატარებული კვლევები.⁴

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში მიგრირების შემდეგ ბერძნები მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ სამშობლოს, საქართველოს მიწა-წყალზე ქართველებთან თანაცხოვრების დროს ინარჩუნებდნენ როგორც მამაკაცისეულ ტრადიციებს, ასევე - ეროვნულ ფოლკლორთან დაკავშირებულ სხვადასხვა ელემენტს. ხშირ შემთხვევაში,

² Σαββίδης 2016, <https://www.lelevose.gr/pontiaka-arthra/pontiakos-politismos/omirikes-lekseis-sta-pontiaka.html>

³ Κωνσταντίνου 2015, <http://pontiaka1.blogspot.gr/2015/03/blog-post.html>

Connor 2011, <http://www.independent.co.uk/life-style/history/jason-and-the-argot-land-where-greeks-ancient-language-survives-2174669.html>

⁴ იბილეთ: Sitaridou - Kaltsa 2014: 1-27, <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S002438411400076X>

Schreiber - Sitaridou 2017: 1-16, <http://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/01434632.2017.1301944>

Michelioudakis - Sitaridou 2016, Art. 42:1-33, <http://dx.doi.org/10.5334/gjgl.72>

ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხეებში მყოფი მათი თანამემამულეებისგან სრულიად განსხვავებული ტერმინების გამოყენებას, ადათ-წესების თავისებურად შესრულებას და სწორედ ეს განსხვავებულობა ზრდის მოცემული თემის მიმართ ინტერესს.

პონტოელი ბერძნების ფოლკლორულ მემკვიდრეობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს: ვხვდებით თუ არა მათთან სხვადასხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, როგორ გამოიხატება მასში პონტოელ ბერძენთა თვითმყოფადობა და კულტურა, რა მიიტანეს შედარებით ახლოს საკუთარ სულთან ან რითი გაამდიდრეს ის ფოლკლორული მემკვიდრეობა, რომელთანაც ჰქონდათ შეხება (ბერძნები საქართველოში, 1990: 108). საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩვენი ინტერესის საგანს ქართველებთან ცხოვრების შედეგად ორივე მხარეს წარმოჩენილი ცვლილებები წარმოადგენს. ნაშრომში შევეცადეთ ქართულ ხალხურ სიტყვიერებასთან პარალელების გავლება, საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა და გაანალიზება, რაც დაგვხმარა შერჩეული თემის სიღრმისეულ კვლევაში.

საკითხის კვლევის ისტორიაზე საუბრისას, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემები და საარქივო მასალები, სადაც, ძირითადად, მეცნიერ-თანამშრომელ ლ. დემუროვას მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალაა დაცული პონტოელი ბერძნების შესახებ.

პონტოელი ბერძნები, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, შეუდგნენ ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებასა და პოპულარიზაციას. ამ მიმართულებით მათი პირველი მცდელობა 1849 წელს დაფიქსირდა, როცა ტრაპიზონის სასწავლებლის (ე.წ. «Φροντιστηρίου Τραπεζούντας») ხელმძღვანელმა - ფილოლოგმა კონსტანტინოს ქსანთოპულოსმა (Κωνσταντίνος Ξανθοπούλος) გამოაქვეყნა ფილოლოგიური ნაშრომი სახელწოდებით «Ἄσματα των παρὰ την Τραπεζούνταν χαρῶν και ολίγα περί Τραπεζούντος» („ტრაპიზონის და მიმდებარე ადგილების სიმღერები“), რომელშიც, ტრაპიზონის რეგიონის მცხოვრებთა სიმღერებთან ერთად, რეგიონის შესახებ მნიშვნელოვანი მასალები წარმოაჩინა. ამგვარად,

ამ სახის ნაშრომის გამოქვეყნებით საფუძველი ჩაეყარა ენობრივი და ფოლკლორული მასალების შეგროვებას პონტოში.⁵

მოგვიანებით ამ საქმეში სხვა პონტოელი ბერძნებიც ჩაერთვნენ, რომელთა შორის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პერიკლის ტრიანდაფილიდისს (Περικλής Τριανταφυλλίδης) და სავვას იოანიდისს (Σάββας Ιωαννίδης). როგორც ბერძნული წყარო გვაუწყებს, „პერიკლის ტრიანდაფილიდისი იყო პირველი პონტოელი ბერძენი, რომელმაც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გადაწყვიტა, დაეწერა თავისი სამშობლოს შესახებ, შეესწავლა ხელნაწერები, შეეგროვებინა ცნობები და ტრადიციები; თუმცა, აქვე აღინიშნება მასალებში სხვადასხვა სახის ხარვეზების არსებობის შესახებაც (Εγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(10): 345), რაც იმ დროისა და პირობებისთვის სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია. პ. ტრიანდაფილიდისის სახელს უკავშირდება, ზოგადად, პონტოელთა ყოველდღიურობის ამსახველი ადათ-წესებისა და ხელნაწერების შესწავლაც. უდიდესი კულტურული ფასეულობის მქონეა პ. ტრიანდაფილიდისის წიგნები: «Η εν Πόντω ελληνική φυλή ή τα Ποντιακά» („ბერძნული გენი პონტოში ან პონტოური დიალექტი“), თეატრალური დრამა «Οι Φυγάδες» („ლტოლვილები“), რომლის წინასიტყვაობა პონტოს შესახებ ბევრ ფასეულ ინფორმაციას შეიცავს. მესამე წიგნის გამოცემა კი, სადაც მწერალს სურდა შეგროვილი ფოლკლორული მასალის (სიმღერები, ტექსტები, ანეკდოტები თუ სხვა) შეტანა, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო (Εγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(10): 345). რაც შეეხება სავვას იოანიდისის მოღვაწეობას, მის კალამს ეკუთვნის პონტოს სხვადასხვა რეგიონის ისტორიული მოვლენების ამსახველი ნაშრომები: «Ιστορία και στατιστική της Τραπεζούντας» („ტრაპიზონის ისტორია და სტატისტიკა“), რომელიც კონსტანტინოპოლში გამოიცა 1870 წელს და «Συμβολή στην Ιστορία του Αγίου Θεοδώρου του Γαβρά» („წმინდა თეოდორე გაბრასის წვლილი ისტორიაში“). ტრაპიზონის სასწავლებელში მუშაობის დროს (1864-1867 წ.) სავვას იოანიდისი ზაფხულობით სწორედ ფოლკლორული და ისტორიული მასალების შეგროვებით იყო დაკავებული. აქ მოხდა დიგენის აკრიტასის ეპოსის აღმოჩენაც, რომელიც

⁵ Σαπκίδη 2002, <http://asiaminor.ehw.gr/forms/filePage.aspx?lemmaId=5598>

მოგვიანებით პარიზში გამოიცა და უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელი ბერძენი საზოგადოებისათვის (Εγκυκλ. Ποντ. Ελλην., 2007(4): 122).

პონტოელ ბერძენთა კულტურულ-მატერიალური ფასეულობების შენარჩუნებაში დიდი როლი ითამაშა „კონსტანტინოპოლის ბერძნულმა ფილოლოგიურმა საზოგადოებამ“ («Ελληνικός Φιλολογικός Σύλλογος Κωνσταντινουπόλεως»). 1870 წელს აღნიშნულმა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი „ცოცხალი ძეგლების“ (ფოლკლორული მასალების) შესაგროვებლად, რაც ცნობილი გახდა, როგორც «συλλογή «ζώνταν μνημείων» („ცოცხალი ძეგლების კოლექცია“). ზეპირსიტყვიერების შეგროვებასთან ერთად ადგილი ჰქონდა მასალების შედარებას და გაანალიზებას. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1875 წელს აღნიშნული საზოგადოების მიერ დიგენის აკრიტასის ეპოსის გამოცემაც. აღსანიშნავია, რომ ფოლკლორული მასალების შეგროვება 1922 წლამდე ინტენსიურად მიმდინარეობდა პონტოში, 1922 წლიდან კი, ბერძენთა მასიური მიგრაციის შემდეგ, ეს საქმიანობა პონტოს საზღვრებს გარეთაც გაგრძელდა. აღნიშნული საზოგადოების წყალობით დაარსდა ბიბლიოთეკა, მხარდაჭერა გაეწია ბევრ სკოლას და მოხდა მასწავლებელთა გადამზადება. ორ თვეში ერთხელ იბეჭდებოდა ჟურნალი «Ελληνικός Φιλολογικός Σύλλογος Κωνσταντινουπόλεως» („კონსტანტინოპოლის ბერძნული ფილოლოგიური საზოგადოება“) (Εγκυκλ.Ποντ. Ελλην., 2007(3): 212-213).⁶

ტრაპიზონის გარდა, პონტოში თანდათან სხვაგანაც გაიხსნა სკოლები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა გირესუნის დიდი სკოლა (Μεγάλο Σχολείο Κερασούντας); ასევე გამოჩნდა საქველმოქმედო და განათლების მხარდამჭერთა საზოგადოებები: «Φιλόπταχος Αδελφότης Τραπεζούντος», („ტრაპიზონის საქველმოქმედო საზოგადოება“), «Ξενοφών» („ქსენოფონი“), «Επί των ἔξω Σχολείων Επιτροπή» („სკოლების გარე კომისია“) და ა.შ. აღნიშნულ საზოგადოებებში საგანმანათლებლო-საქველმოქმედო საქმიანობის პარალელურად დიდი სამწერლობო მოღვაწეობაც მიმდინარეობდა, რომელიც თავდაპირველად ცალკეული

⁶ იხილეთ: Μέλη - Παπαπαναγιώτου 2015, https://santeos.blogspot.gr/2015/03/blog-post_62.html, «Συλλογή Λαογραφικού και Γλωσσικού Υλικού στον Πόντο», http://www.ehw.gr/asiaminor/Forms/fLemmaBody.aspx?lemmaid=6258#chapter_7

კვლევებით შემოიფარგლა, მოგვიანებით კი პუბლიკაციებიც გაჩნდა. პონტოური ფესვების მქონე ბერძენმა პატრიოტებმა თავიანთი წარმოშობის ადგილების გეოგრაფიის, ტოპოგრაფიისა თუ ტოპონიმის შესწავლა და აღნუსხვა დაიწყეს. ამასთან, გააანალიზეს ისტორიული ფაქტები (დაწყებული ძველი ეპოქიდან, დამთავრებული თანამედროვეობით) და, რა თქმა უნდა, გაითვალისწინეს იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემებიც.⁷ მათი მიზანი იყო დაგროვებული ცოდნის დაფიქსირება და როგორც თანამედროვეებისთვის, ასევე მომავალი თაობებისთვის გადაცემა. პონტოელ ბერძენთა ფოლკლორის შესწავლაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის „ბერძნული დამწერლობის გამავრცელებელ საზოგადოებას“ («Σύνλλογος προς διάδοσιν των ελληνικών γραμμάτων»).

ისტორიკოს ვლასის აღძიდისის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ბერძნული ეროვნული ბეჭდვითი სიტყვა პონტოში მე-19 საუკუნის ბოლოსკენ გამოჩნდა. 1880-1920 წლებში აქ გამოიცა 29 გაზეთი, 7 ჟურნალი და რამდენიმე წლიური კალენდარი (Αγτζίδης, 1996: 267-293).⁸

პონტოს რეგიონის ფოლკლორული მასალების ამსახველი ერთიანი კვლევა არ არსებობს; გამოქვეყნებული წიგნები ან ზოგადად პონტოელ ბერძენთა ფოლკლორის შესწავლას ეხება, ან - რომელიმე კონკრეტულ საკითხს.⁹

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, საყურადღებოა პონტოს ამა თუ იმ რეგიონის ფოლკლორისტიკის ამსახველი სხვა მასალებიც, რომლებიც წარმოჩენილია შემდეგ მონოგრაფიებში:

⁷ იხილეთ: http://www.ehw.gr/asiaminor/Forms/fLemmaBody.aspx?lemmaid=6258#chapter_7

⁸ იხილეთ: <http://www.opsne.gr/history.asp?sec=1-4>

⁹ საყურადღებოა პონტოს ამა თუ იმ რეგიონის ფოლკლორის ამსახველი წიგნები: Δ. Οικονομίδης «Γαμήλια Έθιμα» („დ. იკონომიდისის საქორწინო ტრადიციები“), Α. Παπαδόπουλος «Παροιμιαί» ἐξ Ἰνεπόλεως, Κερασούντας, Κοτσάρων, Κρώμης, Μάτσουκας, Οινόης, Ὀφείας, Σάντας, Τραπεζούντας, Χαλδίας» („ა. პაპადოპულოსის „ანდაზები“ ინებოლუს, გირესუნის, ორდუს, კრომნის, მაჩხას, უნიეს, ოფის, სანდას, ტრაპიზონის, ქალდიას რეგიონების მასალებით), Γ. Καντηλάπτης «Παραμύθια Χαλδίας» (ი. კანდილაპტისის „ქალდიას ზღაპრები“), ასევე: «Ἀσματα δίστιχα Ἀργυροπόλεως» („არდროპოლისის ხალხური სიმღერები - შაირები“), Ε. Αθανασιάδης «Παραμύθια Σάντας» (Εγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(5):336) (ე. ათანასიადისის „ზღაპრები სანდის რეგიონიდან“) და სხვა.

- Στάθης Αθανασιάδης (Γεροστάθης), «Ιστορία και λαογραφία της Σάντας» („სტათის ათანასიადისის (ღეროსტათის) სამტომული „სანდის ისტორია და ფოლკლორი“);
- Ε. Ακογλου, «Λαογραφικά Κοτύωρων» Α και Β' τόμοι („ქს. აკოლლუს „კოტიორას (ორდუს) ფოლკლორი“-ს I და II ტომი“);
- Σ. Παπαδόπουλος «Λαογραφικά Καρακούρτ» Α και Β τόμοι (Εγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(5): 336) („ს. პაპადოპულოსის „კარაკურტის ფოლკლორის ორტომეული“) და ა.შ.

აუცილებლად მიგვაჩნია იმ გამოცემების მოხსენიებაც, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს პონტოელ ბერძენთა ფოლკლორის პოპულარიზაციის საქმეში. საბერძნეთში პონტოურ ფოლკლორთან დაკავშირებული კვლევების შედეგები ხშირად ქვეყნდებოდა ჟურნალში «Αρχαίον Πόντου» („პონტოს არქივი“), სადაც 1966-1972 წლებში განსაკუთრებული სიმრავლით იბეჭდებოდა მნიშვნელოვანი მასალები. ასევე აღსანიშნავია ჟურნალ «Ποντιακή Εστία» („პონტოური კერა“-ს) მოღვაწეობა, რომელიც დიდი აქტიურობით 1950-1963 წლებში გამოირჩეოდა (Εγκυκλ.Ποντ. Ελλην., 2007(5): 336-337).

პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მასალების შეგროვებისა და კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბერძნული კულტურის უაღრესად დიდმა თაყვანისმცემელმა, ინგლისელმა რიჩარდ დავკინსმა. 1914-1918 წლებში იგი იმყოფებოდა სამეცნიერო ექსპედიციებში პონტოს რეგიონში აქაური მოსახლეობის დიალექტისა და კულტურის შესასწავლად და ფოლკლორული მასალების ჩასაწერად. პონტოში ჩაწერილი მასალები ხელნაწერების სახითაა დაცული ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავებში. დავკინსმა ჩაიწერა 4 რეგიონის ფოლკლორული მასალები: 23 ისტორია სურმენეში, 9 - ოფის რეგიონში, 6 - სანდაში, 28 - იმერაში. თითოეული რეგიონი ცალკე წიგნაკშია წარმოდგენილი. დავკინსი მასალებს ჯერ წიგნაკის მარცხენა მხარეს იწერდა ფანქრით, ხოლო შემდეგ ეს ჩანაწერები მარჯვენა მხარეს მელნიანი კალმით გადაჰქონდა. მკვლევარს ყველა ისტორია სახელწოდებების გარეშე დაუტოვებია და

დაუნომრია. მის მიერ ჩაწერილი ტექსტები, ძირითადად, ზღაპრებია, თუმცა ვხვდებით სახუმარო შინაარსის მქონე მასალებსაც (Mackridge, 1990: 107-109). დავკინს ეკუთვნის 1916 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნი „Modern Greek in Asia Minor“ („თანამედროვე ბერძნული მცირე აზიაში“). მნიშვნელოვან ფოლკლორულ მასალებს შეიცავს მისი ნაშრომები: „Folk tales from Sourmena and the valley of Ophis“ („სურმენეს და ოფის ხეობის ზღაპრები“), „Notes on the study of the Modern Greek of Pontos“ („ჩანაწერები პონტოს თანამედროვე ბერძნულის შესწავლის შესახებ“) და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების არქივებში დაცული იშვიათი ხელნაწერები (Mackridge, 1990: 107-111).

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით დღითი დღე იზრდება კვლევების და გამოცემების ნუსხა, რაც არსებული საკითხის მიმართ დიდ ინტერესზე მიუთითებს. ჩვენი საკვლევო თემა, - აჭარის პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მემკვიდრეობა, - შეიძლება, ითქვას, საერთაშორისო ინტერესის საგანია და კვლევის ინტენაციონალიზაციას ემსახურება. შესაბამისად, ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის სამეცნიერო პრობლემის არჩევანი და მისი მონო-გრაფიული შესწავლის პირველი მცდელობა მრავალმხრივ გამართლებული და აქტუალურია.

თავი I

პონტოელი ბერძნები აჭარაში

1.1. ტერმინ „პონტოელი ბერძნების“ წარმომავლობის საკითხისათვის

პონტოელ ბერძენთა ფოლკლორული მემკვიდრეობის განხილვის დაწყებამდე, აუცილებლობად მიგვაჩნია, ტერმინ „პონტოელი ბერძნების“ განმარტება; პონტოელ ბერძენთა დიალექტთან დაკავშირებული მთავარი ასპექტების გაშუქება და საქართველოში, კერძოდ აჭარაში, დასახლების ისტორიის მიმოხილვა. ნაშრომში ყურადღებას ვამახვილებთ არა მხოლოდ ბერძენ მიგრანტთა ცალკეულ სოფლებში დასახლებაზე, არამედ ეკლესიებისა თუ სკოლების დაარსებასა და მათ ყოველდღიურ ყოფაზე.

ტერმინი „პონტოელი ბერძნები“, ქართულის გარდა, არც სხვა ენებისთვის ყოფილა უცხო: რუსულ ენაში მათ მოიხსენიებენ, როგორც „Понтийцы“ ან „Понтийские греки“, თურქულში - „Pontus Rumları“ ან „Karadeniz Rumları“; ინგლისურში - „Pontic Greeks“, ფრანგულში - „Les Grecs pontiques“ ან „Pontiques“ და სხვა. როგორც ზემოთ ხსენებულ კრებულში - „ბერძნები საქართველოში“ - არის განმარტებული, მათ პონტოელები ეწოდებათ იმიტომ, რომ ისინი უკვე ანტიკური ხანიდან მოყოლებული კომპაქტურად მოსახლეობდნენ თურქეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შავიზღვისპირა რაიონში - პონტოში - XIX-XX საუკუნეებამდე. მათ ეჭირათ მრავალრიცხოვანი დასახლებები აღმოსავლეთით რიხეს (τὸ Ριζαῖον) და დასავლეთით გირესუნს (Κερασούνε) შორის (ბერძნები საქართველოში, 1990: 5). ამ არეალის ყველაზე ცნობილ ცენტრებად მოიაზრებოდა ტრაპიზონი, ოენოე, სამსუნი (ძვ. ამისოსი) და გუმუშხანე (ძვ. არღირუპოლისი). სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ვარაუდობენ, რომ პონტოს რაიონში ყოფილა 102 ელინოფონური დასახლება. ამ რეგიონში სხვა ხალხებიც მოსახლეობდნენ, მაგალითად, ლაზები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ავტონომიურად მოიხსენებიან, მაგრამ, ოტომანთა იმპერიის დოკუმენტების მიხედვით, ბერძენულენოვანი მოსახლეობა პონტოს რეგიონში ყველაზე მრავალრიცხოვანი ყოფილა (ბერძნები საქართველოში, 1990: 6).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოში მცხოვრები პონტოს დიალექტზე მოლაპარაკე ბერძნები თავის თავს უწოდებდნენ „რომეოს“ და იშვიათად იყენებდნენ ტერმინებს „გრეკოს“ ან „ელლინოს“. თურქულენოვანი პონტოელი ბერძნები კი მოიხსენიებოდნენ, როგორც „ურუმები“. ორივე სახელწოდება („რომეოს“ და „ურუმი“) წარმოსდგება ტერმინიდან „რომი“ და ამას თავისი ახსნა მოეძებნება: ბერძნულ ტრადიციაში რომის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ბერძნებს, მათ შორის ბიზანტიურ ეპოქისასაც, „რომაელები“ ანუ «Ρωμαίοι» („რომი“) ეწოდებოდათ. შესაბამისად, „რომეოს“ სწორედ ამ სახელწოდებიდან მომდინარეობს. რაც შეეხება ტერმინს „ურუმი“, მეცნიერთა ვარაუდით, აღნიშნული ტერმინის არტიკლიანი ფორმის - «ὁ Ρωμαῖος» („ო რომეოს“) - თურქულენოვანი ტრანსფორმაციის შედეგად წარმოიქმნა. საყურადღებოა, რომ ქართველები მათ უწოდებენ პონტოელებს, ისევე როგორც მათ ბიზანტიელ წინაპრებს - ბერძნებს (ბერძნები საქართველოში, 1990: 8).

საინტერესო განმარტება გვხვდება იმავე მონოგრაფიაში ტერმინ «οι Ρωμαίοι» („ი რომეი“)-სთან დაკავშირებით; ქართველ მკვლევართა ვარაუდით, ამ სახელწოდებაში ბიზანტიის იმპერიის, მეორე რომის მოქალაქეობის აღმნიშვნელი ცნება მოიაზრება (ბერძნები საქართველოში, 1990: 137).

აჭარაში მიგრირებული ბერძნებიც სწორედ ტერმინ „რომეო-ს“ იყენებდნენ თავიანთი წარმომავლობის წარმოსაჩენად და სიამაყით აღნიშნავდნენ:

- «Εμείς Ρωμαίοι εἴμεθ» („ჩვენ რომაელები, პონტოელი ბერძნები ვართ!");¹⁰
- «Εμείς οἱ Ρωμαίοι ἀπάτες λέμε σὴ χάραν...» („ჩვენ, რომაელები, პონტოელი ბერძნები ასე ვამბობთ ქორწილში...“)¹¹ და სხვა.

ვინაიდან ნაშრომი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, აჭარაში, დასახლებული პონტოელი ბერძნების ხალხური შემოქმედებისა და ადათ-წესების კვლევას ეხება, ვფიქრობთ, აუცილებელია იმ ტერმინების მოხსენიებაც, რომლებიც მათი მხრიდან გამოიყენებოდა ქართველების, საქართველოს ან ქართული ენის აღსანიშნავად.

¹⁰ მთქმელი ა. სტავრიანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 6.

¹¹ მთქმელი ე. კურტიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 10.

სტატის ათანასიადისმა ქართველების შესახებ საუბრისას თავის წიგნში «Ιστορία και λαογραφία της Σάντας» („სანდის ისტორია და ფოლკლორი“) ცნობილი ბერძნული ტერმინი «Γεωργιανισ» („ღეორღიანი“) გამოიყენა და აღნიშნა, რომ პონტოში ისინი (ქართველები) შემდეგნაირად მოიხსენიებოდნენ:

- «Κιουρτσής» („კიურჩის“) - ქართველი მამაკაცი;
- «Κιουρτσήςσα» ან «Κιουρτσέτσα» („კიურჩისა“ ან „კიურჩეტსა“) - ქართველი მანდილოსანი;
- «Γκιουρτσία» („გიურჩია“) - საქართველო;
- «Κιουρτσίτικα» (Αθανασιάδης, 1970: 184) („კიურჩიტკა“) - ქართული ენა.

ცხადია, პონტოში გავრცელებულ ზემოთ ხსენებულ ტერმინებზე დიდი გავლენა მოახდინა თურქულმა ენამ; ეს ტერმინები მომდინარეობს თურქულიდან: „Gürcüler“ (ქართველები), „Gürcüce“ (ქართული ენა), „Gürcistan“ (საქართველო) და ა.შ. ზოგადად, პონტოურ ბერძნულში კიდევ ბევრი სხვა თურქული წარმოშობის ტერმინია დამკვიდრებული.

აჭარაში მიგრირების შემდეგ ადგილი ჰქონდა როგორც სტ. ათანასიადისის მიერ დაფიქსირებულ, ასევე სხვა ძირის მქონე ტერმინების გამოყენებასაც, რომელთა წარმოქმნაზე ქართულმა ენამ მოახდინა გავლენა. ბათუმისა და ქობულეთის რაიონის სოფლებში დასახლებულ ბერძენთა საუბარში ხშირად ვხვდებით სიტყვებს:

- «Κιρτσία» ან «Κατσάδία» („კირჩია“ ან „კაცოდია“) - საქართველო;
- «Κιρτσίσσα» ან «Κατσάβια» („კირჩისა“ ან „კაცავა“) - ქართველი მანდილოსანი;
- «Κιρτσίς» ან «Κάτσος» („კირჩის“ ან „კაცოს“) - ქართველი მამაკაცი;
- «Κιρτσίδικα» და «Κατσάδικα» („კირჩიდკა“ ან „კაცოდკა“) - ქართული ენა.

უდავოა, რომ სიტყვები «Κιρτσία» („კირჩია“), «Κιρτσίσσα» („კირჩისა“), «Κιρტσίς» („კირჩის“) და «Κιρτσίδικα» („კირჩიდკა“) ფონეტიკურად დიდ მსგავსებას ავლენენ სტ. ათანასიადისის მიერ მოხსენიებულ თურქული წარმოშობის მქონე სახელებთან. რაც შეეხება ჩვენ მიერ დაფიქსირებულ სიტყვებს: «Κατσάδία» („კაცოდია“), «Κατσάβια»

(„კაცავა“), «Κάτις» („კაცოს“) და «Κατσάνικα» („კაცოდის“), რომელთა ფუძეს წარმოადგენს «Κατς» („კაც“), როგორც ჩანს, ბერძნებს ქართული ტერმინი - „კაცი“ - გამოუყენებიათ საქართველოს, ქართული ენისა თუ ქართველის (მამაკაცის ან მანდილოსნის) აღსანიშნავად. ჩაწერილ მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძნებისთვის ორივე ვარიანტი ყოფილა ცნობილი, ხოლო რომელ მათგანს მიანიჭებდნენ უპირატესობას, ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა თუ ცალკეულ პიროვნებათა ნებაზე იყო დამოკიდებული.

აუცილებლად მიგვაჩნია იმ ტერმინების მოხსენიებაც, რომელთაც აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები იყენებდნენ ამ რეგიონის და ადგილობრივი მოსახლეობის აღსანიშნავად; აჭარას აქ დაფუძნებული ბერძენი მიგრანტები ყოველდღიურ საუბარში იმავე ტერმინით მოიხსენიებდნენ, როგორც ქართველები: «Άτσαρα» („აჭარა“), თანამედროვე ბერძნულში კი საქართველოს ეს კუთხე ცნობილია, როგორც «Αντζαρία» (Εγκυκλ.Ποντ. Ελλην., 2007(1): 447) („აღზარია“) ან «Ατζαρία» (Αγγελίδης, 1999: 285-322) („ატზარია“).

რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, მასზე საუბრისას აჭარაში დასახლებული ბერძნები შემდეგ ტერმინოლოგიას იყენებდნენ:

- «Άτσαραλης» („აჭარალის“) - აჭარელი მამაკაცი;
- «Άτσαραλησσα» („აჭარალისსა“) - აჭარელი მანდილოსანი;
- «Άτσαρλιδες» („აჭარლიდეს“) - აჭარლები (მრავლობით რიცხვში).

ქალაქების - ბათუმისა და ქობულეთის სახელწოდებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ბერძნები ბათუმზე საუბრისას ხმარობდნენ ტერმინებს: «Πάτουμ» ან «Πατούμ» (Πόντος..., 2008: 219). ორივე სიტყვა წარმოითქმებოდა, როგორც „პატუმ“ და მხოლოდ მახვილის დასმით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ხოლო ქობულეთის სახელწოდება პონტოელ ბერძნებთან, ქართულის მსგავსად, „კობულეტ“-ია («Κομπουλέτ»).

საყურადღებოა, რომ თანამედროვე ბერძნულში ბათუმი მოიხსენიება, როგორც «Βατούμ» (Πόντος..., 2008: 217-235) („ვატუმ“) ან «Μπατούμι» („ბატუმი“), ქობულეთი კი - „კობულეტი“ («Κομπουλέτι»).

ამგვარად, შესატყვისი მაგალითების მოყვანით ნათელი გახდა, რომ ზოგადად საქართველოსთან დაკავშირებული ტერმინების წარმოშობა და დამკვიდრება პონტოურ დიალექტში ქართული ენის გავლენით მოხდა.

1.2. პონტოელ ბერძენთა აჭარაში დასახლების ისტორია

ბერძენთა ისტორიკოსმა სოკრატის ანგელიდისმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბერძნულ ეკლესიებსა და სკოლებზე საუბრისას, აჭარის რეგიონის ბერძნული სკოლებისა და ეკლესიების ისტორიის შესახებ აღნიშნა:

„აჭარის ბერძნული ეკლესიების და სკოლების ისტორია შეიძლება დავყოთ სამ პერიოდად:

1. მშენებლობის და ფორმირების პერიოდი 1881-1922;
2. საბჭოთა პერიოდი 1922-1985 წლები;
3. „რკინის ფარდის ჩამოხსნის პერიოდი“ 1985 წლიდან დღემდე“ (Αγγελίδης, 1999: 285).

ისტორიკოსის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ კლასიფიკაცია იწყება 1881 წლიდან, როგორც აჭარის არქივებში არსებული ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, პირველი ბერძნები ოტომანთა იმპერიიდან ამ რეგიონში 1849 წელს გამოჩნდნენ (Αγγελίδης, 1999: 290).

1878 წლიდან, როდესაც პონტოდან ბერძენთა მიგრირების ინტენსიური პროცესი დაიწყო, 1920 წლამდე საქართველოს ტერიტორიებზე ბერძენ მიგრანტთა გადმოსახლება არ შეწყვეტილა: XX ს. დასაწყისისთვის აჭარაში დასახლებულ ბერძენთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო სოფლებში. მართალია, აქ ბერძნების ოჯახები კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი, მაგრამ ამავე სოფლებში ქართველი მოსახლეობაც იყო შემორჩენილი და ამგვარად იქმნებოდა ქართველებისა და ახალმოსახლე ემიგრანტ ბერძენთა ნარევი ეთნიკური დასახლებები (ბერძნები საქართველოში, 1990: 67).

საყურადღებოა, რომ აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძნები წარმოშობით ძირითადად ტრაპიზონიდან და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან იყვნენ: სანდა (რომელიც 7 სოფლისგან შედგებოდა), სურმენე, ორდუ. ეს ფაქტი დასტურდება როგორც ისტორიულ წყაროებში, ასევე მთქმელთა მიერ მათი წარმომავლობის შესახებ მონათხრობ ისტორიებში. ბევრი მათგანი აღნიშნავს:

- «Ἐμεῖς Σαντέτες εἴμερ, οἱ παπποῦδες¹² ἐμοῦν ἀσὴ Σάντα ἔσανε» („ჩვენ სანდელები ვართ, ჩვენი წინაპრები სანდიდან იყვნენ“);¹³
- «Τεμετέρ ἀσὴ Τραπεζοῦντα καὶ γύρω χάριά ἔρθανε τὴν Ἄτσαρα» („ჩვენები ტრაპიზონიდან და მიმდებარე სოფლებიდან ჩამოვიდნენ აჭარაში“);¹⁴
- «Τὴ πάππος' μ ὁ πάππον ἀσὰ Σούρμενα ἔτονε» („ჩემი ბაბუის ბაბუა სურმენედან იყო“);
- «Οἱ Σηρμενίτς ἢ Σουρμενίτς¹⁵ ἀσὰ Σούρμενα ἔρθανε καὶ ζήνανε ἀδὰ, σὰ χάριά τῆς Ἄτσαρας» („სურმენელები სურმენედან ჩამოვიდნენ და ცხოვრობდნენ აქ, აჭარის სოფლებში“)¹⁶ და სხვა.

უბრალო შემთხვევითობას როდი წარმოადგენს ის გარემოება, რომ პონტოელმა ბერძნებმა მათი ცხოვრებისეული გზის რთულ პერიოდში საქართველოსკენ აიღეს გეზი: პონტოელთა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობას ჯერ კიდევ თურქეთის ტერიტორიაზე თანაცხოვრების დროს ჩაეყარა საფუძველი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ დასტურდება სტათის ათანასიადისის მონოგრაფიაში, სადაც მწერალი ქართველების შესახებ შემდეგს აღნიშნავს: «Γεαργיאνοί θεαροῦνταν οἱ ἀραιότεροι ἀπὸ ἔλλοις τοῦς γγαστοῦς καὶ πολὺ φιλέληγες» (Αθανασιαδης, 1970: 184) („ქართველები სხვა ცნობილ ერს შორის ყველაზე გამორჩეულ, ბერძნების მოყვარულ, ხალხად მიიჩნევიან“). ამ ფრაზაში კარგად ჩანს ქართველების მიმართ პონტოელ ბერძენთა თბილი დამოკიდებულება. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ დევნის ჟამს მათ ქართულ მიწა-წყალს შეაფარეს თავი. რა თქმა უნდა, არ უნდა გამოვრიცხოთ რელიგიური ფაქტორიც - საერთო რელიგია, მართლმადიდებლობა.

საქართველოში დასახლების შემდეგ ქართველებსა და ბერძნებს შორის მყარ მეგობრულ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი; ადგილი ჰქონდა შერეულ

¹² ტერმინი «οἱ παπποῦδες» („ი პაპუდეს“) სიტყვასიტყვით ბაბუებს ნიშნავს, ამ შემთხვევაში გამოიყენება წინაპრების აღსანიშნავად.

¹³ მთქმელი ნ. მაზმანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 77.

¹⁴ მთქმელი ი. ვენეტიკიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 47.

¹⁵ სურმენელების აღსანიშნავად მთქმელი ორ ტერმინს იხსენიებს: «Σηρμενίτς» („სირმენიტს“) და «Σουρμενίτς» („სურმენიტს“).

¹⁶ მთქმელი ი. სავვიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 45.

ქორწინებებსაც. აჭარაში დაბადებული და გაზრდილი პონტოელი ბერძნები აღნიშნავენ:

- «Τσιπ καλά ἐζήναμε μὲ τοὺς Ἄτσαρλιδες. Εχθροσύνη ἔαί κ'είχαμε» („აჭარლებთან ძალიან კარგად ვცხოვრობდით. შუღლი საერთოდ არ გვქონდა“);¹⁷
- «Σὴν Ἄτσαρρα ὄνταν ἔρθανε οἱ Ρωμαῖοι, ἐγάπησαν τὸν τόπον, ἔγιναν φίλοι μὲ τοὺς Κιρτσίδες καὶ ἀραέτες πᾶ ἐζήνανε ἔμορφα καὶ εἰρηνικά. Πολλοὶ πᾶ ἐποίιναν τὰ οἰκογένεια καὶ ἀτῶρα ποῦ φύγανε σὴν Ἑλλάδα, τὰ σπίτια καὶ τὰ ταφία ἐφέκαν σὴ Κιρτσίδες» („აჭარაში როცა დასახლდნენ პონტოელი ბერძნები, შეიყვარეს აქაურობა, დაუმეგობრდნენ ქართველებს და ცხოვრობდნენ ასე ლამაზად და მშვიდობიანად. ბევრმა შერეული ოჯახიც შექმნა და ახლა, როცა საბერძნეთში გადავიდნენ, მათი სახლები და სასაფლაოები ქართველებს დაუტოვეს“).¹⁸

როგორც მიუთითებენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩამოსახლებულ ბერძენთა შორის აჭარაში მცხოვრებ ბერძნებს ყველაზე კარგად ჰქონდათ შემონახული ბერძნული ენა და ტრადიციები და ისინი როგორც განათლების, ასევე კულტურის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ (ბერძნები საქართველოში, 1990: 67).

ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, აჭარაში ჩამოსახლებიდან მოკლე პერიოდში პონტოელმა ბერძნებმა დაიწყეს სკოლებისა და ტაძრების მშენებლობა და მომავალი თაობის განათლებასა და სულიერ აღზრდაზე ზრუნვა.

ბათუმის შემოგარენში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან გაჩნდა პირველი ბერძნული დასახლებები, რომელთაგან თავისი სიძველით ბათუმთან ახლოს მდებარე სოფელი ახალშენი გამოირჩევა. ქართული სახელწოდების მქონე სოფელში, რომელსაც პონტოელი ბერძნებიც მოიხსენიებდნენ როგორც «Ἀχάλσον» („ახალსონ“) ან «Ἀλχασόν» („ალხასონ“), ბერძნული ოჯახები 1881-1883 წლებში გამოჩნდნენ (Αγγελίδης, 1999: 307). ისინი ცნობილი გახდნენ, როგორც «Ἀχάλσονλίδες» („ახალსონ-ლიდეს“) ანუ „ახალშენლები“. ეს იყო ტრაპიზონიდან მიგრირებული პონტოელი ბერძნების ოჯახები, რომლებიც თავდაპირველად ბათუმში დასახლებულან, მაგრამ,

¹⁷ მოქმედი მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 56.

¹⁸ მოქმედი ა. კურტიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 1.

ვინაიდან იქ არ არსებობდა შესაფერისი პირობები მიწათმოქმედებისთვის, ადგილობრივ ხელისუფლებას მათთვის მიწები ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოუყვია.

პირველები სოფელში იშხანიდისების, ასლანიდისების და ავლოპულოსების გვარის წარმომადგენლები დასახლდნენ. ახალშენში დაფუძნების შემდეგ ადგილობრივმა ბერძნებმა მალე შეაგროვეს ეკლესიის აშენებისთვის აუცილებელი თანხა და 1892 წელს დაიწყო მშენებლობა, რომელიც 2 წელი გრძელდებოდა. 1894 წელს ახალშენელმა ბერძნებმა ტაძრის საკურთხეblად ფოთიდან სასულიერო პირი მოიწვიეს, გვარად პისტოპულოსი. ახალშენის ეკლესიას „მეტამორფოზის“ - ფერისცვალების - სახელი მიენიჭა. 1893 წელს სოფელში დაარსდა შვიდწლიანი საეკლესიო სკოლაც, სადაც ბავშვებს თავად სასულიერო პირი ასწავლიდა ბერძნული გრამატიკის წესებს, კალიგრაფიას, გეოგრაფიას, სიმღერებს და საღვთო სჯულს. ზემოთ ხსენებულ ეკლესიაში მოგვიანებით სხვა ბერძენი სასულიერო პირებიც მოღვაწეობდნენ: ე. მაკრიდისი, ხაძი-იორი, კ. კონსტანტინიდისი, ხ. ტავრიდისი. საბჭოთა პერიოდში ეკლესია დაკეტეს და სკოლის საწყობად აქციეს. 1980 წლიდან კი დაიწყო ტაძრის აღდგენა შემოწირულობებით (Αγγελίδης, 1999: 307-309).

როგორც სოფელ ახალშენის (და არამხოლოდ) ბერძენთა ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი ფოტო არქივის მქონე პიროვნება, აჭარაში მიგრირებულ ბერძენთა გვარების გენეოლოგიის შესწავლით დაინტერესებული, ანასტას სტავრიანიდისი აღნიშნავს: „სოფელ ახალშენის ცენტრში, სკოლასა და ეკლესიასთან ახლოს, დასახლებულან ბერძენ მიგრანტთა ოჯახები გვარად: აივაზიდისი, ანდონიადისი, პარასკევოპულოსი, ვიონიდისი, ქსანდინიდისი, კერიდისი, კარაბაშიდისი, ანდრეადისი, გრამატიკოპულოსი და სხვა. მდინარის მარცხენა მხარეს ცხოვრობდნენ ბერძენი მიგრანტები გვარად: ავლოპულოსი, ასლანიდისი, იშხანიდისი, მაზმანიდისი, კაისიდისი, ანდრონიკიდისი, ილნატიადისი, დიმიტრიადისი და ამ მხარეს ეწოდებოდა „მაზმანიდისების და იშხანიდისების მაღლობი“. მურატიდისების, ჩილიკიდისების და მუტასების

ოჯახებით ყოფილა დასახლებული ე.წ. „ჩილიკიდისების მაღლობი“.¹⁹ სოფლის ზედა მხარეს, მდინარის გასწვრივ, დაფუძნებულან დელიანიდისები, რომელთაც წყლის წისქვილი ჰქონდათ (სოფელში ცნობილი ყოფილა გამოთქმა: „ტინგას²⁰ წისქვილი“). ათანასიადისების ოჯახები ცხოვრობდნენ ე.წ. „კაზანჯანდების მაღლობზე“. ახალშენში ასევე ცხოვრობდნენ ბერძნული ოჯახები გვარად: პაპიანიდისი, ფოკასი, ხარიტიდისი, მეტაქსასი, კაპასაკალიდისი და ა.შ.²¹

აჭარაში ერთ-ერთი პირველი ანატოლიური ახალშენი გახდა სოფელი დაგვა. აქ დასახლებული ბერძნები მას მოიხსენიებდნენ, როგორც «Τάκοβα» („ტაკოვა“), ადგილობრივ მოსახლეობას კი «Τάκοβαλιδες» („ტაკოვალიდეს“), ანუ „დაგველები“. სოფელ დაგვასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას ვხვდებით 1908 წელს გამოცემულ ბერძნულ გაზეთში «Το κράτος» („ტო კრატოს“), „სახელმწიფო“, სადაც სტატიამი სახელწოდებით «Μεταναστεύσεις των Σανταίων στη Ρωσία» („სანდელთა მიგრირება რუსეთში“) წარმოშობით პონტოელმა ფოლკლორისტმა მილტიადის ნიმფოპულოსმა (Μιλτιάδης Νυμφόπουλος) სოფ. დაგვა მოიხსენია, როგორც «Τάκβα» („ტაკვა“), ხოლო დაგველები - «Τάκβαλιδες» („ტაკვალიდეს“).²²

როგორც ცნობილია, სოფელი დაგვა 1883-1884 წლებში დაარსდა ტრაპიზონელი ბერძნების მიერ (Αγγελίδης, 1999: 315). «Σὴν Τάκοβα πρώτα ἔρθανε τὰ ρωμέικα οἰκογένειαι: Καπασακαλίδης, Κοβιτίδης, Σαλβαρίδης, Λαζαρίδης, Σιδηρόπουλος καὶ ἄλλοι» („პირველები დაგვაში დასახლებულან ბერძნული ოჯახები გვარად: კაპასაკალიდისი, კოვიტიდისი, სალვარიდისი, ლაზარიდისი, სიდროპულოსი და

¹⁹ გვარების თარგმანთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ბერძნულ ენაში გვარების დაბოლოებები («ος, ης, ας» - „ოს, ის, ას“) მამრობითი სქესის მაჩვენებელია, ხოლო «ου» ან «η» („უ“, „ი“) - მდედრობითი სქესისა, მამაკაცების გვარები ქართულად გადავთარგმნეთ როგორც Μασμανიდης (მაზმანიდის) - მაზმანიდისი, Σαββίδης (სავეიდის) - სავეიდისი, Γαβριλίδης (ღვრილიდის) - ღვრილიდისი, ხოლო მდედრობითი სქესის შემთხვევაში იგივე გვარები წარმოდგენილია, როგორც Μασμανίδη (მაზმანიდი) Σαββίδη (სავეიდი), Γαβριλίδου (ღვრილიდი) და ა.შ.

²⁰ „ტინგა“ დელიანიდისების გვარის მეტსახელი იყო.

²¹ «Σὸ Ἀχαισόν, σουμά σὸ σχολεῖον καὶ σὴν ἐγκλεισίαν ἐζήνανε τὰ ρωμέικα οἰκογένειαι: Αἰβαζίδης, Ἀντωνιάδης, Παρασκευόπουλος, Βιονίδης, Ξαντινίδης, Κερίδης, Καραμπασίδης, Ἀνδρεάδης, Γραμματικόπουλος καὶ ἄλλα... Τὰ οἰκογένειαι Ἀυγοπούλος, Ἀσλανίδης, Ἰσχανίδης, Μασμανίδης, Καισιδης, Ἀνδρονικίδης, Ἰγνατιάδης, Δημητριάδης, ἐζήνανε σὰ ἀριστέρα τοῦ ποταμοῦ, σὸ «ρακάν τῶν Μασμανάντων καὶ Ἰσχανάντων» καὶ τὰ οἰκογένειαι Μουρατίδη, Τσιλικίδης καὶ Μούτας, ἐζήνανε σὸ «ρακάν τῶν Τσιλικάντων». Σὸ ἅπᾶν μέρος τῆ χωρὶ ἐζήναν οἱ Δεληγιαννάντ (οἱ Τηγκάντ) καὶ εἶχαν χαμελέτε (τὸ λέγαγε «Τῆ Τίγκα ἢ χαμελέτε»). Τὰ οἰκογένειαι Ἀθανασιάδη (τοὺς ἔλεγαν Καζαντσάντ) ἐζήναν σὸ «ρακάν τῶν Καζαντσάντων». Σὸ Ἀχαισόν ἐζήνανε καὶ ἄλλα οἰκογένειαι: Παπαγιαννίδης, Φώκας, Χαριτίδης, Μεταξάς, Καπασακαλίδης κτλ», - მთქმელი - ა. სტავროანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 6-7.

²² Νυμφόπουλος 2016, https://santeos.blogspot.gr/2016/11/blog-post_9.html

სხვა“)²³ - იხსენებს ერთ-ერთი მთქმელი. ცხადია, თანდათან ამ გვარების სია გაიზარდა.

როგორც დაგვაში დაბადებულმა და გაზრდილმა ა. ალექსიადისმა აღნიშნა, „დაგვაში დასახლდნენ და ცხოვრობდნენ პონტოელი ბერძნები გვარად: დემირჩიდისი (დემირჩოლანდ), ჩახურიდისი (ჩახურანდ), სტეფანიდისი (სტეფანანდ), ამირიდისი (ამირანდ), ლაზარიდისი (ლაზარანდ), სეირაკიდისი (სეირაკს), შაპლახიდისი (შაპლახანდ), ხაფსიადისი (ხაფსანდ), კალაიციდისი (კალაიციანდ), ცაცანიდისი (ცაცანდ), ეფრემიდისი (ეფრემანდ), მურატიდისი (მურატანდ), კასიანიდისი (კასიანანდ)... სანდის სოფელ იშხანანდოდან დაგვაში დასახლდნენ ღავრილიდისები (ღავრანდ) და კუტმირიდისები. სოფელ პიშტოფანდოდან - სეიტისები ანუ სეიტანდ, სოფელ კოზლარანდოდან ჩამოვიდნენ კაკოსიმიდისები (კაკოსიმანდ), სოფ. ტერზანდოდან - კოვიტიდისები (კოვიტანდ) და ა.შ.“²⁴

სოფელ დაგვაში დასახლებულ ბერძენთა ადგილობრივ მეურნეობასთან დაკავშირებით საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის თავის ნაშრომში ს. ტაბალუა; აჭარაში ბერძნებს ახალი ცხოვრებისეული პირობები დახვდათ, რამაც თავისთავად იმოქმედა მათ ყოველდღიურ ყოფაზე. პონტოში ისინი ძირითადად მიწათ-მოქმედებას ან მეცხოველეობას მისდევდნენ. ადგილობრივი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, აქ მიგრირებულმა ბერძნებმა ჩაის და ციტრუსების გაშენება დაიწყეს. აჭარაში დასახლებულ მამაკაცთა დიდი ნაწილი კალატოზები იყვნენ, ამიტომაც სეზონურად რეგიონის საზღვრებს გარეთ უწევდათ სამუშაოდ წასვლა და ძირითად სამიწათმოქმედო სამუშაოებს ქალები ასრულებდნენ. პონტოელი ბერძნების ხელობის წყალობით დაგვაში ბევრი ქვის სახლი აშენდა, მაშინ, როცა საქართველოს ყველა კუთხეში მანამდე ძირითადად ხის სახლები შენდებოდა

²³ მთქმელი ო. ლაზარიდუ - აივაზიდი, პირადი არქივიდან, გვ. 89.

²⁴ «Σὴν Τάκοβα ἔζησαν οἱ Ρωμαῖοι μὲ ἐπίθετα: Τεμπρτσόγλου(Τεμπρτσογλάντ), Τσαρουχίδης (Τσιαχουράντ), Στεφανίδης (Στεφανάν), Αμοιρίδης (Αμοιράν), Λαζαρίδης (Λαζαράντ), Σειρακίδης (Σειριάκς), Σαπλαχίδης (Σαπλαχάντ), Χαψιδης (Χαψάντ), Καλαιτσιδης (Καλαιτσιάντ), Τσατσανίδης (Τσατσάναντ), Εφραιμίδης (Εφραιμάντ), Μουρατίδης (Μουρατάντ), Κασιανίδης (Κασιανάντ)... Ἄσὸ χάρῖο Ἰσχανάντων τῆς Σάντας σὴν Τάκοβα ἔρθαν οἱ Γαβράντ καὶ Κουτμιτῖδης (Κουτμιράντ), ἄσὸ Πιστοφάντων: Σειπίδης (Σείτς), ἄσὸ Κοζλαράντων – Κακοσειμίδης (οἱ Κακοσειμάντ), ἄσὸ Τερζάντων - Κωβιτῖδης(οἱ Κωβιτάντ) κ.τ.λ», - მთქმელი - ა. ალექსიადისი, პირადი არქივიდან, გვ. 4-5.

(Tabary, 1982: 111-112). ზემოთ მოყვანილი სტრიქონები ერთი სოფლის მაგალითზე კარგად ასახავენ აჭარის სხვა სოფლებში დასახლებულ ბერძენ მიგრანტთა მიერ ადგილობრივი მეურნეობის სწრაფად ათვისებასა და მიგვანიშნებენ მის განვითარებაში შეტანილ ღვაწლზე.

დაგვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც დღესდღეობითაც სოფლის მშენებლას წარმოადგენს, ბერძენ მღვდელს, კ. პაპადოპულოს უკუერთხებია. ეკლესიის მშენებლობა 1886 წელს დაწყებულია. თავდაპირველად იგი ხისგან ყოფილა აგებული. 1906 წელს კი ადგილობრივების მიერ შეგროვილი თანხით ქვის ტაძრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. ნაშრომში არაერთი საინტერესო მოგონებაა ჩართული ზემოთ ხსენებული ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელთა საშუალებით ვგებულობთ ისეთი გარემოებების არსებობის შესახებ, რომლებიც არაა მოხსენიებული ისტორიულ წყაროებში. 1885 წლიდან დაგვაში ფუნქციონირება დაუწყია საშუალო სკოლასაც. კომუნისტური რეჟიმის დროს, 1937 წელს ტაძარი დაუნგრევიათ, მისი აღდგენა 52 წლის შემდეგ, 1989 წელს დაწყებულია და 1992 წელს დასრულებულია (Αγγελίδης, 1999: 317-318).

კიდევ ერთი სოფელი აჭარაში, სადაც პონტოელი ბერძნები დასახლებულან და მრავალი წლის მანძილზე რეგიონის ერთ-ერთ ბერძნულ სოფლად იყო ცნობილი, არის აჭყვა. ბერძენთა პირველი დასახლება აქ 1883-1885 წლებში გაჩნდა ტრაპიზონის რეგიონიდან ჩამოსული მიგრანტების მიერ. ბერძნები სოფელს, ქართველების მსგავსად, უწოდებდნენ «Ατσικα» („აჭკვა“-ს) ან «Ατσικια» („აჭკოვა“-ს), ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას «Ατσικβλιδες» („აჭკოვლიდეს“). 1888 წელს სოფლის მაცხოვრებლებმა ადგილობრივი მმართველობის ორგანოში განცხადება დაწერეს და სასაფლაოს ცენტრში ეკლესიის ასაგებად ნებართვა ითხოვეს. განცხადების ტექსტის მიხედვით, სოფლის მკვიდრნი ეკლესიის და მღვდლის შესანახ ხარჯებს საკუთარ თავზე იღებდნენ. სოფელში შეგროვებული თანხით ადგილობრივმა ბერძნებმა 1890 წელს ტაძრის მშენებლობაც წამოიწყეს და 1891 წელს დაასრულეს. ქვედა აჭყვაში ეკლესია წმ. გიორგის სახელზე აშენებულია. მოგვიანებით, ვინაიდან სოფელი გაიზარდა და ორ უბნად (ზედა და ქვედა აჭყვად) დაიყო, მოსახლეობაში გაჩნდა მეორე ტაძრის აგების აუცილებლობის სურვილი. 1905 წელს გადაწყდა ავრაამ

ათანასოვის ხელმძღვანელობით მეორე ტაძრის მშენებლობა ზედა აჭყვაში, რომელიც პეტრე-პავლობის სახელს ატარებს. ცნობილია ზემოთ ხსენებულ ტაძარში მოღვაწე პირველი მღვდლის ვინაობაც - მამა ფ. პაპადოპულოსი, რომელიც წარმოშობით ტრიპოლიდან ყოფილა. ეკლესიების შემდეგ სოფელში სკოლებიც გახსნეს, სადაც პირველი მასწავლებელი სასულიერო პირი ყოფილა. იგი ბავშვებს მშობლიური ენის წესებს, კალიგრაფიას, არითმეტიკას, გეოგრაფიას და საღვთო სჯულს ასწავლიდა, რაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე გრძელდებოდა, ვიდრე არ დაიხურა ეკლესიები და ბერძნული სკოლები ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით (Αγγελίδης, 1999: 305-306). ადგილობრივთა თქმით, «Σὴν Ἰατρικοῦα πρώτα ἔρχανε οἱ Τσιράντ καὶ οἱ Ἑλληνάντ, κ' ἔπεικεῖ στέρια-στέρια ἔρχανε καὶ ἄλλοι Ρωμαῖοι» („აჭყვაში პირველები ცირანდები ანუ ცირიდისები და ელინანდები ანუ ელინიდისები დასახლდნენ, შემდეგ კი ნელ-ნელა სხვა პონტოელებიც მოვიდნენ“).²⁵ ასევე: „აჭყვის ცენტრში ცხოვრობდნენ პონტოური ოჯახები გვარად: კურტოვი - კურტიდისი, ელენიდისი, ანდრეადისი, პაპადოპულოსი, ღავრილიდისი, და სხვა. უფრო შემალლებულ ადგილებში ვხვდებოდით შემდეგ გვარებს: მერიციდისი, სოფიანიდისი, მურუზიდისი, სტეფანიდისი, კოსტიკიდისი, ცირიდისი, თეოდორიდისი, პოლიტოვი, არახოვი, პავლიდისი, ვასილიადისი, სპირიდისი, იამაკიდისი, ვალიკიდისი და ა.შ.“²⁶

ბერძნული დიასპორის წევრები მრავლად იყვნენ დასახლებული ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეშიც. აქაურები მას ეძახდნენ «Κούρικα» („კურიკა“)-ს, სოფლის მაცხოვრებელთ კი - «Κούρικαλδες» („კურიკალიდეს“). კვირიკეში ბერძენ მიგრანტთაგან დასახლებულან პონტოური ოჯახები გვარად: Μαυρόπουλος (მავროპულოსი), Τσιλικίδης (ტილიკიდისი), Παπαδόπουλος (პაპადოპულოსი), Τσιλικαρίδης (ტილინგარიდისი), Παροτσίδης (პაროციდისი), Χολίδης (ხოლიდისი), Σόνους (შონუსი), Ξαντόπουλος (ქსანდოპულოსი), Χαραφίδης (ხორაფიდისი), Πολυχρονίδης (პოლიხრონიდისი), Αναστασιάδης (ანასტასიადისი), Ιωσηφίδης (იოსიფიდისი), Χιανίδης (ხიონიდისი), Τέριεβ (ტერიევი), Πουτουρίδης

²⁵ მთქმელი ა. კურტიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 1.

²⁶ «Σὸ κέντρο τῆς Ἰατρικοῦα ἔζῆνανε τὰ ρωμέϊκα οἰκογένεια: Κούρτοβ-Κουρτίδης, Ἑλενίδης, Ἀνδρεάδης, Παπαδόπουλος, Γαβριηλίδης καὶ ἄλλα. Ὀλίγον πῶ ψηλά ἔσανε οἰκογένεια: Μεριτσίδης, Σοφιανίδης, Μουρουζίδης, Στεφανίδης, Κωστικίδης, Τσιρίδης, Θεοδωρίδης, Πολίτοβ, Ἀράχοβ, Παυλίδης, Βασιλιάδης, Σπιρίδης, Γιαμμακείδης, Βαλικίδης καὶ ἄλλα», - მთქმელი - ე. კურტიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 11.

(ფუტურიდისი), Σελβίδης (სელვიდისი), Ταχτσίδης (ტახჩიდისი) და სხვა.²⁷ 1905 წელს კვირიკეში გახსნილა ბერძნული სკოლა, სადაც სწავლება მხოლოდ ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლის პედაგოგებმა განათლება თავის დროზე ტრაპიზონში მიიღეს.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად კვირიკე ნაკლებად იყო დასახლებული. მე-19 ს-ის ბოლოსკენ აქ ტრაპიზონიდან, სურმენედან და სანდიდან მიგრირებული პონტოელი ბერძნები დაფუძნდნენ და სოფელი გაიზარდა. 1902 წელს კვირიკეში წმ. კონსტანტინე და ელენეს სახ. ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია სოფელში ძველი ტაძრის ნანგრევებზე იქნა აგებული (Αγγελίδης, 1999: 311). გიორგობის დღესასწაულზე, ისევე როგორც წმინდანების - კონსტანტინესა და ელენეს - ხსენების დღეს, სოფელ კვირიკეში იკრიბებოდნენ ადგილობრივები და აჭარის სხვა სოფლებში მცხოვრები ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები. სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილია მოგონებები ზემოთ ხსენებული ეკლესიების მშენებლობასთან და სხვადასხვა დროს მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით.

სოფელი ყოროლისთავი (ჩაისუბანი) ტრაპიზონიდან მიგრირებული ბერძნების მიერ დაარსდა 1883-1890 წლებში. პონტოელი მიგრანტები სოფელს, ქართველების მსგავსად, „ყოროლისთავ“-ს («Κορολιστάβ») ეძახდნენ. სოკრატის ანგელიდისმა კი ყოროლისთავზე საუბრისას მოიხსენია ტერმინები: «Τσαϊσι» („ჩაისი“) და «Τσαϊσουμπάνι» - „ჩაისუბანი“ (Αγγελίδης, 1999: 319). სოფლის წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესია მე-20 ს-ის დასაწყისში ქვით აუგიათ აქაურ ბერძნებს. 1898 წელს ყოროლისთავში მდებარე ეს ტაძარი ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის დაქვემდებარებაში შევიდა. «Σὸ Κορολιστάβ ἔρθαν καὶ ἐζήνανε τὰ οἰκογένειας: Παπαδόπουλος, Γρηγοριάδης, Ταχτσίδης (Ταξίδης), Μαλκοτσίδης, Τσατσανίδης, Αμπελίδης, Μεταξάς, Σειντίδης, Παρασκευόπουλος, Κρομλίδης, Σειδαρίδης καὶ ἄλλα» („ყოროლისთავში დასახლდნენ და ცხოვრობდნენ ოჯახები გვარად: პაპადოპულოსი, ღრილორიადისი, ტახჩიდისი (ტაქსიდისი), მალკოციდისი, ცაცანიდისი,

²⁷ მთქმელი ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 21.

ამბელიდისი, მეტაქსასი, სეიდიდისი, პარასკევოპულოსი, კრომლიდისი, სეიდარიდისი და სხვა“) - აღნიშნა ადგილობრივმა მთქმელმა.²⁸

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნების სულიერ კერებს შორის დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს, რომელიც XIX საუკუნის სამოციან წლებში აუშენებიათ; ეს მოვლენა ამ ქრისტიანულ კუთხეში თურქთა ბატონობის დასრულების მაუწყებელი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ბათუმელთა დელეგაციამ, იორდანე მეტაქსასის ხელმძღვანელობით, თურქეთის სულთნისგან ტაძრის აშენების თხოვნაზე თანხმობა მიიღო, ბერძნების ქუჩაზე მდებარე მოქალაქე ეფრემიდისის ეზოს ნაკვეთზე მშენებლობა დაიწყო. მშენებლობისთვის ქვები ტრაპიზონიდან ჩამოიტანეს. წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობა 1865 წელს დასრულდა, რასაც ეკლესიის ფასადის წარწერა გვაუწყებს, ხოლო 1871 წელს აქ პირველი ღოცვა აღევლინა. 1894-1898 წლებში, მას შემდეგ, რაც ეზო-მიდამო ეკლესიის საკუთრებაში გადავიდა, ტაძრის ტერიტორიაზე ვაჟთა და ქალთა სკოლები გაიხსნა. მეოცე საუკუნის დასაწყისში კუნძულ ქიოსის ბერძნებმა ბათუმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას სამი დიდი ხატი შესწირეს - ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, წმიდა ნიკოლოზისა და წმიდა გიორგის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბათუმელმა ქალბატონებმა - თამარ ნაკაშიძემ და ელიზავეტა კოტიდისმა - ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით მთავრობასთან შუამდგომლობა სთხოვეს უწმინდესსა და უნეტარესს, პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე). უმაღლესი მთავრობის თანხმობის შემდეგ, 1948 წელს, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში წირვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ აღავლინა. 1935 წლიდან (18 წლის მანძილზე) ბათუმში ეპისკოპოსი არ ყოფილა. 1963 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორეს კურთხევით, წმინდა ნიკოლოზის ტაძარში მსახურება დაიწყო მღვდელ-მონაზონმა ილიამ (შიოლაშვილი). შემდგომში - უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში 1967 წლამდე მოღვაწეობდა.²⁹

²⁸ მთქმელი თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 31.

²⁹ იხილეთ: <http://www.eparchy-batumi.ge/?action=text/tadzari29>

მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის პირობებში დევნისა, ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში არაერთი ნათლობა ჩატარებულა, რასაც ადასტურებენ ჩაწერილ მასალებში არსებული პირადი მოგონებები. შეიძლება ითქვას, წმ. ნიკოლოზის ტაძარი აჭარაში მიგრირებულ პონტოელ ბერძენთა (და არამხოლოდ) სულიერ ცენტრად იქცა.

ქალაქ ბათუმის ბერძნულ დიასპორაზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აქ, როგორც ზღვისპირა საპორტო ქალაქში, ბერძენები ადრეც ყოფილან დამკვიდრებულნი, მაშინ როცა მის შემოგარენში მდებარე სოფლებში თავიდან ბევრი ემიგრანტი არ ყოფილა. მცირეაზიელ ბერძენთა მასიური და პერიოდული ჩასახლება აჭარის სოფლებში XIX ს. ბოლოს, უფრო ზუსტად 1881 წლიდან, დაიწყო (ბერძენები საქართველოში, 1990: 66).

ბათუმს უკავშირდება პონტოელ ბერძენთა პატრიოტული საქმიანობის მნიშვნელოვანი მოვლენები: მე-20 საუკუნის დასაწყისში აქ გამოიცემოდა ბერძნული გაზეთები: «Αργονάτης» („არგონავტი“), რომლის მფლობელი იყო სტ. ღალინოსი (Στ. Γαληνός), «Εθνική Δράσις» („ეროვნული მოძრაობა“), რომელიც პ. ფილიპიდისმა (Π. Φιλίππιδης) დაარსა და «Ελευθέριος Πόντος» („თავისუფალი პონტო“), რომელსაც გამოსცემდა ექიმი თ. თეოფილაქტოსი (Θ. Θεοφύλακτου). გაზეთი „თავისუფალი პონტო“ 1919-1920 წლებში კვირაში ორჯერ იბეჭდებოდა და მკითხველს პონტოში მიმდინარე პროცესების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა. სტამბა, სადაც ხსენებული გაზეთი გამოდიოდა, პონტოს ეროვნულმა საბჭომ («Το Εθνικό Συμβούλιο του Πόντου») შეიძინა. აღნიშნული საბჭოს შტაბი სწორედ ბათუმში იყო განთავსებული. გაზეთთან ერთად, სტამბაში ბერძნული სკოლებისთვის საჭირო წიგნები იბეჭდებოდა. 1920 წელს, თურქული მხარის გადაწყვეტილებით, გაზეთი დაიხურა. როგორც ცნობილია, გაზეთმა „თავისუფალი პონტო“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პონტოელ ბერძენთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში (Εγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(3): 268-273).

1.3. პონტოელ ბერძენთა დიალექტი და მისი თავისებურებანი

საქართველოში მოსახლე ბერძნების დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება: ელინოფონურ, ანუ ბერძნულ ენაზე მოლაპარაკე, და თურქულენოვან ჯგუფად (ურუმები). თავის მხრივ, არც ბერძნულის პონტოური დიალექტია საქართველოში ერთგვაროვანი; იგი სხვადასხვა რეგიონში მეტნაკლებად მნიშვნელოვან განსხვავებებს გვიჩვენებს (ბერძნები საქართველოში, 1990: 7). აჭარაში დასახლებული ბერძნები ელინოფონურ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ საუბარში სხვა რეგიონთა მკვიდრთაგან გარკვეული განმასხვავებელი ნიშნები იჩენდა თავს. თუმცა, ამ სხვაობების წარმოჩენა და ენობრივი განსხვავებების დაფიქსირება ცალკე კვლევის საგანია, ამიტომაც ჩვენს ნაშრომში მათზე დეტალურად არ შევჩერდებით.

აჭარაში დასახლებული ელინოფონი ბერძნები, პონტოური დიალექტის აღმნიშვნელად ხმარობდნენ ტერმინს „რომეიკა“ («Ρωμείκα»), მაშინ როცა თანამედროვე ბერძნულში გამოიყენება ტერმინები: «Ποντιακή διάλεκτος» („პონტიაკი დიალექტოს“ ან «Τα Ποντιακά» („ტა პონტიაკა“). პონტოურ დიალექტზე საუბრისას ერთ-ერთმა მთქმელმა საინტერესო გარემოებას გაუსვა ხაზი: «Εμείς όλ ξέρουμε ρωμείκα, τὰ ἑλληνικά ξέραν οἱ παπισὺνδες ἔμους, γανεύουμε, ἄμα κὶ καλατσεύουμε» („ჩვენ ყველამ „რომეიკა“ ვიცით, „ელინიკა“³⁰ ჩვენმა ბაბუებმა იცოდნენ, ვხვდებით, მაგრამ არ ვლაპარაკობთ“).³¹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში დაცული პონტოური დიალექტი, გარკვეული ისტორიული თუ კულტურული გარემოებებიდან გამომდინარე, საგრძნობლად დაშორდა როგორც სხვა ბერძნულ დიალექტებს, ასევე - თანამედროვე სალაპარაკო თუ სალიტერატურო ბერძნულ ენას, რაც სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია, რამეთუ:

- სხვადასხვა ისტორიულ თუ გეოგრაფიულ გარემოცვაში მოუხდა ყოფნა;
- ძირითადად ზეპირი გზით ვითარდებოდა;

³⁰ „ელინიკა“ («Ελληνικά») ბერძნული ენის სახელწოდებაა.

³¹ მთქმელი ა. კურტიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 2.

- მისი წერილობითი ფიქსაცია ძირითადად მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო;
- შედარებით ნაკლებად განიცადა სალიტერატურო ენის გავლენა (ბერძნები საქართველოში, 1990: 139).

საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ელინოფონი ბერძნების ენაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გავლენა მოახდინა მეზობელმა ენებმა: ქართულმა, თურქულმა, სომხურმა და რუსულმა. ეს გავლენა ძირითადად თავს იჩენს ლექსიკაში. ცნობილია, რომ ნასესხებმა სიტყვებმა პონტოურ დიალექტში ბერძნული ენის გრამატიკული კანონზომიერების მიხედვით იცვალეს სახე; ნასესხებ სიტყვებს ძირითადად ბერძნული ენისთვის დამახასიათებელი აფიქსები ერთვოდა. მეზობელი ენების გავლენა პონტოური დიალექტის ფონეტიკურ სტრუქტურაშიც შეიმჩნევა (ბერძნები საქართველოში, 1990: 139-140).

პონტოელ ბერძენთა დიალექტში ქართულ ენასთან საერთო ბევრი ტერმინი დავაფიქსირეთ, რომლებიც ორივე შემთხვევაში თურქული ენის გავლენით უნდა იყოს დამკვიდრებული. ასე მაგალითად:

- სიტყვას „დარდი“ პონტოელი ბერძნები მსგავსი ტერმინით «τάρτι» („ტიარტი“) აღნიშნავენ;
- ტერმინი „სევდა“ პონტოელი ბერძნებისთვისაცაა ცნობილი, ოღონდ მათთან «σεβτα» („სევდა“) სიყვარულს ნიშნავს;
- სიტყვა „ინათი“, რომელიც ქართულში გვხვდება, პონტოურ დიალექტშიც გამოიყენება როგორც «ινάτ» („ინათ“) და აქაც „სიჯიუტეს“ აღნიშნავს;
- ტერმინი „ადათი“ პონტოელ ბერძნებთან აღინიშნება სიტყვით «ατιάτ» („ატიატ“) და იგივე მნიშვნელობისაა;
- სიტყვა „ბახჩა, ბახჩე“ პონტოურ დიალექტშიც „ბახჩე“-ა («μπαχτσέ»);
- ტერმინი „სუფრა“ პონტოელ ბერძნებთანაც გვხვდება, როგორც „სუპრა“ - «σουπρά» (Κηρυκόπουλος, 2014); (Τσιπουρίδης, 1978: 3-82) და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანია იმ ტერმინთა რაოდენობა, რომლებიც ძველი ბერძნული ენის გავლენით დამკვიდრდა როგორც პონტოურ დიალექტში, ასევე - ქართულ ენაში და ზოგან შეინარჩუნა საწყისი მნიშვნელობა, ზოგან კი - შეიცვალა.

საყურადღებოა, რომ ბევრი ქართული კერძის სახელწოდება უცვლელად შევიდა და დამკვიდრდა პონტოელ ბერძენთა ლექსიკაში, იმ განსხვავებით, რომ პონტოური დიალექტისთვის დამახასიათებელი მხოლოდითი ან მრავლობითი რიცხვის არტიკლი დაემატა და დაბოლოებები შეეცვალა.

მაგალითად, აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძნები:

- ხაჭაპურს ემახდნენ «τὸ χατσαπούρι» („ტო ხაჩაპური“), «τὰ χατσαπούρια» („ტა ხაჩაპურია“) - „ხაჩაპურებს“;
- ჭადს - «τὸ τσάντι» („ტო ჩადი“), «τὰ τσαντια» („ტა ჩადია“) - „ჭადებს“;
- საცივს - «τὸ σατσί» („ტო საცივი“);
- ფხალს - «τὸ πχάλι» („ტო ფხალი“);
- ჩურჩხელებს - «τὰ τσοურτσχέλας» („ტა ჩურჩხელას“);
- სუნელებს - «τὰ σουνελέμπια» („ტა სუნელებია“);
- პურს ცნობილ ბერძნულ სიტყვასთან «ψαμί» („ფსომი“)-სთან ერთად უწოდებდნენ «τὸ πούρι» („ტო პური“);
- ლობიოს ჯიშებს მოიხსენიებდნენ ქართული ტერმინებით: «Σαβσέτ» („შავშეთ“), «Μίντβρις λόμπιο» („ტო მინდვრის ლობიო“) და მრავალი სხვა.

ზოგადად, მნიშვნელოვანია, ძველი ბერძნული ენის გავლენა როგორც პონტოურ დიალექტზე, ასევე თანამედროვე ბერძნულ და ქართულ ენებზე. ამასთან, საყურადღებოა ქართველებთან თანაცხოვრების შედეგად ქართული ელემენტების დამკვიდრების შემთხვევებიც პონტოურ დიალექტში.

თავი II

საოჯახო-საწესჩვეულებო ფოლკლორი

2.1. ბავშვის დაბადება და საყმაწვილო ზეპირსიტყვიერება

ბავშვის დაბადება და მოვლა: საოჯახო-საწესჩვეულებო ფოლკლორის ამოსავალ წერტილს ადამიანი და მისი სიცოცხლის ციკლი, ოჯახური ურთიერთობები, ოჯახურ გარემოში შესასრულებელი რიტუალები და მათთან დაკავშირებული სიტყვიერება წარმოადგენს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ხალხური სიტყვიერების ასახვის საგანი მუდამ ხალხის ყოფაცხოვრება იყო. „ის, რაც აისახება ზეპირსიტყვიერებაში, აუცილებლად ტიპობრივია, ცხოვრებიდანაა აღებული, მაგრამ უთუოდ გადააზრებულია, ესთეტიკურად სახეშეცვლილი“ (ქურდოვანიძე, 2001: 21).

ბავშვის დაბადება პონტოელ ბერძნებს ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდათ. შვილის მოვლას და აღზრდას ისინი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ.

ცნობილია, რომ ძველად, პონტოში ცხოვრების დროს, ქალის ორსულობა («ή Βαρασία») იმალებოდა და ხშირად ორსულ ქალს («ή βαρασμένητα») ერიდებოდა თავისი მდგომარეობის გამხელა ოჯახის უფროსი წევრებისათვის. იყო ისეთი ფაქტებიც, როცა ქალის ორსულობის შესახებ ოჯახში ბავშვის დაბადების დროს იგებდნენ. ეს გარემოება დროთა განმავლობაში შეიცვალა და რძალსა და ოჯახის უფროს წევრებს შორის, (დედამთილთან - «ή παθεράν» და მამამთილთან - «ὁ παθερόν») ურთიერთობამ შედარებით უფრო უშუალო ხასიათი მიიღო. ამასთან, უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობა შენარჩუნდა და ურყევ ტრადიციად გადაეცა მომავალ თაობებს.

ბავშვის დაბადების მოლოდინში რძალი თავს ვალდებულად თვლიდა, მოეწესრიგებინა სახლი, რათა ჩვილის სანახავად მოსულ სტუმრებს ყველაფერი წესრიგში დახვედროდათ და ზედმეტი მითქმა-მოთქმისათვის საბაზი არ მისცემოდათ. ასევე, მომავალი დედა წინასწარ მოამზადებდა ბავშვის ტანსაცმელს

(«τὴ μωρὶ τὰ λώματα», «τὰ ἐμπάλλια τὴ μωρὶ»), შეკერავდა ან ახლობლებისგან მიიღებდა დროებით ან საჩუქრად, რათა პირველ ხანებში ჩვილი უზრუნველყოფილიყო ყველაფრით, რაც საჭირო იქნებოდა უახლოეს მომავალში. ხშირ შემთხვევაში ეს იყო: «πανάκια», «πανία» („ტილოები“), «χχειρομάντηλα» („ხელებზე მოსახვევი ტილოები“), «πιοδομάντηλα» („ფეხების შესახვევები“), «σκουσφάκιν» („ქუდი“), «καλτσόπα, ὀρταράκια» („წინდები“), «καμισόπα»³² („პერანგები“) და სხვა.

ორსული ქალი ვალდებული იყო, დაეცვა მთელი რიგი წესებისა, რომელთა შესრულება, პონტოელ ბერძენთა აზრით, გარკვეულწილად განსაზღვრავდა კიდევ ბავშვის მომავალს. ყველა პონტოელი დედა ცდილობდა, მათ გათვალისწინებას და გამოყენებას. როგორც ერთ-ერთმა მთქმელმა აღნიშნა:

- «Βαρυσμέντσα ἢ γαρή σὴ κοσσοῦ μὲ τὰ πουλιά κ'έπρεπε νὰ πάει, νὰ τὰ φαίῃ για νὰ μὴν πατεύκεται τὸ μωρό. Ἡ κοσσοῦ πὰ ἔχχ πουλιά κ'εσὺ πὰ ἀναμένῃ πουλί καὶ ἄμα τυχὲν νικά σὲ καὶ βλάφτ τὸ μωρό, ἀπὸ νὰ μὴν ἐπορεῖ νὰ πορπατεῖ» („ორსული ქალი არ უნდა მისულიყო წიწილებიან კრუხთან, არ უნდა დაეპურებინა, რათა მომავალი შვილისთვის კრუხს არ ევნო, არ დაესნეულებინა. კრუხს ხომ მისი შვილები (წიწილები) ჰყავს, შენც შვილს ელოდები და შეიძლება დაგამარცხოს, ბავშვს ზიანი მიაყენოს და ბავშვმა ვერ გაიაროს“);
- «Κ'έπρεπε νὰ βάλ σὴ φοτάν ατς νὲ τὸ ψαλίδ, νὲ τὸ μαχχαίρ, νὲ βελόν» („წინსაფრის ჯიბეში არ უნდა ჩაედო მაკრატელი, დანა ან ნემსი“);
- «Κ'έπρεπε νὰ μασχαρεὺ ἄρραστον ἄθραπον» („არ უნდა დაეცინა უძლური, უმწეო, უმზო ადამიანებისთვის“), რათა არ დასჯილიყო და ეს ყველაფერი საკუთარ შვილს არ დამართნოდა;
- «Κ'έπρεπε νὰ βαφτεῖζ ἄλλο μωρό, νὲ κουμπάρα νὰ ἔν σὴ χαράν» („ეკრძალებოდა ბავშვის მონათვლა ან ქორწილში მეჯვარეობა“);
- «Βαρυσμέντσα ἢ γαρή ἔπρεπε νὰ πρεσέχ Τ'Ἀη –Ζαρέα, νὰ μὴν ἐφτάει τὰ δουλείας, για νὰ μὴν ἔχχ κατ' κουσοῦρ τὸ μωρόν ατς» („ორსული ქალი განსაკუთრებულად

³² მთქმელი ნ. შოტიდი - სალვარიდი, პირადი არქივიდან, გვ. 76.

ფრთხილად უნდა ყოფილიყო წმინდა ვლასის დღესასწაულზე, არ უნდა ემუშავა, თუკი უნდოდა, რომ ბავშვი რაიმე ნაკლით არ დაბადებულიყო“).³³

როდესაც ბავშვის ამქვეყნად მოვლინების დრო დგებოდა, ანუ როგორც ამას ხალხში ამბობდნენ: «έντοκων τὰ πόνια», მშობიარე ქალის («ή κοιλοπονέτρα») ოჯახში მებნ ქალს («ή μαμμή») მოიხმობდნენ. აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები ადასტურებენ ასეთი მებნი ქალების არსებობას სოფლებში და მათი დახმარებით როგორც ბერძენი, ასევე ქართველი ბავშვების დაბადების ფაქტებს.

სოფელ ყოროლისთავის (ჩაისუბნის) მკვიდრი ბერძენი მებნი ქალი, 87 წლის თეოდორა ტაქსიდი - სეიდიდი იხსენებს: „როცა საკუთარ შვილებს ვაჩენდი (ის 11 შვილის დედა იყო), ჩემთან მებნი ქალი მოდიოდა და მისგან ვისწავლე ეს საქმე. შემდეგ, სადაც მელოგინე ქალი იყო სოფელში, მივდიოდი და ბავშვების გაჩენაში ვებმარებოდი. 40 ბავშვი დაიბადა ჩემს ხელში და ყველანი კარგად არიან, ყველანი ცოცხლობენ. გოგონები გათხოვდნენ, ვაჟები დაოჯახდნენ....იყვნენ ქართველები, პონტოელი ბერძნები, ყველანი ყოროლისთავში ცხოვრობდნენ“).³⁴

პონტოურ დიალექტზე ბავშვის გაჩენაზე იტყოდნენ: «Ἐποίησεν μαρὸν», რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ბავშვი შექმნა“, იგულისხმებოდა, „ბავშვი მოავლინაო“. ასევე იყენებდნენ გამონათქვამს «Ἐλευτέρωθεν» - „გათავისუფლდა“ და ამ შემთხვევაშიც იგივე მოიაზრებოდა. ახალშობილის სანახავად მოსული მნახველები, როგორც წესი, დედას ეტყოდნენ: «Ἄς' σὸν Ἀε-Λευτέρ' ἔρχομαι» („წმინდა ელევთერიოსისგან მოვდივარო“), რადგან სწორედ წმინდა ელევთერიოსი («Ἀη-Λευτέρ») ითვლებოდა მომლოგინე ქალების მფარველად, ხოლო სიტყვა «Ἐλευθέρια» ნიშნავს „თავისუფლებას“. ასე რომ, გასაგებია, რატომ ხმარობდნენ პონტოელი ბერძნები ქალის მშობიარობისთვის ტერმინს «Ἐλευτέρωθεν». ქალის მშვიდობიანად მოლოგინების შემდეგ, ტრადიციისამებრ ოჯახის უფროსი მებნ ქალს შემღებისდაგვარად სცემდა პატივს.

³³ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 56-57.

³⁴ «Ἐγὼ ὄνταν ἐποίησα παιδιά, ἢ μαμμή ἔρχονταν καὶ ἀσὺ μαμμή ἔμαθα ἀπὸ τῆ δουλεία, καὶ ὑστερνά ποῦ ἔμαθα, ὅπου εἶχε ἔγκυα σὸ χάριον, ἐπήγαινα καὶ ἐλευθέρωνα παιδιά. Σεράντα παιδιά πήρα, ὅλα ἐν καλά, ὅλα ἐν ζωήρα, τὰ κορίτσια ἔντρισαν, τὰ παιδιά πάντρεψανε ... Ἔσανε Κυρτσίδες, ἔσαν Ρωμαῖοι, ὅλοι ἔσανε ἀσὸ Κορολιστάβ», - მთქმელი - თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 31-32.

რაც შეეხება ჩვილის მოვლას, პონტოელი დედები დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს იჩენდნენ ამ საქმეში და ცდილობდნენ გარკვეული წესების დაცვას, კერძოდ:

- «Ἐποίανε ἀκήσεις σὰ μαρὰ σὸ κεφάλ, σὴ γούλαν καὶ ἔλεγαν: Ἄρκον ταπεινός, κ' ἐσὺ χοντρός» („უკეთებდნენ სპეციალურ ვარჯიშებს ფეხებზე, ყელზე, რომ ბავშვს გრძელი ფეხები და ლამაზი ყელი ჰქონოდა და ამბობდნენ: დათვი - მჭლე და შენ - მსუქანო“); ეს ჩვეულება და გამონათქვამი საქართველოშიც იყო გავრცელებული.
- «Σὸ νερόν ἔβαλναν τὸ χάρ(ν) ἢ ὀλίγον ἄλας, γιατί ἔλεγαν ντὸ: ἀμυρό νερό ἔτونه πολὺ καλὸ για τὴν υγείαν καὶ τὸν χαρακτήρα τῆ μαρῆ» („ჩვილს კვერცხისგულიან წყალში ბანდნენ ან ცოტა მარილს ჩაყრიდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მარილიანი წყალი გარდა იმისა, რომ სასარგებლო იყო ჯანმრთელობისთვის, ბავშვის ხასიათზე დადებითად იმოქმედებდა“). სხვაგვარად ჩვილი ჭირვეული გაიზრდებოდა და ამ შემთხვევაში ამბობდნენ: „უმარილო ბავშვიაო“ - «ἄναλον παιδίον ἔν».³⁵

ასევე, მეანი ქალბატონის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ:

- «Τὸ μαρὸ ὄνταν ἔλουζαν, ἔβαλναν τὸ χρυσὸ δαχτυλίδ σὸ νερόν» („ახალშობილის დაბანისას ოქროს ბეჭედს აგდებდნენ წყალში“), რადგან მიაჩნდათ, რომ ამგვარად წყალი სუფთა და სასარგებლო ხდებოდა;
- «Σεράντα ἡμέρας τὸ μαρόν κ' ἔβγαζαν ἀσὸ σπῖτ, ἢ μαμὰ πὰ κ' ἔβγαინε» („40 დღის განმავლობაში ბავშვი არ გაჰყავდათ სახლიდან, არც დედა გადიოდა“);
- «Ἡ μάνα βύζανε τὸ μαρόν ατς» („ჩვილი, როგორც წესი, დედის რძით იკვებებოდა).³⁶ თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა დედას არ ჰქონდა რძე და ამ დროს ნათესავი, მეზობელი ან სრულიად უცნობი ქალბატონი ხდებოდა ბავშვის დედობილი.

სოფელ კვირიკეში დაბადებული და გაზრდილი ვ. მავროპულო - კურტიდის მონათხრობს თუ დავეყრდნობით: «Ἄμα κάποια μάνα κ' εἶχε γάλα, ἢ ἄλλεσα γυναιίκα

³⁵ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 57.

³⁶ მთქმელი თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 32.

ποιός τὸ εἶχχε, ἐβύζαλιζε τὸ μωρό καὶ τὰ μωράτς ἂν ἔν ἄγὸρ καὶ κορίτς, κ' ἔπρεπε νὰ παίρνε ἕνα τὸν ἄλλον, ἔν ἀδέφια» („თუ რომელიმე დედას არ ჰქონდა რძე, სხვა ქალი აჭმევდა მის ბავშვს და თუ მათი შვილები ბიჭი და გოგო იყვნენ, არ შეიძლებოდა მათი ქორწინება, ისინი და-ძმებად ითვლებოდნენ“)³⁷ ისევე, როგორც ქართულ ტრადიციაში ძუძუმტეებთან მიმართებაში: აღზრდილისა და აღზრდილის ოჯახები და გვარები ერთმანეთს უნათესავებოდნენ და ეს ნათესაობა წმინდად ითვლებოდა. პონტოელ ბერძნებთან ქართველების მსგავსად ძუძუმტეებს მუდამ უნდა დაეცვათ ერთმანეთი და საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაეწიათ.

დროთა განმავლობაში, ჩვილის ზრდასთან ერთად, დედები იწყებდნენ ბავშვისთვის ძროხის რძის - «κτηνή γάλα» („კტინი ღალან“) და ფაფების - «λαπάν», «ρσζάλευρι» („ლაპან“, „რიზალევრონ“) მიცემას. რთული ცხოვრებისეული პირობების გამო, პატარები არ იყვნენ განებივრებულნი მრავალფეროვანი საკვებით.

ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში პონტოელი დედები ხალხური მედიცინის რჩევებს იყენებდნენ, რომლებიც შთამომავლობით ჰქონდათ მიღებული წინაპრებისგან. კერძოდ, როგორც სოფელ დაგვაში დაოჯახებული, ო. მიხაილიდი - სტილიდი იხსენებს:

- «Γιὰ τὸν βήχχαν εκώφταν ψιλὰ-ψιλὰ τὸ κρεμμύδ, ἔκσειναν ἀπές σὴν μπάνκα καὶ ὄνταν ἐβγαζε ζουμίν, ποτίζαν τὰ μωρά» („ხველების დროს წვრილად ჭრიდნენ ხახვს, დებდნენ ქილაში, ზემოდან აყრიდნენ შაქარს და როცა წვენს შეიყენებდა, ბავშვებს აძლევდნენ“);
- «Γιὰ τὴν ζέστη τάραζαν τὸ ξύδ με τὴν βότκα, με λίγον νερόν καὶ ἐποίναν καμπρέσσια σὰ παιδία. Γιὰ τὰ μωρά ζέστέναν ἐλάδ, ἔκσειναν σὸ σεντόν ἀπάν καὶ τίλιζαν τὸ μωρόν μετ'ατό» („სიცხის დროს ურევდნენ ძმარს და არაყს, უმატებდნენ ცოტა წყალს და კომპრესებს უკეთებდნენ ბავშვს. ჩვილებისთვის აცხელებდნენ ზეთს, მასში დაასველებდნენ ზეწარს და გაახვევდნენ ბავშვს“);

³⁷ მთქმელი ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 21.

- «Γιὰ πληγὲς ἐποίναν ἄλοιφή: τάρραζαν τὸ ἐλάδ, κερὶν κὶ ὠβόν καὶ ἄλοιφαι ἀπάν». („ჭრილობებისთვის აკეთებდნენ მალამოს: ურევდნენ ზეთს, სანთელს და კვერცხს და უსვამდნენ ზემოდან“).³⁸

ამ და სხვა ხალხური საშუალებების წყალობით ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდებოდა და იგი ჩვეულ ცხოვრებისეულ რიტმს უბრუნდებოდა.

იავნანები: წარმოშობით წარმართული საკულტო რიტუალის უძველეს საგალობელს - „იავნანას“, რომლის დანიშნულებად დროთა განმავლობაში ბავშვის დაძინება იქცა, პონტოელი დედებიც მღეროდნენ. როგორც წესი, ჩვილი აკვანში იწვა და დედის ან ბებიის ალერსიან სიმღერას უსმენდა.

ღარიბ ოჯახებში, სადაც კაკლის ხისგან დამზადებული აკვნის შეძენის საშუალება არ ჰქონდათ, თავად აკეთებდნენ ჭერზე ჩამოსაკიდ სარწვევლას, ე.წ. «σαλουτζάκ'» („სალუჯაკ“-ს) ან «σαλαγάτσ'» („სალაღამ“-ს). აკვანი აჭარის პონტოელ ბერძნებში ცნობილი იყო სახელწოდებით «λαϊστέρα» („ლაისტერა“) ან «κουσίν» („კუნინ“).

საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულად მოიხსენიებენ იავნანებს: «κανακίσματα» („კანაკიზმატა“), «νευιάσματα» („ნენიაზმატა“), «νιανία» („ნიანია“), «σπινωτικά» („იპნოტიკა“), თუმცა ყველაზე გავრცელებული ფორმებია «ναναρίσματα» („ნანარიზმატა“) ან «ναουρίσματα» („ნანურიზმატა“), მაშინ როცა პონტოელ ბერძენთა დიალექტში იავნანას უწოდებენ «νανία („ნანია“), νάνι („ნანი“), λιλαία („ლოლია“).³⁹

ბავშვის აკვანში ჩაწვენისას პონტოელი დედები იტყოდნენ მოკლე ლოცვას: «Ἐλα, Χριστέ μ', καὶ Παναγία» („მოდი ჩემო ქრისტე და ღვთისმშობელო!“) ან: «Ἐλα, Χριστέ μ', σ' ὄνομα Σ'!» („მოდი ქრისტე, სახელითა შენითა!“)⁴⁰ და აკვნის რწევას იწყებდნენ («ἐκούνιζαν τὸ κουσίν», «ἐλάϊζαν τὴ λαϊστέρα»).

³⁸ მთქმელი ო. მიხაილიდი - სტილიდი, პირადი არქივიდან, გვ. 88.

³⁹ Μωυσιάδης 2015, <http://e-ptolemeos.gr/pontiaka-nanourismata-tachtarismata-tantinismata-tou-moisiadi-panagioti/>

⁴⁰ Μωυσιάδης 2015, <http://e-ptolemeos.gr/pontiaka-nanourismata-tachtarismata-tantinismata-tou-moisiadi-panagioti/>

როგორც წესი, იავნანას წინ უსწრებდა გაგრძელებული მელოდიის წამღერება, რომელიც ბავშვს სიმშვიდეს გვრიდა. ამ პროცესს ეწოდებოდა «γαλένεσμαν τῆ μαρι» („ღალენეზმან ტი მორი“) ანუ „ბავშვის დამშვიდება“, აჭარის რეგიონში კი ცნობილი იყო ტერმინით «γάλιασμαν» („ღალიაზმან“). პონტოელი დედა ჩვილს ტირილის დროს პირში უდებდა საწოვარას, «τὸ λάστιχον τῆ μαρι» („ტო ლასტიხო ტი მორი“) ან თხელ ნაჭერში გახვეულ ლუქუმს, «βιζιόρι», «βιζერი» (Ακιογλου, 1939: 139) („ვიზორი“, „ვიზერი“). როგორც კი ბავშვი შეწყვეტდა ტირილს, დედა იავნანის სიმღერას იწყებდა და დაღლილობის მიუხედავად, ჩვილისადმი მიძღვნილ სიმღერაში უდიდეს სითბოს და სიყვარულს აქსოვდა.

ჩვენ მიერ ჩაწერილი იავნანას ტექსტი, რომელიც მოქმელს ბებიისაგან გაუგონია და უსწავლია, ორმაგად მნიშვნელოვანია: იგი წარმოადგენს აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებთან დაკავშირებულ იშვიათ ფოლკლორულ მასალას და საშუალებას გვაძლევს კონკრეტული იავნანის ტექსტი შევადაროთ სხვა, უკვე ცნობილ პონტოურ იავნანებს, რაც გვეხმარება მათი საერთო თუ განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენაში.

იავნანა ჩვილისადმი მიმართვით და კეთილი სურვილებით იწყება:

«Νάνι, νάνι τὸ μικρόνι	(ნანი, ნანი პაწაწინა,
Αὔρι πάλι θὰ μερώνει.	ისევ გათენდება დილა.
Κάληνύχτα νὰ περνάς,	კარგად გაატარე ღამე,
ἔμορφα νὰ ἐξυπνάς	ლამაზად გაიღვიძე
καὶ ὄλους νὰ χαμογελάς,	და ყველას გაუღიმე
νάνι, νάνινα....» ⁴¹	ნანი, ნანი...)

იავნანას დიდი ნაწილი ეთმობა ჩვილის მიმართ სიყვარულის გამოხატვას და მოწოდებას, მანაც სიყვარულით უპასუხოს ახლობლებს:

⁴¹ მოქმელი მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 57-58.

«Ἐσέν ὄλοι ἀγαποῦμε,	(შენ ხომ ყველას გვიყვარხარ,
ἡ μαμά καὶ ὁ μπαμπάς,	დედიკოს და მამიკოს,
ἡ γιαιά καὶ ὁ παππούς,	ბებიას და ბაბუას,
κ' εσύ πὰ ἀγάπα αὐτούς!» ⁴²	შენც გიყვარდეს ისინი!)

იავნანას კულმინაციურ ნაწილში დედა არიგებს შვილს, გაითვალისწინოს ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები, სიკეთე და ბოროტება და არწმუნებს, რომ ილოცებს მისი კეთილდღეობისთვის:

«Ἡ ζωὴ ἐν ἔμορφῃ,	(ცხოვრება მშვენიერია,
ἔχχει καὶ δυσκολία,	სიძნელეებით სავსე,
Τὰ ρδοιὰ ς νὰ φαπίζνέ	გაენათებოს შენი გზები
ὁ Θεός καὶ ἡ Παναγιὰ!» ⁴³	უფალს და ღვთისმშობელს!)

შეიძლება ითქვას, რომ პონტოელ ბერძენთა იავნანები გამოირჩევიან ჩვილის გადაჭარბებული დახასიათებებით. პონტოელი დედა უამრავ შედარებას მიმართავს თავისი შვილის მიმართ სიყვარულის გამოსახატავად. აქ ვხვდებით მიმართვის ფორმებს: «μικρίτσικον» („მიკრიჩიკონ“ - „პაწიავ“), «βασιλικόν κλωνάριν» („ვასილიკონ კლონარინ“ - „სამეფო ყლორტო“), «πουλί μ’» („პულიმ“ - „ჩემო ჩიტო“), «πουλόπιμ’» („პულოპიმ“ - „ჩემო ჩიტუნავ“), «ἀρνί μ’, «ἀρνόπιμ’» („არნიმ“, „არნოპიმ“ - „ჩემო ბატკანო“), «βασιλόπουλο» („ვასილოპულო“ - „უფლისწულო“), «τ’αηδονάκι μισ» („ტ აიდონაკი მუ“ - „ჩემო ბულბულო“), «περιστεράκι μισ» („პერისტერაკი მუ“ - „ჩემო მტრედუნა“), «πουλί μ’ γλυκύτσικον» („პულიმ ღლიკიჩიკონ“ - „ჩემო ტკბილო ჩიტო“), «τέκνον ζαχαρωμένον» („ტეკნონ ზახარომენონ“ - „დაშაქრულო შვილო“), «τέκνον ἀγαπημένον» (Γαλανίδου..., 2010: 88-93), („ტეკნონ აღაპიმენონ“ - „საყვარელო შვილო“) და სხვა. რაც შეეხება ყოველდღიურ მეტყველებაში ძალზე გავრცელებულ მიმართვის ორ ფორმას: «γιαβρί μ’» („იავრიმ“) და «ρίζα μ’» („რიზამ“), რომლებიც იავნანებშიც

⁴² მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 58.

⁴³ იგივე, გვ. 58.

გვხვდება და ითარგმნება, როგორც „საყვარელო“, მათი პირდაპირი მნიშვნელობა სრულიად განსხვავებულია: «γιαβρί μ'» ნიშნავს „ჩემო შთამომავლო“, ხოლო «ρίζα μ'» - „ჩემო ფესვო“, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი გამოიყენება სწორედ სხვა ადამიანის (ძირითადად, ბავშვების) მიმართ სიყვარულისა და სითბოს გამო-სახატავად. აჭარაში მიგრირებულ ბერძენთა მეტყველებაში ორივე ტერმინის გამოყენება ყოფილა მიღებული.

ზემოთ ხსენებული მიმართვის ფორმები უხვადაა წარმოდგენილი იავნანას ერთ–ერთ ვარიანტში, რომელიც პანო ლამფსიდისის კოლექციაშია დაფიქსირებული:

«Νενί τὸ βασιλόπουλο, βασιλικόν κλωνάριον,

(ნენი, ჩემო უფლისწულო და სამეფო ყლორტო,)

Νενί τ' αηδονάκι μου καὶ τὸ περιστεράκι,

(ნენი, ჩემო ბუღბულო და მტრედუნა ჩემო,)

Νενί πουλί μ' γλυκύτατον, τέκνον ζαχαρωμένον ,

(ნენი, ჩემო უტკბილესო ჩიტო, დაშაქრულო შვილო,)

Νενί πουλί μ' γλυκύτατον, τέκνον χαριτωμένον...» (Γαλανίδου..., 2010: 89)

(ნენი, ჩემო უტკბილესო ჩიტო, გამხარებელო შვილო...)

ტრაგიკული ელფერი გასდევს იავნანას, სადაც პონტოელი დედა ატირებულ ჩვილს შესჩივის თავის უბედურებას და აღიარებს, რომ ის (შვილი) წარმოადგენს მის ერთადერთ ნუგეშს:

«Μὴ κλαῖς γιαβρί μ', μὴ κλαῖς πουλί μ', (ნუ ტირი, საყვარელო, ჩემო ჩიტუნავ,

Εὐτᾶς κ' ἐμὲν καὶ κλαίω, მეც მაიძულებ, ვიტრო,

Ὁ κύρη σ' ἐξορίαν ἔν' მამაშენი გადასახლებულია,

Ὁ κύρη σ' 'ς σὴν ξενιτείαν ἔν' მამაშენი უცხო მხარეშია,

ἐσέναν μαναχὸν ἔχων

მხოლოდ შენ მყავხარ,

ἀδᾶ κανέναν 'κ' ἔχων!» (Γαλαθίδου..., 2010: 94) აქ სხვა არავინ მყავს!»

დაძინების დროს პონტოელი დედა შვილს უსურვებს მშვიდ, სასიამოვნო ძილს. დედის გულწრფელი სურვილი კარგად ჩანს შემდეგ მიმართებებში, რომელიც ერთ-ერთმა მთქმელმა გაიხსენა:

- «Καλὸν ὕπνον νὰ εἶεις, πουλί μ'!» („კარგი ძილი გქონოდეს!“)
- «Ὁ ὕπνο σ' νὰ ἔν μελόπον καὶ γλυκόν, γιαβρί μ'!» („შენი ძილი თაფლი და მურაბა!“)
- «Νάνι οὐς τὸν πουρνόν, ρίζα μ'!» („ნანი ადრიან დილამდე!“)
- «Ὅντες κελαηδοὺν τὰ πουλόπα, γνέφ'σὸν μὲ τ'ατά, ἀρνόπομ'!» („როცა ჩიტუნები აჭიკჭიკდებიან, მაშინ გაგღვიძებოდეს!“)⁴⁴ და სხვა.

როცა ბებია უმღერის იავნანას შვილიშვილს, მისტირის განვლილ წლებს და მისი სიმღერა უფრო მეტად ნოსტალგიურ ხასიათს ატარებს:

«Ν' ἄλλοι ἐμέν, π' ἐγέρασα καὶ ἐκρέμ'σα φτερόν-ι

(მე, საბრალო, მოვხუცდი, ჩამოვუშვი ფრთები,)

Ἐγὼ πὰ' τεί νυφίτσα ἔμ' καὶ μὲ τ'ἔναν καιρόν-ι» (Γαλαθίδου..., 2010: 92)

(მეც ხომ პატარძალი ვიყავ ერთ დროს, მშვენიერი).

ჩვენ მიერ ჩაწერილი „ბებიის იავნანაც“ წარსულისადმი ნოსტალგიის გრძნობითაა გამსჭვალული და მსგავსებას ავლენს ზემოთ მოყვანილი იავნანის ტექსტთან:

« Ν' ἄλλοι ἐμέν, π' ἐγέρασα καὶ ἄλλο κ'ἀγαπήσκουμαι,

(მე, საბრალო, მოვხუცდი, აღარავის ვუყვარვარ,)

Τὰ δάκρια μ' τρέχνε σ'ἀψιμον, τὰ τσιλῖδια ὄλα βσίουσ',

⁴⁴ მთქმელი ე. პაპადოპულუ - ღვრილიდი, პირადი არქივიდან, გვ. 13.

(ნაკვერჩხლებსაც ჩააქრობს, ჩემი ცრემლები თუ მოხვდა.)

Ἦταν καιρός, ἐγὼ πὰ ἔμ ἔμορφη περιστέρα καὶ ὀλό γερα ἑτέρνα,

(ერთ დროს ვიყავი ლამაზი მტრედი, ყველაფერს ვაკვირდებოდი.)

Ἐχάρουμ τὸν κόσμον τσιπ πολλά, εὐχαρίστησην ἐπέρνα.

(ძალზე მიხაროდა სიცოცხლე, ვიღებდი სიამოვნებას.)

Ἄτώρα ἀς ἐγέρασα, τὰ πάλαια ἐνθυμούμαι,

(მერე რა, რომ მოვხუცდი, ვცხოვრობ მოგონებებით.)

Τὰ τίαρτια μοῦν περήσεψαν καὶ ἀσὸ σκαμί κὶ σκούμα.»

(ჩემი დარდი გამრავლდა და სკამიდან ვერ ვდგები).⁴⁵

გარდა იავნანებისა, პონტოელი დედა ჩვილს უმღეროდა სრულიად განსხვავებული შინაარსის და ფორმის მქონე სიმღერებსაც, რომლებიც მოიხსენიებოდა როგორც «Τὰ ταχταρίσματα» („ტა ტახტარიზმატა“) ან «Τὰ ταντινίσματα» („ტა ტანდინიზმატა“). ეს არის მოკლედ თქმული, გართიმული სიმღერები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ექსპრომტად იქმნებოდა და მიზნად ისახავდა ახალგაზვიძებული პატარის გამოფხიზლებას, უკეთეს გუნებაზე დაყენებას ან, ტირილის შემთხვევაში, ყურადღების გადატანას. სახელწოდება გამოდიოდა იმ მარცვლიდან, რომელიც უფრო მრავლად იყო სიმღერაში: «Τάν-τάνα, τάν-τάνα» („ტან-ტანა, ტან-ტანა“), «Τάμ-τάμ-τάμ» („ტამ-ტამ-ტამ“) და ა. შ.

აჭარის სოფლებში მცხოვრები პონტოელი ბერძნები ამგვარ სიმღერებს მსგავსი ტერმინით «Τὰ ταντανίγματα» („ტა ტანდანიღმატა“), „ტანდანიღმები“ მოიხსენიებდნენ, ხოლო ამ სიმღერების შესრულების პროცესს კი - როგორც «Ταντάνιγμα τῆ μαρί» („ტანდანიღმა ტი მორი“ ანუ „ჩვილის ტანდანიღმა“). თვალსაჩინოებისთვის შეიძლება ზემოთ ხსენებული მხიარული სიმღერების გავრცელებული ტაეპების მაგალითად მოყვანა:

⁴⁵ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 58-59.

«Έναν ἔμορφον μωρόν	(ერთ ლამაზ ბავშვსაო
φορεί παλόν πανταλόν	ძველი შარვალი აცვიაო,
καὶ χορεύ' ἅπᾶν σ' αλών,	დგას და ცეკვავს მინდორშიო,
χορεύ' λάζικον χορόν».	ცეკვავს ლაზურ ცეკვასაო.
Τάμ-τάμ-τάμ!» (Ακογλου, 1939: 141)	ტამ-ტამ-ტამ!)
ახ:	
«Βρέχει, βρέχει, βρέχουμαι	(წვიმს, წვიმს, ვსველდები,
ἔκ' επορώ νὰ ἔρχουμαι,	მოსვლა არ შემძლია,
στείλο ἄν' τὴν γιαπουντσά σ'	გამოგზავნე მოსასხამი,
τσιλέγουμαι κ' ἔρχουμαι!» ⁴⁶	ჩავიცვამ და წამოვალ!)

ხშირად ამგვარ ლექს-სიმღერებში ცალკეული სტრიქონები შინაარსობრივად ერთმანეთთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა მათ ნაკლს; ამგვარი სიმღერების დანიშნულება ხომ ბავშვის ყურადღების მიპყრობა იყო, რაც მსგავსი მარცვლების განმეორებით ადვილად ხერხდებოდა:

«Βρέχει, βρέχει, βρεχανίτ'	(წვიმს, წვიმს, წვიმა მოდის
καὶ τ' ἀμάραντα γυαλίτ',	მცენარეებს ალაპლაპებს,
ἡ κοσάρα κακανίτ'	ქათამი კაკანებს და
καὶ ἡ γραΐα τηγανίτ'.	მოხუცი ტაფაზე წვავს.
- Γραΐα, γραΐα, χόρεψον,	- მოხუცო, მიდი, იცეკვე!

⁴⁶ Μωυσιάδης 2015, <http://e-ptolemeos.gr/pontiaka-nanourismata-tachtarismata-tantinismata-tou-moisiadi-panagioti/>

- Γραία εἶμαι ‘κ’ ἔπορά

- მოხუცი ვარ, არ ძალმიძს!

κὶ ἂν καλοκρατεῖτε ‘μεν,

ცოტათი რომ დამიჭიროთ,

μόσε σεῖσμαι κ’ ἐγώ» .⁴⁷

მეც აგყვებით ცეკვაში).

ყველა ამგვარი სიმღერის დაბოლოებას წარმოადგენდა: «Ζίπι-ζίπ’, ζίπι-ζίპ’» („ზიპი-ზიპ, ზიპი-ზიპ“) ან: «τίβριμ-τίβριμ’, τίβριμ-τι» („ტივრიმ-ტივრიმ, ტივრიმ-ტი“) და ა. შ.

როგორც ირკვევა, პონტოელ ბერძენთა ე.წ. „ტანდანიღმები“ ქართული სალალაო, ანუ თავშესაქცევი, სიმღერების მსგავსია და, იავნანებთან ერთად ადამიანის ცხოვრებაში გაგონილ პირველ პოეტურ - მელოდიურ ქმნილებებს წარმოადგენს, ამიტომ შეიძლება ითქვას, ბავშვის აღზრდის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

გათვალვა და შელოცვები: ახალშობილის ავი თვალისაგან დაცვა ბავშვის დედას აუცილებლად მიაჩნდა, ამიტომაც აკვანზე „სათვალავს“ («Φυλακτήριο», «Φυλαχτόν») ჩამოუკიდებდნენ ხოლმე ბავშვს. საყურადღებოა, რომ ტერმინები «Φυλακτήριο» („ფილაქტირიონ“) და «Φυλαχτόν» („ფილახტონ“) ითარგმნება, როგორც „დამცველი“. პონტოელმა ბერძენებმა სათვალავის აღსანიშნავად ისეთი ტერმინები შეარჩიეს, რომლებიც ზუსტად ასახავდნენ თავიანთ ფუნქციას: ადამიანის დაცვას ყოველივე ავისაგან, ამ შემთხვევაში კი - ავი თვალისაგან.

თვალისცემა პონტოურ დიალექტში მოიხსენიება როგორც «μάτιμα», („მატიმან“), «ματίσμαν» („მატიაზმან“) ან «ὀμματίσμαν» („ომატიაზმან“) და წარმოდგება სიტყვისგან «ματ» („თვალი“).

პონტოელ ბერძენებს მიაჩნდათ, რომ თვალისცემა შეეძლო ღია ფერის თვალების ან გადაბმული წარბების მქონე ხანშიშესულ ადამიანებს, რომელთაც უწოდებდნენ «σμιχτοφρῶνδες» („სმიხტოფრიდიდეს“). საგულისხმოა, რომ ქართულ

⁴⁷ Μασσάδης 2015, <http://e-ptolemeos.gr/pontiaka-nanourismata-tachtarismata-tantinismata-tou-moisiadi-panagioti/>

სინამდვილეშიც დასტურდება ანალოგიური წარმოდგენები ჭრელ (ჭროლა) თვალეზიან ადამიანებთან მიმართებაში.

იმ პიროვნებაზე, რომელიც, შესაძლოა, სხვებს გათვალავდა, იტყოდნენ: «Ατός ματιάζ» („ის თვალს სცემსო“), თვალნაცემზე კი ამბობდნენ: «Έχχ όμματ» („თვალი აქვს“), «έν όμματιαγμένος», «Έματιάστεν» („გათვალულიაო“) ან გამოიყენებდნენ ფრაზას: «Άς σ'όμματιαγμαν έρρώστεσεν τò παιδίν» („თვალისგან დაავადდა ბავშვიო“).⁴⁸

თვალის ძალაზე მეტყველებს პონტოელ ბერძენთა შემდეგი ხალხური გამონათქვამი: «Λιθάρα κατασπών τ' όμματ 'ν άτ» (Άκογλου, 1939: 312), ესე იგი „მისი თვალი ქვებს ამტვრევსო“.

როდესაც ახალშობილის სანახავად მიდიოდნენ ან ლამაზ ბავშვს დაინახავდნენ სადმე, კეთილისმსურველნი ეტყოდნენ :

- «Φτου, νά μην όμματιάσκεσαι!» („ფთუ, თვალი არ გეცეს!“);
- «Φτύσον, νά μη παίρ όμματ!» („გადააფურთხე, თვალი არ აიდევნო, არ გეცესო!“);
- «Αούτο τò μαρό φατάζ! Φτου, νά μην όμματιάσκειται!» („ეს ბავშვი ანათებს!“)

(იგულისხმება ლამაზია), ფტუ, თვალი არ ეცესო!“)⁴⁹ და ა.შ.

ბავშვის გათვალვის შემთხვევაში პონტოელი დედები, მიუხედავად მათი ღრმა რწმენისა ღვთის მიმართ, შელოცვას მიმართავდნენ. შელოცვის წარმოშობის შესახებ თ. შიოშვილი აღნიშნავს: „შელოცვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული და თავისთავადი ჟანრია. მის წარმოშობას საფუძვლად უდევს სიტყვის მაგიური ძალის რწმენა, რომელსაც უმეტესწილად თან ახლავს გარკვეული საწესო მოქმედება“ (შიოშვილი, 1994: 3).

პონტოელ ბერძენთა შორის სხვადასხვა სახის შელოცვებიდან ყველაზე მეტად სწორედ თვალის შელოცვა იყო გავრცელებული. თუ ოჯახში არავინ იცოდა

⁴⁸ მთქმელი მ. გრამატიკოპულო - სავვიდი, პირადი არქივიდან, გვ. 52.

⁴⁹ მთქმელი მ. გრამატიკოპულო - სავვიდი, პირადი არქივიდან, გვ. 52.

შელოცვის თქმა, სოფლის იმ მკვიდრს მიაკითხავდნენ, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ამ საქმის მცოდნე პიროვნება. მაგიური ტექსტებისა და მისნური შინაარსის სიტყვიერი ფორმულების გამოყენებას, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენდა სხვადასხვა საგნებზე, ადამიანებსა და ბუნების ძალებზე სასურველი ზემოქმედების მოხდენა, პონტოელ ბერძენთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და, შესაბამისად, ზეპირ-სიტყვიერებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

შელოცვების მოპოვება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული; ეს არქაული ჟანრი საიდუმლო ცოდნის სფეროს განეკუთვნება, მთქმელები შიშობენ, რომ მათ მიერ ტექსტის ხმამაღლა წარმოთქმის შემთხვევაში დაიკარგება სიტყვის მაგიური ძალა და ამიტომაც ცდილობენ, შელოცვები ჩურჩულითა და ბუტბუტით შეასრულონ. ამასთან, შთამომავლობით მისი გადაცემა ღირსეული, ნდობით აღჭურვილი კანდიდატის შერჩევის შემდეგ უნდა მოხდეს.

შელოცვების კავშირის შესახებ როგორც ქრისტიანულ სალოცავ-სავედრებლებთან, ასევე უძველეს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან საყურადღებო განმარტებაა მოცემული მონოგრაფიაში: „ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია“, სადაც აღნიშნულია, რომ შელოცვები „კალენდარული ფოლკლორის უმნიშვნელოვანეს ფენას შეადგენს. ერთი მხრივ, უდავოა, მათი კავშირი ქრისტიანულ სალოცავ-სავედრებლებთან (მიმართვა ღვთისადმი, ჯვრის, წმინდანების, ანგელოზების მოხსენიება ტექსტებში და სხვა.), მეორე მხრივ კი, მიუხედავად შელოცვების მიმართებისა ქრისტიანულ-კალენდარულ სადღესასწაულო ციკლთან (მათი უმრავლესობა სრულდება საახალწლო, ყველიერის, ვნების, ამალღების, ილიაობის, მარიამობის და ა.შ. დღეობებში), აშკარაა მათი კავშირი უძველეს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან, ტრადიციებთან“ (გიორგაძე, 1993: 75).

პონტოელი ბერძენები შელოცვებს უმეტესად მაგიური რიტუალების თანხლებით ასრულებდნენ. მაგალითად: თვალის შელოცვის დროს შემლოცველი დგამდა პატარა ჯამით წყალს, ყრიდა შავ ნახშირს «καρβόν» („კარვონ“), შემდეგ ხელში აიღებდა დანას «μαχχάρι» („მაშერ“) და იწყებდა შელოცვას. დანას ბავშვს თავზე სამჯერ შემოატარებდა, ხოლო წყალს სახეზე ასხურებდა. სხვა შემთხვევაში იღებდა

ცოტა მარილს, გათვალულის თავზე სამჯერ დაატრიალებდა და წყალში ყრიდა, თან ამბობდა: «Ἄμῳ ντὸ λύεται τὸ ἄλᾳς, νὰ λύεται καὶ τὸ ὀματῖαγμα» („როგორც მარილი იშლება, ისე დაიშალოს შენი თვალი!“)⁵⁰ იმის დასტურს, რომ ბავშვი ნამდვილად თვალნაცემი იყო, მთქნარება წარმოადგენდა. თუ მთქნარების დროს ერთი თვალი ეცრემლებოდა, გამთვალავი მანდილოსანი იყო, ხოლო თუ ორივე - მამაკაცი; ასევე მნიშვნელობა ჰქონდა მთქნარების სიხშირეს: კერძოდ, როცა შემლოცავი ნელ-ნელა ამთქნარებდა, „ახალი თვალი“ («νέον ματ») ჰქონდა, ხშირად მთქნარების შემთხვევაში კი - „ძველი“ («παλαιόν ματ»).

პონტოელ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ყველაფერი შეიძლება გაითვალოს ჭკუის, გონიერების გარდა, ამიტომაც მეტი სიფრთხილისა და გონიერებისკენ მოუწოდებდნენ ახლობლებს, რაც კარგად ჩანს გამონათქვამში: «Ὅλῃα ὀμματιάσκουσ, τ'αχὸς μὸνάχον 'κι' ὀμματιάσκειται» (Αθανασιάδης, 1970: 109) („ყველაფერი ითვალება, ჭკუა, გონიერება კი - არა“).

მიუხედავად იმისა, რომ შელოცვების განდობა და გადაცემა არ არის მიღებული, (ვინაიდან დაკარგავს ძალას და „არ გასჭრის“), ქალბატონმა მარგარიტა მურატიდუმ მაინც გაგვიზიარა იმ სამკურნალო შელოცვების ტექსტები, რომლებიც პატარაობაში ბებიისგან გაუგონია. ამგვარად, საშუალება მოგვეცა უკეთ გავცნობოდით აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ზეპირსიტყვიერების საიდუმლოებით მოცული სამყაროს ერთ პატარა ნაწილს და გარკვეული დასკვნებიც გამოგვეტანა:

«Μάτι, μάτι, ντέβᾱ χάθει, μήπαϳ είσαι ἀπ'εμάσ-ι';

(თვალო, თვალო, წადი დაიკარგე, იქნებ ჩვენგან ხარ?)

Μήπαϳ είσαι σπιτιανόσ-ι; μήπαϳ είσαι γειτονάσ-ι;

(იქნებ შინაურის ხარ, იქნებ მეზობლის ხარ,)

Μήπαϳ είσαι συγγενόσ-ι, μήπαϳ είσαι χარიγόσ-ι,

⁵⁰ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 59.

(იქნებ ნათესავის ხარ, იქნებ სოფლელის ხარ,)

Μήπως είσαι ξένος;

(იქნებ უცხოის ხარ?)

Νὰ πέρ στήν πέτρα τὸ πόδι σοῦ!

(შენი ფეხი ქვისკენ წავიდეს!)

Ντέβια, ντέβια στὸν ἄκλοσστον, στὸ τρεχοῦμενον τὸ νερόν,

(წადი, წადი დაუბრუნებელში, მდინარე წყალში,)

κ'εμάς ἡσυχους νὰ φτάς!

(და სიმშვიდე მოგვეცი!)

Σ'ενάν τὸ χχέρι μοῦ κρατῶ σίδερον καὶ καρβόν,

(ჩემს ერთ ხელში მიჭირავს რკინა და ნახშირი,)

καὶ στὸ ἄλλον χχέριν μοῦ κρατῶ τὸ σταυρόν!»⁵¹

(და მეორე ხელში მიჭირავს ჯვარი!)

ავი თვალის განდევნის ასევე საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ზემოთ ხსენებული მთქმელის მიერ გადმოცემული კიდევ ერთი შელოცვა:

«Μάτι , μάτι τὸ ζηλευτάρι, νὰ πὰς χάσε, ἀφίκον τὸ παιδί!

(თვალო, თვალო შურიანო, წადი დაიკარგე, დატოვე ბავშვი!)

Μὴ στεναχαρεύεις τὸ παιδί!

(ნუ აწვალე ბავშვს!)

Φτούσε, φτούσε διάβολος, νὰ πὰς βρίσκεσαι ἄλλού!

⁵¹ მთქმელი მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 59-60.

(ფთუსუ ,ფთუსუ ეშმაკო, წადი, სხვაგან იყავი!)

Τὸ ματί ' ς νὰ πάει σὴν πέτρα, νὰ πάει στὸ σῆδερον,

(შენი თვალი მოხვდეს ქვას და რკინას,)

ντὸ κρατάω στὸ χχερί μ' καὶ σὰ ἄσχημα τὰ μέρια!

(ხელში რომ მიჭირავს და ცუდ ადგილებს!)

Τὰ ρδόμιας ὄλα κλεισμένα ἀπ'τὸ τίμιον σταυρόν!

(შენი გზები დაკეტილია ღირსეული ჯვრისგან!)

Ὁ διάβολος ἐνηκέθεν, ἐφέκε σὲ μαναχόν!

(ეშმაკი დამარცხდა, შენ მარტო დაგტოვა!)

Φτούσε, φτούσε , ντέβα χάτει, ἄλλο κ' ἔχχεις ἀρακάτι!»⁵²

(ფთუსუ, ფთუსუ, წადი, დაიკარგე, აღარა გაქვს არაქათი!)

მ. მურატიდუს გადმოცემით, შელოცვა მთავრდებოდა „მამაო ჩვენო“-თი («Πάτερ ημῶν»). თუმცა, სხვა შემთხვევებში გამოკითხულთა უმრავლესობა ადასტურებს, რომ გათვალვის დროს ძირითადად მხოლოდ „მამაო ჩვენო“-ს ლოცულობდნენ. როგორც ჩანს, ეს დამოკიდებული იყო ცალკეული ოჯახის ტრადიციაზე.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს პონტოელ ბერძენთა ფოლკლორში წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების სინკრეტიზმს, რაც ზოგადად დამახასიათებელია შელოცვის ჟანრისთვის. ამგვარი მასალა უხვად მოიპოვება ქართულ ფოლკლორშიც.

შელოცვებში ძირითად კომპოზიციურ ხერხად გამოყენებულია მიმართვა-მონოლოგი. მიმართვის ობიექტი კი ამ შემთხვევაში ავი თვალია, რომლის დამორჩილებას და განდევნას ცდილობს მთქმელი. მიმართვის ტონი კატეგორიულია.

⁵² მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 60-61.

ადგილი აქვს სიტყვების გამეორებასაც, რაც, როგორც წესი, დამახასიათებელია ამ სახის ფოლკლორული ტექსტებისთვის. სიტყვების ან ფრაზების გამეორებას შელოცვებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს მოვლენა მარტო რიტმული და ბგერითი ორგანიზაციის მოწესრიგების მიზნით კი არ ხდება, არამედ აზრობრივი დატვირთვაც გააჩნია, რაც სიტყვის მაგიური ძალის რწმენიდან გამომდინარეობს (გიორგაძე, 1993: 77).

გათვალისწინებულ შემთხვევაში დადებითი შედეგის მომტანი იყო, ამიტომაც ხდებოდა მისი ხშირი გამოყენება აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის.

ბავშვის მეტყველება: ბერძნული ენის პონტოურ დიალექტში ვხვდებით ბავშვის მეტყველების საყურადღებო მაგალითებსაც. ყველაზე ადრეულ ეტაპზე, როცა ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული, რომ ყველა საგანს თავისი სახელი ჰქვია, სიტუაციიდან გამომდინარე, გარკვეულ სახელებს არქმევს საგნებს ან მოვლენებს (ხშირად, შესაძლოა, არასწორი თანწყობითაც); ასევე, არ არის გამორიცხული, ეს სიტყვა ეკუთვნოდეს არა რომელიმე კონკრეტულ საგანს, არამედ - მსგავს საგანთა ჯგუფს. ასე მაგალითად: შესაძლებელია, „კაკა“ იყოს არამარტო კანფეტი, არამედ - ყველაფერი, რაც ტკბილია: შაქარი, ხილი, წვენი. ბავშვის მეტყველების მაგალითში „ლალალა“- ში კი შეიძლება იგულისხმებოდეს ყველაფერი, რაც მელოდიურ ხმას გამოსცემს და ა.შ.

საკითხის უკეთ წარმოსაჩენად განვიხილავთ სხვა შემთხვევებსაც:

- პონტოურ დიალექტში ბავშვურ ენაზე თავად ბავშვი აღინიშნებოდა სიტყვებით «Βαβάν» („ვოვან“), «βαβάνκων» („ვოვაკან“) ან «νινί» („ნინი“) «νινίκα» („ნინიკა“), მაშინ როცა უფროსები ბავშვზე იტყოდნენ «τὸ μαρὶν» („ტო მორონ“);
- ბავშვურ ენაზე ხელი გამოიხატებოდა სიტყვით «Λελέκα» („ლელეკა“), ჩვეულებრივ მეტყველებაში «τὸ χχέρυ» („ტო შერი“);
- «Αολά» („ლოლა“), «λιολάγια» („ლოლაია“), «νιανία» („ნიანია“) პონტოელ ბავშვებში იყო გავრცელებული ნანის, იავნანის აღსანიშნავად. როგორც ზემოთ

აღვნიშნეთ, უფროსები მიმართავდნენ შემდეგ ტერმინებს: «Νανία» („ნანია“), «νάρι» („ნანი“), «λιλαία» („ლოლია“);

- «Μάκια» („მაკია“), «μάτσικα» („მაჩიკა“) პატარებისთვის ნიშნავდა კოცნას, ჩვეულებრივ მეტყველებაში ხმარობდნენ ტერმინებს: «φιλ», «φιλάκι» („ფილი“, „ფილაკი“);
- «Μαμ» („მამ“), «νιამνιάμ» („ნიამნიამ“) ბავშვის მეტყველებაში გამოიყენებოდა საჭმელის აღსანიშნავად, მაშინ როცა გავრცელებული ტერმინი იყო «φάιν» („ფაინ“);
- «Μπισ» („ბუ“), «μπουμπισ» („ბუბუ“) პატარების ენაზე ნიშნავდა წყალს, ხოლო უფროსები იყენებდნენ სიტყვას «νερόν» (Αθανασιάδης, 1970: 163-164) („ნერონ“) და ა.შ.

ცხოველებიდან ბავშვები განსაკუთრებით გამოყოფდნენ ძაღლს და კატას, რომელთაც, ისევე როგორც ქათამს, ბავშვურ ენაზე თავისებურად მოიხსენიებდნენ:

- «Κούτι-κούτι» („კუტი-კუტი“) პატარები ეძახდნენ ძაღლს, მაშინ როცა უფროსები იტყოდნენ: «τὸ σκυλί» („ტო შკილინი“), «τὸ σκυλόπιν» („ტო შკილოპინ“);
- «Ψίψι», «ψίψικα» („ფსიფსი“, „ფსიფსიკა“) ანუ ფისო, ჩვეულებრივ იტყოდნენ «γάτα» („ლატა“);
- «Τσσίσι», «τσσιოსკა» („ციუ“, „ციუკა“) ესე იგი ქათამი, უფროსები მეტყველებაში იყენებდნენ ტერმინებს: «κοτσάρα», «κοτσის» („კოსარა“, „კოსუ“) და სხვა.

ოჯახის წევრებთან დაკავშირებული ბავშვურ მეტყველებაში გამოვყოფდით ჩვეულებრივი მეტყველებისგან გარკვეული სხვაობის მქონე ტერმინებს:

- «Μα», «Μαμά», «Μαμάκα» („მა“, „მამა“, „მამაკა“) - დედა.
როგორც წესი, იტყოდნენ «μάννα» („მანა“) ან «Μητέρα» („მიტერა“);
- «Πάπα», «Μπαμπάκα» („პაპა“, „ბაბაკა“) - მამა.
ჩვეულებრივ მეტყველებაში «πατέρας» („პატერას“);
- «Παπισ», «Παπισίλη», «Παπισίκο» („პაპუ“, „პაპული“, „პაპულიკო“) - ბაბუა.
უფროსები იტყოდნენ «πάππιν» („პაპონ“);
- «γιαγισίλα» („იაიულა“) - ბებია.

ჩვეულებრივ საუბარში «γιάγια» („იაია“) ან «καλιμόνα» („კალომანა“), რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „კარგი დედა“ და ა.შ.

პონტოელ ბერძენთა „ბავშვურ ენაში“ ყოველდღიური მოქმედების გამომხატველი ტერმინებიც მოიპოვება. მაგალითად:

- «Όπα, ὄπαλια» („ოპა“, „ოპალა“) ნიშნავს „ადგომას“, უფროსები საუბარში იყენებდნენ ტერმინებს: «σῆκα» („სიკო“) ან «σκου» („სკუ“); (ქართ. „ოპლა“, „ჰოპლა“).
- «Μπισμ» („ბუმ“) პატარებისთვის ნიშნავდა დაცემას, საერთოდ გამოიყენებოდა სიტყვა «πέσιμον» („პესიმონ“);
- «Πίττσι-πίττσι» („პიჩი-პიჩი“) ქართული „ჭუპა-ჭუპას“ შესაბამისი ექვივალენტია. დაბანის აღსანიშნავად პონტოელი ბერძნები იყენებდნენ სიტყვას «λίσσιμο» („ლუსიმონ“);
- «Κόττσι-κόττσι» („კოჩი-კოჩი“) ქართული „კრიჭი-კრიჭის“ შესაბამისია. ამგვარად ამინებდნენ ბავშვს, რომ ხელი არ მოეკიდა მჭრელი ნივთისთვის: გაიჭრებო, მაშინ როცა ზოგადად, უფროსების ენაზე იტყოდნენ: «θα κώπασα» („თა კოპესე“);
- «Χόπα χόπα» („ხოპა-ხოპა“) ბავშვურ მეტყველებაში ცეკვაა, ყოველდღიურ საუბარში კი გამოიყენებოდა ტერმინი «χορόν» (Αθανασιάδης, 1970: 164), („ხორონ“) და სხვა.

ქ. ქობულეთის მკვიდრის, მარია გრამატიკოპულო - სავვიდის ნათქვამს თუ გავიზიარებთ, ბავშვების დასახასიათებლად პონტოელ ბერძნებთან მიღებული იყო შემდეგი გამონათქვამების გამოყენება:

- «Άφορισμένον» („აფორიზმენონ“) - ჭკვიანი და ამავდროულად ცელქი;
- «Παρταλάχ» („პარტალახ“) - ჯეჯგვა, ჩაფსკვნილი;
- «Άψιμον» („აფსიმონ“) - „ცეცხლი“ ანუ სწრაფი;
- «Φωταχτέρ» („ფოტახტერ“), „ნათელი“ - იტყოდნენ ლამაზ ბავშვზე, რომელიც ანათებს თავისი სილამაზით;
- «Χοχόλ» („ხოხოლ“), „ნამცეცა“ - ასე ეძახდნენ პატარა ტანის ბავშვს;

- «Χάταλον»⁵³ („ხატალონ“), „ბარტყი“ ანუ შვილი და ა.შ.

ბავშვის მიმართ სიყვარულის და ალერსის გამოსახატავად კი, იმავე მთქმელის მონათხრობის მიხედვით, უფროსები შემდეგ გამონათქვამებს მიმართავდნენ:

- «Λελεύω σε, νὰ λελεύω σε!» („შენ გენაცვალე!“)
- «Τὰ ψάαζ σ' νὰ τρώω!» („შენი სული მეჭამოს!“)
- «Τὰ τσικάριαζ σ' νὰ τρώω!» („შენი ლოყები მეჭამოს!“)
- «Χαρεντερίζω τὸ ψάπι!» („სულს გამიხარებ!“)
- «Τὴν ψῆμ νὰ δίγω σε !»⁵⁴ („ჩემს სულს მოგცემ!“) და სხვა.

საბავშვო თამაშები: როგორც ყველა ხალხის წარმომადგენლები, პონტოელი ბავშვებიც ერთობოდნენ სხვადასხვა სახის თამაშებით, რომლებიც წყვილებში ან ჯგუფურად სრულდებოდა. თამაშის აღსანიშნავად, ძირითადად, ხმარობდნენ ტერმინს «παίγνα» („პელნა“), იშვიათად გამოიყენებოდა «ἡ παίη» („ი პეი“) ან «τὸ παιξίμιον» („ტო პექსიმონ“).

თამაშის მოყვარულზე ამბობდნენ: «Κλῶθ' ἀτὸ σὴν παίη καὶ δουλείαν' κὶ ἐφτάει» (Εγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(7): 378), („მუდამ თამაშით ერთობა და საქმეს არ აკეთებსო“).

საინტერესოაა განვრცობილი აზრი სათამაშოების შესახებ ერთ-ერთ გამონათქვამში: «Ἐκατήβαν ἄγγελ' μὲ τὰ ἐξᾶπτέρυγα καὶ τὰ παιγνιτάρια κὶ ἐπαίριαν ἀτέν κὶ ἐπήγαν σὸν παράδεισον» (Εγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(7): 378), („ჩამოვიდნენ ანგელოზები ციდან ქერუბიმებით და სათამაშოებით და ის სამოთხეში წაიყვანესო“).

აჭარაში ცხოვრების პერიოდში, რთული ეკონომიკური პირობების გამო, ბავშვებს ნაკლებად ჰქონდათ სათამაშოები «Τὰ παιγνιτάρια» („ტა პელნიტორა“). გოგონებისთვის მშობლები აკეთებდნენ საქანელას («λαϊστέρια» - „ლაისტერა“),

⁵³ მთქმელი მ. გრამატიკოპულო - სავვიდი, პირადი არქივიდან, გვ. 53.

⁵⁴ მთქმელი ო. ლაზარიდუ - აივაზიდი, პირადი არქივიდან, გვ. 89.

ბიჭებისთვის კი - ურდულს («σαπάντασι» - „საპანდაშინ“). ყველასათვის საყვარელი სათამაშო იყო ბურთი («τὸ τόπι» - „ტო ტოპი“).⁵⁵

ვინაიდან სათამაშოების ნაკლებობას განიცდიდნენ, პონტოელი ბავშვები თავად მოიფიქრებდნენ ხოლმე თავშესაქცევად რაიმეს ან მათი წინაპრების მიერ ნასწავლი თამაშებით ერთობოდნენ და ეს ბევრად ახალისებდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. იორდან სავვიდისის თქმით, აჭარაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ თამაშები სახელწოდებებით:

- გოგონებისთვის - «τὸ καρνακότζ» („ტო კარნაკოძ“) - „კლასობანა“;
«τὰ σπιτίτζα» („ტა სპიტძას“) - „მეჯვარეობანა“;
«κὸς κλες» („კუკლეს“) - „თოჯინობანა“ და ა.შ.
- ბიჭებისთვის - «τὸ «τιβλ'» („ტო ტივოლ“) ან «ἄψιμο» („აფსიმონ“) - „ტყვეობანა“;
«τὰ τὰπαντζα» („ტა ტაპანძას“) - „პისტოლობანა“;
τὸ «ἀρόλρετκα» („ორიოლრეშკა“) - ე.წ. „ორიოლი და რეშკა“⁵⁶ და სხვა.

არსებობდა საერთო თამაშებიც სახელწოდებებით: «τσάλτικα» („ჩალტიკა“), «ἡ κρυφτερίτσα» („ი კრიფტერიცა“) ანუ „დამალობანა“, «τεκμι τσιούφτ» („ტეკმი ცუფტ“) - ე.წ. „კენტი თუ ლუწი“, «χονοκούςτ» („ხიონოკუსტ“) ანუ „გუნდაობა“, «χαζ'νά» („ხაზნა“) იგივე „განძი“⁵⁷ და ა.შ.

თამაშების ასეთი მრავალფეროვნება ხელს უწყობდა ბავშვების დაახლოებას, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ზოგადად, მათ სოციალიზაციას და ბავშვური წლების ცხოვრების დაუვიწყარ პერიოდად გადაქცევაში უდავოდ თამაშობდა დიდ როლს.

ნათლობა: პონტოელ ბერძენთა ადათის მიხედვით, როგორც კი ახალშობილი 40 დღის გახდებოდა, უნდა მონათლულიყო. თუკი გარკვეული მიზეზების გამო ბავშვი არ იყო მონათლული, ეს გაკვირვებას იწვევდა ხალხში.

⁵⁵ მთქმელი ი. სავვიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 45.

⁵⁶ იქვე: გვ. 45.

⁵⁷ მთქმელი ი. სავვიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 46.

როგორც წესი, ნათლიდებდა («ἡ δεξαμένη» - „ი დექსამენი“) და ნათლიმამა («ὁ δεξάμενος» - „ო დექსამენონ“) მშობლების მეჯვარე ხდებოდა. ნათლობის თხოვნას წარმოადგენდა ე.წ. „ლამზადის“ («ἡ λαμπάδα»), დიდი ზომის სანთლის მომავალ ნათლიასთან გაგზავნა. ლამზადას ფერადი, ხშირ შემთხვევაში წითელი ფერის თხელი ნაჭერი უნდა ჰქონოდა ირგვლივ შემოხვეული. ბავშვის მონათვლაზე უარის თქმა არ შეიძლებოდა და ცუდის მომასწავებლად მიიმჩნეოდა ნათლობის კანდიდატისთვის.

ნათლობა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებთან, თვითმხილველთა თქმით, საბჭოთა პერიოდში ხშირად მალულად ხორციელდებოდა, ვინაიდან ხალხი შიშობდა: არ გამხელილიყო და უარყოფითი შედეგები არ გამოეღო. მთქმელთა უმრავლესობა ადასტურებს თავიანთი შვილების ან ახლობლების წმ. ნიკოლოზის ტაძარში მონათვლის ფაქტს; თუმცა, ადგილი ჰქონდა ამა თუ იმ სოფელში ცალკეულ ოჯახებში მღვდლის მოწვევას და ნათლობის მალულად ჩატარებასაც. ერთ-ერთ ასეთ მოგონებაში ნათქვამია: „მე მალულად მომნათლეს სახლში ნათესაებმა. მამაჩემი და მამიდაჩემი პარტიის (კომ. პარტიის) წევრები იყვნენ და ეშინოდათ, არ დაესმინათ და არ გაედევნათ პარტიიდან. კარგად მახსოვს: როგორ მოვიდა მამაო ჩვენთან სახლში და მომნათლა“.⁵⁸

პონტოში ნათლობის პროცესს ბავშვის დედა არ ესწრებოდა (არ იყო მიღებული). როგორც წესი, როდესაც ნათლობის შემდეგ ნათლია ბავშვს სახლში მიიყვანდა, დედა სამ მეტანიას გააკეთებდა მის წინაშე, ხელზე ეამბორებოდა და ეტყოდა: «Παντ' ἄξιός!» („მუდამ ღირსეული!“). ამის შემდეგ ნათლია წარმოთქვამდა: «Ὅς τὰ ἐφτά χρόνια σ'εσὲν τεσλήμ!» (Ακογλου, 1939: 135) - „შვიდი წლის ასაკამდე გაზარებ, განდობო!“ ამგვარად, ნათლია თხოვდა მშობელს: ნათლულს საკუთარი თვალეზივით გაუფრთხილდი და ყოველივე ავისაგან დაიცავიო.

ნათლობის დღეს ბავშვის გაქრისტიანების აღსანიშნავად ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იმართებოდა. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ე.წ. „ქათმის რიტუალის

⁵⁸ «Ἐμὲν σὰ κρυφὰ ἐβάφτησαν μὲ σὸ σπιτ' οἱ συγγενίς, γιατί ὁ πάπας ἦμ καὶ ἡ θεία ἦμ ἔτونه « τσλεν πάρτι» καὶ φοβόντουσαν νὰ μὴ λέγνε καὶ νὰ μὴ τοὺς διώξουν ἄσῃ πάρτια. Ἐμιοῦμαι καλά, πῶς ἔρθεν ὁ ποπάς σὸ τεμέτερον τὸ σπιτ καὶ μὲ βάφτησεν», - მთქმელი - ი. ვენეტიკიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 47.

ჩატარებას” («Ἐποίουνε τὸ ἀπίστ τῆ κοισσάρα»), რომელიც ერთ-ერთ მონათხრობში შემდეგნაირადაა აღწერილი: „როდესაც ბავშვს ნათლავდნენ, სუფრას შლიდნენ და „ქათმის ადათს იცავდნენ. ქალის ტანსაცმელში გადაცმული მამაკაცი ლანგარით გამოიტანდა მორთულ მჯდომარე ქათამს, რომელიც ნათლიას უნდა ეყიდა. ხდებოდა ერთგვარი გარიგება ქათმის ფასთან დაკავშირებით, რაც სუფრას ხალისს და კარგ განწყობილებას მატებდა“.⁵⁹

ნათლიასა და ოჯახს შორის ჩატარებული გარიგება ქათმის „ყიდვის“ თაობაზე, როგორც წესი, დიალოგის სახეს ატარებდა:

- „ოჯახის წევრები: ნათლია, ხომ იცი, ქათამი უნდა იყიდო!
- ნათლია: კარგი, მოდით, აიღეთ ფული.....(და ფულს აძლევდა).
- ოჯახის წევრები: მიდი, კიდევ დაამატე! ცოტაა! იცი, ეს ქათამი როგორ კვერცხებს დებდა?
- ნათლია: აჰა, ესეც იყოს! რა, ამ გამვალტყავებული ქათმისთვის ამდენს მახდევინებთ? კარგი, კიდევ ვამატებ! (და ფულს ამატებდა)“⁶⁰ - იხსენებს კ. ავლოპულო-ოსიძე.

ნათლიის მიერ ქათმის „ყიდვის“ რიტუალი პონტოელ ბერძენთა გამორჩეულად საყვარელ, სახალისო ადათს წარმოადგენდა.

შემენილი შვილისთვის ნათლიას ძღვნად ახალი ტანსაცმელი მიჰქონდა და ამ დღიდან მოყოლებული საკუთარ თავზე ვალდებულებას იღებდა: შეძლებისდაგვარად, მიექცია ყურადღება მისთვის. საერთოდ, როცა ქრისტიანობის ან აღდგომის მისახარებლად ესტუმრებოდა ნათლული, ნათლიას აუცილებლად უნდა დაესაჩუქრებინა იგი.

⁵⁹ «Ὅνταν βάρφιζαν τὸ μαρόν, εποίουν τραπέζ σὸ σπιτ' καὶ καμιά φορά ἐκράτναν καὶ τὸ ἀπίστ τῆ κοισσάρα. Ὁ δεξάμενον ἔπρεπε νὰ αγοράζ τὴν στολισμένη κοσάρα, ποὺ ἔβγαζε ἕνας ἄντρας μὲ τὴν φορεσία τῆς γαρή. Ἐποίουαμε πολλὰ γέλτα, ὄνταν παζάρευαν γιὰ τὴν τιμή», - მთქმელი - კ. ავლოპულო - ოსიძე, პირადი არქივიდან, გვ. 49.

⁶⁰ «-Δεξάμενε, πρεπ' νὰ ἀγοράεις τὴν κοισσάρα, ἀλλιῶς κι θὰ εμπένς σὸ σπιτ'!

-Ἐλα, ἔπαρ παράδες!

- Ὀλίγον ἔν, εσύ εἴξερς ἀτὸ ἡ κοισσάρα ντὸ οβὰ εποίνε;

-Ντὸ λες, ἀτὸ τὸ ψαφμεμένον τὸ πουλὶν εποίνε οβὰ;

- Δώσε ἕναν ξάι κι ἄλλα, νὰ δεις τὸν βαφτιστικὸ σὸν....

-Καλά, καλά, πάρτε καὶ ἀτὰ τὰ ρούβλια.....», - მთქმელი - კ. ავლოპულო - ოსიძე, პირადი არქივიდან, გვ. 49-

ნათლობის შემდეგ, ტრადიციის მიხედვით, მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა: „ნათლობიდან მესამე დღეს, ნათლია მიდიოდა ნათლულის ოჯახში „ბავშვის მირონიდან გამოსაყვანად“. ამ რიტუალს „ზეთიდან გამოყვანასაც“ უწოდებდნენ. ადათის მიხედვით, წყალში, რომელშიც ნათლულს ბანდნენ, ნათლიას ხურდა ფული უნდა ჩაეყარა. მირონჩამორეცხილი წყლის გადაღვრა მხოლოდ სუფთა ადგილას (ბაღში ან ბოსტანში, ხის ძირას) შეიძლებოდა. ნათლობიდან ერთ კვირაში ნათლიას მოპატიჟება ხდებოდა და, პატივისცემის ნიშნად, სუფრა იშლებოდა“.⁶¹

სახელის დარქმევა და მეტსახელები: პონტოელ ბერძნებთან მიღებული იყო სახელების შთამომავლობით გადაცემა. უფროს შვილს, ტრადიციისამებრ, ბებუის ან ბაბუის სახელს არქმევდნენ იმის შესაბამისად, ქალიშვილი შეეძინებოდათ თუ ვაჟი.

აჭარის პონტოელ ბერძენტა წარმომადგენლის, პროფესორ ნიკოლოზ მაზმანიდისის გადმოცემით, „აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები შვილებს ძირითადად ქრისტიანულ სახელებს არქმევდნენ, მაშინ, როცა საქართველოს სხვა რეგიონებში (მაგალითად წალკაში) დაფუძნებულ პონტოელ ბერძნებთან ძირითადად ძველ ბერძნულ სახელებს ვხვდებით“.⁶²

საქართველოს ამ კუთხეში მიგრირებულ პონტოურ ოჯახებში ხშირად ვხვდებით მამაკაცის ისეთ ქრისტიანულ სახელებს, როგორცაა: «Χρήστος, Γεώργιος, Δημήτριος, Νικόλαος, Πάυλος, Πέτρος, Ιωάννης, Μηχαήλ, Κωνσταντίνος, Θωμάς, Θεόδωρος, Βασίλειος, Αναστάσιος, Ανδρέας, Σταύρος, Ηλίας, Ευστάθιος» („ხრისტოს, ღეორგიოს - გიორგი, დიმიტრიოს, ნიკოლაოს, პავლოს, პეტროს, იოანის, მიხაილ, კონსტანტინოს, თომას, თეოდოროს, ვასილიოს, ანასტასიოს, ანდრეას, სტავროს, ილიას, ევსტათიოს“) და სხვა, ხოლო მანდილოსნებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულ სახელებს წარმოადგენდნენ: «Μαρία, Ελένη, Όλγα, Δέσποινα, Σοφία, Αικατερίνη, Αναστασία, Ιωάννα, Άννα, Θεοδώρα, Χριστίνα, Βαρβάρα» („მარია, ელენი,

⁶¹ «Τὴν Τρίτη μέρᾳ τῆς βάρφτισης ὁ δεξάμενον ἐπέγνε για νὰ ἐβγάλ ἄσὸ μύρον, ἄσὸ λάδ τὸ μαρόν. Ὁ δεξάμενον ἐβάλνεν καπίκια σὸ νερόν, ἔλουζεν τὸ μαρό κ' ἐπεκεί τὸ νερόν ἔξυαν σὸ κεπίν. Σὲ μία ἐβδομάδα μετὰ τὴν Βάρφτιση ἐκάλναν τὸν δεξάμενον σὸ σπιτ καὶ ἐποίναν τὸ τραπέζ.» - მთქმელი - ე. სავვიდი - მაზმანიდი, პირადი არქივიდან, გვ.14.

⁶² «Σὴν Ἄτσαρα περισὸν ἐδείναν Χριστιανικά ὀνόματα σὰ παιδιὰ, σὰ ἄλλα μέρη τῆς Κιρτσίας (σὴν Τσάλκα) εἶχαν πολλὰ ἀρχαία Ἑλληνικά ὀνόματα», - მთქმელი - ნ. მაზმანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 76.

ოლა, დესპინა, სოფია, ეკატერინი, ანასტასია, იოანა, ანა, თეოდორა, ხრისტინა, ვარვარა“) და ა.შ.

ქრისტიანული სახელების გვერდით, აჭარაში დასახლებულ ელინოფონ ბერძნებთან საკმაოდ ხშირად ვხვდებით ანტიკურ ბერძნულ სახელებსაც. ამგვარად, მამაკაცის სახელებიდან გამოვყოფდით: «Αχιλλεύς, Δίονυσος, Διογένης, Ευριπίδης, Λεωνίδας, Οδυσσεύς, Όμηρος, Σοφοκλής, Αριστοτέλης, Ηρακλής» („ახილევს, დიონისოს, დიოდენის, ევრიპიდის, ლეონიდას, ოდისეას, ომიროს, სოფოკლის, არისტოტელის, ირაკლის“) და სხვა. ანტიკური ფესვების მქონე ქალის სახელებიდან კი ყველაზე მეტად აჭარაში გავრცელებული ყოფილა: «Αθηνά, Ευρυδίκη, Ανδρομάχη, Αντιγόνη, Γαλήνη, Ευρύκλεια, Πηνελόπη» („ათინა, ევრიდიკი, ანდრომახი, ანტილონი, ღალინი, ევრიკლია, პინელოპი“) და სხვა.

ბავშვებისთვის ქრისტიანული სახელების დარქმევის ტრადიცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პონტოელთა ღრმა რწმენას და წინაპართა ადათების მიმართ პატივისცემას.

რაც შეეხება მეტსახელებს, მათ ადამიანებს არქმევდნენ თავისებური, განსხვავებული ფიზიკური თუ სულიერი მახასიათებლებიდან გამომდინარე; ზოგჯერ მეტსახელის შერქმევის საბაზად ადამიანის განსხვავებული ჩაცმულობა ხდებოდა, ზოგ შემთხვევაში კი - მისი ჩვევები.

მეტსახელი თანამედროვე ბერძნულში აღინიშნება ტერმინებით «παρατσούκλια» („პარაცუკლია“) და «παρωνύμιον» („პარონიმიონ“), პონტოურ დიალექტში კი - «τὰ προσωνίδη» („ტა პროსონიდე“).

მანდილოსნების მეტსახელები, ხშირ შემთხვევაში, მათი მეუღლეების სახელებზე სლავური წარმოშობის დაბოლოების „άβια“ („ავა“-ს) დამატებით წარმოიქმნებოდა. სწორედ ამგვარად აიხსნება ქვემოთ მოყვანილი მეტსახელების გაჩენა:

- «Αλογάβια» („ალოღავა“) სიტყვიდან «αλογάς» („ალოღას“) - „მეცხენე“;
- «Πογιατζάβια» („პოიატჰავა“) ტერმინიდან «πογιατζής» („პოიატჰის“) - „მღებავი“;

- «Ζουρνάτσια» („ზურნაჩის“) სიტყვიდან Ζουρνάτჯი („ზურნაჩის“) - „მეზურნე“⁶³ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ბევრი მეტსახელის წარმოქმნა თურქული ენის გავლენითაც მოხდა, როგორც მაგალითად ქალის მეტსახელები:

- «Αρκιτσίνα» („არკაჩინა“) - ასე ეძახდნენ კარგი ხმის მქონე, მომღერალ მანდილოსანს. მეტსახელი წარმოდგება თურქული სიტყვიდან „to sarki“ („სიმღერა“);
- «Ζιλτούρα» („ზილტურა“) ანუ „ზარებიანი“ და გამოიყენებოდა ისეთ ადამიანზე საუბრისას, რომელსაც თითქოს „ზარები ჩამოკიდეს“ ანუ მუდამ მის შესახებ საუბრობდნენ სხვები. მეტსახელი წარმოიშვა თურქული სიტყვიდან „zil“ („ზარი“).

თურქული ენის გავლენით წარმოიშვა მამაკაცის შემდეგი მეტსახელებიც:

- «Σαντούρτζი» („სანდურჯი“) ესე იგი „ერთგული“. მეტსახელის წარმოშობა უკავშირდება თურქულ სიტყვას „sadik“ („სადიკ“), რომელიც ითარგმნება, როგორც ერთგული;⁶⁴
- «Τεντέλ» („ტენტელ“) ანუ „კანკალა“. თურქულად ტერმინი „tentel“ („ტენტელ“) „კანკალს“ ნიშნავს და სხვა.

ადამიანის გარეგნობიდან გამომდინარე წარმოქმნილი მეტსახელებიდან გამოვყოფდით ტერმინებს:

- «Τσαχούρτζი»⁶⁵ („ჩახურჯი“) ესე იგი „ნაცრისფერთვალება“;
- «Καμέλτζი»⁶⁶ („კამელჯი“) ანუ „კუზიანი“;
- «Γαρά-Νικόλας» („ღარა-ნიკოლას“) ან «Καρά-Νικόλας» („კარა ნიკოლას“) ანუ „შავი, შავგრემანი ნიკოლა“;
- «Κουσκούρ» („კუსკურ“) ანუ „ნაკლიანი“ (სომხური წარმოშობის მეტსახელია);
- «Σισμάντζი» („სისმანჯი“) ესე იგი „მსუქანი“. ტერმინი „şişman“ თურქულადაც მსუქანია;

⁶³ იხილეთ: <https://efkozani.gr/%cf%84%ce%b1>

⁶⁴ მეტსახელიდან წარმოიშვა გვარი «Σαντούριδης».

⁶⁵ მეტსახელიდან წარმოიშვა გვარები: «Τσαχουρίδης», «Τσακίριδης».

⁶⁶ «Καμέλτζი» სიტყვასიტყვით აქლემს ნიშნავს.

- «Κόνσπι, Χόνσπις» („კუსპო“, „ხუსპოს“) - დაბალი და ჩაფსკვნილი (სიტყვიდან „kuspē“) და სხვა.

პონტოელ ბერძნებთან ხშირი იყო ისეთი მეტსახელების დარქმევაც, რომლებიც ამა თუ იმ ცხოველს და მის ბუნებას უკავშირდებოდა:

- ცბიერ, ეშმაკ ადამიანზე იტყოდნენ: «Ὁ Ἀλεπὸν» („ო ალეპონ“), «αλεπὸς» („ალეპოს“) ანუ „მელაკუდააო“;
- ლომივით უშიშარ კაცზე ამბობდნენ: «Ὁ Ἀσλάντζ» („ო ასლანჯ“). სიტყვა «aslan» („ასლან“) თურქულად „ლომია“;
- ქვეშ-ქვეშა პიროვნებას ეძახდნენ: «Ὁ Τσάκαλον» („ო ჩაკალონ“) - „ტურააო“. თურქულადაც „ტურა“ „çakallar“ („ჩაკალარ“-ია);
- სამიშ, დაუნდობელ პიროვნებას მოიხსენიებდნენ: «Ὁ Κούρτο» („ო კურტო“). „kurt“⁶⁷ („კურტ“) თურქულად „მგელს“ ნიშნავს;
- ზედმეტად მოლაპარაკე ადამიანზე საუბრისას იტყოდნენ: «Ὁ Κούκον» „გუგულიაო“ და ა.შ.

მიღებული ყოფილა სხვა მეტსახელების გამოყენებაც: «Σαφλέας» („შაფლეს“) - „ენამოშლექილი“, «ταράχτρα» („ტარახტრა“) - „ამრევი“ და სხვა.

საინტერესოა, რომ ზოგჯერ მეტსახელების დარქმევის საბაზად ადამიანის საყვარელი კერძების სახელწოდებებიც ხდებოდა: «Ὁ Κορκοτάς» („ო კორკოტას“) ეძახდნენ კორკოტის მოყვარულს, «Ὁ Χασιλιάς» („ო ხასილას“) - „ხასილიას მოყვარულს“, «Ὁ Πλουγισπιάς» („ო პლიღურას“) - „პლიღურის მოყვარულს“⁶⁸ და სხვა.

ადგილი ჰქონდა მეტსახელების დარქმევას ადამიანის საყვარელი საქმიდან გამომდინარეც. ასე მაგალითად, «Ὁ σέρανლიς» („ო სერანლის“) ეძახდნენ პონტოური ტრადიციული ცეკვის, სერას მოცეკვავეს.

ზოგიერთი მეტსახელის გაჩენა პონტოელ ბერძენთა წარმოშობის ადგილებს უკავშირდებოდა. ამგვარად:

⁶⁷ Ιωακειμίδου 2014, <https://efkkozani.gr/%cf%84%ce%b1>

Κωνσταντινίδου 2014, <http://pontiaka1.blogspot.gr/2014/03/blog-post.html>

⁶⁸ «Τὰ Κορκότα» („ტა კორკოტა“), «Τὰ Χασιλιά» („ტა ხასილია“) და «Τὸ Πλουγισπι» („ტო პლიღური“) პონტოური კერძების სახელწოდებებია.

- სანდელ მამაკაცზე იტყოდნენ: «Ὁ Σαντάλτς» („ო სანდალტს“) ან «Ὁ Σαντέტς» (ო სანდეტს“), სანდელ მანდილოსანზე კი - «Ἡ Σαντέτσα» („ი სანდეტსა“);
- სურმენელ მამაკაცებს მოიხსენიებდნენ, როგორც «Ὁ Σουρμενίτς» - („ო სურმენიტს“) და «Ἡ Σουρμενίτσα» („ი სურმენიტსა“) - სურმენელ ქალს;
- წარმოშობით რიზელ მამაკაცზე ამბობდნენ: «Ὁ Ριζέტς» („ო რიჟეტს“), ხოლო «Ἡ Ριζέτσα» („ი რიჟეტსა“) - რიზელ მანდილოსანს ნიშნავდა და ა.შ.

აჭარის რეგიონში დასახლებულთა გვარებიც ხშირად მათ მეტსახელებად ანუ ლაღაზად ქცეულა. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ზოგიერთი გვარი სრულიად იცვლებოდა, რაც ა. სტავრიანიდისის მონათხრობში შემდეგნაირად გაჟღერდა: «Σὴν Ἄτσαρα πολλά ἐπίθετα ἄλλαζαν καὶ γινόνταν προσωνεῖδε» („აჭარაში ბევრი გვარი იცვლებოდა და მეტსახელი ხდებოდა“).⁶⁹ იგივე მთქმელის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, სწორედ მეტსახელებით განასხვავებდნენ, თუ ერთი გვარის რომელ განშტოებაზე იყო საუბარი. ასე მაგალითად, ანასტასიადისების გვარში გამოყოფდნენ მეტსახელებს: „პალასოლი“, „ტულკუჩანდ“, „ხატუსა“ («Παλάσογλη», «Τουλκου-τσάντ»,» Χατούσα»). ასევე ადგილი ჰქონდა ტერმინის «Ἀναστασάντ»⁷⁰ („ანასტასანდ“) -ის გამოყენებას. ათანასიადისების გვარის წარმომადგენლებს აჭარაში მოიხსენიებდნენ, როგორც „კაზანჯანდ“ (Αθανασιάδης – «Καζαντζάντ»), დელიანიდისებს - „ტინგანდ“ (Δελιγιαννίδης – «Τινγκάντ»), ქსანდინიდისებს - „კოსკორლი“ (Ξαντινίδης – «Κοσκορλή»), მავროპულოსების გვარის წარმომადგენლები ცნობილი იყვნენ მეტსახელით „სიახანდ“ ან „კარალიორც“ (Μαυρόπουλος – «Σιαχάντ», «Καραγιώρτς»), გრამატიკოპულოსები - „შიპანდ“ (Γραμματικόπουλος – «Σιπάντ») და ა.შ.

რაც შეეხება დანარჩენი გვარების წარმომადგენლებს, მათ შესახებ საუბრის დროს ძირითადად ადგილი ჰქონდა გვარის ფუძის შენარჩუნებას და პონტოურ დიალექტში გავრცელებული დაბოლოების «αντ» - „ანდ“ -ის დამატებას.

⁶⁹ მთქმელი ა. სტავრიანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 7.

⁷⁰ იქვე, გვ. 7.

იყო შემთხვევებიც, როცა გვარები არანაირ ცვლილებას არ განიცდიდნენ და ხალხში ისე მოიხსენიებოდნენ, როგორც ოფიციალურად იყო დაფიქსირებული.

ბავშვის აღზრდა: ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება ბავშვობიდან იწყება; ბავშვობაში გადგმული მყარი ფესვები უდავოდ გამოიღებს კარგ ნაყოფს - მიიჩნევენ პონტოელი მთქმელები, რაც სათანადო ანდაზითაც გამოიხატება: «Τὸ καλὸν τὸ πούλιν ἂν τ' ἄβρον κιάν' κελαιῖδει» („კარგი ჩიტი კვერცხიდან გალობს“).

პონტოელი ბერძნები ბავშვობიდან უნერგავდნენ შვილებს მათთვის მნიშვნელოვან დაუწერელ კანონებს და სჯეროდათ, რომ კარგი გამგონის არსებობის შემთხვევაში სასურველი შედეგი მიიღწეოდა. ამდენად, შესაფერის დროს არიგებდნენ შთამომავლებს საანდაზო ფორმულებით და ასწავლიდნენ;

ღვთის სიყვარულს:

- «Ἀρθραπον ντὸ λέει 'κὶ γίνεται, ὁ Θεός ντὸ λέει γίνεται» („ადამიანი რასაც ამბობს, ის არ ხდება, ღმერთი რასაც ამბობს - ის მოხდება“) ანუ როგორც ჩვენში იტყვიან: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა“;
- «Ἀβουλα πῆ Θεοῦ τὸ φύλλον 'κὶ λαῖσκεται» (Αθανασιάδης, 1970: 71-77)
(„ღვთის ნების გარეშე ფოთოლიც კი არ ირხევა“), ქართული შესატყვისი: „ყველაფერი ღვთის ნებაა“.

უფროსებისადმი პატივისცემას:

- «Πάντα κανεῖς νὰ λογαριάζει τσι μεγάλους!» („ყოველთვის უნდა გავუწიოთ ანგარიში უფროსებს“).

განათლებისადმი მისწრაფებას და სიყვარულს:

- «Ἀνθραπος ἀγράμματος, ξύλον ἀπελέκετον» („გაუნათლებელი კაცი - გაუთლელი ხეა“) - ქართული შესატყვისი: „უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვა ქვას მიემატა“.

სიტყვის ზომიერად გამოყენების აუცილებლობას:

- «Τραγὸν βούκαν φὰ καὶ τραγὸν λόγον μὴ λέει» („დიდი ლუკმა შეჭამე და დიდ (იგულისხმება მძიმე) სიტყვას ნუ იტყვიო“).

სიმორცხვის დაძლევას:

- «Τὸ χαμελὸν τ' ἄλογον ὄλ' καβαλκεύει» („დაბალ ცხენს ყველა აჯირითებს“).

თანასწორუფლებიანობის გათავისებას:

- «Ὅλα τὰ ψῆα ἕνα εἶναι» („ყველა სული ერთნაირია“).

მტრის გამოჩენის მოლოდინში ფრთხილად ყოფნას:

- «Ἐμεῖς κοιμοῦμεν κὶ ὁ τοῦσμανᾶν ἴκὶ κοιμᾶται.» (Αθανασιάδης, 1970: 71-136)
(„ჩვენ გვძინავს, ხოლო მტრებს - არაო“) და მრავალი სხვა.

ხალხური სიბრძნის წყალობით, პონტოელმა ბერძნებმა არაერთი საფრთხე აიცილეს თავიდან და ღირსეული მომავალი თაობები გამოზარდეს. ჩვენთვის ეს მასალები მნიშვნელოვანია, რადგან გვეხმარება მათი შეხედულებების შესწავლისა და სულიერი სამყაროს შეცნობის საქმეში.

2.2. საქორწილო წეს-ჩვეულებანი და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება

ქორწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პონტოელ ბერძენთა ცხოვრებაში და ეს ტრადიცია დღესდღეობითაც არ კარგავს აქტუალობას მათ საწესო-სარიტუალო ყოფაში. ამის ნათელი დასტურია ქორწინებასთან დაკავშირებულ იმ რიტუალთა მრავალფეროვნება, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი პონტოელ ბერძენთა ყოფაში.

თითოეული ადამიანის ცხოვრებაში გადადგმულ ამ საპასუხისმგებლო ნაბიჯს წმინდა ეკლესია შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთად მიიჩნევს; ეს გარემოება ღრმად მორწმუნე პონტოელი ბერძნებისთვის კიდევ ერთი ბიძგი იყო ქალსა და მამაკაცს შორის შექმნილი კავშირის ჯვრისწერით დასაგვირგვინებლად და ყველა რიტუალის განსაკუთრებული სიზუსტით შესასრულებლად.

ქორწილი პონტოელ ბერძნებთან მოიხსენიება ტერმინით «χαρά» („ხარან“), რაც ითარგმნება, როგორც „სიხარული“. აქედან გამომდინარე ნათელია ის გარემოება, თუ რაოდენ დიდი იყო მათი სიხარული ახალი ქრისტიანული ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით და მოლოდინი ამ სიხარულის გამართლებისა.

ქორწინებისთვის საუკეთესო დროდ მიიჩნეოდა ხანმოკლე პერიოდი ქრისტეშობამდე ან შუალედი ნათლილებსა და აღდგომას შორის. რაც შეეხება ასაკს, პონტოში ვაჟებისთვის დასაოჯახებლად შესაფერისად მოიაზრებოდა 18 წელი, ხოლო გოგონებს ბევრად ადრე, 15 წლიდან შეეძლოთ ოჯახის შექმნაზე ფიქრი, თუმცა, გოგონების მშობლებს ასეთ ადრეულ ასაკში არ ემეტებოდათ შვილი გასათხოვად. ამგვარი ვითარება უდევს საფუძვლად ანდაზას: «Τὰ κορίτσα ἂν ἀφῆντε ἄτα, γιὰ λυριττῆν θὰ παίρνει, γιὰ ταουλιτῆ» (Χαϊρόπουλος, 2007: 42), რაც ნიშნავს: „გოგონებს თუ დატოვებ გაუთხოვრებს, ან ლირაზე დამკვრელს გაყვებიან ცოლად, ან - ტაულზე დამკვრელსო“ - ანუ: თუ ადრეულ ასაკში არ გათხოვდებიან, მაინც კარგ ბედში მოხვდებიანო. ქორწინების ტრადიციას პონტოელი ბერძნები გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით და განსაკუთრებული რიტუალების შესრულებით ახორციელებდნენ.

თავდაპირველად სასიძოსთვის შესაფერისი საპატარძლოს კანდიდატურის მიებას ჰქონდა ადგილი, რაც ხალხში მოიხსენიებოდა როგორც «ἀράεμαν» („არაემან“) ანუ „მოძებნა“. საპატარძლოს შესარჩევად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის ხასიათს და როგორც ფიზიკურ, ასევე ეკონომიკურ შესაძლებლობებს. სასურველი იყო ოჯახის მომავალი დიასახლისი სისუფთავის მოყვარე, მშრომელი, მისაღები გარეგნობის და ეკონომიურად ძლიერი, წელგამართული ოჯახიდან ყოფილიყო. ხალხის აზრით, საპატარძლო თავისი ოჯახის სარკეს წარმოადგენდა. ამგვარი შეხედულებანი უდევს საფუძვლად ანდაზას: «Τέρεν τὴν οὐγίαν καὶ ἔπαρ τὸ πάνιν, Τέρεν τὴν μάννα καὶ ἔπαρ τὸ κορίτζ» (Χαϊρόπουλος, 2007: 42) („კუთხეს შეხედე და ნაჭერი აიღე, დედას შეხედე და ქალიშვილი ისე შეირთეო“) - ქართული შესატყვისები: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“, „დედას შეხედე, მამას შეხედე, ცოლი ითხოვეო“.

მომავალი დიასახლისისგან შეძენილი ოჯახი გარკვეული ვალდებულებების აღებას მოელოდა, რაც, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო გასათხოვი გოგონებისთვის. მათ კარგად იცოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ ახალ ოჯახში და მზად იყვნენ ამისთვის. რძლის ვალდებულებების შესახებ საუბარია შემდეგი საყოფაცხოვრებო სიმღერაში:

«Νύφε δέβια σὸ νερόν, (რძალო, მოიტანე წყალი,
 Νύφε δέβια σὰ χορτάρια!⁷¹ რძალო მოკრიფე ბალახი!
 Νύφε σπόγγον τὸ μαντρίν, რძალო, გამოხვეტე ბოსელი,
 Νύφε πλέξον καὶ τὰ ὀρτάρια!»⁷² რძალო, მოქსოვე წინდები!) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ, რაც არ უნდა მოეწადინებინა რძალს ან სიძეს, იცოდნენ, რომ ისინი ვერ დაიკავებდნენ შვილების თანასწორ ადგილს ოჯახში, ანუ, როგორც

⁷¹ გამონათქვამი «Δέβια σὸ νερόν» სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „წადი წყალზე“, ხოლო «Δέβια σὰ χορτάρια» - „წადი ბალახებში ანუ ბალახების მოსატანად“.

⁷² იხილეთ: <http://www.pontos-news.gr/pontic-article/9336/i-epilogi-tis-nyfis-ston-ponto>

ხალხური ანდაზა ამბობს: «Γαμπρός ὑιός 'κὶ ἴνεται καὶ νύφη θυγατέρα» (Αθανασιάδης, 1970: 82) („სიძე ვაჟი ვერ გახდება და რძალი – ქალიშვილი“).

რაც შეეხებოდა სასიძოს, ისიც უნდა ყოფილიყო მშრომელი, კარგი ავტორიტეტის მქონე და ეკონომიურად გამართული ოჯახიდან.

საინტერესოა ორი ურთიერთგამომრიცხველი, აზრის ანდაზის არსებობა, სადაც სწორედ მომავალი სასიძოს ბავშვობიდან შერჩევის თემაა წარმოჩენილი:

- «Ἄς σ' οὐκ ἔσθ' ἄλλαν τὸ καλὸν τὸ παιδίον κὶ ἄς σ' οὐκ ἔσθ' ἄλλαν ὁ κακὸν ἄντρας» (Αθανασιάδης, 1970: 81) („ყველაზე კარგი ბავშვი შეიძლება, ყველაზე ცუდი კაცი დადგეს“);
- «Ἄς σ' οὐκ ἔσθ' ἄλλαν τὸ κακὸν τὸ παιδίον κὶ ἄς σ' οὐκ ἔσθ' ἄλλαν ὁ καλὸν γαμπρός» (იქვე: 81) („ყველაზე ცუდი ბავშვი შეიძლება, საუკეთესო სიძედ გაიზარდოს“).

ამგვარი სოციალური დასკვნების გამოტანა ხალხის საქმე იყო და, რა თქმა უნდა, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელი ხდებოდა ორივე მოსაზრების გაზიარება.

კიდევ ერთი ტრადიცია, რომელსაც ქორწინებამდე ჰქონდა ადგილი პონტოელ ბერძნებში, ცნობილი იყო როგორც «Τὸ ψαλάφειμα» („ტო ფსალათემან“), ხოლო აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებთან «Τὸ ψαλάφισον» („ტო ფსალათიონ“) და ეს სხვა არაფერია, თუ არა მაჭანკლობა. ამ ტრადიციასაც ერთგულად ინარჩუნებდნენ აჭარაში მცხოვრები ბერძნები; მას შემდეგ, რაც (ხშირ შემთხვევაში) სასიძოს მშობლები, ზოგჯერ კი თავად სასიძო მოიწონებდა რომელიმე ქალიშვილს, მაჭანკალს მიაგზავნიდნენ ოჯახში იმის გასაგებად, თანახმა იყო თუ არა მეორე მხარე მოლაპარაკების გასაგრძელებლად. თუ მაჭანკალი - «ἡ προῖξητρα» („ი პროქსენიტრა“), რომელიც სასიძოს ოჯახის ახლობელი ან მეზობელი იქნებოდა, საპატარძლოს ოჯახში მისვლისას დადებით პასუხს მიიღებდა, იტყოდნენ: «ἔχτησεν ἄτό», რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „მან ის ააშენაო“ ანუ „საქმე გამოუვიდაო“. იმ შემთხვევაში, თუ ქალიშვილის მშობლები უარზე იყვნენ, ადგილი ჰქონდა მოტაცებასაც, «σῆρσιμο» („სირსიმო“). საპატარძლოს შერჩევის შესაძლებლობა ახალგაზრდა ვაჟებს ჰქონდათ ქორწილში, სამგლოვიარო ცერემონიაზე,

სხვადასხვა სახის სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროს, ანუ ეს ქალ-ვაჟის მოწონების უშუალო პროცესი იყო, თუმცა, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა სრულიად უცნობი და ერთმანეთის უნახავი ახალგაზრდების შეუღლებასაც, რაც, აკვანში დანიშვნის ტრადიციის მსგავსად, დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა.

საკატარძლოს ახლობლებისგან სტუმრობაზე თანხმობის მიღების შემდეგ, დაინტერესებული მხარე (სასიძოს ოჯახი) მომავალ კვირა დღეს ნიშნობის ჩასატარებლად იწყებდა სამზადისს. პონტოელ ბერძნებში ნიშნობა მოიხსენიებოდა როგორც «συσμὰδ („სუმად“), συσμὰδεμὰν („სუმადემან“) ან თημὰδ» („სიმად“). აჭარაში მიგრირებულთა შორის სამივე ტერმინი იყო ცნობილი.

ნიშნობის რიტუალი შემდეგნაირად ტარდებოდა: სასიძო მშობლებთან და ნათესავებთან ერთად მიემართებოდა საკატარძლოს სახლისკენ და ნიშანთან (ბეჭედთან) ერთად სხვა საჩუქრებსაც გადასცემდა მომავალ მეუღლეს. ბეჭედი, «τὸ δαχτυλίδ» („ტო დახტილიდ“) სასიძოს ოჯახური ბიუჯეტიდან გამომდინარე იყო ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის. პონტოში ცხოვრების დროს ხშირად ამ პროცესიას სასულიერო პირიც ახლდა, რაც აჭარაში მიგრირების შემდეგ იშვიათად ხდებოდა. ახალ მოყვრებს ბეჭედთან ერთად მიჰქონდათ «συσμὰδιοψάμι» („სუმადოფსომო“) ანუ „ნიშნობის პური“, «τὰ καθισπρδιομένα λεφτοκάρια» („ტა კავურდიზმენა ლეფტოკარია“) ესე იგი მოხალული თხილი და «τὰ κοσφέτας» („ტა კუფეტას“) ანუ კანფეტები. ნიშნობის დღეს ქორწილთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობდნენ, მომავალ ცოლ-ქმარს ბედნიერებას და დღეგრძელობას უსურვებდნენ, რაც, ერთ-ერთი თქმით, შემდეგნაირი დალოცვებით გამოიხატებოდა:

- «Νὰ ζήσνε καὶ νὰ χχέρεσνε!» („იცოცხლეთ და იხარეთ!“)
- «Ὁ Θεὸς νὰ πολυχρονίει σὰς!» („ღმერთმა გადღეგრძელოთ, მრავალი წელი გაცოცხლოთ!“) და ა.შ.⁷³

ნიშნობა, როგორც წესი, ღვინით სრულდებოდა. ნიშნობიდან ორი კვირის შემდეგ პონტოელი ბერძნები კიდევ ერთ რიტუალს ატარებდნენ, რომელიც მოიხსენიებოდა, როგორც «Γαμπρολάλε» („ღამბროლალე“), ესე იგი სიძის მოპატიჟება.

⁷³ მთქმელი ი. სავვიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 46.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებთან კი ამ რიტუალს «Γαμπρολαλέματα» („ღამბროლალემატა“) ერქვა. რიტუალის არსი შემდეგში მდგომარეობდა: საპატარძლოს მშობლები სასიძოს შინ მიიპატიჟებდნენ, ეს უკანასკნელი, ახლობლებისა და მელირეს თანხლებით, სტუმრობდა ახლად შეძენილ მოყვრებს, საპატარძლოს ოქროს ჯვარს ჩუქნიდა და სამაგიეროდ მანდილს მიიღებდა, როგორც სიყვარულში ერთგულების სიმბოლოს.

ქორწილის დღემდე, 8 დღით ადრე, ხდებოდა «Λογόπαρμαν» („ლოლოპარმან“) ანუ „სიტყვის, პირობის აღება“. აჭარაში ეს რიტუალი ცნობილი იყო სახელწოდებით «λογοκίχημον» („ლოლოკოფსიმონ“), რაც ითარგმნება, როგორც „სიტყვის გაჭრა“ და შემდეგნაირად ტარდებოდა: საღამოს სასიძოს ოჯახის წევრები (მამა, ბიძა და მომავალი მეჯვარე) საპატარძლოს სტუმრობდნენ და სიტყვას აძლევდნენ, რომ მომავალ კვირას დანიშნული ქორწილისათვის ყველაფერი მზად იქნებოდა. ეს რიტუალი ხანმოკლე სუფრით მთავრდებოდა.

წინასაქორწილო რიტუალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა «Τὸ λουτρὸν τῆς νύφης» („ტო ლუტრონ ტის ნიფის“) - „საპატარძლოს დაბანა“, რომელიც პონტოში იყო მიღებული, აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის კი იშვიათობას წარმოადგენდა. შესაბამისად, ქორწილის წინა დღეს საპატარძლოს აბანოში წასვლა, სასიძოს ან მეჯვარის ხარჯებით, ნელ-ნელა წარსულს ბარდებოდა.

ქორწილის დღისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდა როგორც პატარძალი, «νύφη» („ნიფე“), ასევე სიძე «γαμπρὸν» („ღამბრონ“). ქორწილის დღეს, დილით სიძის ოჯახში მოიწვევდნენ დალაქს და მისაღებ ოთახში ხდებოდა მისი მოწესრიგება. დალაქი მხოლოდ მაშინ შეუდგებოდა საქმეს, როცა დასაჩუქრდებოდა და სიძეს მიმართავდა: «καλορίζικο!» („კალორიზიკოს!“), ესე იგი „მშვიდობაში!“⁷⁴

მას შემდეგ, რაც სიძის მეგობრები იმღერებდნენ და იცეკვებდნენ, სიძე ჩაიცვამდა ამ მნიშვნელოვანი დღისთვის შესაბამის ტანსაცმელს, «γαμπριάτικα ροσάχα» („ღამბრიატიკა რუხა“), ე.წ. „სიძის სამოსს“ და იწყებოდა მისთვის საჩუქრების

⁷⁴ «Καλορίζικο!» („კალორიზიკოს!“) იგულისხმება „მშვიდობაში!“ ამ სურვილის სიტყვასიტყვით თარგმანი სრულიად განსხვავებულია: „კარგ ფესვად!“ («καλό» - „კარგი“, «ρίζα» - „ფესვი“).

გადაცემა, «τὸ χάρισμα» („ტო ხარიზმან“) ანუ „ჩუქება“. სიძისთვის საქორწილო ტანსაცმელს, როგორც წესი, საპატარძლოს მხარე ყიდულობდა და ქორწილის დღეს უგზავნიდა დაუქორწილებელი ან გაუთხოვარი ახალგაზრდების ხელით. იგივე ხდებოდა სადედოფლო კაბის შემთხვევაში: მას სიძის მხარე შეიძენდა და საპატარძლოს უგზავნიდა მსგავსი ადათების დაცვით. პატარძლის დავარცხნა, ჩაცმა და მორთვაც ახლობლების გარემოცვაში დიდი ზარ-ზეიმით ხდებოდა. ამ დროს იმღერებოდა ტრადიციული საქორწილო სიმღერა, რომელიც დამრიგებლურ ხასიათს ატარებდა:

« Φορίστε ἀτέν, σκεπάστε ἀτέν, ἀτέν τὴν περιστέρων⁷⁵

(ჩააცვით მას, გამოაწყვეთ პატარძალი ჩვენი)

καὶ καλοτονατέψτε ἀτέν καὶ ἄς φωτάζ᾿ ἡμέρα.

(მორთეთ კარგად, დაე გაბრწყინდეს დღე დღევანდელი.)

Φορίστε ἀτέν, σκεπάστε ἀτέν, συγκόρτσια γειτονιάς

(ჩააცვით მას, გამოაწყვეთ სამეზობლოს მშვენება,)

Κὶ ἀτέναν παργορέψτε ἀτέν, μὴ κλαίει ἀπὸ καρδίας.

(დაამშვიდეთ პატარძალი, გულით ნუ ეტირება.)

Τίμα κόρη⁷⁶ τὴν πεθερά σ', νὰ εἶσαι τιμεμέντσα

(შვილო, დედამთილს პატივი ეცი, შენც რომ პატივი გცენ!)

Τίμα κόρη τὸν πεθερό σ' νὰ εἶσαι ἀγαπεμέντσα.

(პატივი ეც მამამთილს შვილო, ყველას რომ უყვარდე!)

⁷⁵ ტერმინი «περιστέρων» („პერისტერან“) მოფერებითი ფორმაა და გამოიყენება საყვარელ ადამიანზე საუბრისას. სიტყვასიტყვით „პერისტერ“ („პერისტერ“) მტრედს ნიშნავს, მაშასადამე «περιστέρων» მტრედუნას მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

⁷⁶ ტერმინი «κόρη» („კორი“) პონტოურ დიალექტში სიტყვასიტყვით ქალიშვილს ნიშნავს.

Μάθα κόρη τὴν ἀγρυπνίαν καὶ τὴν κακοπειρίαν,

(გაუბელი უძილობას, სიძნელეებს, შვილო,)

Αὔρι' θὰ πὰς σὴ πεθερὸς σ' νὰ εἶσαι μεμεμέντσα » (Ευσταθιάδης, 1992: 215)

(ხვალ წახვალ შენს მამამთილთან, უნდა შეეჩვიო!)

პონტოელ ბერძენთა ზემოთ ხსენებული საქორწილო სიმღერა, უდავოდ, დიდ მსგავსებას ავლენს აჭარულ, შავშურ და კლარჯულ ფოლკლორში ცნობილ „გელინოსთან“.

პატარძლის ოჯახში მოსვლას და მის წამოყვანას აჭარაში მოიხსენიებდნენ, როგორც «*νυμφέπαραμ*» („ნიმფეპარმან“),⁷⁷ მაშინ როცა საერთო, უფრო მეტად გავრცელებული ტერმინი იყო «*νυφάπαραμ*» („ნიფოპარმან“) და ითარგმნებოდა, როგორც პატარძლის წამოყვანა. ეს რიტუალი იწყებოდა იმით, რომ სიძის სახლიდან პატარძლის ოჯახისკენ მუსიკის, ცეკვა-სიმღერის თანხლებით მოემართებოდა პროცესია, რომელსაც სათავეში ედგა სიძე მეგობრებისა და მეჯვარის თანხლებით. როცა მაყარი პატარძლის სახლს მიუახლოვდებოდა, ჭიშკრის წინ იჭიმებოდა ბაწარი («*τραβίσσαν σκίβιν*») და სიძეს არ ჰქონდა სახლში შესვლის უფლება მანამდე, სანამ მეჯვარე „ქათამს არ გამოისყიდდა“. ამ ტრადიციას მოიხსენიებდნენ როგორც «*ἄγιρά τῆς κοισάρα*» - „ქათმის ყიდვა“ და ძალზე გავრცელებულ საქორწინო ტრადიციათა რიცხვს მიეკუთვნებოდა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის. სასაცილოდ მორთული ქათამი, რომელსაც სპეციალურად შეკერილ ტანსაცმელსაც აცმევდნენ, მეჯვარეს პატარძლის ნათესავებისგან უნდა ეყიდა. სიძეს მხოლოდ სასურველი თანხის მიცემის შემდეგ ეძლეოდა სახლში შესვლის უფლება. ნათლობის შემდეგ ქათმის „ყიდვის“ ტრადიციის მსგავსად, ქორწილის დროს ქათმის „ყიდვისას“ ადგილი ჰქონდა გარიგებას და სახუმარო დიალოგს ერთი მხრივ, მეჯვარესა და სიძეს, მეორე მხრივ კი - პატარძლის ნათესავებს შორის;

⁷⁷ ტერმინი «*νυφάπαραμ*» წარმოდგება სიტყვებისგან «*νυφε*» („პატარძალი“) და «*παραμ*» („აღება“, „წამოღება“, „წამოყვანა“).

- „ნათესავები: „ვერ შეხვალ სიძევ!“
- სიძე: - „არა, შევალ!“
- ნათესავები: - „ჯერ ქათამი უნდა იყიდო!“
- სიძე: „რა უშნო ქათამია, ცოტა უფრო ლამაზი ვერ მოიტანეთ? აბა, მორთეთ კიდევ!) და ნათესავებს ფულს ურიგებდა.
- ნათესავები: „ცოტაა, სიძევ!“
- მეჯვარე: „ეს ქათამი კვერცხს დებდა?“
- ნათესავები: „ლამაზიც იყო და კვერცხებსაც დებდა, მიდი კიდევ დაგვიმატე ფულიო“)78 და ასე გრძელდებოდა, სანამ სასურველ თანხას არ მიიღებდნენ“.

ამის შემდეგ სიძეს დამალული პატარძალი უნდა ეპოვნა, რაც ცნობილი იყო, როგორც «Ἀράμεαν τῆς νῆφεος» ესე იგი „პატარძლის ძებნა“.

პონტოში ახალშექმნილი ოჯახის დალოცვის შემდეგ პროცესია ეკლესიისკენ მიემართებოდა ჯვრის დასაწერად («για στεφάνομαν»), რაც იშვიათი იყო აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებთან, ვინაიდან, როგორც თვითმხილველნი იხსენებენ, სოფლების ეკლესიათა უმრავლესობა დაკეტილი იყო და ლიტურდია არ ტარდებოდა. აქედან გამომდინარე, შეუღლების მსურველნი იძულებული იყვნენ, ან მალულად დაეწერათ ჯვარი რომელიმე ოჯახში, ან - ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში.

ქორწილის საბოლოო ეტაპზე სიძის ოჯახში იმლებოდა სუფრა, რომელიც იმართებოდა ორივე მხარის მონაწილეობით. საქორწილო სუფრა სავსე იყო პონტოელ ბერძენთა ტრადიციული სამზარეულოს ნიმუშებით და არა მხოლოდ; ერთ-ერთი მონათხრობის მიხედვით, აქ ვნახავდით შემდეგ კერძებს: «κοφτάδες» („კოფტადეს“) - ტოლმა, «κισσαρή κρέας» („კოსარი კრეას“) - ქათმის ხორცი, «μουσχερή

⁷⁸ «- Κι θὰ περάνς γαμπρέ!»

- Όχι, θὰ περάνω!

- Πρώτα πρεπ' νὰ ἀγοράεις τὴν κοσσάρα!»

- Ἀπό ντό κοσσάρα ἐν', ἐμορφεσσα ζάι κ' ἐν, βάλτε κατ' ἀπάν , ολίγον πιό ἐμορφον κοσσάρα ἐπρεπε νὰ φέρετε!

- Ὀλίγον ἔν, γαμπρέ!»

- Ἀπό ἡ κοσσάρα οὐδ' ἀποίνε;»

- Ἐμορφεσσα πὰ ἔτονε καὶ πολλὰ οὐδ' ἀποίνε, φέρε καὶ ἄλλα μανάτια...», - მოქმელი - ე. სავვიდი - მაზმანიდი,

პირადი არქივიდან, გვ. 15.

κρέας» („მუხტერი კრეას“) - ღორის ხორცი, «γεμιστές μαντζάνες» („ღემისტეს მანძანეს“) - შეკმაზული ბადრიჯანი, «τσουμυχτά» („ცუმხტა“) - ზოსტნეულის ფხალი, «τυρία» („ტირია“) - ყველი, «ἐλίς» („ელიეს“) - ზეთისხილი, «τουςρία ἀγγύρια, λαχάνι» („ტურსია ანგურია“, „ლახანი“) - მჟავე კიტრი, კომბოსტო და სხვა. ასევე ვხვდებით ადგილობრივ, ქართულ კერძებს,⁷⁹ რომელთა სახელწოდებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცვლელად შევიდა პონტოელთა ლექსიკაში.

ძველად საქორწინო რიტუალი ამით არ მთავრდებოდა. ლხინის შემდეგ ტარდებოდა «Τὸ ἀποκαμάραμα» („ტო აპოკამარომან“) ანუ „ოთახში განმარტოების რიტუალი“ და მას ადათის მიხედვით მოჰყვებოდა სიმღერა «θυμιαστόν» (Ἀκογλου, 1939: 210-211) („თიმასტონ“), შემდეგ კი - პატარძლის პირველი ცეკვა. ამ ცეკვაში 7 წყვილი და ერთი ცალკე მყოფი ადამიანი მონაწილეობდა და მისი სახელწოდებაც «Ἐφτά ζευγάρια καὶ τὸ τεκ» („ეფტა ზევლარია კე ტო ტეკ“) ესე იგი „შვიდი წყვილი და ერთი მარტო“ სწორედ აქედან გამომდინარეობდა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამ წყვილების წევრები ერთხელ უნდა ყოფილიყვნენ დაოჯახებულნი: «μοιστέφανα» („მონოსტეფანა“), «πρωτοστέφανα» (Χαιρόπουλος, 2007: 39-66), („პროტოსტეფანა“),⁸⁰ სხვანაირად არ ჰქონდათ ცეკვის უფლება.

მსოფლიოს მრავალი ხალხის საქორწილო ტრადიცია იცნობს მშობლიურ კერასთან პატარძლის გამოსათხოვარ რიტუალს და მასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერას. პონტოელ ბერძენთა ზეპირსიტყვიერებასაც შემორჩა ქალიშვილის დედასთან დამშვიდობების ამაღელვებელი მომენტი, რომელიც მინორული განწყობილების გამომხატველია:

«Σήμερον μάρως οὐρανός, σήμερον μάρρη ἡμέρα,

(დღეს შავია ცა, დღეს შავი დღეა,)

⁷⁹ მთქმელი მ. ლაზარიდუ - მელეტედი, პირადი არქივიდან, გვ. 55.

⁸⁰ ტერმინი «μοιστέφανα» („მონოსტეფანა“) წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან: «μοισ» („ერთი“) და «στεφάνι» („გვირგვინი“), ხოლო ტერმინი «πρωτοστέφανα» („პროტოსტეფანა“) სიტყვებიდან: «πρωτο» (პირველი) და «στεφάνι» („გვირგვინი“).

Σήμερον θὰ χαρίονταν μάνα καὶ θυγατέρα!

(დღეს დედა-შვილის დაშორების დღეა!)

Σήμερον τ' ἠλιοκόρασον δύο καρδόπα ἔχει',

(დღეს მზის ქალიშვილს ორი გული აქვს,)

τ'έναν ἀφήνει σὴ κυρού καὶ τ' ἄλλο παίρ' καὶ πάει!

(ერთს მამის სახლში ტოვებს, მეორე – თან მიაქვს!)

Ἵσήμερον τὸ κόρασον δύο πόρτας ἀνοίγει,

(დღეს ქალიშვილი ორ კარებს აღებს,)

τ'έναν ἀνοίγει καὶ ἀσπαλεί καὶ τ' ἄλλο ἀνεί καὶ ἐμπαίνει» (Χαιρόπουλος, 2007: 58)

(ერთს აღებს, ივიწყებს, მეორეს აღებს და შედის).

ორი, ძალიან საინტერესო, ტრადიციის არსებობის შესახებ მოგვიყვამ პროფესორმა ნ. მაზმანიდისმა. ეს ტრადიციები ცნობილი ყოფილა სახელწოდებებით «Γαρσιλάεμαν» („ღარშილაემან“) და «Κοισσαροκλέψιμον» („კოსაროკლეფსიმონ“). ბატონი ნიკოლოზის თქმით, ტერმინი «Γαρσιλάεμαν» წარმოდგება თურქული სიტყვისგან «Γαρσίλ» („ღარშილ“), რომელიც „პირდაპირს“ ნიშნავს და მისი არსი გამოიხატებოდა ქორწილის დღეს მოცეკვავე ხალხის პირდაპირ მდგომი ქემენჯეზე დამკვრელის დასაჩუქრებაში. როგორც ბატონმა ნ. მაზმანიდისმა აღნიშნა: „პონტოელ ბერძენთა ქორწილში ქემენჯეზე დამკვრელი, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში ართობდა ხალხს, ცეკვის დროს უახლოვდებოდა სიძეს ან მის ნათესავებს (ბიძას, მამიდას, ბიძაშვილს) და მელოდიას უკრავდა, შემდეგ დაიხრებოდა ან დაიჩოქებდა ერთის, მეორის, მესამის პირდაპირ და წრიულად ჩამოუვლიდა. ყველანი ვალდებული იყვნენ, მისთვის ფული მიეცათ (რამდენიც შეეძლოთ ან სურდათ)...ფულს

შარვალში, პერანგში, თავზე, ზურგში უდებდნენ და, როცა ქემენჯეზე დამკვრელი წრის შემოვლას დაასრულებდა, შეროვილ თანხას ოჯახის უფროსს გადასცემდა“.⁸¹

მეორე საქორწილო ტრადიცია სახელწოდებით «Κοισσαροκλέψιμον» („კოსარო-კლეფსიმონ“), ესე იგი „ქათმის მოპარვა“, რომელსაც ძირითადად სოფლებში ჰქონია ადგილი, შემდეგნაირად ხორციელდებოდა: პატარძლის ნათესავები სიძის ნათესავებს ქათმებს პარავდნენ და მეორე დღეს უმასპინძლებოდნენ, რასაც შემდეგ ხუმრობები მოჰყვებოდა. ზემოთ ხსენებული მთქმელი იხსენებს: „ჩემმა სიმამრმა კოსტა კეროვმა ჩვენი ქორწილის დროს გაიხსენა ერთი ძველი ადათი – „ქათმის მოპარვა“, შეაგროვა ორი - სამი ადამიანი და წავიდნენ ბიძაჩემის - თოდორის სახლში, მის საქათმეში. ბიძაჩემს კარგი ქათმები ჰყავდა. იმ დროს ქათმებს ეძინათ. კოსტამ მიანათა, შეარჩია ყველაზე კარგი 2-3 ქათამი, დაკლა და სახლში წამოიყვანა. ოჯახში ქათმები გაპუტეს, მოხარშეს, მოამზადეს და დილით, როცა სტუმრებს მიაართვეს, ბიძაჩემმა უთხრა: „ - კოსტა, რა გემრიელი ქათმებია, სად იშოვეო?“ მან წაიყრუა. როცა თოდორი სახლში მივიდა და ნახა, საქათმე ღია იყო და მისი ქათმები გაუჩინარებულიყვნენ, მაშინ მიხვდა ყველაფერს“.⁸²

როგორც ირკვევა, პონტოელ ბერძნებთან ქორწინება წარმოადგენდა არა მხოლოდ სამეურნეო მნიშვნელობის საზოგადოებრივ აქტს, არამედ - გვარის, ოჯახის გამაერთიანებელ მოვლენას და, რაც მთავარია, ეკლესიის მიერ დალოცვილ ქმედებას ადამიანთა ცხოვრებაში; ამიტომაც ეკიდებოდნენ ისინი ამ მოვლენას დიდი პატივისცემით და ცდილობდნენ მასთან დაკავშირებული მამაპაპისეული ტრადიციები დავიწყებას არ მისცემოდა.

⁸¹ «Σὸ ραμῆικο γάμον ὁ κεμεντζετζής, ποῖος ὄλην τὴν χαράν ἐπαίξε σὴν κεμεντζέν, σὸ χορόν ἐσούμονεν τὸ γαμπρό, ἰά τῶν συγγενῶν τὴ γαμπροῦ (τὸν θεῖον,τὴν θεῖαν, τὸν ἐξάδελφον) καὶ ἐπαίξε κάτ' σκοπόν σὸ κεμεντζέ. Ἐπεκεὶ ἐπέγνε καὶ γονάτειπε σὸν ἄλλον κεκά, σὸ δεύτερον, σὸ τρίτον καὶ ἀραέτς, ὅς ἐπρεπε νὰ γυρίζ . Ὁλ ἐπρεπε νὰ χαρεῖζνε ἀτόν σὸ γαρσσιλάεμαν τὸ χρήμα ὄσον ντὸ ἐπόρναν, (εσύρννε ἢ καρδιά) ... Ἐβάλναν τὸ χρήμα σὸ πανταλόν ἄτ, σὸ πουκάμισο,σὸ κεφάλ, σὴ ράσισιν καὶ ὄνταν ἐτελίωνε τὸν κύκλο, τὸ χρήμαν τὸ ἐμάζευε ὁ κεμεντζετζής, τὸ ἔδεινε σὸν νοικοκύρη», - მთქმელი - ნ. მაზმანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 76-77.

⁸² «Ὁ πεθερό μ, ὁ Κωστής ὁ Κέρογλης ἐνθιμῆθεν ντὸ ἐποίανε ἀτοί στὰ παλαιὰ τὰ χρόνια τὸ «Κοισσαροκλέψιμον» καὶ ἐμάζεψαν δὺο-τρία ὄμματ καὶ ἐπήγανε σὴ θεῖο μου σὸ Θόδωρον σὸ σπίτ, σὸ πινέσ. Ἀτός εἶχε καλὰ κοσσάρας... Τὰ κοσσάρας ἐκοιμούσανε... Ἀτός μὲ τὸ φενέρ ἐχώρσεν καὶ ἐπέρε ὅλα τὰ χοντρά κοσσάρας (τρία-τέσσερα κομμάτια), ἔσφαξεν ἄτὰ καὶ ἐφέρენ ἄτὰ σὸ σπίτ. Ἐφτόυλζαν ἄτὰ, ἔβρασαν ἄτὰ, ἔψησαν ἄτὰ καὶ τὸ πρῶι, ὄνταν ἔβαλαν ἄτὰ σὸ τραπέζ, ὁ θεῖον μου ὁ Θόδωρον ἔπεν: Ὅσο, αἶκα νόστιμα κοσσάρας! Ἀτσάπ, ποῦ ἔβρες ἄτὰ; Σὸν τόπον ἄπάν ἔβρατὰ- εἶπε ὁ Κωστής. Ἄμα ὄνταν ὁ θεῖον πῆγε σὸ σπίτ' καὶ εἶδε, ντὸ τὸ πινέζ ἄνοιχτό ἔν καὶ τὰ καλὰ τὰ κοσσάρας κ'έν, ἀτότες εγροῖξεν ὅλα», - მთქმელი - ნ. მაზმანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 77.

რაც შეეხება ადგილობრივ მაცხოვრებლებთან კორწინებას, ამგვარი შეუღლების ფაქტები არ წარმოადგენდა იშვიათობას და ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პონტოელი ბერძნების და ქართველების სულიერ ნათესაობას და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. აღნიშნული მოვლენა სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, ვინაიდან სწორედ ქართულმა მიწამ მიიღო პონტოელი ბერძნები მათთვის რთულ ჟამს, რაც მათ არ დაივიწყეს, დააფასეს და სწორედ ამიტომ, რომ დღემდე მოიხსენიებენ საქართველოს, როგორც მეორე სამშობლოს.

2.3. სამგლოვიარო წეს-ჩვეულებანი და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება

ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში, პონტოელი ბერძნები მთელ რიგ ადათებს იცავდნენ, რათა სამუდამოდ დაკარგული საყვარელი ადამიანისთვის სწორად მიეგოთ პატივი და ღირსეულად გაეცილებინათ ბოლო გზაზე.

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები მიცვალებულს («ὁ ἀποθαιμένος» - „ო აპოთამენოს“) 6-7 დღის განმავლობაში აჩერებდნენ ოჯახში. ამ დროის განმავლობაში ატყობინებდნენ ახლობლებს ან შორს მყოფ ნათესავებს გარდაცვალების შესახებ და თავად დაკრძალვის რიტუალების ჩასატარებლად ემზადებოდნენ. ნათესავები მიცვალებულს რიგრიგობით უთენებდნენ ღამეს და ეს იყო „ღამისთევის ადათი“ («Τὸ μόναιμα» - „ტო მონაიმან“). როგორც ერთ-ერთი მთქმელი იხსენებს: „პონტოელი ბერძნები მიცვალებულებს ღამეს უთევენ. მგლოვიარე ნათესავები და მეგობრები მიცვალებულის ირგვლივ ღამით ისხდნენ და საუბრობდნენ, იხსენებდნენ მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფაქტებს და რომ არ ჩასძინებოდათ, ყვავს სვამდნენ...პონტოელი ბერძნები მიცვალებულთ სახლში 6-7 დღე აჩერებდნენო“.⁸³

დასაფლავების «τὸ λείψαινον» („ტო ლიფსანონ“) წინა დღით, საღამოს, შეიკრიბებოდნენ ოჯახის წევრები და ხმის ამოუღებლად ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ გაფორმდებოდა «Η κανόνα» („ი კანონა“), ანუ წადილი. წადილის რიტუალის ჩასატარებლად საგანგებოდ მოიხმობდნენ ამ საქმის მცოდნე ადამიანს, ხშირ შემთხვევაში - ოჯახთან დაახლოებულ პიროვნებას. წადილის მოსამზადებლად აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენდა: «τὰ κοκκία» („ტა კოკია“) ან «βραστόν σπτάρι» („ვრასტონ სიტარ“) - მოხარშული ხორბალი, «καβισρυτισμένον ἄλευρι» („კავურდიზმენონ ალევრი“) - მოხალული ფქვილი, «ζάχαρι» („ზახარინ“) - შაქარი, «καρδία» („კარიდია“) - ნიგოზი, «λεφτοκάρια» („ლეფტოკარია“) - თხილი და «καφέν» („კაფენ“) - ყავა.

⁸³ «Οἱ Ρωμαῖοι τοὺς ἀποθαιμένους ἐμόναζαν. Ἐκάθουσαν τὴ νύχταν οἱ συγγενεῖς καὶ οἱ φίλοι αὐτοῦν καὶ ἔλεγαν διάφορα γιὰ τ' ἀποθαιμένους (γιὰ τὴν ζωὴν αὐτοῦν). Τὴ νύχτα ἔπιναν καφέδες γιὰ νὰ μὴν κοιμούνται. Τὸν ἀποθαιμένον οἱ Ρωμαῖοι ἐκράτναν σὸ σπιτ' γιὰ 6 μὲ 7 ἡμέρας», - მთქმელი - ნ. ჩილიკიდი, პირადი არქივიდან, გვ. 72.

მთქმელი, ვალენტინა მავროპულო - კურტიდი, რომელსაც არაერთი წადილი გაუკეთებია, შემდეგნაირად აღწერს ამ პროცესს: „დიდი ზომის ბრტყელ ლანგარზე ვათავსებთ მოხარშულ ხორბალს, შემდეგ მოხალულ ფქვილს, წვრილად გატარებულ ნიგოზს, და ზემოდან შაქარს. წადილს ზემოდან ვაფორმებთ თხილით, ნიგოზით და მოხარშული, ყავაში ამოვლებული, ხორბლით. ზემოდან წადილზე გამოსახვენ მიცვალებულის სახელის პირველ და უკანასკნელ ასოებს და ჯვარს“.⁸⁴

ტრადიციისამებრ, წადილზე, რომელიც გასვენების წინა დღეს ან ორმოცზე («Σά σεράντα» - „სა სერანდა“) კეთდებოდა, ჯვარი ბოლოსკენ გახსნილი იყო, რაც ნიშნავდა, რომ მიცვალებულის სული ჯერ დედამიწაზე იმყოფებოდა.

პონტოელ ბერძნებთანაც მიღებული ყოფილა მიცვალებულის ხმით დატირება, რომლის დროსაც ძირითადად საყვედური გამოიხატებოდა მიცვალებულის მიმართ:

- «Μὲρ ἐφέκερ μὰρ καὶ πὰρ» („სად დაგვტოვე და მიდიხარ?“);
- «Γίατι κὶ ἐλογαρίασερ μὰρ» („ანგარიში რატომ არ გაგვიწიე?“)⁸⁵ და სხვა.

ახალგაზრდის სიკვდილის შემთხვევაში მას შემდეგნაირად მიმართავდნენ: «Μικράν, ὀρφανὰν γίατι ἐφέκερ» („პატარები, ობლები რად დატოვე?“)⁸⁶ და ა.შ.

დაკრძალვასთან დაკავშირებული ადათ-წესების რიცხვს მიეკუთვნებოდა ასევე:

- მიცვალებულისთვის ახალი ტანსაცმელის ჩაცმა;
- მიცვალებულისთვის მისი საყვარელი ნივთების ჩატანება;
- სუდარის (სავანის) ერთი ნაჭრის მოჭრა, შენახვა და ოჯახის წევრის ავადმყოფობის შემთხვევაში დაწვა.⁸⁷

⁸⁴ «Σ' ἕναν τρανόν, πλατύν συνὶν βάζουμε βρασμένον σιτάρ, επεκεί καθουρδισμένον ἄλευρ, ψιλοκομμένα καρύδια καὶ ἀπόπὰν τὴ ζάχαρη. Τὰ κοκκία στολίζουμε μὲ τὰ λεφτοκάρια, καρύδια καὶ μὲ βρασμένο σιτάρ, βουτηγμένο σὴ καφέν. Ἀπὰν σὸ συνὶν ἐφτάμε τὸ πρῶτο καὶ τὸ τελευταίον γράμμα τοῦ ὀνόματος τοῦ ἀποθαμένου καὶ τὸ σταυρόν», - მთქმელი - ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 22.

⁸⁵ მთქმელი ნ. ჩილიკიდი, პირადი არქივიდან, გვ. 72..

⁸⁶ მთქმელი ნ. ჩილიკიდი, პირადი არქივიდან, გვ. 72.

⁸⁷ იგივე, გვ. 72.

აჭარაში ცხოვრების პერიოდში იმდენად შეიყვარეს პონტოელმა ბერძნებმა აქაური მიწა-წყალი, რომ სიკვდილის წინ უანდერძებნენ თავიანთ შვილებს, აქ მიეზარებინათ მათი სხეული, რასაც მოწმობს ხალხური ლექსი:

„Ἄν ἀποθάνω, θάψτε μὲ	(თუ მოვკვდე, დამასაფლავეთ
σὴ Κούρικας τὰ ταφία...	კვირიკეს სასაფლაოებზე...
Ἄς πάνε κ'έρχονταν τὰ πουλία,	მივლენ და მოვლენ, ჩემი შვილები
ἀφτνε μὲ τὰ κερία». ⁸⁸	და სანთელს დამინთებენ).

ზემოთ მოყვანილ სტროფში ამა თუ იმ სოფლის მაცხოვრებლები შეცვლიდნენ ხოლმე სახელწოდებას და ამგვარად თავიანთი ახლობლებისგან ითხოვდნენ ახალშენის, დაგვის, აჭყვის და სხვა სოფლების სასაფლაოებზე დაკრძალვას.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა სასაფლაოები «Τὰ ταφία» („ტა ტაფია“) ეკლესიებთან ახლოს მდებარეობდა; იყო თავად ეკლესიის ეზოებში დასაფლავების შემთხვევებიც. სოფლების: დაგვის, აჭყვის, კვირიკეს ეკლესიების ეზოებში დღესაც არაერთ ასეთ ბერძნულ საფლავს ვხვდებით.

დაკრძალვის შემდეგ მიცვალებულის შესანდობარი სუფრა იშლებოდა და ხალხს სამარხვო კერძებით უმასპინძლებოდნენ. როგორც ბათუმის მკვიდრი ნადეჟდა ჩილიკიდი იხსენებს: «Μετά τὴ κηδεία σὸ τραπέζ εἶχαμε γλυκόν πιλάφι μὲ τσαμίντζια, ὀψάρ (τηγανιτό), κόκκινα ζουμερά φασιούλια (μὲ καρύδια), βραστά καρτόφια, τυρίν, ἐλιές καὶ κρασί» („ტრადიციისამებრ, დაკრძალვის შემდეგ ქელების სუფრაზე გვქონდა: ქიშიშიანი ფლავი, შემწვარი თევზი, წითელი წვნიანი ლობიო ნიგვზით, მოხარშული კარტოფილი, ყველი, ზეთისხილი და ღვინო“).⁸⁹

ე. კურტიდისის თქმით, პონტოელი ბერძნები გარდაცვლილს შემდეგნაირად ემშვიდობებოდნენ:

⁸⁸ მთქმელი ნ. მაზმანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 80.

⁸⁹ მთქმელი ნ. ჩილიკიდი, პირადი არქივიდან, გვ. 73.

- «Καλόν Παράδεισον!» („კარგი სამოთხე!“)
- «Ἐλαφρά τὰ χάματα!» („მსუბუქი მიწები!“)
- «Ἀϊωνία ἡ μνήμη!» („საუკუნო ხსოვნა!“)
- «Ν᾿ἀγιάζ᾿ καὶ νὰ μαιριάζ᾿ ἡ ψψήσ᾿!» („კურთხეული და მირონცხებული ყოფილიყოს შენი სული!“)
- «Ν᾿ ἀναπάουσταν τὰ στοῦδασ᾿!» („შენმა ძვლებმა მშვიდად განისვენონ!“)⁹⁰ და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვან ადათს წარმოადგენდა ქელების სუფრაზე მხოლოდ ორი - სამი სადღეგრძელოს თქმა და სუფრის სწრაფად დასრულება. იგივე მთქმელის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, ქელებზე სათქმელ აუცილებელ სადღეგრძელოთა რიცხვს მიეკუთვნებოდა:

- «Για τὸν ἀποθαμῆνιον» („მიცვალებულის შესანდობარის თქმა“);
- «Για τὴν οἰκογένειαν» („ოჯახის წევრების დალოცვა“);
- «Για τοὺς συγγενεῖς»⁹¹ („ნათესავების ან შთამომავლების საერთო სადღეგრძელო“).

ზოგჯერ ბოლო ორ სადღეგრძელოს აერთიანებდნენ და ქელების სუფრა მხოლოდ ორი სადღეგრძელოთი შემოიფარგლებოდა.

მიცვალებულის პატივსაცემად ძირითადად ხდებოდა 40 დღის და წლისთავის აღნიშვნა, იყო 6 თვის აღნიშვნის შემთხვევებიც. წადილზე გამოსახულ ჯვარს, სხვა მოსახსენიებელი დღეებისგან განსხვავებით, წლისთავზე ჩვეულებრივი ფორმა ეძლეოდა (ბოლოსკენ დახურული იყო), რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ერთი წელი გავიდა და გარდაცვლილის სულმა ზეცაში ჰპოვა სასუფეველი.

პონტოელ ბერძენთა წეს-ჩვეულებებში და ფოლკლორში ბოლო დრომდე შემონახული წარმართული კვალის არსებობის მიუხედავად, ქრისტიანული ელემენტები განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა. ზემოთ ხსენებული წეს-ჩვეულებების წარმოჩენა დაგვცხმარა, უკეთ გავცნობოდით ბერძენი ხალხის ტრადიციებს, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებას უკავშირდება; შეგვესწავლა ადა-

⁹⁰ მთქმელი ე. კურტიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 10-11.

⁹¹ იგივე, გვ. 11.

მიანის ცხოვრებისეულ ციკლთან დაკავშირებული ლექსიკა, ადათ-წესები და ზეპირსიტყვიერება. ასევე, საშუალება მოგვეცა, წარმოგვეჩინა აჭარაში მიგრირებულ ელინოფონ ბერძენთა სულიერი კულტურის ნაკლებად ცნობილი მხარეები, რაშიც უთუოდ დიდი როლი ითამაშა თვითმხილველთა მონათხრობების შეგროვებამ.

2.4. საყოფაცხოვრებო-საოჯახო, პატრიოტული და სატრფიალო

ლექს-სიმღერები

ტრადიციულ ცეკვებთან ერთად, ხალხური ლექს-სიმღერები შეადგენენ იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც პონტოელმა ბერძნებმა შემოინახეს და დიდი რუდუნებით გადასცეს მომავალ თაობებს. სიმღერებსა თუ ცეკვებში ყველაზე უკეთაა გადმოცემული პონტოელთა სულიერი განწყობილება, ასახულია ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებული სასიხარულო თუ მტკივნეული მოვლენები და განცდები.

პონტოელი ბერძნების ხალხური ლექს-სიმღერების შესწავლას არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა მიეძღვნა:

- Γ. Σουμελίδης «Ακριτικά άσματα» (ი. სუმელიდისის „აკრიტული სიმღერები“);
- Δ. Κουτσογιαννόπουλος «Τραγούδια του γάμου» (დ. კუცოიანოპულოსის „საქორწილო სიმღერები“);
- Στ. Ευσταθιάδης «Τα τραγούδια του Ποντιακού λαού - Πολύτιμο κεφάλαιο της λαογραφίας μας» (Εγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(5): 336) (სტ. ევსტათიადისის „პონტოელი ხალხის სიმღერები - ჩვენი ფოლკლორის მნიშვნელოვანი თავი“) და სხვა.

პონტოელ ბერძენთა ხალხურ სიმღერათა უმრავლესობა ინდივიდუალურად სრულდება, თუმცა ვხვდებით გუნდურ, საცეკვაო, სუფრულ და სხვა ნაწარმოებებს. რაც შეეხება ჟანრობრივ და თემატურ კლასიფიკაციას, პონტოელ ბერძენთა ხალხურ სიმღერებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი გამა: განასხვავებენ თქმულებებს, იავნანებს, საისტორიო, საქორწილო, აკრიტულ, სამგლოვიარო, რელიგიურ, საბავშვო, სამუშაო და სხვა სიმღერებს, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით ხალხში გადასახლების თემაზე შექმნილი, ნოსტალგიისა და ეროვნული ტკივილის გამომხატველი, სიმღერები სარგებლობს. სწორედ ეს სიმღერებია დღესდღეობით ძირითადად შემორჩენილი მათ მეხსიერებაში.

პონტოურ დიალექტში სიმღერა გამოიხატება სიტყვით «Τραγῶδιᾶ» („ტრადოღია“), რაც ბერძნულად ითარგმნება როგორც „ტრაგედია“ და ეს შემთხვევითი მოვლენა როდია; პონტოურ სიმღერებს თან გასდევს ტრაგიკული ელფერი, რაც პონტოელი ხალხის მძიმე ცხოვრებით და ბედის უკუღმართობით იყო

განპირობებული; თუმცა, ისინი ღირსეულად იტანდნენ ყოველგვარ დაბრკოლებას და ამაში დიდი წვლილი სწორედ ოჯახის ბურჯს, მის სულიერ მასაზრდოებელს – ქალს მიუძღვის.

ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ და პოპულარულ სიმღერაში «Τῆ Τρίχας τὸ γέφυρα» („ტი ტრიხას ტო ლეფირ“) - „ტრიხას ხიდი“ სწორედ ქალი წარმოადგენს იმ პიროვნებას, რომელიც ღირსეულად ასრულებს თავის ვალდებულებებს და საკუთარ მხრებზე იტვირთავს საზოგადოების გადარჩენის მისიას. სიმღერა ეფუძნება მითს ტრიხას ხიდის შესახებ. საუბარია ტრაპიზონიდან დაახლოებით 18 კილომეტრის მოშორებით, ტრაპიზონ - ერზერუმის გზის მარცხენა მხარეს, მდებარე მშენებარე ხიდზე, რომელიც, გაურკვეველი მიზეზების გამო, ყოველ ღამით ინგრეოდა და ერთადერთი გამოსავალი – ადამიანის მსხვერპლად შეწირვა იყო. ხელოსანი ვერ იმეტებს მშობლებს, და-ძმას, შვილებს, თუმცა გამოსავალს მაინც პოულობს: გამოსავალი კი ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა მეუღლის მსხვერპლად გაღება. ეს უკანასკნელი თავის განაჩენს მშვიდად იღებს და ღირსეულად იტანს. უშიშარი პონტოელი ქალის სურვილია, საკუთარი თავის მსხვერპლად გაღებამ ნაყოფი გამოიღოს და გამძლე ხიდი აშენდეს. მისი ერთადერთი სადარდებელი კი აკვანში მყოფი ჩვილია, რომელიც ობლად დარჩება. ხელოსნის ბოროტ ძალასთან დიალოგის ამსახველი სტრიქონები მსმენელის გულისყურს იპყრობს:

«Ἄν δίγω σὲ τὸν κύρη μου, ἄλλο κύρην πὰ 'κ' ἔχω!

(მამაჩემი რომ მოგცე, მამის გარეშე დავრჩები!)

Ἄν δίγω σὲ τὴ μάνα μου, ἄλλο μάναν πὰ 'κ' ἔχω!

(დედაჩემი რომ მოგცე, არც დედა მეყოლება!)

Ἄν δίγω σὲ τ' ἀδέρφια μου, ἄλλ' ἀδέρφια πὰ κ' ἔχω!

(ჩემი და –ძმა რომ მოგცე, და–ძმის გარეშე ვიქნები!)

Ἄν δίγω σὲ καὶ τὰ πουςιὰ μ', ἄλλο πουςιὰ πὰ κ' ἔχω!

(ჩემი შვილები რომ მოგცე, უშვილებოდ დავრჩები!)

Ἄν δίγω σὲ τὴν κάλη μου, καλύτερον εὐρήκω!» (Πόντος..., 2008: 209)

(ჩემი მეუღლე რომ მოგცე, მასზე უკეთესს ვიპოვი!)

„ტრიხას ხიდის“ მშენებლობის ისტორია გვაგონებს ქართულ ზეპირ-სიტყვიერებაში გავრცელებულ ლეგენდას სურამის ციხის აგების თაობაზე; ლეგენდის თანახმად, ქართლები დიდი ხნის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ სურამის ციხის აშენებას. ბოლოს ერთი მკითხავის რჩევას მიენდნენ და ციხესიმაგრის კედელში ცოცხლად ჩააყოლეს ობოლი, დედისერთა ზურაბი. ციხე აშენდა, ზურაბის დედა კი ყოველ ღამე ჩუმად დასტიროდა ცოცხლად დამარხულ შვილს:

„სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,

ჩემი ზურაბ მანდ არის, კარგად შემინახეო...” (შამანაძე, 1970: 4).

ხალხის რწმენით, ციხის დასავლეთი კედელი რომ მუდამ სველია, ეს ზურაბის დედის ცრემლებია.⁹²

„ტრიხას ხიდი“ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა შორის იმდენად პოპულარული ხალხური სიმღერა იყო, რომ მის საფუძველზე სოფელ ახალშენში ბერძენთა თეატრალური დასის მიერ წარმოდგენებიც იმართებოდა (Μουρατίδου, 1992: 237).

სამწუხაროდ, ხალხური სიმღერების გმირ ქალთა უმრავლესობის ცხოვრება ტრაგიკული განცდებითაა აღსავსე, რასაც განაპირობებს როგორც ისტორიული მოვლენები, ასევე ოჯახში არსებული პრობლემები. ამის ნათელ დასტურს წარმოადგენს ხალხური სიმღერა «Ἡ Τρυγὼνα» („ი ტრილონა“). სიმღერის მთავარი გმირი, ტრილონა ახალგაზრდა ქალია, რომელსაც უღირსი და უმადური ქმარი ჰყავს; გარდა იმისა, რომ იგი თვითონ ასრულებს მძიმე საოჯახო საქმეებს, მამაკაცის მისიასაც კისრულობს და ტყიდან შეშა მოაქვს:

«Ἀκεί πέραν σ’ οἰμανόπον, ἔστεικεν κὶ ἐποίηεν ξύλα...»

(იქ, გაუვალ ტყეში, იდგა და შეშას აგროვებდა...)

ან: «Ἡ Τρυγὼνα μὲ τ’ ἀντζία πάει σ’ οἰμάν’ σφερὺ’ τσατσία...» (Ευσταθιάδης, 1992: 206)

(ტრილონა წაღებით მიდის გაუვალ ტყეში ფიჩხების შესაგროვებლად).

⁹² იხილეთ: <http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/1692-surami.html>

პონტოელი ქალი ერთგულებას იჩენს როგორც ოჯახური, ასევე ეროვნული ტრადიციების მიმართ. ხალხურ სიმღერაში «Αἰχμάλωτον» („ეხმალოტონ“) ესე იგი „ტყვე“ მოთხრობილია ერთ–ერთი ქალის ისტორია, რომელიც ორსულად მყოფი მოხვდა ტყვედ. მისი ვაჟკაცური შემართება და შვილის ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებით აღზრდა მოწიწებას იმსახურებს:

«Υἷέ μ', ἀν ζῆς καὶ γίνεσαι, σὴν Ρωμανίαν φύγον, („შვილო, თუ იცოცხლებ და შეძლებ, რომანიაში (იგულისხმება პონტოში) წადი,“)

ἐκεῖ ἔεις κύρ' Ἀνδρόνικον, καὶ ἀδελφόν Ξαντίνον...» (Ευσταθιάδης, 1992: 134) (იქ არიან მამაშენი ანდრონიკე და ძმა – ქსანდინო...) - ასწავლის ტყვედ ჩავარდნილი დედა შვილს იმ იმედით, რომ ოდესმე დაუბრუნდება თავის ფესვებს.

პონტოელ ბერძენთა სიმღერებში კარგად ჩანს საზოგადოებაში არსებული პრობლემები, თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტები - კონკრეტული ოჯახის მაგალითზე. ეს ფენომენი კიდევ უფრო მკვეთრადაა წარმოდგენილი სიმღერაში «Νύφε καὶ ἀντραδέλφισσα» („ნიფე კე ანდრადელფისა“) ესე იგი „რძალი და მული“; ქალები - რძალი და მული ერთდროულად მშობიარობენ, მაგრამ სრულიად განსხვავებულ პირობებში: რძალი ღვთის ანაბარადაა მიტოვებული, მულს კი ყველა თავს ადგას:

«Τὴν ἀντραδέλφισσα κρατοῦν χίλιοι-μῦριοι μαμῆδες,

(მულს იჭერს უამრავი მომვლელი,)

τὴν νύφην τὴν ξενίτζικον Ἀγέρ 'τς κὶ ἡ Παναγία» (Ευσταθιάδης, 1992: 210).

(უცხო, რძალს კი - წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი).

მშობიარობის შემდეგ რძალს ოქროსთმიანი ვაჟი ეყოლება, მული კი – სამთავიან გველს გააჩენს. დედამთილის მცდელობა – ახალშობილები შეცვალოს, ამაოა; ვაჟი სამი დღის ასაკში ალაპარაკდება და სამართლიანობა აღსდგება.

ამ სიმღერებში საყოფაცხოვრებო ფოლკლორისთვის კარგად ცნობილი რძალ–მულიანის და რძალ–დედამთილიანის თემებია გამოკვეთილი.

ქალის, როგორც მზრუნველი დედის, სახე კარგადაა წარმოჩენილი ხალხურ სიმღერაში: «Ἡ μάνα ἐν κύρσον νερόν» („დედა ცივი წყალია“), სადაც დედა წარმოდგენილია იმ პიროვნებად, ვისი ღვაწლიც აუნაზღაურებელია ოჯახის და

ზოგადად, საზოგადოების წინაშე. ასევე ხაზგასმულია დედის დროულად, (სიცოცხლეში) დაფასების აუცილებლობა. ეს სიმღერა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა უსაყვარლეს ხალხურ სიმღერათა რიცხვს მიეკუთვნება, რასაც მისი შინაარსი განაპირობებს:

«Όταν γερά ή μάνα και ἄλλο κὲ πορεί,

(როცა დედა მოხუცდება და მეტს ვეღარ შეძლებს,)

Ἀτότε θέλ' βοήθειαν, ἀτότε θέλ' ζαήν.

(მაშინ უნდა დახმარება, მაშინ უნდა სიცოცხლე.)

Ἀτότε θέλ' ζαήν.

(მაშინ უნდა სიცოცხლე.)

Κὶ ὅταν θα ἔρτε ή ᾠρα και ἄλλο κὶ θὰ ζεὶ,

(და როდესაც მოვა დრო და იგი მეტს არ იცოცხლებს,)

Ἄμαν κ' εὐτας τὸ χρέος σοὶς θὰ καίεται ή ψὺ σ'.

(ვალს თუკი არ მოიხდი, სული დაგეწვება, იცოდე!)

Ἡ μάνα ἔν' βράχος, ή μάνα ἔν' ραχίν...

(დედა კლდეა, დედა მთაა...)

ή μάνα ἔν' τὸ στήριγμα, τὴ χαράς τὸ κλαδίν,

(დედა დასაყრდენია, სიხარულის ტოტია,)

τ' ἀτηνές ή ἐγάπη 'κὶ εὐρήεται σὴ γήν».⁹³

(მისი სიყვარულის სადარი ქვეყნად არაფერია).

ჩვენ მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერის მიხედვით, სწორედ დედაა ის ადამიანი, ვინც მუდამ მზადაა, გაიზიაროს შვილის დარდი და გულის ტკივილი:

⁹³ ობილეთ: http://www.stixoi.info/stixoi.php?info=Lyrics&act=details&song_id=7212

Μάνα μ' μάνα μ', μανίτσα μοῦ, μάνα τεμόν ἢ μάνα,

(დედავ , დედავ, დედიკო, დედა, დედავ ჩემო,)

Μάνα μ' καὶ αὐτο τὴν πελιὰν ἀπόπανίμ ἐχάνα.

(დედავ, ეს ტვირთი თავიდან როგორ მოვიშორო.)

Μάνα μ' ἐμέν ἐποίκες μὲ αἶξα πονεμένσα,

(დედავ, ასეთი დარდიანი როგორ გამაჩინე?)

Ἐποίκες μὲ καὶ ντ' εγροῖξες, τιαρτλή πουγαλεμένσα;»

(დატანჯულმა გამაჩინე, ნეტავ რა გაიგე?)⁹⁴

პონტოელი ბერძნების სიმღერები ხშირად სამშობლოსადმი სიყვარულის და ნოსტალგიის გამოხატულებას წარმოადგენდა, რასაც ადასტურებენ პროფესორ ნიკოლოზ მაზმანიდისის მიერ აღწერილი სიმღერების ტექსტებიც, რომლებიც მას თავის დროზე წინაპრებისგან გაუგონია და ჩაუწერია, რათა დავიწყებას არ მისცემოდა:

«Σάντα, Σάντα, Σαντα, Σαντα καὶ τεμόν ἢ πατρίδα,

(სანდა, სანდა, სანდა, სანდა, სამშობლოა იგი ჩემი,)

Ἐντονα τόσα χρονῶν, καλήν ἡμέραν κ' εἶδα.

(ამდენი წლის გავხდი, თუმცა არ მეღირსა კარგნი დღენი.)

Σαντέτες σκύλ' σιός εἶμαι, κανέναν κι φοοῦμαι.

(სანდელი მეომარი (აქ- ძაღლისშობილი) ვარ, არ ვუშინდები არავის,)

Σὴ Σουμελά σὴ Πάναγιά θὰ πάω στεφανοῦμαι».

⁹⁴ მოქმელი ვ. გრამატოპულო - გორდუზიანი, პირადი არქივიდან, გვ. 27.

(ღვთისმშობელ სუმელას ტაძარში უნდა დავიწერო ჯვარი).⁹⁵

მიუხედავად იმისა, რომ სიმღერებს ხშირად დღესასწაულებზე მღეროდნენ, ისინი სევდიანი შინაარსის იყო; სამშობლოდან გადახვეწა, გადასახლება, უცხოობა იმ თემათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც დიდი ყურადღება ექცეოდა პონტოელ ბერძენთა ყოველდღიურ ყოფაში და შესაბამისად - ხალხურ სიმღერებში:

«Ἀπὲς τὸ τρίνο κάθουµε ντὸ πάει σὴ ξενιτεῖαν

(მატარებელში ვზივარ, უცხოობაში მივდივარ,)

καὶ κλέγω µὲ µαύρα δακρυὰ χარὶς παρηγορία.

(ნუგეში არ გამაჩნია, შავი ცრემლებით ვტირივარ.)

Πουλόπο µ' , κ' ενεσπάλα σὲ κ' ἐγὼ σὴ ξενιτεῖαν,

(შვილო, არ დამვიწყებინარ უცხოობაში ყოფნის დროს,)

Θὰ ἀφήνω σὰς καὶ πάω , θὰ καεὶ ἡ καρδία.

(დაიწვება ჩემი გული, გტოვებთ, წავალ სამუდამოდ.)

Ἡ ξενιτεῖαν καὶ ὁ θάνατος τὰ δύο ἕναν εἶναι,

(სიშორე და სიკვდილი ორთავე ერთნაირია,)

Ἐζάξα καὶ τέρεσα , ξενιτεῖαν βαρὶν ἔν.

(ავწონ-დავწონე და ვნახე, სიშორე უფრო მძიმეა).⁹⁶

სიბერე, სიკვდილის მოახლოება და ადამიანის ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი სხვა თემაა განვრცობილი ასობით ასეთ ხალხურ სიმღერაში, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცეს ბერძენმა ემიგრანტებმა. ნ. მაზმანიდისის საოჯახო არქივში ბევრი ასეთი სიმღერის იშვიათ ნიმუშებს ვხვდებით:

⁹⁵ მთქმელი ნ. მაზმანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 78.

⁹⁶ მთქმელი ვ. გრამატოპულო - გორდეზიანი, პირადი არქივიდან, გვ. 27-28.

«Πουλόπο μ' κεν ἐρώστησα, ἐγὼ θὰ ἀποθάνω ,

(ავად გავხდი, მალე წავალ საიქიოს, შვილო,)

Θὰ τρῶει μὲ τ' ἔρημον τὸ χῶμα καὶ λέγω θὰ γλητῶνα.

(შემჭამს შავი მიწა და ვამბობ: დავისვენებო.)

Πηδιαβαίνω τὰ ραχχία καὶ ἄλλα τὰ χარία,

(უნდა მოვიარო მთები, მოვინახულო სოფლები,)

σήμερα ἀποχορίζουμαι ἄσεμὰ τὰ αὐλία .

(დღეს ჩემს საყვარელ ეზო-კარს დავემშვიდობები.)

Πηδιαβαίνω τὸ σπιτί μ' καὶ τεμά τὰ αὐλία,

(მოვივლი ჩემს სახლს, ჩემს კარ-მიდამოს,)

Σήμερα ἀποχωρίζουμαι ἄσεμὰ τὰ κλαδία!»⁹⁷

(დღეს სამუდამოდ ვტოვებ ჩემს შთამომავლებს!) ⁹⁸ და ა.შ.

პონტოელ ბერძენთა მრავალი ხალხური სიმღერა ეხება სიყვარულის თემას, რომლებშიც სატრფოსთან განშორებით გამოწვეული ტკივილი თუ სიხარულია ნაჩვენები. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ ჩვენ მიერ ჩაწერილ რამდენიმე ნიმუშს:

«Μὲ τὸ νὰ εἶμαι φτωχός, μὲ τὸ νὰ ἔχω βίον,

(მერე რა, რომ დარიბი ვარ და რომ საყოლი არ მყავს,)

ἐγὼ εἶσέν θὰ ἔχω σὲ ἄσον κύρη-σ- καλίον.

(მე შენ მეყოლები მამაშენზე უფრო კარგად.)

⁹⁷ «Τὰ κλαδία» - ხის ტოტებს ნიშნავს, აქ იგულისხმება შთამომავლები.

⁹⁸ მოქმელი ნ. მაზმანიდიისი, პირადი არქივიდან, გვ. 78-79.

Τὸ σεβνταλιν τὸν ἄνθρωπο μὴ λέτε καλημέρα,

(დილა მშვიდობისას ნუ ეტყვიტ შეყვარებულ ადამიანს,)

ἀπόρ κί ξερ' πότε νυχτῶν καί πότε ἔν ημέρα.

(მან არ იცის, როდის ღამდება და როდის არის დილა.)

Ποίον ποτάμ κὲ θόλωσεν καί ποίον κὲ κατένζεν,

(რომელი მდინარე არ აიძვრა და არ გაიწმინდა?)

Ποίον ἔμορφον κορτσόπον παλικάρια κί κλαίνζεν».

(რომელი ლამაზი გოგონას გამო ვაჟი არ ატირდა?)⁹⁹ და სხვა.

პონტოელ ბერძენთა ხალხურმა ლექს-სიმღერებმა, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცეს მათმა წინაპრებმა, ღირსეულად გაუძლო დროის დინებას და ნათლად ასახა წარსულის ტრადიციების, რიტუალებისა და თანამედროვე ყოფის სინთეზი. ხალხური ლექს-სიმღერები, როგორც ტრადიციული კულტურის შემადგენელი ნაწილი, პონტოელ ბერძენთა ყოველდღიურ ცხოვრებას დღესაც ამრავალფეროვნებს და ჭირსა თუ ლხინში საკუთარ ფესვებსა და წარსულს ახსენებს.

⁹⁹ მთქმელი ნ. მაზმანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 79.

თავი III

საწესჩვეულებო-კალენდარული და რელიგიური ფოლკლორი

3.1. წელიწადის დროები

წელიწადი პონტოელ ბერძენთა დიალექტში გამოიხატება ტერმინებით «Ἔτος» („ეტოს“) და «Χρόνος» („ხრონოს“) და ორივე მათგანის გამოყენება კონკრეტულ შემთხვევებს უკავშირდება: სურვილის გამოსათქმელად ან დასალოცად პონტოელი ბერძენები ძირითადად მიმართავდნენ ტერმინს «Ἔτος», რაც კარგად ჩანს გამონათქვამებში: «Πολλά τὰ ἔτη!» („პოლლა ტა ეტი“) და «Εἰς ἔτη πολλά!» („ის ეტი პოლლა“). ორივე ზემოთ მოყვანილ ფრაზაში ერთი აზრია გატარებული: „მრავალი წელი!“ იგივე შემთხვევაში შესაძლებელია წელიწადის აღმნიშვნელი მეორე სიტყვის, «Χρόνος» გამოყენებაც და გამონათქვამი «Σ’ πολλά χρόνια!» („ს პოლლა ხრონუს“) - ამის ნათელ დასტურს წარმოადგენს. თუმცა, ტერმინს «Χρόνος» ზოგან დროის ან ხანგრძლივი პერიოდის აღსანიშნავადაც იყენებდნენ, ისევე როგორც ქვემოთ მოყვანილ გამონათქვამში: «Ἡμέρα χρόνια» („იმერა ხრონოს“ - „დღე წელიწადი“) ანუ „დღე წელიწადით გაიწელო“ (Γαλανίδης..., 1999: 17-19).

აჭარაში გადმოსახლებული პონტოელი ბერძენები დღევანდელი სურვილის გამოსახატავად იყენებდნენ ფრაზას «Πολλά χρόνια καὶ καλά! », რაც ითარგმნებოდა, როგორც „მრავალი და კარგი წელი!“, თუმცა არსებობდა გამონათქვამიც: «Ὀλίγα χρόνια καὶ καλά!» („ცოტა და კარგი წელი!“)¹⁰⁰ ანუ ამის მთქმელს მიაჩნდა, რომ უმჯობესია, ცოტა იცოცხლო, მაგრამ კარგად, ვიდრე - იტანჯო დიდხანსო. ცხადია, ორივე გამონათქვამში ჩაქსოვილია ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე სიბრძნე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინს «Χρόνος» ელინოფონი ბერძენები ყოველდღიურ ცხოვრებაში დროის აღსანიშნავადაც იყენებდნენ, რასაც ცხადყოფს შემდეგი ფრაზები:

- «Ἀτάρὰ ξὰ κ’ ἔχῃ χρόνια» („ახლა სულ არ მაქვს დრო“);

¹⁰⁰ მთქმელი ი. სავვიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 46.

- «Ἐπορείς καὶ ἐβραίᾳ ἔ ὀλίγον χρόνον γιὰ τ' ἐμὲν;» („შეგიძლია ჩემთვის ცოტა დრო გამონახო?“)¹⁰¹ და ა.შ. ამასთან, იგივე გამონათქვამებში არ გამოირიცხებოდა დროის აღმნიშვნელი სხვა სიტყვის «κακόν» („კერონ“) გამოყენება.

პონტოელ ბერძენთა მიერ ცხოვრების ფილოსოფიური აღქმა და მათი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხთან კარგად წარმოჩნდა ყოველდღიურ მეტყველებაში გავრცელებულ ბრძნულ პარემიებში. ამ მხრივ გამონაკლისს არც წელიწადთან დაკავშირებული ანდაზები წარმოადგენს. პირიქით, ისინი განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევიან:

- «Τὰ χρόνια ἔρχονται καὶ διαβαίν'νε » („წლები მოდიან და მიდიან“);
- «Ὁ Κακὸν ὁ χρόνος διαβαίν καὶ ὁ κακὸν ἄνθρωπον ἔκι διαβαίν» („ცუდი წელიწადი წავა, ცუდი ადამიანი კი - არა“, ანუ „წელიწადი შეიცვლება და ადამიანი - არაო“);
- «Ὡρα ντ ὁ φερ' ὁ χρόνος ἔκι φέρ ἀπό» („დროს რაც მოაქვს, ის წელიწადს არ მოაქვსო“);
- «Ὁ μορφομένον ὁ ἄρθραπον ντὸ ἔφταί ἕναν ἡμέρα, ὁ παλλαλὸν κὶ πορεὶ νὰ φτάει ὄλον τὸ χρόνο» (Αθανασιάδης, 1970: 106-113) („განათლებული რასაც აკეთებს ერთ დღეში, სულელი ერთ წელიწადშიც ვერ გაართობს თავსო“) და სხვა.

პონტოურ ფოლკლორში წელიწადსა და მის ოთხ დროსთან დაკავშირებით, გვხვდება გამოცანები, რომლებიც, ამდიდრებენ და ავსებენ ამ თემის ირგვლივ არსებულ ფოლკლორულ მასალას. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- «Ποῖος ἔν ὁ γέρον μὲ τὰ δώδεκα παιδία;» („ვინ არის მოხუცი, რომელსაც თორმეტი შვილი ჰყავს?“) პასუხია წელიწადი 12 თვით;
- «Ἔχω ἕναν δέντρον, ἔχχ δώδεκα κλαδία, καὶ ἐκεῖνα τὰ δώδεκα κλαδία ἔχ'νε ἀπό τέσσερα φύλλα» (Γαλανίδου..., 1999: 17-18).

(„ერთი ხე მაქვს, მას თორმეტი ტოტი გააჩნია და იმ თორმეტ ტოტსაც ოთხ-ოთხი ფოთოლი ასხია“) აქაც მოაზრებულია წელიწადი 12 თვით და 4 კვირით.

¹⁰¹ მოქმედი ი. სავვიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 46.

მოცემულ თემაზე საუბრისას ბევრი პარალელის გავლებაა შესაძლებელი ქართულ ფოლკლორთან, სადაც წელიწადის დროები წარმოდგენილია ალვის ხის ტოტებად („ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი აზია, სცვივა და სცვივა ფოთოლი, ისევ იმდენი ასხია“) ანდა განსხვავებული გარეგნობის მქონე ოთხი ვაჟკაცის სახით. ასევე, მათი მოსავლიანობიდან გამომდინარე შედარებულია ლითონებთან (ოქრო, ვერცხლი, რკინა,) და ა.შ.

წელიწადის დროებს ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ექცეოდა ყურადღება: პლუტარქეს მიხედვით, პაფლაგონიელებს მიაჩნდათ, რომ ღმერთი ზამთარში შებორკილი და დატყვევებული იყო, ხოლო გაზაფხულზე თავისუფლდებოდა ბორკილებიდან. ასევე იყო მიჯაჭვული ამირანიც, რომელიც ყოველ გაზაფხულს ამსხვრევდა ბორკილებს და გაღვიძებულ ბუნებასთან ამოდიოდა ზესკნელში (გიორგაძე, 1993: 83). ეს ყოველივე კი მომაკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვთაებათა შესახებ არსებული არქაული რწმენა-წარმოდგენებიდან და მათთან დაკავშირებული მითოსიდან იღებს სათავეს.

პონტოელ ბერძნებს წელიწადის თითოეულ დროსთან განსხვავებული ადათები აკავშირებდათ, რომლებიც, რა თქმა უნდა, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იცვლიდნენ სახეს: სოფლად მცხოვრებნი ადათების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ და ხშირ შემთხვევაში მათი შესრულების მიმართ მეტ სიზუსტეს იჩენდნენ, მაგრამ, საერთო ჯამში, ყველას ახასიათებდა ადათების შენარჩუნების და გადაცემის დიდი სურვილი და მონდომება.

რაც შეეხება წელიწადის დროების სახელწოდებებს, აქაც ვხვდებით გარკვეულ განმასხვავებელ ნიუანსებს, რომლებიც თავს იჩენენ არამხოლოდ თანამედროვე ბერძნულ ენასთან მიმართებაში, არამედ განსხვავდებიან პონტოელ ბერძენთა ფოლკლორულ მასალებში დაფიქსირებული სხვა სახელწოდებებისგან და მათ თითოეულ წელიწადის დროზე საუბრისას განვიხილავთ.

თანამედროვე ბერძნულში **გაზაფხული** აღინიშნება ტერმინით «Ανοιξη» („ანიქსი“) და პონტოურ დიალექტში წელიწადის ეს დრო იგივე სიტყვით «Ανοιξη» („ანიქსი“) გამოიხატება.

აჭარაში მცხოვრებ ელინოფონ ბერძენთა მეტყველებაში გაზაფხული ზემოთ ხსენებულ გავრცელებულ ტერმინზე უფრო ხშირად მოიხსენიება, როგორც «Πρωτάνοιξη» („პროტანიქსი“), „პირველი გაზაფხული“ და ამ სახელწოდების არსებობას იმით ხსნიან, რომ ჯერ „პირველი გაზაფხული“ დგება და შემდეგ მათი „გაზაფხული“ - «Άνοιξη» ანუ ზაფხული, მაშინ როცა პონტოში ტერმინს „პირველი გაზაფხული“ - «Πρώτη Άνοιξη» გაზაფხულის დასაწყისის აღსანიშნავად იყენებდნენ.

გაზაფხულის დადგომის მომასწავებელი ფრაზები ძალზე პოპულარული ყოფილა პონტოს სხვადასხვა რეგიონში;

- ამისოელ ბერძნებში შემორჩენილია ანდაზა: «Μὲ τ'έναν τὸ ισοὲν ἄνοιξη' κ'έρται» („ერთი შხაპუნა წვიმით გაზაფხული არ დგება“);
- ქალდიას მაცხოვრებელთა შორის კი გავრცელებული იყო პარემია: «Ἄν 'κὶ ροὺς τῆ Λαμπρῆς τ'αβίου τὸ τζέπλον σὶν γην, ἄνοιξη 'κ' ἔρται» („სანამ სააღდგომო კვერცხის ნაჭუჭი მიწაზე არ დაეცემა, გაზაფხული არ მოვა“).

ასევე, გაზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით, პონტოში იტყოდნენ ანდაზას: «Μὲ τ'έναν ἄθ' ἄνοιξη 'κ' ἔρται» (Γαλανίδου..., 1999: 21-22) („ერთი ყვავილით გაზაფხული არ მოდის“) და სხვა.

აჭარის რეგიონში დასახლებულ ბერძენთა შორის გაზაფხულზე მიღებული ყოფილა შემდეგი პონტოური ანდაზების გამოყენება:

- «Με τ'έναν πούλι κελᾶδεμαν ἄνοιξη ἄμάν κ'έρται» („ერთი ჩიტის ჭიკჭიკით გაზაფხული არ მოდის“);
- «Έναν πούλι νὰ κελᾶδεί, ἄνοιξη κ' ἔρται»¹⁰² („ერთი ჩიტი თუ ჭიკჭიკებს, გაზაფხული არ მოვა“).

აჭარაში გავრცელებული ზემოთ ხსენებული პონტოური ანდაზები შესატყვისია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი ანდაზისა „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“. პირველ პონტოურ ანდაზას

¹⁰² მოქმედი მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 61.

მცირეოდენი სახეცვლილებითაც ამბობდნენ: კერძოდ, შესაძლებელი იყო, ზმნა „ჭიკჭიკის“, «κελάθημα» („კელაიდემან“) „ფრთების ფრთხილით“, «χάιδμα» („ხაიდემან“-)ით ჩანაცვლება და ამგვარად, ეს ანდაზა შემდეგნაირად წარმოითქმებოდა: «Μὲ τ'ἔναν πούλι χάιδμα Πρωτάνοιξη κ'έρται» - „ერთი ჩიტის ფრთების ფრთხილით გაზაფხული არ დგებაო“.¹⁰³

საგულისხმოა, რომ მერცხლის გამოჩენასთან გაზაფხულის დადგომის დაკავშირება და ზემოთ მოყვანილი ანდაზაც ჯერ კიდევ ჩვ.წ.ალ-მდე მე-6 საუკუნის ანტიკურ ვაზაზეა გამოხატული, რომლის ავტორი ცნობილი ბერძენი მხატვარი და მოქანდაკე, ევფრონიოსია.¹⁰⁴

მერცხალს უკავშირდება ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთიდან ცნობილი, ე.წ. „chelidonisma („ხელიდონისმა“) ანუ „მერცხლის სიმღერების“ ტრადიცია, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: მახარობლები ბუნების გამოღვიძების ემბლემით - გაზაფხულის მახარობელი ჩიტების (ძირითადად მერცხლების) ფიგურებით - ჩამოვილიდნენ კარდაკარ და ოჯახებში შესატყვის სიმღერებს მღეროდნენ. „ხელიდონისმების“ ტრადიცია პონტოშიც ყოფილა ცნობილი, სიმღერის ტექსტები კი განსხვავდებოდა რეგიონების მიხედვით (Γαλανδου..., 1999: 23-25).

„მერცხლის სიმღერები“ დიდ მსგავსებას ავლენდნენ ქართული კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშებთან როგორც შინაარსობრივად, ასევე - პოეტური მოტივების მხრივ. იგივე შეიძლება ვთქვათ ანტიკურ საბერძნეთში ნაყოფიერების კულტებისადმი მიძღვნილ საშემოდგომო და საგაზაფხულო დღესასწაულებზე შესრულებულ ე.წ. „eiresione“ - „ირესიონეს“ შესახებ. „ირესიონე“ ჰომეროსს მოუხსენებია, როგორც „მოხეტიალე მთხოვნელთა სიმღერა“, ხოლო პლუტარქეს - როგორც რიტუალური სიმღერა, რომლის მოტივებია საჩუქრის გამოთხოვა, მასპინძლის შექება, დალოცვა, მუქარა (სიმუნწის გამოჩენის შემთხვევაში) და სხვა.

¹⁰³ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 61.

¹⁰⁴ აღნიშნულ ვაზაზე წარმოდგენილია დიალოგი სამ მამაკაცს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი ამბობს: «Δείτε ένα χελιδόνι» („ნახეთ, ერთი მერცხალი!“), ახალგაზრდა ადასტურებს: «Νάτοι!» („აი, აქ არის!“), ხოლო ხანშიშესული მამაკაცი გაიძახის: «Μα τον Ηρακλή, έφτασε η άνοιξη!» („ვფიცავ ჰერაკლეს, გაზაფხული მოვიდა!“)

საყურადღებოა, რომ „ირესიონეს“ ტრადიცია დიდ მსგავსებას ავლენს ქართულ ჩიჩილაკთან, გვერგვთან (კალპი) (გიორგაძე, 1993: 17).

საყურადღებოა პონტოელი ბერძნების ანდაზა იმის თაობაზე, თუ რაზეა მეტი მოთხოვნილება გაზაფხულზე და რაზე - ზამთარში: «Ἄνοιξη πουςεῖ τὰ μῆλα κὶ ὁ χειμῶν κὶ τὰ ξύλα» (Γαλανίδου..., 1999: 22) („გაზაფხული ვაშლებს ყიდის და ზამთარი – შეშას“) ანუ გაზაფხულზე ვაშლებს აქვთ გასავალი, ზამთარში კი - შეშასო.

ტრაპიზონთან ახლომდებარე რეგიონიდან - სანდიდან მიგრირებული პონტოელი ბერძნები (რომელთა დიდი ნაწილი სწორედ აჭარაში დაფუძნდა) თავისებურად აღიქვამდნენ გაზაფხულის მოსვლას და რწმენა - «Ἄν τὴν πρώτην ἄνοιξιν δεῖς πεταλούδας νὰ πετοῦν πρὸς τὰ επάνω, καλὰ θὰ πάει ἡ δουλειὰ σοῦ» (Γαλανίδου..., 1999: 22), („თუ გაზაფხულზე პეპლები მაღლა - მაღლა დაფრინავენ, საქმეები კარგად წავაო“) - სწორედ ამაზე მიგვანიშნებს.

გაზაფხულზე ხვნა-თესვის დასაწყებად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთვარის მდგომარეობას. მიიჩნეოდა, რომ სავსე მთვარის გამოჩენა დასათესად საუკეთესო პერიოდი იყო. ამას ადასტურებს რწმენა თესვის ოპტიმალური დროის თაობაზე: «Ὁ φέγγον ἄμα κὶ θὰ χοντρεῖν, κὶ θὰ γεμίῃ, κὶ θὰ σπείρει» („მთვარე თუ არ გადიდდა, არ შეივსო, არ დათესო“) ¹⁰⁵ და ა.შ.

ქართველთა წინაპრებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ მთვარის ფაზების ცვლას და მას სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოების (ხვნა-თესვის, ხის მოჭრის, გასხვლის) ან საოჯახო საქმეების დაწყებას უკავშირებდნენ.

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი უკავშირდება გაზაფხულის მოსვლას. აჭარაში დაბადებული და გაზრდილი, ვ. მავროპულო - კურტიდის თქმით, სოფელ კვირიკეში ამბობდნენ: „გაზაფხულზე, ვიდრე გუგულის ხმას გაიგონებ, უნდა ადგე დილით, ხელ-პირი დაიბანო, შექამო ერთი-ორი ლუკმა (რაიმე მაინც) და შემდეგ გაიგონო გუგულის ხმა, რომ ის „დაამარცხოო“.. თუ არ ადექი, ხელ-პირი არ დაიბანე,

¹⁰⁵ მოქმედი ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 22.

არც შეჭამე და ისე გაიგონე მისი ხმა, ის დაგამარცხებს და მთელი წელი არ იქნება კარგის მომტანი შენთვისო (ჯანმრთელობაზე იმოქმედებსო“).¹⁰⁶

იგივე შეხედულება ყოფილა გავრცელებული ქართველებთანაც გადამფრენ ფრინველებთან დაკავშირებით: მიაჩნდათ, რომ ფრინველებს თან მოჰქონდათ დაავადებები, რომელთაგან თავის დასაცავად აუცილებელი იყო საგანგებოდ მომზადება, დილით დანაყრებული ადგომა, რათა მძლევარი ფრინველის გამოჩენისას მოსავლიანობა და ჯანმრთელობა დაბედებოდათ.

ქართველები ძველად მერცხლის შელოცვასაც ამბობდნენ; ფეხზე დადგებოდნენ და მერცხლის „ძლევის“ მაგიურ ტექსტს რამდენჯერმე იმეორებდნენ:

„მერცხალო, მერცხალო, სხვაში არ გამცვალო,

რას დამჭიკჭიკებ, ყური დაუგდე,

ის ფეხზე არის და ვერ მოუგებ!“ (გიორგაძე, 1993: 60-61).

თუმცა, გაზაფხულის ფრინველთა დაძლევის რწმენა პონტოელი ბერძნების მსგავსად, ქართველებთანაც ყველაზე მეტად გუგულის სახელს უკავშირდებოდა. ხალხის რწმენით, გუგული თუ აჯობებდა, დაძლევდა მათ, მოსავალი გაუფუჭდებოდათ, ამიტომ უნდა დაესწროთ მისთვის დამახეხა. ეს აზრია გატარებული შემდეგ სტრიქონებში:

„მაშინ დამძახე, გუგულო,

მუშა რომ დავაგუგუნო,

გვერთ მოვიდგა ტიკით ღვინო,

კულა რომ დავარუკრუკო“ (გიორგაძე, 1993: 61).

¹⁰⁶ «Πρωτόνοστιον πρὶν νὰ ἀκούσῃ τὴν κούκονος τὴν λαλίαν, πρῶτὸν νὰ σκούσῃ, νίφκεσαι, ἀτρώς ἕναν βούκκα (κατ' ἀτρώς ὀλίγον) κ' ἐπεκεῖ ἀκούσῃ τὴν λαλίαν ἀτ', νὰ νικάς ἀτόν ἐσὺ καὶ ἐσὺ ἂν κὶ σκῶθες, νὲ ἐνύφκες, νὲ ἔφαες καὶ κούξεν(ἐκσες ἀτόν), ἐκεῖνος νικά σὲ καὶ τίამ κὶ θὰ πάει καλὰ ὁ χρῶνος», - მთქმელი - ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 22.

აჭარის სოფლებში საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით სრული წარმოდგენის შექმნაში დაგვეხმარება შემდეგი მონათხრობიც: „გაზაფხულზე ასუფთავებდნენ ნიადაგს, ხეებს უვარგის, ძველ ტოტებს აჭრიდნენ და აგროვებდნენ ერთ ადგილას, შემდეგ კი წვავდნენ. ამასთან, ჩაის კრიჭავდენს, ბარავდენს და აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში, იწყებდნენ კრეფას. ბარავდენს მანდარინსაც, შემდეგ ნელ-ნელა სასუქს უყრიდნენ და აპრილში იწყებდნენ ლობიოს, სიმინდის, სხვადასხვა ბოსტნეულის თესვას.... გოგრასაც აპრილში თესავდნენ, კარტოფილს კი უფრო ადრე, მარტში (თუკი თოვლი არ იდო); თოვლი როცაა, არ შეგიძლია დათესვა!“¹⁰⁷

გაზაფხულზე, ბუნების გაღვიძებასთან ერთად, ხალხში შინაგანი გრძნობები იღვიძებდა და თანდათან მათი გამჟღავნების სურვილიც მატულობდა, რაც კარგად ჩანს სატრფიალო ლირიკაში:

„Ἐρθεν ἀρνόπο μ’ ἄνοιξη, ἐξέβαν τὰ δουλεία“

(გაზაფხულდა, ჩემო ბატკანო, სამუშაოები დაიწყო,)

Ἄν 'κὶ προφτάντς ν'εὐτάς ἀτά, ἀς βοηθάσ' ἡ θείασ'» (Γαλανίδου..., 1999: 28)

(თუ ვერ ასწრებ, დაიხმარე დეიდა).¹⁰⁸

მსგავსი გრძნობებითაა გამსჭვალული ზაფხულის მოსვლის მომასწავებელი შემდეგი სიმღერის ნაწყვეტიც:

«Ἀρνί μ'¹⁰⁹ ἔρθεν ὁ καλοκαίρτς, πῶς θὰ καλολαιρίζω,

¹⁰⁷ Τὴν πρωτάνοιξην ἐπάστρευαν τὸ μέρος, μαζεύανε τὰ παλιά τὰ ξύλα, ἔκοφταν ἀτά ἀσὰ δέντρα, καθάριζαν ἀτά, κουμουλιάζανε σ'έναν τόπον καὶ ἔκαιγαν ἀτά...Ἀκόμα, κούρευαν τὸ τσάι, ἐνοίαζαν ἀτό, κ'επεκεί μάζευαν ἀτό τέλη Ἀπριλίου μὲ ἀρχὴ Μαΐου. Ἐπελιάευαν τὰ μανταρίνας, ἐπεκεί σιγά-σιγά ἐνίαζαν ἀτά καὶ ἐρχίναναν καὶ φύτευαν μπαχτσέδες καὶ ἴτενα (φασούλια, τσουπάδια, διάφορα λαχανικά) τὸν Ἀπρίλιο. Καστανίτσας πὰ ἐφύτευαν τὸν Ἀπρίλιο...Καρτόφια ἐφύτευαν πῖο νωρίς, τὸν Μάρτιο, ἂν κ'εἶναι τὰ χχίονια...Ὄνταν ἔν χχίονια, κι πορεῖς νὰ φυτέυς, - მთქმელი - ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 22-23.

¹⁰⁸ ტერმინს «ἡ θεία» გამოიყენებდნენ არამხოლოდ დეიდის, მამიდის, ბიცოლის, არამედ ზოდად, ნაცნობი ქალბატონის აღსანიშნავადაც (განსაკუთრებით ხშირი იყო ამ სიტყვის გამოყენება მიმართვაში: *θείა!*- დეიდა! ანუ *ქალბატონო!*)

¹⁰⁹ მიმართვის ფორმები: «Ἀρνόπο μ'», «Ἀρνί μ'» სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ჩემო ბატკანო“. აქ გამოიყენება საყვარელ ადამიანთან მიმართვაში, როგორც „საყვარელო!“

(ტურფავ, მოვიდა ზაფხული, როგორ გამოვიზაფხულო?)

ἢ σεβντά σ' ἐν πολλά τρανόν καὶ πῶς θὰ ταεινίζω» (Γαλανίδου..., 1999: 148).

(შენდამი სიყვარული დიდია და როგორ მოვითმინო!)

ზაფხულს პონტოურ დიალექტში თანამედროვე ბერძნულის «Καλοκαίρι» („კალოკერი“) მსგავსი ტერმინით «Καλοκαίρτζ» („კალოკერჯ“) მოიხსენიებდნენ. სიტყვა «Καλοκαίρτζ» „კარგ დროს“ ნიშნავს და, როგორც ჩანს, პონტოში ეს სახელწოდება ზაფხულისთვის ჩვეულ კარგ ამინდიანობას დაუკავშირეს. პონტოს სხვადასხვა რეგიონის მაცხოვრებლებისთვის ზაფხულის სახელწოდება ოდნავ განსხვავებული იყო: «Καλοκαίρης» („კალოკერის“), «Καλοκαίρτζ» („კალოკერჯ“), «Καλοκαίρ'ჯ» („კალოკერს“), «Καλοκαίριν» („კალოკერინ“) ან «Καλοκαίρ» (Γαλανίδου..., 1999:147), („კალოკერ“) და სხვა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარაში მიგრირებულმა ბერძნებმა არ გაითავისეს ეს ტერმინი და ზაფხულს «Άνοιξην» („ანიქსი“) ანუ ბერძნული გაზაფხული-ს შესატყვისი ტერმინი დაარქვეს.

სწორედ ზაფხულისთვის ჩვეულ კარგ ამინდიანობასა და სიცხეზეა საუბარი ხალხური სიმღერის ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებში:

«Ἀρ' ἔρθεν καὶ ὁ καλοκαίρτζ, τὰ ζεστά τὰ ημέρας,

(აი, მოვიდა ზაფხულიც თავისი ცხელი დღეებით,)

Ἄ ὄσ' ὑπ' ἄν' ἔν κατενός, λίβρα πουδέν 'κι φαίν'ταν,

(გადაიწმიდა ცა და ღრუბლების კვალიც გამქრალა,)

ὁ ἦλεν πάει μεσουρανοῦ, καὶ κατακαίει τὸν κόσμον» (Γαλανίδου..., 1999: 158)

(მზე შუაგულ ცაზე ასულა და გადაუწვავს სამყარო).

ზაფხულის მოახლოება აჭარის მოსახლეობისთვის ჩაის პლანტაციებში სამუშაოების დაწყების ნიშანი იყო. ამ საკმაოდ რთული საქმის შესრულება სავალდებულო იყო ყველასთვის, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და ოჯახური მდგომარეობისა. აი, როგორ აღწერს ამ მოვლენას ერთ-ერთი მთქმელი: „ჩაის კრეფა

ყველას ევალეზოდა: უფროსებს, პატარებს, ბავშვებს... ჩაი მოჰყავდათ სოფლებში ახალშენი, კვირიკე, დაგვა, აჭყვა, ჩაქვი, ცეცხლაური, ოჩხამური... ჩვენები (პონტოელი ბერძნები) ყველა ამ სოფელში კრეფდნენ ჩაის“.¹¹⁰

გაზაფხულის მიწურულს ან ზაფხულში, გვალვიანობის დროს, პონტოელი ბერძნები ატარებდნენ რიტუალს, რომელიც რამდენიმე მსგავსი სახელწოდებით იყო ცნობილი: «Κουσκουκίσρα» („კუსკუკურა“), «Κουσκουτζისრა» („კუსკუძურა“), «Χουσκουκίσρα» („ხუსკუკურა“) ან «Κουσκουβάρρα» („კუსკუვარა“).

აჭარაში განსახლებულ ბერძენთა შორის ეს რიტუალი ცნობილი იყო, როგორც «Κουτჯουტჯისრა» („კუძკუძურა“) და შემდეგნაირად ტარდებოდა: წვიმას მონატრებული პონტოელი ბერძნები იღებდნენ ცოცხებს, უკეთებდნენ ხის ხელებს და ფეხებს, აცვამდნენ ადამიანის ტანსაცმელს, ჩამოატარებდნენ სოფლებში და დიასახლისები, რომლებიც წყალს აკურებდნენ, ვალდებული იყვნენ, წყალობა გაეღოთ. პონტოში წვიმის გამოსაწვევად ორ პატარა, მონძებში გადაცმულ, გოგონას ჩამოატარებდნენ ოჯახებში. ამის შემდეგ, დაცდილი ჰქონდათ, რომ ცა მოიღრუბლებოდა და გაწვიმდებოდა.

საქართველოშიც გავრცელებული ყოფილა წვიმის გამოწვევის მიზნით ქალის გაწეწვის ჩვეულება: სამეგრელოში იგი „ძიძავას“ სახელწოდებით იყო ცნობილი. აჭარაში დედოფალას (ე.წ. ქეფჩა-ხათუნს) ჩამოატარებდნენ „კვამლი-კვამლ“ და წვიმას იწვევდნენ სიმღერით:

„მოსავალი ბევრი გვინდა,

ამ დედოფალს წვიმა უნდა,

ღმერთო, წვიმა მოგვეცი!“ (გიორგაძე, 1993: 41).

საქართველოში გავრცელებული „დედოფლობა“, იგივე „გონჯაობა“ უთუოდ ჰგავს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებულ „წვიმის გოგონასთან“

¹¹⁰ «Χαρίς τσάι κι ἀφήγνανε μὰς. Μεγάλα, μικρά, μωρά, ὄλ, ὄλ ἐσέρεβαμε τσάια...Τὸ τσάι εἶχανε σὰ χωρία Ἀχαλσόν, Κούρικα, Τάκοβα, Ἄτσκοβα, σὸν Τσάκον, σὸ Τσετσχλαούρ, σὸ Ὀτσαμούρ...Οἱ τεμετέρ σ'ἔλα τὰ χωρία ἐσέρευαν ἀτό», - მთქმელი - მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, გვ. 61.

დაკავშირებულ რიტუალებს. განსაკუთრებით საყურადღებოა პონტოელ ბერძენთა ე.წ. „კუბკუპურა“ - სთან საერთო ელემენტების არსებობის ფაქტი.

შემოდგომის (თანამედროვე ბერძნულში «Φθινόπωρο» - „ფთინოპორო“) -ს შესაბამის ექვივალენტს პონტოურ დიალექტში წარმოადგენს ტერმინი «Μοσθόπωρον» („მოთოპორონ“) და აჭარის მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი, სანდელი ბერძნების მსგავსად, სწორედ ამგვარად მოიხსენიებდა მას; თუმცა, აქ ვხვდებით მცირეოდენი სხვაობის მქონე სხვა ტერმინებსაც. მაგალითად: ორდუს რეგიონიდან აჭარაში მიგრირებული ბერძნები შემოდგომას ეძახდნენ «μεσθόπωρον» („მეთოპორონ“), სურმენელები კი «μεσθόπωρον» („მეთოპორონ“). ნათელია, რომ ამ ტერმინებს შორის სხვაობა არ იყო ძალიან დიდი.

შემოდგომა ხალხში ცნობილი იყო წვიმიან, უამინდო წელიწადის დროდ: «Κατάβρεχος, χονόβρεχος, πάντα κακοκαιρία» (Γαλανίδου..., 1999: 212) - „წვიმიანი, თოვლიანი, მუდამ ცუდ ამინდიანი“.

შემოდგომასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ხალხური მაგიური გამონათქვამის (დალოცვის) არსებობა, რომელიც გადმოსცემს არა მხოლოდ ხალხის დამოკიდებულებას წელიწადის ამ დროსთან, არამედ წამოჭრილია რძალ-დედამთილიანის პრობლემაც. კერძოდ, აჭარაში იტყოდნენ: «Τὴν πρωτανοιξή ὁ ἥλιος ἂν ἔν τῇ νύφει-μὲν καὶ τῇ μεσθόπωρονῇ - τῇ παιδίσ-μὲν!» („გაზაფხულის მზე ჩემი რძლისთვის ყოფილიყოს, შემოდგომისა კი - ჩემი შვილისო!“),¹¹¹ რაც პონტოელ ბერძენთა ფოლკლორულ წყაროებში განსხვავებულადაა დაფიქსირებული: «Τοῦ Μαρτί ὁ ἥλιος ἂν κάψει τῇ νύφει μὲν καὶ τ' Ἀπριλί - τῇ θαγατέρα μὲν» (Γαλανίδου..., 1999: 42) ესე იგი „მარტის მზე ჩემი რძლისთვის იყოს და აპრილისა - ჩემი ქალიშვილისთვისო!“.

შემოდგომის მოახლოება აჭარაში ასოცირდებოდა ციტრუსების სეზონის დაწყებასთან და ზაფხულში დაწყებული სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოს დასრულებასთან. სწორედ ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ეპიზოდი ვ. მავროპულოს პირადი მოგონებებიდან: „სექტემბერში იწყებდნენ ყურძნის და მანდარინის კრეფას, ამზადებდნენ ღვინოს, რახის. ყურძნის ჯიშებიდან მოჰყავდათ ადესა, იზაბელა,

¹¹¹ მთქმელი მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 62.

წვრილი ყურძენი, წითელი ყურძენი, ჩხავერი.... სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში აგროვებდნენ ჩაის ნარჩენებს, რომლისგანაც საღებავებს ამზადებდნენ“.¹¹²

საშემოდგომო სამეურნეო სამუშაოების თემას განავრცობს შემდეგი მონათხრობიც: „სკოლებიდან მივყავდით ტუნგოს და ევკალიპტის შესაგროვებლად, ტუნგოსგან ამზადებდნენ ზეთს თვითმფრინავებისთვის, ხოლო ევკალიპტის ფოთლებისგან - სხვადასხვა წამალს. აგვისტოში შეშის მომარაგებას იწყებდნენ და ნელ-ნელა ემზადებოდნენ ზამთრისთვის“.¹¹³

საშემოდგომო სამუშაოების დასრულებით ხალხი ზამთარს სრული მზადყოფნით ხვდებოდა, რაც კარგად აისახა ანდაზაში, რომელიც მშრომელი ადამიანის საქმიანობის მუდმივობაზე მიანიშნებს: «Ἀνοιξη ἐσκάλασα τὴν δουλείαν καὶ μεθοπαρὶ ἐτέλειωσα» (Γαλατῶν..., 1999: 208) („გაზაფხულზე დავიწყე მუშაობა და შემოდგომაზე დავასრულე“).

უფრო მეტიც, საშემოდგომო სამუშაოების შესრულება პონტოელი ბერძნებისთვის გარკვეულწილად მომავალი ზაფხულისთვის ნიადაგის მომზადებასაც ითვალისწინებდა. ამაზე მიუთითებს ანდაზა: «Μεθοπαρὶ ἄμα κὶ θὰ σπερτες, καλοκαιρὶ κὶ θὰ θερεῖς.» („შემოდგომაზე თუ არ დათესავ, ზაფხულში არაფერს მოიწევ“).¹¹⁴ ეს პარემია პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. აქ იგულისხმება ის, რომ საშემოდგომო სამუშაოების არშესრულება გაზაფხულზე სირთულეებს გამოიწვევს.

საქართველოს შავიზღვისპირეთში შემოდგომაზე იწყებოდა თევზჭერის სეზონი და აქ დასახლებული ბერძნები პონტოდან მოყოლებული მათი საყვარელი, ხელმისაწვდომი საკვების - ხამსას («Τὰ χαψία», ე.წ. „ხაფსიას“) დაჭერას იწყებდნენ. ხამსას, როგორც წესი, წვავდნენ («τηγάριζαν, καβούρευαν ἄτά»), თუშავდნენ («ἐβραζαν ἄτά»), მსუბუქად ამარილებდნენ («ἐποίναν ἀλίπαστα, ὀλίγον ἔλιζαν ἄτά») ან

¹¹² «Τὸν Σεπτέμβιο ἐρχίνανε νὰ μαζεύουσε σταφύλια, ἐσέρευανε μανταρίνας, ἐποίνανε κρασί, ρακίν... Ἀσὰ σταφύλια εἶχαμε Ἀντέσσα, Ἰσαμπέλα, Ψυλοστάφυλο, Κοκκινόσταφυλο, Τσχαβέρ. Σὸ τέλος Σεπτεμβρίου ἢ ἀρχὲς Ὀκτωβρίου μάζευαν Λαοτσάια καὶ ἐποίναν πογιάδες», - მთქმელი - ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 23.

¹¹³ «Ἀσὰ σχολεῖα ἐπέρνανε μὰς καὶ ἐπέγναμε σὰ τούγκος καὶ νὰ μαζεύαμε εὐκάλιπτας φύλλα. Ἐσερέβαμε τούγκο καὶ μὲ τ' ἄτὸ ἐποίνανε ἐλάδ για τὰ ἀεροπλάνα καὶ ἄσὸ εὐκαλιπτ- τὰ ἰατρικά. Τὸν Ἀύγουστον ἐποίναμε τὰ ξύλα καὶ στέρια-στέρια ἐτοίμαζαμε για τὸ Χειμωγόν», - მთქმელი - მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 62.

¹¹⁴ მთქმელი ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 23.

ამარილებდნენ მსხვილი მარილით, დაფნის ფოთოლით და ცოტა შავი პიმპილით («πάσταναν με χοντρόν ἄλας, ἐποίναν ἀτά ἀλικά, παστά, πασταμένα με τῆ δαφνῆ τὰ φύλλα καὶ ὀλίγον μαύρο πιπέρ»), რათა მთელი ზამთრის განმავლობაში უვნებლად შენახულიყო¹¹⁵).

წინაპრების მიერ დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ელინოფონი ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ შემოდგომაზე ხამსის დიდი რაოდენობით ნაპირზე გამორიყვა მძიმე ზამთრის მოახლოების ნიშანი იყო; «Οἱ Ρωμαῖοι λέγνε: Ἐντόκων ἐξ'τα χασία, ἀφέτος θὰ ἔχῃ βαρχειμωνίαν» („პონტოელი ბერძნები ამბობენ: ხამსა ბლომად თუ გამორიყა, წელს მძიმე ზამთარი იქნება“).¹¹⁶ ამიტომაც ამ ბუნებრივ მოვლენას ყურადღებას აქცევდნენ და ითვალისწინებდნენ.

იმდენად უყვარდათ ბერძნებს ხამსა, რომ ყოველდღიურ საუბარშიც კი არასახარბიელო მდგომარეობის აღსაწერად იყენებდნენ სიტყვის მასალას: «Ἀραῖκα χάλια, χασία με τὰ κεφάλια» („აი, ასეთი ცუდი ამბები, ხამსა თავისი თავებით“).¹¹⁷ უფრო მეტიც, ხამსაზე ხალხური სიმღერებიც ჰქონდათ შექმნილი, რომლებსაც ხშირად წაიმღერებდნენ ხოლმე. თვალსაჩინოებისთვის მოვიშველიებდი ორ მათგანს, სადაც კარგად აისახება ხალხის დამოკიდებულება ამ თევზის მიმართ.

ხალხური სიმღერის თანახმად, რომელიც 97 წლის ბათუმელი ქალბატონის - ა. მალკოციდის ოჯახში ჩავიწერეთ, თითქოს თავად ხამსა საუბრობს საკუთარ თავზე და თხოვს ადამიანს, დააგემოვნოს იგი :

«Για τεμένα τὸ χασί, ὄλ σκατούνται, δίν'νε ψυ,

(ჩემი, ერთი ხამსის, გამო თავს იკლავენ, სულს აძლევენ,)

Τ'απάν ι μ αστράφτ καὶ γυαλίζ, ὅποιος θελ, ας παρ, αλίζ.

(გარედან ვბზინავ, ვლაპლაპებ, თუ გსურთ, დამამარილეთ.)

Βάλτε με ἀπέξ σὸ πιθάρ καὶ φέρτε μεσ' ένα παρχάρ,

¹¹⁵ მთქმელი ნ. ჩილიკიდი, პირადი არქივიდან, გვ. 73.

¹¹⁶ იგივე, გვ. 73.

¹¹⁷ იქვე, გვ. 73.

(ჩამდეთ თიხის ქოთანში და წამილეთ მალლა მთაში,)

Κάθκα αφκά σ' ένα δέντρο, ὅπου ἔν κρύον νερόν,

(დაჯექი ხის ძირას, სადაც ცივი წყალი მოჩხრიალებს,)

Τσάχνικσον καὶ φάε μὲ , καὶ σῦρον ἔσῦ τὸ κεφ!»

(გამარჩიე, შემჭამე და სიამოვნება მიიღე!)¹¹⁸

რაც შეეხება მეორე, უფრო ფართოდ გავრცელებულ სიმღერას, მისი მისამღერი დღესდღეობითაც ხამსის ერთგვარ ხოტბას წარმოადგენს:

«Χαψία, χαψία, φατέστεν σκύλ' παιδία

(მიირთვით თქვენ, მამაძაღლებო, ხამსია, ხამსია,)

καὶ ντ' ἔμορφα μαιρεῦ' ἀτά ἡ θεία μ' ἡ Εὐδοξία!

(ოჰ, რა კარგად ამზადებს დეიდაჩემი ევდოქსია!)

Τραπεζουνταίοι, Κερασουνταίοι ὄλ' παίρνε, τηγανίζνε.,

(ტრაპიზონის, გირესუნის მკვიდრნი, ყველანი წვავენ ტაფაზე,)

Τ'εμέτερον οἱ Σουρμενίτ' μὲ τὰ πατμάνια ἀλίζ'νε».

(ჩვენი სურმენელები კი მას სუნელებით შეკმაზავენ).¹¹⁹

ხამსის გარჩევა, «Κούλισμα» („კულიზმან“) ბერძენი დიასახლისების საყვარელ საქმეს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, პონტოში იგი მათი თავშეყრის და გართობის საბაზად იქცეოდა ხოლმე. აჭარაში მცხოვრები ბერძნების სუფრა გამოირჩეოდა ხამსისგან დამზადებული კერძების მრავალფეროვნებით, რომელთაგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა: «Κιβιάτς» („კივიაჩი“), «Χαψιπουλία, Χαψιπουλία» („ხაფსიპულია“, „ხაფსოპულია“), «Χαψοπήγανιο» („ხაფსოტილანა“),

¹¹⁸ მთქმელი ა. პარასკევოპულო - მალკოცოდი, პირადი არქივიდან, გვ. 3.

¹¹⁹ იხილეთ: http://www.stixoi.info/stixoi.php?info=Lyrics&act=details&song_id=29504

«Χαψιλάβασο» („ხაფსოლავაშო“), «Χαψία σὸ κερραμίν» („ხახვიანი ხამსა“), «Γραία τηγάν» („ღრეას ტიღანი“), «Φασιχτά χაψία» - „ფოსიხტა ხაფსია“¹²⁰ და სხვა.

ზამთარი (თანამედროვე ბერძნულში «Χειμώνα» - „ხიმონას“) ორი ტერმინით: «Χειμαγκόν» („ხიმონგონ“) და «Σειμογκόν» („შიმონგონ“) აღინიშნება პონტოურ დიალექტში და ჩვენი რეგიონის მაცხოვრებთა მეტყველებაში ორივე მათგანი გამოიყენებოდა.

წელიწადის დროებთან მიმართებაში ერთი საინტერესო გარემოება უნდა აღინიშნოს: აჭარაში დაფუძნებულ ბერძენ ემიგრანტთა გვარებში ფიქსირდება იმ გვარების სიმრავლე, რომლებშიც დომინირებს სიტყვები ზამთარი და თოვლი; ასეთებია: «Σόνισ» („შონუს“), «Χιονίδη» („ხიონიდის“), «Χειμანიδη» („ხიმონიდის“), «Κακισίμη» („კაკოსიმიდის“) და სხვა. ზემოთ ხსენებულ პირველ ორ გვარს: «Σόνισ» („შონუს“) და «Χιονίδη» („ხიონიდის“) საფუძვლად უდევს სიტყვა «χιον» („ხიონ“), რაც ბერძნულად „თოვლს“ ნიშნავს, შესაბამისად, ეს გვარები ქართულად ითარგმნება როგორც „თოვლიძე“, ხოლო «Χειμანიδη» და «Κακισίμη» სათავეს იღებენ სიტყვიდან «χειμώνα», „ზამთარი“ და ქართული „ზამთარამის“ შესატყვის ვარიანტებს წარმოადგენენ. ვინაიდან ზამთარი და თოვლი ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, მოვლენაა, ამიტომაც მოიაზრებიან ხალხში Σόνισ, Χιονίδη, Χειμანიδη, Κακισίμη ნათესავურ გვარებად. ცხადია, ზამთართან დაკავშირებული გვარების სიმრავლე უბრალო შემთხვევეითობას არ წარმოადგენდა; წელიწადის ამ დროის მიმართ პონტოელი ბერძნები დიდ ყურადღებას იჩენდნენ და მისი მოსვლისთვის ადრინადად ემზადებოდნენ. განსაკუთრებით - სოფლების მაცხოვრებლები, ვინაიდან აქ საკმაოდ მკაცრი ზამთარი იცოდა. როგორც დაგველმა მთქმელმა გაგვიზიარა ამ თემასთან დაკავშირებით, „სოფლებში დიდთოვლობა იცოდა და ყველაფერი უნდა გვექონოდა სახლში: ვახმოზდით მოცვს, წყავს, მსხალს, ტყემალს, ხურმას...ფურნინში (ქვის ფეჩში) სიმინდისგან ვამზადებდით საუკეთესო ფურნიკას (მოხალულ სიმინდს), რომელსაც წისქვილზე ვფქვავდით. ჩვენს სოფელში (დაგვაში) საკუთარი წისქვილი გვექონდა. მოხალული, დაფქვილი სიმინდით

¹²⁰ მთქმელი ნ. ჩილიკიდი, პირადი არქივიდან, გვ. 73-74.

ვაკეთებდით „ხასილია“-ს. (პონტოელ ბერძენთა ტრადიციულ ფაფისებურ კერძს), რომელსაც მაწვნიით ან რძით მივირთმევდით“.¹²¹

დამარილებული ხამსის გარდა, ზამთრისთვის სოფლად ინახავდნენ: «Τσιορτάνια» („ჩორტანია“) - ოჯახში დამზადებულ ყურუთს, «Ξηρομιντζίν» („ქსირომიძინ“) - მშრალ ხაჭოს, «γαράμισσιν ελαίαν» („ღარამიში ელეას“) - ე.წ. „წყავის ზეთისხილს“, «Αλικόν βούτυρον» („ალიკონ ვუტირონ“) - მარილიან კარაქს და სხვა. სიცივის გამო ზამთარში ხშირად ამზადებდნენ წვნიანს, «Τανομένον σιρβάν», «σσιρβάν» („ტანომენონ ჩორვა“ ან „შირვან“), რომელიც ჩვენში ცნობილია წვნიანის, ჩორბას სახელით და სვამდნენ ჩაის: «περισσόν τὸ μάρσον τὸ τσάι» („ძირითადად შავ ჩაის“).¹²²

პონტოელ ბერძენთა სამზარეულო ბოსტნეულისა და რძის პროდუქტებისგან დამზადებული კერძებით გამოირჩეოდა და ეს იმით აიხსნება, რომ პონტოში სწორედ ამ სახის საკვების ქონის საშუალება ჰქონდათ. თუმცა, იმდენად მრავალფეროვან კერძებს ამზადებდნენ პონტოელი დიასახლისები, რომ ხორციანი საჭმელების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდნენ მათი ოჯახის წევრები, პირიქით, ეს მათ მარხვის დაცვასაც უადვილებდა.

როგორც ვნახეთ, სწორედ წლის დროების ბრუნვასთანაა დაკავშირებული პონტოელ ბერძენთა სახალხო ჩვეულებები და დღესასწაულები. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ ტრადიციებთან დაკავშირებით. მ. ჩიქოვანის აზრს თუ გავი-ზიარებთ: „წელიწადი და მისი დრონი ხშირად განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ჩვეულების ხასიათსა და ფუნქციას. კალენდარული ჩვეულება განუმეორებელია, ე.ი. იგი ერთხელ სრულდება გარკვეულ თვეში...არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უძრავი სადღესასწაულო ჩვეულებანი. მათ მიეკუთვნება: ახალი წელი, ყველიერი,

¹²¹ «Σὰ χάριαν ἔρουζε πολλὰ χιόν' καὶ ὅλα ἔπρεπε νὰ εἶχαμε σὸ σπῖτ'. Ἐξερῖοναμε τὰ λιφόρια, ἔξερῖοναμε τὰ γαράμισσα, τὰ ἀπίδια, τὰ κοκκίμελα, χουρμα.. Σὸ φουρνὶν ἐποίναμε τὰ καλύτερα τὰ φούρνικα ἄσά τσοσπάδια. Τὰ τσοσπάδια ἔλεθαμ' ἀτὰ σὴ χαμελέτην. Ἐμεῖς σὸ χάριον (σὴν Τάκοβαν) εἶχαμε χαμελέτην. Μέρ' ἀτὰ (τὰ φούρνικα) ἐποίναμε φαῖν καὶ ἔλεγαμ' ἀτὸ χασίλια. Τὰ χασίλια ἔτραγαμε μὲ τὰ ξύγαλα ἢ μὲ τὸ γάλα», - მთქმელი - მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 62-63.

¹²² მთქმელი ე. პაპადოპულუ - ღავრილიდი, პირადი არქივიდან, გვ. 13.

ბერიკაობა, იხინჭობა, ლაშარობა, პირქუმობა და ა.შ.... თითოეულ დღეობას საკუთარი განრიგი აქვს, რომლის დაცვა სავალდებულოა ყველასთვის, ვინც კი ამ დღესასწაულს აღიარებს“ (ჩიქოვანი, 1976: 10).

ამგვარად, ზემოთ ხსენებული მრავალი მაგალითის მოშველიებით საშუალება მოგვეცა, პონტოურ დიალექტზე წარმოგვეჩინა არამხოლოდ წელიწადის დროების სახელწოდებები და მათში არსებული ლექსიკური განსხვავებები, არამედ გაგვეცნო თითოეულ მათგანთან პონტოელი ბერძნების დამოკიდებულება თუ ადათ-წესები, რაც უთუოდ გვეხმარება მათი მსოფლმხედველობის უკეთ გაგებაში. ამ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებულმა ხალხურმა სიტყვიერებამ კი უთუოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში მიგრირებულ პონტოელ ბერძენთა თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

3.2. წელიწადის 12 თვე

(კალენდარული და რელიგიური დღესასწაულები)

თანამედროვე ბერძნული და ქართული თვეების სახელწოდებები ლათინური წარმოშობისაა, ისევე, როგორც ბევრ სხვა ენაში. პონტოელ ბერძენთა დიალექტში წელიწადის თორმეტი თვის სახელწოდებათა უმრავლესობა განსხვავდება არამხოლოდ თანამედროვე ბერძნულისგან, არამედ - თავად პონტოს ამა თუ იმ რეგიონში დასახლების მიხედვით, რაც, ცხადია, აჭარაში მიგრირების შემდეგაც შენარჩუნდა. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ზრდის ინტერესს პონტოელი ხალხის კალენდარული ლექსიკის შესწავლის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ პონტოელმა ბერძენებმა წელიწადის თვეების სახელწოდებები რელიგიურ დღესასწაულებს ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს დაუკავშირეს, რომელთა განხილვა დეტალურად ცალკეულ თვეზე საუბრისას მოხდება.

იგივე შეიძლება ითქვას ქართული თვეების სახელწოდებების შესახებაც. ცნობილია, რომ ქართველი ხალხის, ეთნოგრაფიულ ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა თვეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული სახელწოდებანი: თიბისა (თიბათვე), მკათათვე, ღვინობისთვე და სხვა. აღნიშნულ სახელწოდებათა გარდა, აჭარაში გავრცელებული თვეთა სახელებია: ქირეზა (ზღვის თვე - ივნისი), ჭალობა (ივლისი, აგვისტო), ჩურულა (დამპალი თვე - ივლისი). ქართველები ხშირად თვეებს იმის მიხედვითაც არქმევდნენ სახელებს, თუ რა დღესასწაული, რომელი წმინდანის ხსენების დღე იყო ამ თვეში (ივანობის თვე, კვირიკობისთვე, ღვთისმშობლობა, მარიამობა, გიორგობა და ა.შ (გიორგაძე, 1993: 106-107) .

იანვარი: წელიწადის პირველ თვეს თანამედროვე ბერძნულში «Ιανουάριος» („იანუარიოსი“) ჰქვია, ისევე როგორც ქართულში - „იანვარი“; პონტოელი ბერძენები კი მას მოიხსენიებენ, როგორც «Καλαντάρης» („კალანდარც“) ანუ „მოკალანდე“. ამკარაა, რომ ეს სახელწოდება მათ „კალანდის თქმას“ დაუკავშირეს და ამგვარად გაუსვეს ხაზი ამ ტრადიციის მნიშვნელობას.

მართალია, „კალანდის თქმა“ სხვა დღესასწაულთა რეპერტუარშიც დამკვიდრდა, მაგრამ, ადათის მიხედვით, უფრო მეტად საახალწლოდ, საშობაოდ და ნათლილებას სრულდებოდა.

„კალანდა“ («κάλαντα») კონკრეტულ მართლმადიდებლურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ საზეიმო შინაარსის ერთგვარ სასიმღერო უწყებას წარმოადგენს, რომელსაც ჯგუფურად ან კარდაკარ მოსიარულე ადამიანები, ძირითადად ბავშვები, ასრულებდნენ როგორც საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში, ასევე - პონტოში. შესაბამისად, აჭარაში მიგრირების შემდეგ ამ ტრადიციამ გაგრძელება ჰპოვა. კალანდის გამგონებს «οἱ κάλανταγμέν'» („ი კალანდადმენ“), როგორც წესი, ხურდა ფულით ან ტკბილეულით უნდა დაესაჩუქრებინათ პატარები, რათა მომავალ წელს კვლავ შეეღოთ მათი სახლის კარი და დაელოცათ ოჯახი.

კარდაკარ ჩამოვლის რიტუალები და მათთან დაკავშირებული ტექსტები სხვა ხალხების ფოლკლორშიც ყოფილა გავრცელებული (შუა აზია, სლავები, რომანული სამყარო და სხვა) და გენეტიკურად საგაზაფხულო კარნავალებს უკავშირდება. რაც შეეხება საქართველოს, კალენდარული ფოლკლორის ეს ციკლი მჭიდრო კავშირშია საგაზაფხულო ნიღბოსნურ წარმოდგენებთან, რაზეც მიუთითებს თავად ტერმინი „ჭონა“, რომელიც ქართული ენის დიალექტებში ბეწვეულის, ტყავის ტანსაცმლის და თავსაბურავის მკეთებლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. აღნიშნული ტერმინის რიტუალთან დაკავშირების მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ კარდაკარ მოსიარულე მომღერლები, როგორც წესი, ტყავ-ბეწვეულის ტანსაცმელს იცვამდნენ და ნიღბებს იკეთებდნენ (გიორგაძე, 1993: 17).

საქართველოში შობა-ახალწელს კარდაკარ ჩამოვლისას სამღერო ტექსტები ძირითადად ერთნაირია როგორც დანიშნულების, ასევე შინაარსისა და პოეტური მოტივების თვალსაზრისით, ვინაიდან ეს ორი დიდი დღესასწაული (შობა და ახალი წელი) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია არამარტო კალენდარულად, არამედ ფუნქციურადაც. ეს მსგავსება კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ქართულ სამახარობლო ტექსტებში :

„ოცდახუთსა დეკემბერსა

ქრისტე დაბადებულაო,

ალილო!

ღმერთმა ყველას გაგითენოთ

შობა ახალწელიწადი,

ალილო!“

ან: „ჩიტი შამაჯდა ღობესა,

იძახდა იშრიშობასა.

ბევრსამც აემ დროს ილოცავთ

წელიწადსა, ქრისტეშობასა!“

ასევე: „ოცდახუთსა ამ თვესა

ქრისტე დაბადებულა,

შობა ახალწელიწადი

თქვენთვის გათენებულა...“ (ქ.ხ.პ, 1976(V): 57-58).

ჩვენ მიერ ჩაწერილ საახალწლო კალანდაში ბევრია საერთო ცნობილი პონტოური კალანდის ტექსტთან. აქ დალოცვის და კეთილი სურვილების ადრესატებს თანმიმდევრულად წარმოადგენენ ოჯახის წევრები (როგორც უფროსები, ასევე - პატარები). ასევე, წმინდა ბასილი, აქ «Ὁ Μέγας Βασίλης» („ო მედას ვასილის“), ანუ „დიდი ბასილი“ მოიხსენიება პიროვნებად, რომელიც კალანდის მთქმელთ ოჯახში შესვლის ნებას აძლევს:

«Ἀρχὴς μὴνιάς καὶ ἀρχὴς χρόνος, βρισκουμεε σὴν ἀσλή σὸν,

(თვის დასაწყისია, წლის საწყისია, ვიმყოფებით შენს ეზოში,)

Ἐμὰς στὸ σπίτις ἔγγεν μὰς ὁ Μέγας ὁ Βασίλης,

(წმინდა ბასილიმ მოგვიყვანა შენი სახლ-კარის მიდამოში).¹²³

ზემოთ ხსენებული საახალწლო კალანდის ტექსტში ნათლად ჩანს ის გარემოება, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენს მხარეში მიგრირებული პონტოელი ბერძნები ჯანმრთელობას და დღეგრძელ, სიხარულით სავსე სიცოცხლეს. ასევე ყურადღება გამახვილებულია მშვიდობის მნიშვნელობაზე ოჯახსა და სახელმწიფოში:

«Υίαν, ζώην καὶ χαρὰ, καλῶς σὸν κατοθῆρι,

(სიცოცხლე, ჯანი, სიხარული შენი სახლის ზღურბლზედაო,)

Στὸ σπίτι σοῦ καὶ στὸ κράτος νὰ ἔχουμε εἰρήνη!

(შენს სახლსა და ქვეყანაში სულ გვექონოდეს მშვიდობაო!)

Ἔρθαμε στὴν πόρτα σοῦ, ἔρθαμε νὰ εὐχούμε,

(მოვედით შენი სახლის კართან, მოვედით კარგი სურვილებით:)

Οἱ μικροὶ νὰ μεγαλῶννε, οἱ γέροι νὰ μὴν πονάννε,

(პატარები გაიზარდონ, ხანდაზმულებს არ ტკიოდეთ,)

Τὰ πλουτὰ σοῦ νὰ πλεθίγη καὶ ὅλα σοῦ καλὰ νὰ πάνε!»

(ბარაქა მოგემატოთ და ყველაფერი კარგად იყოს!)¹²⁴

ზემოთ მოყვანილ კალანდაში გაისმის მოწოდება მსმენელისადმი: მადლიერება გამოიჩინოს გასული წლის მიმართ; ამასთან, გამოიჩინდა სურვილი იმისა, რომ ოჯახს ღვთის წყალობა არასდროს მოკლებოდეს:

«Τὸ περασμένον τὸ χροινόν νὰ λέμε ευχαριστῶ,

(მადლობა გადავუხადოთ ყველამ გასულ წელს,)

¹²³ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 63-64.

¹²⁴ იგივე, გვ. 64.

Παλί μαζὶ μὲς νὰ εἶναι Παναγία καὶ ὁ Χριστὸν!

(კვლავ ჩვენთან იყვნენ ღვთისმშობელი და ქრისტე!)¹²⁵

საახალწლო კალანდის დასრულება ფრაზით - „კვლავ ჩვენთან იყოს ღვთისმშობელი და ქრისტე“ - არ წარმოადგენს შემთხვევითობას: ამით კალანდის მთქმელი კიდევ უფრო მეტად ამახვილებს მსმენელის ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ღვთის თანადგომის გარეშე არაფერია შესაძლებელი.

მსგავსი შინაარსისაა სოფელ კვირიკეს მკვიდრთათვის დაწერილი საახალწლო კალანდას ტექსტიც, რომელიც მ. მურატიდუმ თავად შექმნა კვირიკელი ბავშვების თხოვნით და შეეცადა, განსხვავებული ტერმინები გამოეყენებინა, რათა დაგველთა კალანდის ტექსტთან მსგავსება არ ყოფილიყო შესამჩნევი. ე.წ. „კვირიკელთა კალანდის“ ტექსტის შექმნის აუცილებლობა მთქმელმა იმით ახსნა, რომ თანამედროვე ბერძნული კალანდის ტექსტის სწავლა და სიმღერა უძნელდებოდათ კვირიკელ ბავშვებს, მეზობელი სოფლის მკვიდრთა კალანდის ტექსტის გამეორება კი არ უნდოდათ და სწორედ ამიტომ მიმართეს მას თხოვნით: ახალი, განსხვავებული საახალწლო კალანდის შექმნისა. ასე გაჟღერდა პონტოურ დიალექტზე გალექსილი სტრიქონები, რომლითაც კვირიკელი ბავშვები ახალი წლის დადგომას ულოცავდნენ თანასოფლელებს და, რაკი ეს დალოცვა მასიური გახდა, ფოლკლორული სტატუსიც შეიძინა:

«Ἐρθῶν τῆ Θεοῦ τὰ παλικάρια, ἔγκαν χάραν κὶ εὐτυχία,

(მოვიდნენ ღვთის ყმაწვილები, სიხარულით, ბედნიერებით,)

Κάλον χρόνον νὰ περνάτε, χάρις στεναχარιά!»

(კარგი წელიწადი მოგცეთ, არ გქონოდეთ სადარდელი!)¹²⁶

ამ კალანდაში ვხვდებით ზემოთ მოყვანილი სურვილების ზუსტ ჩამონათვალს ბავშვების და მოხუცების მიმართ, ასევე მეორდება ტაეპები, სადაც

¹²⁵ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 64.

¹²⁶ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 64-65.

მოკლანდეები ოჯახს ბარაქასა და მშვიდობას უსურვებენ. განსხვავდება ბოლო სტროფი, რომელშიც ხაზგასმულია ერთობის და ერთა შორის სიყვარულის აუცილებლობა:

«Καλῶς ἐρθάμε στὴν ἀσλήσ-ι, τυχερὸ τὸ κατοθῆρι,

(კეთილი და იღბლიანი იყოს ჩვენი მოსვლა, თქვენს ეზოში,)

Παντὰ ἀγάπη καὶ χαρὰ, καὶ στὸν κοσμὸν εἰρήνη!

(სიყვარული, სიხარული და მშვიდობა მსოფლიოში!)

Νὰ εἶμερ ὄλ ἀγαπημέν, νὰ μὴ χარიζομαι ἔθνος,

(მუდამ გვიყვარდეს ერთურთი, არ გაგვერჩიოს ერი,)

Προβλήματα τῆς ζωῆς μὰς νὰ λύνομαι μὲ ἕνος!»

(ერთობით გადაგვეჭრას ცხოვრებისეული სიძნელები!)¹²⁷

როგორც დაგველთა საახალწლო კალანდის შემთხვევაში, აქაც ბოლო სტრიქონები მთავრდება ძველი წლის მიმართ მადლიერების გამოხატვით და სურვილით, ღვთისმშობლისა და ქრისტეს თანადგომისა (მცირეოდენი სახეცვლილებებით):

«Τὸ περασμένον τὸ χρονὸν νὰ λέμε εὐχαριστῶ,

(მადლობა გადავუხადოთ გასულ წელს,)

Παλί νὰ μὰς βοηθῶσιν Παναγία καὶ Χριστὸν».

(კვლავ ჩვენი დამხმარე იყვნენ ღვთისმშობელი და ქრისტე!)¹²⁸

სოფელ ახალშენში დაბადებულმა ბერძენმა მწერალმა ქალბატონმა ვალია მურატიდუმ თავის წიგნში «Εκατόχρονη Οδύσσεια» („ეკატოხრონი ოდისეა“), ანუ „ასწლიანი ოდისეა“, ბერძენ მკითხველს საახალწლო კალანდის სრულიად

¹²⁷ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 65.

¹²⁸ იგივე, გვ. 65.

განსხვავებული ტექსტი გააცნო, როგორც „ახალშენის კალანდა“ («Τὰ Κάλαντα τοῦ Αχαισιόν»). უნდა აღინიშნოს, რომ სიმღერის დასაწყისში, რომელიც წმინდა ბასილის მობრძანების მახარობელია; კალანდაში წმინდა ბასილი მოიხსენიება როგორც «Ἅγιος Βασίλης» („აიოს ვასილის“), ესე იგი, „წმინდა ბასილი“ და არა «Μέγας Βασίλης» („დიდი ბასილი“), როგორც წინამდებარე კალანდების შემთხვევაში ვხვდებით:

«Ἀρχιμηνιά καὶ ἀρχὴ χρονιά καὶ ἀρχὴ καλὸς μὰς χρόνος,

(თვის დასაწყისი, წლის დასაწყისი და კარგი ახალი წელი!)

Ἅγιος Βασίλης ἔρχεται ἀπὸ τὴν Καισαρεία.

(კესარიიდან მოდის წმინდა ბასილი ჩვენი.)

Βαστὰ εἰκόνα καὶ χαρτί, χαρτί καὶ καλαμάρι.

(ხატი და ქალაღდი უჭირავს, ქალაღდი და კალმისტარი.)

Τὸ καλαμάρι ἔγραφε καὶ τὸ χαρτί ὀμίλει...» (Μουρατίδου, 1992: 244)

(კალმისტარი წერდა და საუბრობდა ქალაღდი...)

თუმცა, შემდგომ ადგილი აქვს ერთგვარ გაბაასებას წმინდა ბასილისთან და აქ თავს იჩენს როგორც მისი სადაურობის დადგენის, ასევე - ოჯახში მისი შემოპატიჟების მცდელობა, რაც ტექსტს გამორჩეულობის ელფერს ჰმატებს:

«Βασίλη , ἀπόθεν ἔρχεσαι καὶ ἀπόθεν κατεβαίνεις;

(- ბასილი, საიდან მოდიხარ და საიდან ჩამოდიხარ?)

Ἀπὸ τὴν Μάναμ’ ἔρχομαι καὶ στὸ σχολεῖο μοῦ πάω.

(- დედაჩემისგან მოვდივარ და ჩემს სკოლაში მივდივარ.)

Κάτσε νὰ φας, κάτσε νὰ πιεῖς, κάτσε νὰ τραγουδήσεις.

(- დაჯექი, მიირთვი, დალიე და იმღერე რამე!)

Ἐγὼ γράμματα ἔμαθα, τραγούδια δὲν ἤξερα,

(- მე წერა-კითხვა ვისწავლე, სიმღერები კი არ ვიცო.)

Καὶ ἂν ἤξεύρεις γράμματα, περὶ μὰς τὴν ἈλφάΒήτα!»

(თუკი წერა-კითხვა იცი, აბა ანბანი გვითხარი!)

მოცემული „კალანდა“ ტრადიციისამებრ დალოცვის ამსახველი სტრიქონებით გვირგვინდება:

«Χρόνους πολλοὺς νὰ χαίρεσθε πάντα εὐτυχησμένοι,

(მრავალი წელი გეხართ, სულ ბედნიერი იყავით,)

Σωματικά καὶ ψυχικά νὰ εἴσθε πλουτισμένοι!

(ფიზიკურად და სულიერად ყოფილიყავით მდიდარი!)

Δώστε κὶ ἐμὰς τὸν κόπο μὰς, ἂν εἶναι ὀρισμὸς σὰς

(წყალობა გაიღეთ ჩვენზე, თუკი მომცემთ ამის ნებას)

καὶ Ἅγιος Βασίλειος νὰ' ναι ὁ βοηθὸς σὰς» (Μουρατίδου, 1992: 244)

(და წმინდა ბასილიც თქვენ მუდამ დაგეხმრებათ!)

კიდევ ერთი „კალანდის“ ტექსტი გაგვაცნო კვირიკელმა მთქმელმა, რომელსაც, მისი თქმით, ბავშვობაში, ძველით ახალი წლის დამდეგს, ანუ 13 იანვარს, მღეროდა თანატოლებთან ერთად:

«Ἀρχὴ Κάλαντα καὶ ἀρχὴ τοῦ χρόνου, (კალანდის საწყისი, წლის დასაწყისი,

Ἔρθαν τὰ τσορτσοπουλιά σὴν πόρτα. მოვიდნენ პატარები შენს კართანო.

Ἄν ἀνοίεις μὰς καλὰ νὰ εἶσαι თუკი გაგვიღებ, კარგად გამყოფოს!

καὶ ἂν κ' ἀνοίξεις πὰ καλὰ νὰ εἶσαι!». თუ არ გაგვიღებ, მაშინც - კარგადო!)¹²⁹

„კალანდას“ სიმღერა, როგორც წესი, სრულდებოდა ფრაზით: «Χρόνια πολλά πάντα καὶ τοῦ χρόνου!» („მრავალი წელი და მომავალ წელსაც!“)¹³⁰ აქ იგულისხმება, რომ მოკალანდეებს სურთ, მრავალი წლის განმავლობაში უმღერონ ამ ოჯახს და თავისთავად მომავალ წელსაც შეაღონ მათი ოჯახის კარი. ე.წ. „ახალშენის კალანდის“ ტექსტის დასასრულს მწერალმა ვ. მურატიდუმ მოიშველია დალოცვის ფრაზა: «Ἐτη πολλά!» (Μουρατίδου, 1992:245), „ეტი პოლლა“, რაც, ასევე, ნიშნავს „მრავალ წელს!“ მთქმელმა ვ. მავროპულომ კი სრულიად განსხვავებული დალოცვის ფორმა გამოიყენა: «Σ' ἔτη πολλά νὰ ζεῖ ὁ οἶκος!» („ეტი პოლლა ნა ზი ო იკოს“), ესე იგი „მრავალი წელი იდღეგრძელოს ამ სახლმაო!“¹³¹ აშკარაა, რომ დალოცვის სამივე მაგალითს აერთიანებს ოჯახის ბედნიერების და დღეგრძელობის სურვილი.

ქართულ ხალხურ კალენდარულ პოეზიაშიც, კალენდარული ჩამოვლის პოეტურ ტექსტებში ხშირად გვხვდება მასპინძლის, ოჯახის, კარ-მიდამოს, სახლის დალოცვა:

„დაგლოცნოთ ჯვარმა ყველანი, არ მოგერიოსთ მტერია!“

„ეს სახლი ღმერთმა აკურთხოს, გაუმაგრდეს საფუძველი....“ (ქ. ხ. პ., 1976: 55-58)

ან: „ღმერთო, ააშენე ეს ოჯახი, მიეც მშვიდობა და ბარაქა...“

„ამ ოჯახის ოთხივ კუთხე, მალლა ღმერთო , შენ აკურთხე...“

„სახლო, ღმერთმა აგაშენოს, სამართალმა ღვთისამაო“ (გიორგაძე, 1993: 25) და ა.შ.

რაც შეეხება, ქართული საახალწლო ციკლის სამეკვლეო ტექსტებს, ისინი მთლიანად დალოცვით ხასიათს ატარებენ და აქ წმინდა ბასილი მოიხსენიება როგორც წმინდა ვასილი:

¹²⁹ მთქმელი ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 24.

¹³⁰ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 65.

¹³¹ მთქმელი ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 24-25.

„...ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,

უხვათამც მოგცემოდეთ თვალ- მარგალიტი ზღვითამცა.“ (ქ.ხ.პ., 1976: 55)

ასევე:

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,

ფეხი - ჩემი, კვალი - ანგელოზისა!

ტაბლა შემიკაზმია, ზედის პურიცა ტაბლაზე დევს,

სამი სანთელი ანთია,

ახალწელიწად დღეს შემომიყვანეთ სახლშია,

ასე ტკბილად დამიბერდით!

წმინდა ვასილის წყალობა შეგეწიოთ.“ (გიორგაძე, 1993: 25-26)

წმინდა ვასილის მოხსენიება ქართულ და ბერძნულ საახალწლო სამეკვლეო ტექსტებში უკავშირდება იმ გარემოებას, რომ 1 იანვარი დიდი წმინდანის ხსენების დღეა. საყურადღებოა, რომ ქართულ წეს-ჩვეულებებში საახალწლო ტექსტებთან ერთად, ზოგადად წმინდანს დიდი ადგილი ეთმობა. საკმარისია მოვიხსენიოთ რიტუალური ე.წ. „ბასილა“-ს პურები ან „ჩიჩილაკი“, რომელიც „ბასილას წვერებითა“ ცნობილი. ქართველების დამოკიდებულება წმინდანისადმი მისი წარმოშობიდან უნდა მომდინარეობდეს: დიდი ღვთისმეტყველი ხომ კაბადოკიელი იყო (გიორგაძე, 1993: 129).

ახალი წლის დილას, როგორც წესი, ყველა ბერძნულ ოჯახში შედიოდა ოჯახის წევრი ან გარეშე პირი, მეკვლე (ხშირ შემთხვევაში ბავშვი), რომელსაც, ოჯახის უფროსის აზრით, „კარგი ფეხი აქვს“ («έχχ καλόν ποδαρικόν») და ოჯახს დალოცავდა: «Υείαν και ευλογία και καλόν χρονια!» („ჯანმრთელობა და მადლი და კარგი წელიწადი!“) მეკვლეს, ტრადიციისამებრ, ხელში ეჭირა ხატი, ხშირ შემთხვევაში - წმინდა გიორგის გამოსახულებით, ვინაიდან ამ წმინდანის მიმართ პონტოელი

ბერძნები განსაკუთრებული მოწიწებითა და სიყვარულის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი.

ახალ წელს, როცა მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა, სუფრაზე უნდა ყოფილიყო საახალწლო ორცხობილა, ე.წ. „წმინდა ვასილის პიტა“, «Βασίλιπτα» („ვასილოპიტა“), რომელშიც მონეტას მოათავსებდნენ. საახალწლო ცხობილას ნაჭრები ჯერ ხანდაზმულ ოჯახის წევრებს, შემდეგ კი - ასაკით უმცროსებს ურიგდებოდათ. ის, ვისაც წილად ერგებოდა მონეტა, იღვლიანად ითვლებოდა. ეს ტრადიცია საბერძნეთში დღესდღეობითაცაა გავრცელებული.

„ვასილოპიტის“ გარდა, ბერძნული საახალწლო სუფრის აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენდა: «βραστόν κολοκυθ» („ვრასტონ კოლოკით“), ანუ მოხარშული კვახი, «χουρμάδες» („ხურმადეს“) - ხურმა, «τὰ τσίρια» („ტა ცირია“) - ჩირი, «τὰ τσοιρτσέλας» („ტა ჩურჩხელას“) - ჩურჩხელები და ტრადიციული ღვინო «τὸ κρασί» („ტო კრასინ“) ან ტკბილი სასმელი: «κονίακ» („კონიაკ“) კონიაკი, «Λικέρ» („ლიკერ“), ლიქიორი და ა.შ. საქართველოში მიგრირების შემდეგ ბერძნები საახალწლოდ ქართულ კერძებსაც ამზადებდნენ. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება საქართველოდან ისტორიულ სამშობლოში გამგზავრებულ პონტოურ ოჯახებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი ქართული კერძის, ისევე როგორც ჩურჩხელის, სახელწოდება უცვლელად შევიდა პონტოელ ბერძენთა ლექსიკაში და დღესდღეობითაც ამგვარად გამოიყენება.

პონტოში ქრისტეშობა 25 დეკემბერს აღინიშნებოდა, მაშინ როცა აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძნები მაცხოვრის დაბადებას, ქართული საეკლესიო კალენდრის თანახმად, ძველი სტილით, 7 იანვარს, ზეიმობდნენ.

ქრისტეშობის წინა დღეს, დილაადრიან, ბავშვები იწყებდნენ საშობაო „კალანდას თქმას“, რომელიც იწყებოდა ქრისტეშობის დადგომის მილოცვით:

«Χριστός ἔγενεθεν χάριαν ἔς τὸν κόσμον,

(ქრისტე დაბადებულაო, სიხარული ქვეყნად!)

Χα καλή ἄρα, καλή σ' ἡμέρα.

(მოსულაო კარგი ჟამი, დილა მშვიდობისა!)

Χα καλόν παιδίν ὀψέ 'γεννέθεν,

(აჰა, კარგი ყრმა, თურმე, გუშინ იშვა,)

ὀψέ 'γεννέθεν, σὺρανοστάθεν!»¹³²

(გუშინ დაბადებულა და ცაში დამკვიდრებულაო!)

როგორც საახალწლო კალანდის შემთხვევაში, აქაც მოკალანდეები ოჯახის უფროსს დასაჩუქრების თხოვნით მიმართავდნენ:

«Ἐρθαν τῆ Χριστοῦ τὰ παλικάρια καὶ θημίζ'νε τὸ νοικοκύρην,

(ქრისტეს ყმაწვილები მოსულანო და მამასახლის უმღერიანო,)

Νοικοκύρημ' καὶ βασιλέα, δέβα 'ς σο ταρέζ' κι ἔλα 'ς σὴν πόρταν,

(ჩემო მამასახლისო და მზრძანებელო, წადი თაროებთან და მოდი კარებთან,)

Δος μὰς οὐβας καὶ λεφτοκάρια

(მოდი და მოგვეცი ხურმა და თხილი,)

Κὶ ἀν ἀνοιΐεις μὰς, χαράν 'ς σὴν πόρτα σ' ! »¹³³

(და თუ კარს გაგვიღებ, შენს სახლს სიხარული!)

საშობაო კალანდის თქმა, როგორც წესი, ბოლოვდებოდა დღეგრძელობის სურვილით:

¹³² იხილეთ: Pontos News 2014: <http://www.pontos-news.gr/article/128161/na-ta-poyme-ta-pontiaka-kalanta-ton-hristoygennon>

¹³³ იგივე: <http://www.pontos-news.gr/article/128161/na-ta-poyme-ta-pontiaka-kalanta-ton-hristoygennon>

- «Καλά Χριστούγεννα και σ' έτη πολλά!» („კარგი ქრისტეშობა და მრავალ-ქამიერი!“)
- «Ύψιαν και ευσιο΄ιαν!» („ჯანმრთელობა და დალოცვა!“)¹³⁴ და ა.შ.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი პონტოელ ბერძენთა საშობაო „კალანდას“ ყველაზე მეტად გავრცელებული და მიღებული ვარიანტია. ტრადიციისამებრ, ყველა ოჯახის კარი იღებოდა ამ საშობაო სიმღერის და კეთილი სურვილების მოსასმენად. „კალანდას“ გამგონე დიასახლისი (ისევე როგორც საახალწლო კალანდის შემთხვევაში) ვალდებული იყო, უხვად დაესაჩუქრებინა ბავშვები იმით, რაც გააჩნდა, იქნებოდა ეს ხურდა ფული თუ ტკბილეული.

საახალწლო თუ საშობაო კალანდას შესრულების ტრადიციაზე საუბრისას აუცილებლად მიგვაჩნია ე.წ. „მომოღერების ადათის“, «Τὰ Μομογέρια» („ტა მომოღერია“-ს მოხსენიება. ეს საახალწლო წეს-ჩვეულება დღესდღეობითაცაა დაცული საბერძნეთის ერთ-ერთი რეგიონის - კოზანის 8 სოფლის მაცხოვრებელ პონტოელ ბერძენთა შორის, რომლებიც აქ 1923 წელს ტრაპიზონიდან გადმოსახლდნენ. ამ ტრადიციას ქ. კომოტინიში მცხოვრები პონტოელებიც ასრულებენ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2016 წლის დეკემბერში „მომოღერების ტრადიცია“ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შევიდა.¹³⁵

„მომოღერების ტრადიცია“ აჭარაში ძალზე ყოფილა გავრცელებული და მისი არსი შემდგომში მდგომარეობდა: უცნაურ ტანსაცმელში გადაცმული და შენიღბული ადამიანები (ახალგაზრდები თუ ხანდაზმულები) კარდაკარ ჩამოივლიდნენ კალანდის სათქმელად და წყალობის გაღების თხოვნით; მასპინძლებს ისინი ვერ უნდა ამოეცნოთ. „მომოღერები“ ერთგვარ თეატრალურ სანახაობას მართავდნენ. საინტერესოა ამ ტრადიციის ამსახველი ჩვენ მიერ აღნუსხული შემდეგი მონაყოლი: „მომოღერები“ ახალ წელს და ქრისტეშობას მოდიოდნენ ხოლმე, მოდიოდნენ ბავშვები და ხანდაზმულებიც. მოადგებოდნენ სახლის კარს და სიმღერას იწყებდნენ.

¹³⁴ «Ευσιο΄ιαν!» პონტოურ დიალექტში დალოცვის გარდა მადლსაც ნიშნავს, - მთქმელი - ე. სავვიდი - მაზმანიდი, პირადი არქივიდან, გვ. 15-16.

¹³⁵ იხილეთ: Pontos News 2016, <http://www.pontos-news.gr/article/157343/oi-momogeroi-mpikan-ston-katalogo-tis-unesco-gia-tin-ayli-politistiki-klironomia>

მღეროდნენ, მაგრამ ვერ უნდა ამოგეცნო, ვინ იყვნენ. სხვა ტანსაცმელი ეცვათ, სახესაც იღებავდნენ... მათ შორის სწორედ ის გაიმარჯვებდა, ვის ვინაობასაც მასპინძელი ვერ დაადგენდა. მომოდერებს, ფულის გარდა, სხვა რაღაცეებსაც აძლევდნენ: საახალწლო ცხობილას, ტკბილეულს, ხილს - რაც ჰქონდათ ოჯახში და ამგვარად, კარდაკარ ჩამოივლიდნენ მთელ სოფელს“.¹³⁶

ყოველი ახალი წლის 19 იანვარს საქართველოში მიგრირების შემდეგ პონტოელი ბერძნები აღნიშნავდნენ ნათლილებას. ნათლილება, «Φάτιμα» („ფოტიმან“), როგორც მას უწოდებდნენ ტრაპიზონელი, სანდელი, ორდუელი პონტოელი ბერძნები და «Φάτισμα» („ფოტიზმა“) - სურმენელები, ამისოელები და სხვა რეგიონების წარმომადგენლები, დიდ ქრისტიანულ დღესასწაულად მიიჩნეოდა, ვინაიდან ეს იყო დღე, როდესაც მოინათლა მაცხოვარი და ხდებოდა წყლის კურთხევა «Αγιάζ'νε τὰ νερά» („აიაზნე ტა ნერა“).

ნათლილების წინა დღეს, საღამოს, პონტოელი ბერძნები, როგორც წესი, ანთებდნენ სანთლებს მიცვალებულთათვის «Τὰ κεριά για τ'αποθαμένους» („ტა კერია ია ტაპოთამენუს“), რაც შემდეგნაირად ხდებოდა: ხორბლით სავსე ლანგარზე ოჯახის ყველა წევრი ანთებდა სანთლებს მიცვალებულთათვის (მეგობრებისა თუ ნათესავებისთვის) და თითოეული მათგანის სახელს ცალკე იტყოდა. ეს ტრადიცია რომ დავიწყებას არ მისცემოდა, ბავშვებს პატარაობიდან ასწავლიდნენ ლექსად შემდეგ სტრიქონებს:

«Τὰ Φάτια θέλω τὸ κεριμ'	(ნათლილებას ჩემი სანთელი მსურს,
καὶ τῶν Ψυχῶν κοκκία	სულლების ხსენების დღეს - წადილი
καὶ τὴν Μεγάλ' Παρασκευῆ ¹³⁷	და წითელ პარასკევს

¹³⁶ «Τὰ Μωμογέρε ἔρχουσανε σὸ Νέον Ἔτος, ἔρχουσανε σὰ Χριστοῦγεννα, ἔρχουσανε νέα παιδία, ἄμα γεροντάτες πὰ ἔσανε.... Ἐρχουσανε σὴν πόρτας καὶ ἐρχίνανε καὶ ψάλνανε. Ἐψάλνανε ἄμα κὶ θὰ ἐγνώριζες ατς! Φόρνανε ἄλλα λώματα, βογιαδίσκουζανε πὰ καὶ ἐνίκανε ἐκεῖνος ντὸ οἱ ἄλλ κὶ γνῶρζανε. Σὰ Μωμογέρε χρήμαν ἐδίνανε, ἄμα ἐδείνανε ἄλλα πράματαπὰ: τσουρέκια, γλυκίσματα, ὅλα εἶχανε....καὶ ἄραέτς γυρνοῦσανε σ'ὄλο τὸ χᾶριο», - მთქმელი - მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 65-66.

¹³⁷ „წითელი პარასკევი“ პონტოელ ბერძენთა დიალექტში მოიხსენიება, როგორც „დიდი პარასკევი“ («Μεγάλ' Παρασκευῆ»). იგივე სახელწოდება გვხვდება თანამედროვე ბერძნულშიც («Μεγάλη Παρασκευῆ»).

ἔναν μαντήλιν δάκρυα!» (Γαλαθίδου..., 1999: 100) ცრემლების ერთი მანდილი!

როგორც ტექსტიდან ჩანს, მიცვალებული თხოვდა, ახლობლებს არ დაევიწყებინათ იგი და მოეხსენიებიათ ნათლილებს, სულების შაბათს და წითელ პარასკევს, რათა მის სულს საუკუნო განსასვენებელი მოეპოვებინა.

ნათლილების დღეს ბავშვები დილიდან ამზობდნენ „კალანდას“; ამჯერად ეს „ნათლიების კალანდა“ იყო - «Κάλαντα των Φώτων» („კალანდა ტონ ფოტონ“):

«Σὸν Ἰορδάν ὁ πόνταμον οὐρανὸν ἐνοί(γ)εν

(ცა გაიხსნა მდინარე იორდანეზე

καὶ τ' Αεφῶς ἄμον πουλὶν 'ς σὸν Χριστὸν ἐκατήβεν...» (Γαλαθίδου..., 1999: 319).

(და წმინდა ცეცხლი ჩიტვით გადმოვიდა ქრისტეზე...)

„ნათლიების კალანდას“ ახალშენური ვარიანტი შემოგვთავაზა მწერალმა ვ. მურატიდუმ თავის ნაშრომში, რომელიც, დიდი ქრისტიანული დღესასწაულის უწყებასთან ერთად, ხალხს ამ საოცრების ისტორიას გადმოსცემს:

«Καλὴν ἐσπέρα ἄρχοντες, κὶ ἂν εἶνα ὀρισμὸς σὰς,

(საღამო მშვიდობისა, ბატონებო, თუკი მომცემთ ამის ნებას,)

Χριστοῦ τὴν θεῖαν βάπτισιν νὰ παω στ' ἀρχοντικὸ σὰς.

(ქრისტეს ღვთიურ ნათლობას ვაუწყებ თქვენს სახლს.)

Σήμερα ἔρχεται ὁ Χριστὸς, ὅτοῦ παντὸς δεσπότης,

(დღეს ქრისტე მობრძანდება, ბატონი ყოველთა,)

Πρὸς Ἰορδάνην Ποταμὸν, σκιρτὰ ἡ ἀνθρῶπό τῆς.

(მდინარე იორდანეზე შეიმცნეს მისი ადამიანობა.)

Τὸν λέγει, «ἔλα, Πρόδρομε, καὶβάπτισε με τέλος

(მიმართავს: ნათლისმცემლო, მობრძანდი და მომნათლეო.)

Διά νὰ σάσω τοῦ Ἀδάμ ἐκτῆς φθορᾶς τὸ γένος» (Μουρατίδου, 1992: 245).

(ადამის მოდგმას დალუპვისგან თავი დავალწევინო).

ნათლილების დღესასწაულზე, წყლის კურთხევის შემდეგ, აუცილებელი იყო ნაკურთხი წყლის «Τὸ ἁγιασμένον νερόν» („ტო აიაზმენონ ნერონ“) სახლში წაღება და მისი მოპკურება, ანუ ყოველი კუთხის კურთხევა. ნაკურთხ წყალს ოჯახის თითოეული წევრი სვამდა და პატარა ჭურჭლით ხატების კუთხეში, «σὸ οἰκονοστᾶς» („სო იკონოსტას“) ინახავდა მთელი წლის განმავლობაში. ოჯახის რომელიმე წევრის ავადმყოფობის შემთხვევაში მას ნაკურთხ წყალს დააღვინებდნენ, რათა მალე გამოჯანსაღებულიყო.

ნათლიების დღესასწაულით მთავრდებოდა 12 დღიანი პერიოდი ქრისტეშობიდან ნათლილებამდე, რომელსაც პონტოელმა ბერძნებმა «Τὰ Καλαντόφωτα» („ტა კალანდოფოტა“) უწოდეს და მის სახელწოდებაში ორი ტერმინი «Κάλαντα» („კალანდა“) და «Φάτα» („ფოტა“), ანუ „ნათლიება“, ჩააქსოვეს; თანამედროვე ბერძნულში ეს პერიოდი მოიხსენიება, როგორც «Δαδεκαήμερι» („დოდეკაიმერო“) ესე იგი „თორმეტდღიანი“.

თებერვალი ბერძნულადაც «Φεβρουάριος» („ფევერუარიოს“)-ია. კალენდარული წლის მეორე თვის სახელი ქართულსა და ბერძნულშიც რომაულ მითოლოგიას, კერძოდ კი ღმერთ ფებრუსს უკავშირდება; თებერვალს პონტოელი ბერძნები ეძახიან «Ὁ Κούντουρον» („ო კუნდურონ“), ესე იგი „არეულს“ ან «Λειψός» („ლიფტოს“), ანუ „ნაკლულს“ და ამბობენ:

- «Ὁ Κούντουρον ἐν’ λειψός, ποδεδίτω τὸ Χριστό σ’.»
(„თებერვალი ნაკლულია, შენს ქრისტეს შემოვევლეო“);
- «Ὁ Κούντουρον φερ’ τὸ κρῦο, νασαν ‘ κείνον π’ ἐχ’ τὸ βίο.»
(„თებერვალს სუსხი მოაქვს, ნეტავ იმას, ვისაც კარგი ცხოვრება (პირობები) აქვსო“ ესე იგი თავს ადვილად გაიტანსო;

- «Ὁ Κούντουρον, ὁ Κούντουρον καὶ ὁ πασαλοκαφτές» (Γαλανίδου..., 1999: 384-385)
(„თებერვალი, თებერვალი ჯღების მჭრელიო“, რაშიც იგულისხმება ის, რომ თებერვლის თვეში იმდენად ცივა, რომ ხალხს შემა უმთავრდება და იძულებულნი არიან, ჯღებიც გამოიყენონ შეშადო).

თებერვლის თვეში პონტოში ბერძნები წმინდა ვლასის დღესასწაულს (Τ' Ἀε-Ζαρέα) აღნიშნავდნენ და ამ დღესთან დაკავშირებით მკაცრად იცავდნენ შემდეგ წესებს:

- იკრძალებოდა ქალებისთვის მძიმე სამუშაოების შესრულება (ორსულებისთვის - საჭმლის მომზადებაც კი, რათა რაიმე ცუდი არ დამართნოდათ; («Ζαρέα» ხომ მოხრილს, მოგრეხილს ნიშნავს);
- თუკი რომელიმე ქალი დაივიწყებდა ამ ადათს ან, აუცილებლობიდან გამომდინარე იმუშავებდა, სამი ლობიოს თესლი უნდა ჩაეთესა ან ეთქვა მაგიური ტექსტი: «Ἦντάν κακόν θά έρται, σήν κωσσοσύν ἤ σά κοτοπούλα νά κρισεί» („თუ რამე ცუდი მოვა, ქათმებს ან წიწილებს დაატყდეს თავსო“);
- იმ შემთხვევაში, თუ შინაური ცხოველები ან ბავშვი რაიმე ნაკლოვანებით დაიბადებოდა, ასევე თუ ოჯახში ვინმე მოულოდნელად წელში მოიხრებოდა ან სახე მოეგრიხებოდა, ზემოთ ხსენებული დღის ადათის დარღვევას მიაწერდნენ (Γαλανίδου..., 1999: 397-399).

აჭარაში მიგრირებული ბერძნები ამ წესებს იცნობდნენ და შეძლებისდაგვარად იცავდნენ, რათა მოსალოდნელი საფრთხეები აერიდებინათ.

მსგავსი სიფრთხილით ეკიდებოდნენ თებერვალში ქორწინების საკითხსაც, ვინაიდან მიჩნეული იყო, რომ 29 დღიან თვეში ქორწინება არ იყო კარგი წყვილისთვის, არ მოუტანდა ბედნიერებას. ამიტომაც ცდილობდნენ, წინაპართა რჩევები გაეთვალისწინებინათ და თებერვალთან დაკავშირებული ადათები დაეცვათ.

თებერვლის თვეს უკავშირდებოდა ხშირ შემთხვევაში დიდმარხვის დაწყების პერიოდიც, თუმცა, თარიღის მონაცვლეობის გამო, შესაძლებელი იყო, მარტშიც გადასულიყო.

მარტს, «Μάρτιος» („მარტიოს“) კალენდარული წლის მესამე თვეს, სახელი რომაელების ომის ღმერთის - მარსის საპატივცემულოდ მიუღია. პონტოურ დიალექტში ეს სახელწოდება მცირე სხვაობითაა შესული «Ὁ Μάρτης» („ო მარტის“) და «Ὁ Μάρτ'ς» („ო მარტს“).

მარტთან დაკავშირებული პარემიები განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევიან პონტოურ ფოლკლორში და ამ არასტაბილური თვის მიმართ მათ დამოკიდებულებას სრულად ასახავენ:

- «Ὁ Μάρτ'ς πάντα τὰ παλαιάτ' ἐφτάει»
(„მარტი ყოველთვის თავის სისულელებს ჩაიდენსო“) ¹³⁸;
- «Ὁ Μάρτ'ς φέρ' τὰ χελιδόνα, κελαιῖδούν καὶ λύν' τὰ χόνα» (Γαλανίδου..., 1999: 37)
(„მარტს მერცხლები მოჰყავს, ჭიკჭიკებენ და თოვლი დნება“) და სხვა.

მარტში ამინდის გაუარესების შემთხვევაში მიღებული იყო ერთგვარი მიმართვითი თქმაც: «Μάρτ'-ιμ', ἀγέλαστε, καὶ ἀξερογαλγάνιστε!» (Γαλανίδου..., 1999: 45)
(„მარტო, გაუცინარო და უჟმურო!“)

ხალხში გავრცელებული შეხედულება მარტის ჯიუტი, გამოუცნობი ხასიათის შესახებ არამხოლოდ წარმოჩნდა სხვადასხვა ფრაზეოლოგიზმებში, არამედ ტერმინი მარტისგან წარმოიშვა ზმნა «Μαρτεύκουμαι» („მარტევეკუმე“), რაც ნიშნავდა „ვმარტობ“ ანუ ვჯიუტობო. ტერმინს «Μαρτεύκουμαι» ვხვდებით შემდეგ საანდაზო ფორმულაში:

«Ὁ Μάρτ'ς ὄνταν μαρτεύκεται, δαβαίντὸν καλαντάρην

(მარტი როცა მარტობს (ჯიუტობს), იანვარსაც გაასწრებს)

καὶ ὄνταν καλομηνέυκεται, δαβαίν τὸν καλοκαίρην» (Γαλανίδου..., 1999: 38)

(და როცა კარგ გუნებაზეა, ზაფხულსაც აჯობებსო).

¹³⁸ მთქმელი ო. ლაზარიდუ - აივაზიდი, პირადი არქივიდან, გვ. 89.

ამიტომაც ურჩევდნენ ერთმანეთს პონტოელი ბერძნები, არ გაებრაზებინათ მარტი, რათა შემდგომში, მისი არასტაბილური ბუნების გამო პრობლემები არ ჰქონოდათ; ეს რჩევა-დარიგებაც მშვენიერ საანდაზო ლექსად არის ფორმულირებული: «Μὴ κουμφίζητε τὸν Μάρτ, Ἄτοξ ἔχχ πολλά εννάτ.» (Γαλανίδου..., 1999: 43-44) („ნუ გააბრაზებთ მარტს, მას ბევრი ინათი (ჯიუტი მხარე) აქვს“).

მარტის თვის ბუნება ადამიანური ხასიათის თვისებების შედარების საშუალებასაც იძლეოდა: ნაკლებად მომღიმარ ადამიანზე იტყოდნენ: «Ὁ ἀγέλαστον ὁ Μαρτ'ς» („ო აღელასტონ ო მარტს“) – „გაუცინარი მარტიაო“.

მარტის თვის ჭირვეულობაზე ქართულ ფოლკლორშიც ვხვდებით არაერთ ლექსს თუ გადმოცემას; ერთ-ერთი ასეთი ლექსის თანახმად, მარტი ტრაბახობს: „ავდრით დავივარცხნი წვერსაო“, სხვაგან ლამაზი, ჭირვეული ქალის სახითაა წარმოჩენილი და ამბობს: „მარტი ვარ, ლამაზი ქალი, დღეში ცხრაჯერ მოვირთვები“. ასევე ცნობილია პარემია: „მარტი პატარძალი არის, დღეში სამჯერ მოირთვება და სამჯერ მოილუმებაო“ (გიორგაძე, 1993:108) და მრავალი სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდმარხვის დაწყება თებერვლის ან მარტის თვეებს უკავშირდება; შესაბამისად ამ დროს ჰქონდა ადგილი ე.წ. „სუფთა ორშაბათის“ ტრადიციასაც. «Καθαρά δευτέρα» („კათარა დევტერა“) ესე იგი „სუფთა ორშაბათი“ დიდმარხვის პირველი დღეა. სუფთას მას იმიტომ უწოდებენ, რომ ამ დღეს ბერძენი დიასახლისები სახლის დასუფთავებით იყვნენ დაკავებულნი; ისე გაწმენდნენ ჭურჭელს ცხიმისგან, რომ ალაპლაპებულიყო და მასზე ცხოველური ცხიმის არავითარი კვალი არ დარჩენილიყო.

„სუფთა ორშაბათის“ სუფრა, ტრადიციულად, სამარხვო იყო. ამ დღეს პონტოელი ხალხი ბოსტნეულის კერძებს მიირთმევდა: «Τὰ φασόλια» („ტა ფასულია“) - ლობიოს, «τὰ λάχανα» („ტა ლახანა“) - ფხალს, «τὸ κολοκύνθ» („ტო კოლონგიო“) - კვახს, «τὰ κολχιδία» („ტა კოხლიდია“) - ლოკოკინებს, «τὰ κιντέατα» („ტა კინდეატა“) - ჯინჯარს და სხვა.¹³⁹ დიდმარხვის დაწყებას უკავშირდებოდა

¹³⁹ მთქმელი ე. კურტოვა - ქსანდოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 17.

ტერმინიც «Εμπονέστα» („ემბონესტა“), რომელიც პონტოურ დიალექტში მარხვის დაწყებას ნიშნავს.

„სუფთა ორშაბათის“ წინა დღეს, საღამოს მიღებული იყო მარხვის დაწყებამდე ბოლო კვერცხის ჭამა და „პირის სიმბოლურად დალუქვა“. ამ ადათთან დაკავშირებით ამბობდნენ: «Τὴν νηστεῖαν μὲ τ' ἄβόν βίσλωνοιμε καὶ μὲ τ' ἄβόν θ' ανοίχοιμ' ἀτό» („მარხვას კვერცხით ვლუქავთ და კვერცხით ვაღებთ“),¹⁴⁰ რაშიც იგულისხმებოდა: მარხვას ბოლო კვერცხის მიღებით ვიწყებთ და წითელი კვერცხით დავასრულებთ.

დიდმარხვის დაწყებისას ბერძნები როგორც პონტოში, ასევე აჭარაში მიგრირების შემდეგ, იცავდნენ კიდევ ერთ ტრადიციას, სახელწოდებით «Ὁ κοσκάρας» („ო კუკარას“); მისი არსი შემდეგში მდგომარეობდა: დიასახლისები დიდი ზომის, მრგვალი ფორმის ხახვის ან კარტოფილიდან აკეთებდნენ პატარა საფრთხობელას, ე.წ. „კუკარას“, რომელსაც ოთახის შუაგულში, ჭერში ჩამოკიდებდნენ. კუკარას ქათმის ან მამლის შვიდ დიდ ფრთას დაამაგრებდნენ და ბავშვებს აფრთხილებდნენ: არ ეჭამათ მარხვაში ხორცი, რათა კუკარას რისხვა არ დაემსახურებინათ. ყოველი კვირის ბოლოს მას ერთ ფრთას აცილებდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ აღდგომის დრო ახლოვდებოდა.

აპრილი: კალენდარული წლის მეოთხე თვეს - აპრილს ბერძნულადაც «Ἀπρίλιος» („აპრილიოს“) ეძახიან. ტერმინს ლათინური წარმოშობის სიტყვა „აპერირე“ უდევს საფუძვლად, რაც „გახსნას“ ნიშნავს. რომაელთა რწმენით, სწორედ ამ თვეს იწყებოდა გაზაფხული. პონტოელ ბერძნებთან აპრილს, ახალბერძნულის მსგავსი ტერმინების «Ἀπρίλ'τε» („აპრილც“) ან «Ἀπρίλη» („აპრილის“) გარდა, სხვა სახელებიც ერქვა: «Λαμπριάτης» („ლამბრიატის“) ან «Λαμπριάτης» („ლამბრიარის“), ანუ „აღდგომის თვე“, ვინაიდან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ხშირად სწორედ აპრილის თვეს ემთხვეოდა. ასევე მოიხსენიებოდა წელიწადის მეოთხე თვე ხალხში, როგორც «Αἰγιαργίτης» („აილიორლიტის“), «Αἰγιαργίτας» („აილიორლიტას“) ან «Ἀεργίτας» (Γαλανίδου..., 1999: 54), („აერლიტას“), რაც ითარგმნება როგორც „გიორგობისთვე“ და

¹⁴⁰ მთქმელი ე. სავვიდი - მაზმანიდი, პირადი არქივიდან, გვ. 16.

ეს სახელწოდება თავისთავად წმინდა გიორგის დღესასწაულის აღნიშვნასთან იყო დაკავშირებული; აპრილის 23-ში პონტოში გიორგობას ზეიმობდნენ, ხოლო როცა გიორგობა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ემთხვეოდა, მეორე დღეს აღინიშნებოდა. გიორგობის დღესასწაულს და მასთან დაკავშირებულ ტრადიციებს დეტალურად ნოემბრის თვეზე საუბრისას განვიხილავთ, ვინაიდან ნოემბრის თვე პონტოურ დიალექტში „გიორგობის თვედ“ არის ცნობილი.

მიუხედავად იმისა, რომ აპრილის მოსვლა გაზაფხულის დადგომის მომასწავებლად ითვლებოდა, ამინდი ჯერ კიდევ არ იყო მწყობრში ჩამდგარი, მუდმივი ცვალებადობა ახასიათებდა. ამიტომაც იყო პონტოელ ბერძნებს შორის გავრცელებული ანდაზა: «'Απρίλτις έρται και περά, τ' άλλο κλαίει, τ' άλλο γελά» (Γαλανίδου..., 1999: 55) („აპრილი მოვა და ჩაივლის, ხან ტირის და ხან იცინის“).

აპრილის თვეს უკავშირდებოდა პონტოში მამაკაცების სამუშაოდ სხვა მხარეს ან მთებში წასვლა. ამ მოვლენაზეა ყურადღება გამახვილებული საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერის სტრიქონებში:

«Έρθεν 'Απρίλ'τις με τὸ καλόν, ἔγκεν τὰ πρασινάδα,

(აი, აპრილიც მოვიდა, გადამწვანდა ყველაფერი,

Ξενιτεῦνε οἱ παντρεμέν, κλαινίζνε τοι νυφάδα» (Ευσταθιάδης, 1992: 228)

დაოჯახებულნი შორს წავლენ, იტირებენ რძლები).

დღესასწაული დღესასწაულთა შორის - აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მართლმადიდებელ პონტოელ ბერძნებთან დიდი პომპეზურობით აღინიშნებოდა და, ვინაიდან აღდგომის დღესასწაული მოძრავია, ზოგჯერ აპრილის თვეს ემთხვეოდა და ზოგჯერ - მაისს.

აღდგომის კვირას წინ უსწრებდა კიდევ ორი დიდი რელიგიური დღესასწაული: ლაზარეს შაბათი «Τὸν Λαζάρου» („ტუ ლაზარუ“) და «τὸν Βαίωνα» („ტონ

ვაიონ“), რომელიც პონტოურ დიალექტში „ბაიობას“ ნიშნავდა და ჩვენებური ბზობა იყო. ბზობასაც მიღებული ყოფილა ბავშვების კარდაკარ ჩამოვლა და სიმღერა.:

«Βάια βάια τὸ βᾶϊ,	(ბაიობა, ბაიობა,
τρᾶμε ὀψάρρα καὶ χαμψίν	თევზის , ხამსის ჭამის დროა.
Καὶ τ' ἀπᾶν τὴν Κερεκίη	და მომავალ კვირა დღეს

Τρᾶμε βούτορον, τυρίν!» (Γαλανίδου..., 1999: 88) მივირთმევთ კარაქსა და ყველს!)

როგორც წესი, მახარობლებს უმასპინძლებოდნენ სპეციალური მრგვალი ფორმის ცხობილებით: «τὰ κερκέλια» („ტა კერკელია“) ან შაქარლამით «σακιαρλαμᾶδες» („შაკარლამადეს“); ნათესავები და ახლობლები კი პატარებს შეძლებისდაგვარად ასაჩუქრებდნენ ფულით «ἐχάρζαν παρᾶδες» („ეხარზან ფარადეს“).¹⁴¹

ვნების კვირას (პონტოელ ბერძნებთან «Τὴν ἐβδομάδα τῆς Λαμπρῆς» ანუ „აღდგომის კვირას“) აუცილებელი იყო სამუშაოებისგან თავის შეკავება როგორც ქალაქში, ასევე სოფლად; იკრძალებოდა ბოსტანში მუშაობა და, როგორც ერთ-ერთი მთქმელი აღნიშნავს, «Κ'έπρεπε νὰ σπέρνουν τὴν ἐβδομάδα τῆς Λαμπρῆς» („ვნების კვირას არ უნდა დაეთესათ“).¹⁴² ასევე იკრძალებოდა სახლში რაიმე დიდი საქმის წამოწყება და კეთება; ითვლებოდა, რომ ეს დიდი ცოდვა იყო.

დიდ ხუთშაბათს პონტოელი დიასახლისები სააღდგომო ცხობილას, ე.წ. „ჩურეკს“ («Τὸ τσουρέκι») ამზადებდნენ და კვერცხებს ღებავდნენ. ჩურეკი ქვის ფეხში, ე.წ. „ფურნინში“ - («Σὸ φουρνίν») ცხვებოდა. ასეთ ქვის ფეხებს ბევრი პონტოელი ბერძენის ეზოში ნახავდით, ხოლო ვისაც ფურნი არ ჰქონდა, მეზობელთან გადადიოდა და აცხობდა წინასწარ მოლაპარაკების და რიგის დაკავების შემდეგ.

¹⁴¹ აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძნებიც იყენებდნენ ტერმინებს: „შაქარლამას“ ტკბილეულის და „ფარას“, ფულის აღსანიშნავად.

¹⁴² ბოსტანის აღსანიშნავად ძირითადად იხმარებოდა ტერმინი «μααχτσέ» („მახჩეს“) ანუ „მახჩა“ და ნაკლებად ხდებოდა ტერმინის «Τὰ κερῖα» („ტა კერია“)-ს გამოყენება.

როგორც სოფელ კვირიკეს მაცხოვრებელმა ბერძენმა დიასახლისმა ელენი კურტოვა - ქსანდოპულომ აღნიშნა, სააღდგომო ჩურეკის (ჩვენებური პასეჟის) მომზადება და კვერცხების შეღებვა გარკვეული წესების დაცვით ხდებოდა:

- «Σὸ ζουμάρι ἐποίνανε σταυρόν κ'επεκεῖ ἀρχίνανε νὰ τὸ ζυμώνουνε» („ცომს მოზელამდე პირჯვარს გადაწერდნენ და ისე იწყებდნენ ჩურეკის კეთებას“);
- «Ὅνταν ἐφούσκωνε τὸ ζουμάρι, βάλνανε σὰ τηγάνια καὶ ἀποφκά ἀπλώνανε τὴ καστανὶ τὰ φύλλα» („როცა ცომი ამოვიდოდა, მას თუჯის ტაფებში გაანაწილებდნენ და ქვემოდან წაბლის ფოთლებს დაუფენდნენ“);
- «Για νὰ τερούμε ἀν ἐζεστάθην τὸ φουρνὶν, βάλνανε τὸ χχερ ἀπές καὶ ἄμα ἀντέχανε νὰ μετρήσουν μέχρι τὰ εἴκοσι, ἔτοιμον ἔτونه για τὸ ψήσιμο» („ფურნი გაცხელდა თუ არა, ამის გასაგებად ხელს შიგ ჰყოფდნენ; თუ 20–მდე დათვლისას ხელი ვერ გაუძლებდა მხურვალეობას, ესე იგი, მზად იყო“);
- «Τὰ ὀβὰ ἐπογιότιζαν'ατὰ μὲ τὴ κρεμμυδι τὰ φύλλα, σὸ νερόν ἀπές βάλνανε τὸ ξύδι καὶ ὁμορφένανε μὲ τὰ διάφορα χαρταρικά. Ὑστερνὰ ἔλειφτανε μὲ τὸ ἐλάδι γιὰ νὰ γυαλίζνε» („კვერცხებს ხახვის ფოთლებით ღებავდნენ, წყალში ძმარს უმატებდნენ და სხვადასხვა მწვანელით აფორმებდნენ. ბოლოს ზეთს გადაუსვამდნენ, რომ ბზინვარება ჰქონოდათ“).¹⁴³

პონტოელი ბერძნებისთვის, ისევე როგორც ქართველებისთვის, სააღდგომოდ კვერცხის შეღებვა სავალდებულო რიტუალს წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ წითელი კვერცხი საღდგომო სუფრის აუცილებელი ატრიბუტი იყო, ბრწყინვალე დღესასწაულის მახარობლებად მოსულთათვის წყალობის გასაღებად გამოიყენებოდა. „კვერცხი, როგორც სიცოცხლის დაბადების ხილული მისტერია, ვიზუალური ფენომენი შესაქმისა, უძველესი სახე-სიმბოლოა მსოფლიოს ყველა ხალხის არქაულ რწმენა-წარმოდგენებში. სწორედაც კვერცხის მოთხოვნაა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ლაზარეს რიტუალზე კარდაკარ მოსიარულეთა მიერ შესასრულებელ ტექსტებში“ - აღნიშნავს პროფ. თ. შიოშვილი (შიოშვილი, 2016: 159), ხოლო პროფ. მ. გიორგაძე ამ თემასთან მიმართებაში შემდეგს დასძენს: „კვერცხი, როგორც სიკვდილ-

¹⁴³ მთქმელი ე. კურტოვა - ქსანდოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 17-18.

სიცოცხლის ერთ არსში მომცველი საგანი, ქრისტეს აღდგომის სიმბოლოდ იქცა. ამ მოვლენას დაუკავშირდა ქრისტიანულ ქვეყნებში გავრცელებული ჩვეულება სააღდგომოდ წითელი კვერცხების შეგროვებისა“ (გიორგაძე, 1993: 29-30).

პონტოელი ბერძნები წითელ პარასკევს „დიდ პარასკევს“, «Μεγάλη Παρασκευή» („მეღალი პარასკევი“-ს ეძახიან. ამ დღეს მკაცრად იკავებდნენ თავს ყოველგვარი საქმის კეთებისგან, ლოცულობდნენ («ἐπίναν προσευχή») და უზეთო მარხვას იცავდნენ («Κ' ἔτραγαν οὐτ' ἐλάδ'»). რაც შეეხება დიდ შაბათს, დიასახლისები მსუბუქ კერძებს ამზადებდნენ, გამოსასვლელ ტანსაცმელს აწესრიგებდნენ და მხოლოდ აუცილებელი, გადაუდებელი ოჯახური საქმეებით იყვნენ დაკავებული. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ვნების კვირის განმავლობაში ოჯახის წევრები ცდილობდნენ ერთმანეთში არ ეკამათათ და ოჯახში სიმშვიდე დაეცვათ.

«Λαμπρή» („ლამბრინ“) პონტოურ დიალექტში „აღდგომას“ ნიშნავს და პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება, როგორც „ნათელი“. ამ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის აღსანიშნავად ამგვარი ტერმინის გამოყენება უდავოდ ასახავს ხალხის დამოკიდებულებას მასთან. თანამედროვე ბერძნულში აღდგომის აღსანიშნავად გამოიყენება როგორც სიტყვა «Λαμπρή» („ლამბრი“), ასევე -ცნობილი ტერმინი «Πάσχα» („პასხა“) და «Ανάσταση» („ანასტასი“). ეს უკანასკნელი ბერძნულად „აღდგომას“ ნიშნავს. აჭარაში მიგრირებული ბერძნები ზოგჯერ ამ სახელწოდებასაც იყენებდნენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად.

აღდგომის დღიდან მოყოლებული 40 დღის განმავლობაში პონტოელი ბერძნები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: «Χριστός Ανέστη!» („ხრისტოს ანესტი!“), „ქრისტე აღსდგა!“ პასუხად ღებულობდნენ: «Αληθώς Ανέστη!» („ალითოს ანესტი!“) ესე იგი „ჭემმარიტად აღსდგა!“ ან «Αληθώς ὁ Κύριος» („ალითოს ὁ კირიოს!“) ანუ „ჭემმარიტად უფალი!“

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული პონტოელ ბერძნებთან უდიდეს სიხარულს და იმედს უკავშირდებოდა. როგორც წესი, ამ პერიოდში არ ივიწყებდნენ

თავიანთ მიცვალებულებს: სასაფლაოებზე მიდიოდნენ, სანთლებს უნთებდნენ და მოიხსენიებდნენ.

«Ζούμε με την υπομονήν και με τ' ἕναν ἐλπίδαν

(მოთმინებით ვცხოვრობთ და ერთი იმედი გვაქვს)

κὶ ἀναμένουμε τὴν Λαμπρὴν, τὰ καλὰ τὰ ἡμέρας

(ველოდებით აღდგომას, კარგი დღეების მოსვლას,)

Χριστοῦ χάρᾳ θὰ ἔρται μᾶς μετὸ «Χριστὸς Ἀνέστη»

(ქრისტე აღსდგა“- სთან ერთად სიხარული“ მოვა,)

Σὰ τρία Λαμπροῦμερα τὰ τέρτια ὄλια ἀνασπάλκουν

(აღდგომის დღეებში დარდი დაგვავიწყდება)

κὶ ἀποθαμὲν' καὶ ζωντανοὶ ὄλια τοὺν γίννταν ἕναν...» (Ευσταθιάδης, 1992: 240)

(და მიცვალებულნი თუ ცოცხლები ყველა ერთი იქნება...) - ამბობდნენ ხალხში.

აღდგომასთან დაკავშირებით პონტოელ ბერძენთა შორის გავრცელებული იყო საწესჩვეულებო ლექს-სიმღერა:

«Ἔρθεν ἀρνόπο μ' ἡ Λαμπρὴ

(ტურფავ, აღდგომა მოვიდა

καὶ τὸ «Χριστὸς Ἀνέστη»

და ვამბობთ: „ ქრისტე აღსდგა!“

ἔτοιμάστ' καὶ θὰ παίρω σὲ

მოემზადე და წაგიყვან

Χορτοθερὴ 'ς σὴν ζέστη».¹⁴⁴

თიბათვის სიცხეში ჩემთან).

¹⁴⁴ იხილეთ: Pontos News, <http://www.pontos-news.gr/pontic-article/149270/i-lampri-ston-ponto>

პონტოელი ბერძნები სამი დღის განმავლობაში აღნიშნავდნენ აღდგომას. ეს პერიოდი ხალხში ცნობილი იყო როგორც «Λαμπροήμερα» („ლამბროიჰერა“), რაც „აღდგომის დღეებს“ ნიშნავს, სიტყვასიტყვით კი ითარგმნება, როგორც „ნათელი დღეები“.

სააღდგომო სუფრის გაგრძელებას წარმოადგენდა ლხინი პონტოური ცეკვებისა და სიმღერების თანხლებით. ტრადიციული ინსტრუმენტების, «Ποντιακή λύρα» („პონტიაკი ლირა“) - პონტოური ლირის ან «ὁ κεμεντζέ» („ო ქემენჯეს“) - ქემენჯეს აკომპანირებით სრულდებოდა ცნობილი ცეკვები: «τὸ Ομάλ'» („ტო ომალ“), «τὴ Τρυγόνα» („ტი ტრიღონას“), «τὸ Λαγκεστὸν» („ტო ლანგესტონ“) და სხვა.¹⁴⁵ რაც შეეხება სიმღერებს, განსაკუთრებული პოპულარობით სადღესაწაულო დღეებში შაირები და სხვადასხვა შინაარსის მქონე გართმული ტაეპები სარგებლობდა.

მაისის - კალენდარული წლის მეხუთე თვის სახელწოდება ბერძნულად «Μάιος» („მაიოს“)-ია და ძველ იტალიელთა მიწის ქალღმერთის, მაიას სახელისაგან იღებს სათავეს. პონტოელ ხალხში ტერმინ «Μάης» („მაის“)-თან ერთად იგი სხვა სახელითაც იყო ცნობილი: «Καλομηνάς» („კალომინას“) ანუ „კარგი თვე“. ამგვარი სახელწოდებით მოხსენიება შემთხვევითი მოვლენა არ იყო: თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მაისი ყველაზე კარგ თვედ ითვლებოდა და გამორჩეულად უყვარდა ხალხს.

- «Ἔρθεν ὁ Καλομηνάς, πία γάλαν ἄν πεινᾷς.» (Ευσταθιάδης, 1992: 228)
(„მოვიდა მაისი, დალიე რძე, რამდენიც გინდა“);
- «Μάη Μάη χρύσομάη» (Γαλανίδου..., 1999: 77)
(„მაისი მაისი, ოქროს მაისი“) - ამბობდნენ პონტოელი ბერძნები.

მაისის თვეს ადამიანის დასახასიათებლად გამოყენებულ ფრაზებშიც მოიხსენიებდნენ ხოლმე: როცა საუბარი ეხებოდა პიროვნებას, რომელიც არ მოსწონდათ, ირონიულად იტყოდნენ მასზე:

¹⁴⁵ მთქმელი ა. სტავრიანიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 9.

- «Ὁ Καλομήνας ἐδέξεν κ'εἶδεν ἄτόν» („მაისმა ჩაუარა და ვერ დაინახაო“);
ან:
- «Ὁ Καλομήνας ἐπέρασεν ἀσ' σὸ κιθάλ'ν» (Γαλανίδου..., 1999: 65) („მაისმა თავზე გადაუარაო“).

ორივე გამონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მაისი თავისი მოსავლიანობის და კარგი ამინდის გამო, პონტოელ ბერძნებთან იმდენად კარგ თვედ მიიჩნეოდა, რომ შეუძლებელი იყო დადებითად არ ემოქმედა ადამიანების ცხოვრებაზე, მათ განწყობასა და ხასიათზე.

რაც შეეხება მაისის წვიმას, მიიჩნეოდა, რომ იგი ადამიანებს თავის ტკივილებისგან იცავდა და თმებისთვისაც სასარგებლო იყო. ამაზე მეტყველებენ მაისის წვიმაზე შეთხზული ლექს-სიმღერათა შემდეგი სტრიქონებიც:

«Ἀπρίλην ἀς τὸ βρέχει (აპრილში იწვიმოს,

Πρασιώνουν τὰ χεράφια გამწვანდება ბაღები;

Καλομήναν ἂν βρέχει მაისში თუ იწვიმა,

Ευκαιρῶσ'τεν τ'ἀμπάρα» (Γαλανίδου..., 1999: 58) გაცალეთ სარდაფები, ანუ მაისის წვიმა მოსავლიანია და სანოვავის გათავების არ შეგეშინდეთო.

მსგავსი შეხედულება იყო გავრცელებული საქართველოშიც მაისის წვიმის შესახებ; მიიჩნეოდა, რომ მაისის წვიმა როგორც ადამიანის, ასევე დედამიწის თმების (ანუ მცენარეული საფარის) ზრდას უწყობდა ხელს. ხალხში ამბობდნენ:

„მაისის წვიმა ოქროა და ივანობისა - ვერცხლი,

კვირიკეობის თვისა - მდულარე და აგვისტოსი - ცეცხლი“ (გიორგაძე, 1993: 45-46);

ანდა: „შვიდ მაისის ნამი

თავზე დამედინა,

შვიდ-შვიდი ნაწნავი

ზურგზე დამეჭიმა“ (ქრესტ.,1970: 38).

წელიწადის მეექვსე თვის სახელი ივნისი, თანამედროვე ბერძნულისგან განსხვავებით (სადაც მას «Ιούνιος» - „იუნიოს“ ეძახიან), პონტოში საყვარელი ხილის, ბალის დამწიფებას დაუკავშირეს და მას „ბლობისთვე“, «Ο Κερασινόν» („ო კერასინონ“) დაარქვეს.

საინტერესო გამონათქვამებია დაკავშირებული ივნისის თვესთანაც:

- «Τῆ Κερασουσιν ὁ ἥλιον κοκκινίζει σὲ ἄμσον μήλον» („ივნისის მზე ვაშლივით გაჭკნობსო“) ანუ ივნისში მზე ძლიერ აცხუნებსო;
- «Ἐρθεν κί' ὁ Κερασινόν, θὰ γίνταν τὰ κεράσια, („მოვიდა მაისის თვეც , ბალი დამწიფდება,“)

Παιδάντ', πολλα μὴ τρῶτε ἄτα, ἔρχουζνε ἄπαν σὴν ράχιαν.» (Ευσταθιάδης, 1992: 229) („ბავშვებო, ბევრი არ ჭამოთ, მხრებზე დაგაწვებათ“) და ა.შ.

ივნისის 21-ში პონტოელ ბერძენთა თავშეყრის ადგილი აჭყვის წმ. თეოდორეს («Άγιος Θεόδωρος») სახელობის ეკლესია იყო. როგორც აჭყვაში დაბადებული და გაზრდილი ავრამ კურტიდისი აღნიშნავს, ამ წმინდანს ადგილობრივი პონტოელი ბერძენები დიდ პატივს სცემდნენ და უებარ მკურნალად მიიჩნევდნენ (განსაკუთრებით თვალების სნეულებებით დაავადებულთათვის): „წმინდა თეოდორე მკურნალი იყო, განსაკუთრებით თვალების მკურნალი. მოდიოდნენ ადამიანები, მოქონდათ თავიანთი ტანსაცმელი, შემოახვევდნენ ბოძზე, დატოვებდნენ 1-2 კვირით და შემდეგ იცვამდნენ. ზოგიერთი მათგანი ტანსაცმელს ეკლესიაში ტოვებდა და წმინდანს თხოვდა: „წმინდაო თეოდორე, დაეხმარე...“

სნეულის სახელს ამბობდნენ) და ასე აჭყვის წმ. თეოდორეს ეკლესიაში ბევრი განიკურნა“.¹⁴⁶

ივნისის თვეს ზოგჯერ ემთხვეოდა სულთმოფენობის დღესასწაული, რომელიც პონტოურ დიალექტში გამოიხატებოდა ტერმინებით: «Τ' Ἀε-Πνεύματ» („ტ აე პნევმატ“) და «Τ' Ἀε-Πνεύματος» („ტ აე პნევმატონოს“). ამ დღესასწაულთან პონტოელ ბერძნებს გარკვეული ადათები აკავშირებდათ. კერძოდ, ხალხის რწმენით:

- «Σ' Ἀε-Πνεύματ κ'έπρεπε νὰ ἐφτάνε κακίας, ἔπρεπε νὰ τιμάνε τὴν ἡμέραν, γιὰ νὰ μὴν χάται ἡ εὐλογία» („სულთმოფენობის დღესასწაულზე არ უნდა ჩაედინათ ცუდი საქმე, პატივი უნდა ეცათ დიდი დღესასწაულისთვის, რათა მაღლი არ დაკარგულიყო“ (რაც ზოგადად ყველა რელიგიური დღესასწაულს ეხებოდა);
- «Νὰ κοιμούνται πὰ κὶ γινόταν, γιὰ νὰ μὴν φεύγει τὸ πνεύμα» („არ შეიძლება დაძინება, ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ, რათა მათ სულებს არ მიეტოვებინათ იქაურობა“);
- «Κ'έπρεπε νὰ ἀνεβούν σὸ δέντρον, νὰ κολυπήσουν σὴ θάλασσα, κ'εν καλόν» („აკრძალული იყო ხეზე ასვლა, ზღვაში ბანაობა, არ იყო კარგი“).¹⁴⁷

როგორც წესი, სულთმოფენობის დღეს კეთდებოდა მიცვალებულთა მოსახსენიებელი წადილი და ოჯახებში სადღესასწაულო სუფრა იმლებოდა.

ივლისი (ბერძნულად «Ιούλιος», „იულიოს“) - კალენდარული წლის მეშვიდე თვე, რომელმაც თავისი სახელი რომაელი იმპერატორის იულიუს კეისრის პატივსაცემად მიიღო, პონტოურ დიალექტში მოიხსენიება როგორც «Ὁ Χορτομέρτζ» („ო ხორტოთერჯ“)¹⁴⁸. პონტოელთა «Χορτομέρτζ» ქართული თიბათვის შესაბამისი ექვივალენტია; თუმცა, ზოგან ივლისი ტერმინით «Θερ'νός» („თერნოს“) ყოფილა

¹⁴⁶ «Ὁ Ἄη-Θεόδωρος ἔτونه ἰατρός, εἰδικὰ ἰατρός γιὰ τὰ μάτια. Οἱ ἀθρώπ ἐρχουσανε, ἐφερναν τὰ λώματα, ἐδεναν σὴ στόλμπα, ἀφηναν ἑκεκά γιὰ μία-δύο ἐβδομάδας κ'έπεκει ἐφόρναν απάν. Κάποιοι ἀφηναν σὴν ἐγκλεσίαν πὰ καὶ τὸν παρακάλλαν: Ἄη Θεοδωρή, νὰ βοηθὰς ... (ἔλεγαν τὸ ὄνομα ἀρρώστου) καὶ πολλοὶ ἐλαροῦσαν ἀέτζ σὴν ἐγκλεσίαν τῆς Ἄτσκοβας», - მთქმელი - ა. კურტიდისი, პირადი არქივიდან, გვ. 2.

¹⁴⁷ მთქმელი მ. გრამატიკოპულო - სავვიდი, გვ. 53-54.

¹⁴⁸ ტერმინი წარმოდგება ორი სიტყვის «Χορτο» („ხორტო“), „ბალახის“ და «μερίζω» („თერიზო“), „თიბვის“ სინთეზის შედეგად.

ცნობილი. რაც შეეხება აჭარას, აქ უფრო მეტად სახელწოდება «Χορτομέρτζ» ყოფილა გავრცელებული.

ივლისის შესახებ ხალხში იტყოდნენ:

«Ἐρθεν καὶ ὁ Χορτομέρτζ ἔπαρ' τὸ καγὰν' σὸ χέρ'τ'ς» (Ευσταθιάδης, 1992: 229)

(აი, მოვიდა თიბათვე, ხელში ნამგალი დაიჭირე!)

ასევე ცნობილია ხალხური ლექს- სიმღერა:

«Ὁ Μαρτ'ς μαραίν τὰ μάραντα, Ἀπρίλτς τὰ μανουσάκια,

(მარტი აჭკნობს დამჭკნარებს, აპრილი კი - იებს,)

Ἵ Χορτομέρτζ τὰ χορτάρια κὶ Ἀύγουστον παλικάρια» (Γαλανίδου..., 1999: 175)

(ივლისი - ბალახს და აგვისტო - ყმაწვილებს.)

ივლისის თვეში პონტოელი ბერძნები აღნიშნავდნენ ორი წმინდანის - კონსტანტინეს და ელენეს - ხსენების დღეს; მათი თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა სოფელ კვირიკეში მდებარე ზემოთ ხსენებული წმინდანების სახელობის ეკლესია. ლიტურდიის შემდეგ ეკლესიის ეზოში იმართებოდა სახალხო ზეიმი, იკვლებოდა ყურბანი და ხალხი დაუვიწყარ დროს ატარებდა. ნოსტალგიით მისტირიან აჭარიდან ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ბერძნები სხვადასხვა დღესასწაულზე ეკლესიის მიდამოებში გატარებულ დღეებს, როცა შეუჩერებლად მდებოდნენ შაირებს და ცეკვავდნენ პონტოურ ტრადიციულ ცეკვებს.

წმ. კონსტანტინეს და ელენეს სახელობის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით სოფელ კვირიკეში დაბადებულმა და გაზრდილმა, 94 წლის ი. მავროპულოსმა აღნიშნა: „ჩემი მეუღლის ერთ ნათესავს (ბიძას ვეძახდით) ეკლესიაში შევხვდი და შევეკითხე: ეს ტაძარი როდის აშენდა მეთქი და მითხრა თარიღი, მაგრამ დამავიწყდა, თან მომიყვა: როცა ამ ეკლესიის მსენებლობა დაიწყო, ზემოდან მიწა ჩამოშვავდა და იქაურობა ტალახით დაიფარა. შეუძლებელი იყო მშენებლობა და მაშინ შეკრეს დიდი, სამმეტრიანი თხემლის ტოტები, შეკრეს კონებად და

საძირკველში ჩაუშვეს. ზემოდან გააკეთეს საძირკველი და აშენება დაიწყო. მშენებლობის დროს, ერთ-ერთი მუშა (ყრუ იყო) გადმოვარდა თარაზოდან და ქვემოთ ჩავარდა. ჩავარდა და თქვეს: თუ რამე დაემართა, მშენებლობას შევაჩერებთო, რადგან როცა აშენებ და ვინმე გარდაიცვლება, (ხალხის ნრწმენით) იქ არ უნდა ააშენო. მუშას არ ვიცი, რა უწამლეს, განკურნეს და იცოცხლა. იმუშავა კიდევ, უბრალოდ ყრუდ დარჩა. მას თომას ვაჟს ეძახდნენ, მგონი იანი ერქვა. თერთმეტი წელი შენდებოდა ეკლესია (როგორც იმ ბიძიამ მითხრა) და, ვიდრე მშენებლობას დაიწყებდნენ, ვინც ხელმძღვანელობდა ამ საქმეს, მან თქვაო: ჯერ თონეს ავაშენებთ და შემდეგ ეკლესიასო, ხალხი უნდა დაპურდეს და დანაყრებულმა იმუშაოსო¹⁴⁹

ივლისში პეტრე-პავლობის დღესასწაულიც აღინიშნებოდა და ეს ნიშნავდა, რომ აჭყვავში მდებარე პეტრე-პავლობის სახელობის ეკლესია მასპინძლობდა მორწმუნეებს. სწორედ ამაზე მეტყველებენ ქვემოთ მოყვანილი ლექსის სტრიქონები:

«Πέτρος, Άγιος Παύλος, τῆ Χριστοῦ οἱ μαθητές,

(წმინდა პეტრე და პავლე ქრისტეს მოწაფეები,)

Τὴν Ἄτσκοβᾶ ἐμόρφηξαν οἱ Ρωμαῖοι τσομπουσλές.»

(აჭყვას მუდამ ამშვენებენ პონტოელი გამრთობები).¹⁵⁰

ქრისტეს ორი მოციქულის ხსენების დღესასწაულს პონტოელი ბერძნები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვინაიდან, პონტოელთა თქმულების თანახმად, სწორედ ისინი არიან ღმერთთან ყველაზე ახლოს, სწორედ მათ უჭირავთ სამოთხის

¹⁴⁹ «Ένας συγγενό της γαρής μου ἔτονε (θείο τὸν λέγαμε), ἕναν ἡμέραν τυχαίναμε σὴν ἐγκλεσίαν καὶ ρώτησα ἀπὸ ἡ ἐγκλεσία πότε ἔχτιεν, ποῖον χροναίαν εἶπε, ἅμα ἐνέσπαλα... Αὐτό εἶπεν ὅταν ἐρχίσαν νὰ χτίζν' ἀπὸ, ἀπόπαν ἐκ'σεν ὄλο τὸ χῶμα καὶ εἶχε λάσπο....Κὶ γίνεται νὰ χτεῖς ἀπάν...Ἐποίκαν στύβας ἀπὲς μὲ τὰ κλεφθία (თხემლა- ქართულად გაიხსენა) ἀραῖκα μακρέα, τρανά ἔσανε καὶ τὸ χῶμα πὰ ἔξανε καὶ ἔχτσανε ἀπάν τὴν ἐγκλεσίαν, τὰ φουντάμεντα....Σήτια χτήζαν ἀπὸ, εἶνας παιδάς (κουφός πὰ ἔτονε) κατ' ἐποίκε καὶ ἀπόπαν, ἄσά ρεσότκας ἐρούξε ἄφκᾶ. Ἐρούξεν ἄφκα καὶ εἶπαν- κατ' ἄν παθάν, ἀφτάμε ἄστανᾶβιτς τὴν ἐγκλεσίαν, γὰ χτύζομάτ. Ὅνταν χτίζ', κάποιος ρουζ καὶ σκούται, ἐκείνο κὶ θὰ χτεῖζ ἀπὸ.. Κ' ἐκείνον κατ' ἐποίκαν, γιάτρεψαν καὶ ἔζησε, καὶ δούλεψεν πὰ, ἄρ κουφός ἐπέμεν.Τὴ Ἐσμίας τὸν γιὸ ἔλεγαν ἀτόν...Θαρώ Γίανης ἔτονε...Ἐντεκα χρόνια ἔχτίουτον ἡ ἐγκλεσία (ὄπως εἶπε μὲ ἐκείνος ὁ θεῖον καὶ ὄνταν ἀρχήνανε νὰ χτίζνε, ὁ τρανός ἀπὲς ποῖος ἔτονε, εἶπε: Πρώτα ἀχτίζουμε φουρνίν, κ'επεκεί ἀχτίζομαι τὴν ἐγκλεσίαν, ὁ λαός πρεπ' νὰ τρώει, χορτασμένος πρεπ' νὰ δούλευ», - მთქმელი - ი. მავროპულოსი, პირადი არქივიდან, გვ. 41-42.

¹⁵⁰ მთქმელი მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 67.

გასაღები: «Ἀὐριο τῆ Πέτρου καὶ Παύλου ἔν, ἀτοῖν ἔχνε τῆ παραδήσου τὰ κλειδιά... Τρανόν ἔξεργος ἔν...Τῆ Πέτρου καὶ Παύλου σὸ Κομπουλέτ ἐπέγναμε...Ἡ νηστεία τελιούται ἀριο» („ხვალ პეტრე-პავლობაა, სამოთხის გასაღები მათ უჭირავთ...დიდი დღესასწაულია...პეტრე-პავლობას ქობულეთში მივდიოდით...მარხვა ხვალ მთავრდება“) ¹⁵¹ - აღნიშნა თ. შავკანმა-პარასკევოპულომ.

ავვისტო, (თანამედროვე ბერძნულში «Ἀγυστος» - „ავლუსტოს“) კალენდარული წლის მერვე თვე, რომელსაც ეს სახელი რომის იმპერატორის - ავგუსტუსის პატივსაცემად დაერქვა, პონტოელი ბერძნებისთვის ორი სახელწოდებით «Ἀγυσστον» („ავლუსტონ“) და «Ἀλωνάρτς» („ალონარც“) ყოფილა ცნობილი.

ავვისტოს თვის შესახებ ხალხში გავრცელებული იყო სხვადასხვა მოსაზრება, მათ შორის ის, რომ:

- «Ἀγυστί' εἶν' τὰ γεμίσα („ავვისტოში ყველაფერი სავსეა“)
 - Ὡς τὴν κορφὴτα ξενίσα („თავიდან ფეხებამდე“);
 - «Ὁ Ἀγυσστον ἀλωνίζ („ავვისტოში ყველაფერია“)
 - κ' οἰκοκίρτς χαρεντερίζ» (Γαλανίδου..., 1999: 194) („და პატრონიც გახარებულია“)
- და ა.შ.

ძალზე საინტერესოა ის გამონათქვამები, სადაც ავვისტო მოხსენიებულია როგორც „მკურნალი თვე“:

- «Ἀγυσστον πὰ φέρ' τ' αλώννα καὶ λαρών ὅλα τὰ πόνα» (Γαλανίδου..., 1999: 191)
- („ავვისტოს თიბვის დრო მოაქვს და ყველა სნეულებას არჩენს“);
- «Καλὰ πολλὰ πανογύρια ἐμαζεύτανε Ἀγυσστή»
- („ბევრმა კარგმა დღესასწაულმა მოიყარა თავი ავვისტოში“);
- «Ἄν τὸν Ἀγυσστο κ' ἀρρώστενς- κι θὰ ἀρρώστενς ὅλο τὸ χρόνο»

¹⁵¹ მთქმელი თ. შავკანი - პარასკევოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 38.

(„აგვისტოში თუ ავად არ გახდი, მთელი წელი კარგად იქნებო“).¹⁵²

ზემოთ ხსენებულ გამონათქვამებში ჩაქსოვილი სიბრძნე პონტოელი ხალხის მიერ დაგროვილ ფილოსოფიურ შეხედულებებს არეკლავს და გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა; ლოგიკურია, რომ აგვისტოს კარგ თვედ მიჩნევდნენ და მისი მოსვლა უხაროდათ, ამის მიზეზი მისი ბარაქიანობა და უხვმოსავლიანობა იყო, ასევე ისიც, რომ მას მკურნალ თვედ მიიჩნევდნენ, ვინაიდან აგვისტო განსაკუთრებით გამოირჩეოდა წმინდანთა დღესასწაულების სიმრავლით; სწორედ აგვისტოში ზეიმობდნენ მკურნალი წმინდანების - წმინდა ილია და წმინდა პანტელეიმონის - სახელობის დღესასწაულებს; შესაბამისად მათ სახელზე აგებული ეკლესიები და მიმდებარე სოფლები.

2 აგვისტოს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კალენდრის თანახმად, აღნიშნებოდა ილიაობა; პონტოში ამ დღესასწაულს ორი კვირით ადრე განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. «Ὡπας στην Μητροπολιτική Ελλάδα, έτσι και στον Πόντο, συνηθίζαν να χιτζουν τις εκκλησίες του στις κορφές των βουνών ή στα ύψάματα» („წმინდა ილიას სახელობის ეკლესიებს როგორც საბერძნეთში, ასევე პონტოში, აგებდნენ მთების მწვერვალებზე ან შემალლებულ ადგილას“), - ვკითხულობთ პონტოელ ბერძენთა ადათებთან დაკავშირებულ ნაშრომში (Γαλανίδου..., 1999: 181).

ილიაობას პონტოში უკავშირებდნენ გარკვეული სამუშაოების დაწყებასაც: ორდუსთან ახლომდებარე რეგიონებში ამ დღეს გარეთ კალათებს ჩამოკიდებდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ თხილობა იწყებოდა (Γαλανίδου..., 1999: 185).

ილიაობას ხშირად ძალიან ცხელოდა, ამიტომ ხალხი დასახმარებლად მიმართავდა საყვარელ წმინდანს, რომელსაც ამინდის მაგიური მართვის ფუნქციასაც მიაწერდნენ:

- «Αι-Λία μ' κανείται, 'φουρκίεις μας!» („წმინდა ილია, საკმარისია, სიცხისგან ნუ დაგვზოცეო!“);

¹⁵² მოქმედი ო. ლაზარიძე - აივაზიდი, პირადი არქივიდან, გვ. 88.

ან ევედრებოდა წვიმის მოვლენას:

- «Αι-Λιάμ' ροῦξον ἔναν καλόν βρεχὴν» (Γαλατῶν..., 1999: 183)

(„წმინდა ილია, გამოუშვი კარგი წვიმა!“) და სხვა.

მსგავსია ქართული ამინდის მართვის რიტუალიც, რომლის დროსაც სასურველი ამინდის გამოწვევას წმ. ილიას (ელიას) ევედრებოდნენ.

აჭარაში ილიაობის დღესასწაულზე ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები ფერიაში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველოში ადიოდნენ და პატივს მიაგებდნენ მისი დამაარსებლის, მამა ილია დიამანტიდისის (Πατήρ Ηλιάς Διαμαντίδης) ხსოვნას, რომლის სახელს უამრავ სასწაულს მიაწერდნენ.

მამა ილიას შესახებ ცნობებს მონოგრაფიის «Ασκιτέζ μέσα στον κόσμo» („ასკეტები ხალხში“) პირველ ტომში ვპოულობთ, სადაც მის ცხოვრებას და მოღვაწეობას მთელი თავი ეთმობა. აქ მამა ილია მოხსენიებულია როგორც „მირონმდინარე“ და ცხადია, ასეთი პიროვნების აჭარის რეგიონში მოღვაწეობა დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო.¹⁵³

იმ შემთხვევაში, როცა აჭარაში მცხოვრებთ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა ჰქონდათ, მიზეზის დასადგენად სოფელში მცხოვრებ მკურნალს მიაკითხავდნენ; თუ არც ეს გასჭრიდა ან ექიმები იმედს არ აძლევდნენ, პირდაპირ ფერიის სამლოცველოს მიაშურებდნენ, სადაც მამა ილიას დახმარების იმედი ჰქონდათ. გადმოცემის მიხედვით, აქ არამხოლოდ აჭარიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდანაც მოდიოდნენ და იკურნებოდნენ როგორც ბავშვები,

¹⁵³ მონოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ „მირონმდინარე“ მამა ილია დიამანტიდისი წარმოშობით სურმენეს რაიონის სოფელ ხურმიკიანდოდან იყო. პატარაობის მძიმე წლები პონტოში გაუტარებია. სოტირია ღერონტიდუზე ქორწინების შემდეგ მათ ექვსი ქალიშვილი შეეძინათ. მიუხედავად იმისა, რომ მამაო უსწავლელი იყო, ძილში გამოცხადებია ანგელოზი და მისთვის წერა-კითხვის, გალობის და ჰაგიოგრაფიის სწავლება დაუწყია. როდესაც პონტოელ ბერძენთა დევნა დაიწყო, მამა ილია ბათუმთან ახლომდებარე სოფელ მახმუტიაში (დღევანდელი ფერია) წამოვიდა, სადაც მისი ქალიშვილი, ალაპი დაფუძნებულიყო ოჯახით. ალაპის მეუღლემ მამაოს დიდი მიწის ნაკვეთი უყიდა, სადაც მან თავისით ააშენა სახლი. ერთხელ, ეზოში მუშაობის დროს, მამაომ ეკლესიის კედლების ნანგრევებს მიაგნო. ერთ-ერთ კედელზე წმინდა გიორგი იყო გამოსახული. იმ ადგილას მან ხის ფიგურებით ააშენა ეკლესია. მამა ილია აჭარაში მცხოვრებ ხანდაზმულ სასულიერო პირთან მივიდა და ეკლესიის ნანგრევების აღმოჩენის შესახებ მოუყვა, ამ უკანასკნელმა მღვდლად შესადგომად მისცა კურთხევა, რათა ქრისტიანთა მონათვლა და ზიარება შეძლებოდა, რასაც მისი დაპატიმრებები და წამება მოჰყვა. მამაო ყველაფერს იტანდა და ციხიდან გამოსვლის შემდეგ აგრძელებდა სასულიერო მოღვაწეობას. (Ασκιτέζ..., 2013: 53-70)

ასევე - უფროსები. ყველა გამოკითხული რესპოდენტი ადასტურებს თავის დროზე ამ სამლოცველოში ყოფნის ფაქტს; უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა საკუთარ თავზე გამოსცადა მკურნალი ილიას მაღლი და ძალი. აღსანიშნავია, რომ ფერიის წმინდა გიორგის სახელობის სამლოცველო ხალხში ეკლესიად მოიხსენიებოდა.

ბათუმის მკვიდრი თ. შავკანი - პარასკევოპულო ამგვარად აღწერს ხსენებული სამლოცველოს აგების ისტორიას და იქ მომხდარ მოვლენებს: „ილიამ აქ, ფერიაში, ააშენა წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც თავდაპირველად ხის იყო. ეკლესიის ეზო სნეულთა ლოგინებით იყო სავსე. სახლშიც ედგათ ლოგინები და გარეთაც. ილია დღე და ღამე ლოცულობდა, მეტანიებს აკეთებდა და ბევრი ადამიანი განკურნა. მოდიოდნენ სულიერად დაავადებულნიც, დაბმულები ჰყავდათ აქ და იგი თავისი ლოცვების კითხვით ყველას კურნავდა. არავისგან ერთი კაპიკიც კი არ აუღიაო“.¹⁵⁴ გადმოცემას თეოდულა სავვიდი - პარასკევოპულო, ამ ოჯახის რძალი და ტრადიციების გამგრძელებელი შემდეგნაირად განავრცობს: „ილია თავად აძლევდა უძლურთ ფულს და ეუბნებოდა: ჩემი სნეულება არ ხარ, რომ განგკურნო, წადი შენს შვილებთან და შენს ექიმთანო“.¹⁵⁵

ზემოთ ხსენებულ სამლოცველოში, სულიერად დაავადებულთა გარდა, უამრავი შიშით შეპყრობილი განკურნებულა: «Αχπαραγμένους ὄποιος ἔτونه, ἅπαν σὸ τάφον τοῦ Ἥλια ἐκυσίαναν» („ვინც შემინებული იყო, საფლავზე გადააგორებდნენ“)¹⁵⁶ - იგონებენ თვითმხილველები. 1946 წლის ივლისში გარდაცვლილი მამა ილიას უხრწნელ, მირონმდინარე თითთან დაკავშირებით არსებული გადმოცემა არაერთმა თვითმხილველმა დაადასტურა: «Μετά τὸ θάνατον τοῦ Ἥλια, τὸ δάχτυλον αὐ' ἔντونه κερὶ, μετ' ἀπὸ σταύρωνε ἢ Ἀγάπη» („ილიას თითი სანთლად იქცა, აღაპი ამ თითით გადასწერდა ჯვარსო“).¹⁵⁷ გადმოცემის თანახმად, მამა ილიას სიკვდილის შემდეგ

¹⁵⁴ «Ὁ Ἥλιας ἀδακά, σὴν Φέριαν ἐχτισεν τὴν ἐγκλεισίαν τ' Ἀέρ. Ἔτونه ξυλένιο καὶ σὴν αὐλήν ἀραέτς ἔτونه κρεβάτια. Ἀπές πᾶ ἔτونه καὶ ὄξοκά πᾶ. Ἐκεῖνος ἐδέβασεν νύχτα- ἡμέρας, μετάνοιας ἐποίενεν καὶ λάρωσε τσιπ πολλὰ λαόν. Ἐρχουσανε ντάζε τὸ ἀχούλ ἀτς ἅμα χάσανε, δεμένους κράτηνανε ἀδακά καὶ ἐκεῖνος μετὰ τὰ γράμματα ὄλους ἐποίνε καὶ ἴουσταν καλά. Καὶ ἄσά κανάν ἕναν καπὶκ χρήμα κ'ἐπαίρνε», - მთქმელი - თ. შავკანი - პარასკევოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 38-39.

¹⁵⁵ «Ὁ Ἥλιας ἐδίνε χρήμαν σὴ ἀρρώστους καὶ ἔλεγε- Τεμόν ἢ ἀρρώστια κ'είσαι γιὰ νὰ λαρῶνω σὲ. Νὰ, ντέβια σὰ μαράς καὶ ντέβια στὸν ἱατρὸν σοῦ, ἔβρηκον τὸν ἱατρὸν σοῦ....», - მთქმელი - თ. სავვიდი - პარასკევოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 36-37.

¹⁵⁶ მთქმელი მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 67.

¹⁵⁷ მთქმელი ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 25.

საფლავიდან შუქი ამოდიოდა, რომელიც ახლომდებარე რუსთა სამხედრო საგუშაგოებზე შენიშნეს. აღნიშნული ფაქტი ბერძნულ მონოგრაფიაშიც („ასკეტები ხალხში“) დასტურდება.¹⁵⁸

9 აგვისტოს მკურნალის - წმინდა პანტელეიმონის ხსენების დღეა და ამჯერად ყოროლისთავის («Κοροιστάβ» - „კოროლისტავ“) ანუ ორთაბათუმის («Ὀρθαπατούμ» - „ორტაბატუმ“) წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიას მიაშურებდნენ მორწმუნენი, რათა მკურნალი წმინდანის მიმართ მადლიერება გამოეხატათ:

«Σὸ χάριόν Ὀρθαπατούμ ἄν θέλεις νὰ λαρώσεις,

(თუკი გსურს, რომ განიკურნო სოფელ ორთაბათუმში,)

Νὰ πὰς στὸν Παντελέημον καὶ Ἠλίαν ἰατρόσ-ι».

(წმინდა პანტელეიმონს და მკურნალ ილიას უნდა მიმართო).¹⁵⁹

ტრაპიზონისა და კრომნის მაცხოვრებ პონტოელ ბერძნებს შორის წმ. პანტელეიმონის შესახებ გავრცელებულია ანდაზა: «Ὀσὺμπαν κοτζοί, κὶ οὺμπαν στραβίον στὸν Παντελέημον» (Γαλανίδου..., 1999: 187), რაც ნიშნავს: „ყველა კოჭლი და კუზიანი - წმ. პანტელეიმონთანო“. ამ პარემიაში ჩანს, რომ ხალხს ღრმად სჯეროდა წმინდა პანტელეიმონის განმაკურნებელი ძალისა.

თ. ტაქსიდი - სეიდიდის ცნობით, წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესია მის დაბადებამდე აუშენებიათ; მისგან ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, ტაძრის აგების ისტორია ამგვარია: „ის ყმაწვილი, პანდელის პაპანდოპულოსი, ავად იყო. იგი დაგვაში ცხოვრობდა. ავად რომ გახდა, ღმერთს პირობა მისცა, ეკლესიას ავაშენებო. ააშენა ეკლესია და გამოჯანმრთელდა კიდევ. მთელი ხალხი ამ ეკლესიაში დადიოდა (წმინდა პანტელეიმონის ეკლესიაში) და ერთი, ორი, სამი დღე ეძინათ ტაძარში. მე

¹⁵⁸ შუალამისას საფლავიდან შუქი იფრქვეოდა და მთლიანად აღმოცენდა, რომლითაც უამრავი სწული განიკურნა. მალე ეს ამბავი ცნობილი გახდა და ბევრი მომლოცველი მიდიოდა საფლავზე. მაშინ ადგილობრივი სახალხო წესრიგის დამცველის გადაწყვეტილებით, გახსნეს საფლავი და იქედან შუქი გადმოვიდა. მამაოს გვამი უხრწნელი იყო, ირგვლივ სურნელი იფრქვეოდა. საფლავი დახურეს და ხალხს მისვლა აუკრძალეს. მოგვიანებით, როცა დრო შეიცვალა და მორწმუნეებს მეტი თავისუფლება მიეცათ, კვლავ ნება დართეს ფერის ეკლესიაში და მამა ილიას საფლავზე მისვლაზე. მონოგრაფიის მიხედვით, 1962 წელს მამა ილიას საფლავი ისევ გახსნეს, მაგრამ ნეშტი აღარ დახვდათ (Ασκιτέζ..., 2013:71-72).

¹⁵⁹ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 67-68.

პატარა ვიყავი და ეს ეკლესია უკვე აშენებული იყო. ეს ეკლესია სწულთათვის პირველი საკურნებელი იყო. აქ ყველანი იკურნებოდნენ“).¹⁶⁰ ზემოთ ხსენებულმა მთქმელმა ამ ეკლესიაში საკუთარი შვილის განკურნების ფაქტიც გაიხსენა: „ჩემი ვაჟი, იორლო როცა 25 წლის იყო, ავად გახდა, ცუდად იყო, ექიმებთან მყავდა და ვერაფერი გაუგეს. წავიდა წმ. პანტელეიმონის ეკლესიაში და კარგად გახდა, ახლაც ცოცხალია და მშვენივრადაა“).¹⁶¹

წმინდა პანტელეიმონის ხსენების დღის აღნიშვნა ხდებოდა გარკვეული ადათების დაცვით: „მორწმუნეები ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდნენ, შემდეგ ლოცულობდნენ და ტაძარში მუხლებზე დაჩოქილნი შედიოდნენ. ტაძრის ეზოში ცხვრებს კლავდნენ, ყურბანს წირავდნენ და წმ. პანტელეიმონს შემდეგნაირად მიმართავდნენ: წმინდაო პანტელეიმონ, განკურნე ხალხი, რათა კარგად გახდეს და ჩვენც ყველანი კარგად ვიყოთ!“¹⁶²

წმ. პანტელეიმონის ეკლესიის დღეს მთელი სოფელი ზეიმობდა. საეკლესიო დღესასწაულს, როგორც წესი, თან ახლდა ხალხური სიმღერები და ცეკვები.

მშობლიური სოფლის მიმართ სიყვარულითაა გამსჭვალული ადგილობრივთა მიერ პონტოურ დიალექტზე შეთხზული სიმღერა, რომელიც ჩაისუბნელთა შეხვედრის დროს სრულდებოდა:

«Κορολιστάβ, Κορολιστάβ, ποῦ ἔν τεσά τὰ κάλια

(ყოროლისთავო, ყოროლისთავო, სად არიან რჩეულები?)

Ποῦ ἔν τεσά τὰ κορτσοπά, τεσά τὰ παλικάρια.

(სად არიან გოგონები და ან შენი ყმაწვილები?)

¹⁶⁰ «Ἐτονε ἄρρωστος ἀτό τὸ παιδί, ὁ Παντελῆς Παπαντόπουλος. Ἀτός ζούσε σὴν Τάκοβα. Ἐρρώστησε καὶ ἔτάεν νὰ χτιζ ἔγκλεσίαν. Ἐχτιζεν τὴν ἔγκλεσίαν καὶ ἔντονε καλὰ. Ὁ κόσμος ἐπέγνε σὸν Ἀη-Παντελῆν καὶ ἕνα, δύο, τρεῖς ἡμέρας ἔκοιμούταν σὴν ἔγκλεσίαν. Μικρὴ ἔμεσ καὶ ἔτονε χτισμένον ἀτό ἡ ἔγκλεσία. Ἀτό ἔτονε πρῶτο ἰατρικό...Ὁλ ἔλαρούσανε ἐκεκά», - მთქმელი - თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 33.

¹⁶¹ «Ὁ γιό μ', ὁ Γιώργος ὄνταν ἔτονε 25 χρονῶν, ἔρρώστησε, κ'ἔτονε καλὰ, παντού σὴ ἰατρούς ἐπήγε, οἱ ἰατροὶ τιδέν κ'εγροῖζανε καὶ πῆγεν σὸν Ἀη Παντελέημον τὸ παιδί ... Ἐντονε καλὰ καὶ ἀτῶρα πᾶζει καὶ παραζει» ოგივე, გვ.33-34.

¹⁶² ხდებოდა:«Γύριζαν τὴν ἔγκλεσία τρία φοράς. Ἐπεκεὶ ἐποίναν τὴν προσευχή. Ἐμπέναν ἀπὲς μὲ τὰ γόνατα. Σὴν αὐλήν ἔκοφταν πρὸγάτα, ἐποίναν κουρμπάν. Ἐλεγαν: Ἀη-Παντελῆ, νὰ λαρούνε τὸν κόσμον, νὰ γίντανε καλὰ καὶ ἐμεῖς ὄλ νὰ εἶμεσ καλὰ!», - მთქმელი - თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 33-34.

Λύουμαι μάναμ λύουμαι, λύουμαι Παναγία,

(ვდნები, დედავ ჩემო, ვდნები ღვთისმშობელო,)

Τὰ χρόνια ἔν δέκα οχτώ, ἔσπριναν τὰ μαλλία

(ჯერ თვრამეტი წლისა ვარ და თმა კი გამიჭაღარავდა)

Ἀνάθεμα καὶ σὰ μακρὰ , πουσθέν κὶ πάει λαλία,

(წყეულიმც იყოს სიშორე, ხმა ვერსად მიმიწვდენია,)

Τὰ μάτιαμ ἔσκοτίνεψαν ἀς' σὴν ἀροθυσίαν».

(მონატრებისგან ჩემს თვალებს სიბნელე გადაჰფარებიათ).¹⁶³

19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, სოფელ ახალშენის მეტამორფოზის, ანუ ფერისცვალების, ეკლესია (Ἡ ἐκκλησία τῆς Μεταμόρφωσης) იყო აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა დღესასწაულის და შეხვედრის ადგილი. როგორც იმ დღეების მომსწრე ახალშენის მკვიდრმა ლეილა ჩირაძე - ქსანდინიდიმ აღნიშნა, «Οἱ ἄθιρᾶπ ἔρχουσσανε ἄσᾶ ἄλλα χᾶρῖα σὸ Ἀχάλσᾶν καὶ ἔμειναν γῖα τρῖᾶ ἡμέρᾶς σὰ συγγενεῖς. Ἐτραγόνδᾶν, ἐχόρευᾶν καὶ διασκέδᾶσαν» („ფერისცვალების დღესასწაულზე სხვა სოფლებიდან ახალშენში ჩასული ხალხი ნათესავებთან რჩებოდა. 3 დღის განმავლობაში აგრძელებდნენ ლხინს, მღეროდნენ და ცეკვავდნენ“).¹⁶⁴

ახალშენის ეკლესია უდავოდ გამოირჩეოდა თავისი სიდიდით და სილამაზით. სოფლის მაცხოვრებლები თუ სტუმრები ერთხმად იზიარებდნენ იმ აზრს, რომ „ახალშენის მშვენება არის მეტამორფოზი“ (ფერისცვალების ტაძარი) - «Τῆ Ἀχάλσον ἡ ἔμορφῖᾶ ἔν ἡ Μεταμόρφῖοση»¹⁶⁵ და ეკლესიის მიმართ დიდ სიყვარულს თუ პატივისცემას შეძლებისდაგვარად გამოხატავდნენ.

ახალშენელ ბერძენთა სიყვარული მშობლიური სოფლის მიმართ ხალხურ სიმღერებშიც გაჟღერდა:

¹⁶³ მთქმელი თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 34.

¹⁶⁴ მთქმელი ლ. ჩირაძე - ქსანდინიდი, პირადი არქივიდან, გვ. 51.

¹⁶⁵ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 68.

«Ἀχαισὸν σιονύεται, (ახალშენი ითოვლება,
 Περὸ ἥλιον, λύεται, მზე გამოდის, თოვლი დნება,
 Τὸ κοριτς ντὸ ἀγαπῶ მე რომ მიყვარს, ის გოგონა
 σὰ μακρὰ εὐρίεται». სადღაც შორს იმყოფება.)¹⁶⁶

ასევე:

Σὴ Ἀχαισονί τὸ ποταμόν (ახალშენის მდინარეში
 ἐρῶνξεν ἢ κλειδίτσα μ', ჩამივარდა ჯაყვა;
 Μανὰμ τρέξον καὶ ἀράεψον დედი, მიდი, მომიძებნე
 σ' ἐμέν καὶ ἀραιὰ νυφήτσα» საპატარძლო კარგი).¹⁶⁷

აგვისტოს თვის დღესასწაულები გვირგინდებოდა მარიამობის დღესასწაულით. 28 აგვისტოს სოფელი დაგვა და ამ სოფელში მდებარე ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ხდებოდა აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნების თავშეყრის და ზეიმის ადგილი.

დაგვის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით ადგილობრივმა მთქმელმა აღნიშნა: „ბებიაჩემი თვითონ აგროვებდა კვერცხებს და ეკლესიის მშენებლობისთვის მიჰქონდა. დაგვაში იყო რძის მაღაზია, იქ აგროვებდნენ და იწერდნენ, ელენიმ ამდენი მოიტანა, მაღდამ - ამდენიო. ბებიაჩემი ამბობდა: მოდიოდნენ ოჯახში და კითხულობდნენ, რამდენი ქათამი გყავს, ამდენ კვერცხს მოიტანო. მუშებისთვის საჭმელიც მიჰქონდათ და, ვიდრე კომუნისტები მოვიდოდნენ, დაასრულეს ეკლესიის მშენებლობაო“.¹⁶⁸

¹⁶⁶ მთქმელი ა. სტავრიანდიისი, პირადი არქივიდან, გვ. 9.

¹⁶⁷ მთქმელი ნ. მაზმანდიისი, პირადი არქივიდან, გვ. 86.

¹⁶⁸ «Τεμόν ἢ γίαγια, ἢ μαναχέσα μάζευε καὶ ἔφερνε ἐκεκα τὰ ὠβά. Ἔτونه γαλατάδικο καὶ σὸ γαλατάδικο ἐκεκα ὀλ μάζευαν καὶ ἔγραφαν: ἡ Ελένη ἔγκεν ἀτόσα, ἡ Μάγδα ἔγκεν αὐτό καὶ ἄετς. Ἡ γίαγια μ' ἔλεγεν: ἔρχουνταν καὶ ρατούσαν, πόσα κοσσάρια εἶς, ἀτόσα ὠβά θὰ φερς ἐκεκά. Ἐφερναν καὶ φαησικά για μουσσάδες. Ἦς νὰ ἦρθαν οἱ κομμουνιστες, ἐτελείωσαν ἀτό», - მთქმელი - მ. მურატიძე - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 69.

დაგველი ბერძნების პატივისცემა და სითბო საყვარელი სოფლისადმი კარგად გამოიხატა ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებში, რომელთა ავტორ-მთქმელი ა. ალექსიადისი, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად, დღესდღეობითაც აქტიურადაა ჩართული დაგვის და კვირიკეს ეკლესიების თუ სხვა ბერძნული კერების მხარდასაჭერ საქმეში:

«Σὴν Τάκοβα ἐτράνηνα σὰ τεμά τὰ ραχχία,

(დაგვაში გავიზარდე, ჩემს მშობლიურ მთებში,)

Τὴ Τάκοβας τὸ ποτάμ ἐν Παναγιᾶς δακρία,

(დაგვის მდინარე მოედინება ვით ღვთისმშობლის ცრემლები,)

Ἡ Τάκοβα ἔν ἔμορφος ἀσὸλτε ἀγαπεμένο,

(გამორჩეულად საყვარელი დაგვა ულამაზესია,)

Ἄσὸν θεὸν κὶ σὸν Χριστὸν ἔν εὐλογιμένο.»

(ღვთისაგან და ქრისტესაგან დალოცვილი სოფელია).¹⁶⁹

სექტემბერი «Σεπτέμβριος» („სექტემვიოს“) კალენდარული წლის მეცხრე თვეა, თუმცა მისი სახელწოდებაც ლათინური ტერმინიდან („სექტემ“ - შვიდი“) წარმოიშვა, ვინაიდან ძველი, იულიუს კეისრის რეფორმამდელი, კალენდრის მიხედვით სექტემბერი მეშვიდე თვე იყო.

სექტემბერს ბერძენი ხალხი უწოდებს «Ὁ Σταυρίτεζ» („ო სტავრიტეს“) და ეს სახელწოდება უკავშირდება ტერმინს «Ὁ Σταυρόν» („ო სტავრონ“), „ჯვარი“. სექტემბერში ხომ ჯვართამაღლების დღესასწაული აღინიშნება, აქედან მოდის თვის სახელწოდებაც. ჯვართამაღლების დღეს პონტოელი ბერძნები მკაცრ მარხვას იცავდნენ, ღრმად მორწმუნენი ყურძნის ჭამასაც კი ერიდებოდნენ, რაც დიდ ცოდვად ითვლებოდა ხალხში, ვინაიდან ყურძნისგან ღვინო მზადდება და შესაბამისად მისი მიღება ამ დღეს არ მიიჩნეოდა კანონზომიერად: «Τοῦ Σταυροῦ κρατάνε νηστία, τὸ

¹⁶⁹ მთქმელი ა. ალექსიადისი, პირადი არქივიდან, გვ. 4.

σταφύλ παὶ κὶ γίνεται νὰ περὶ καὶ νὰ φας, τρανὸν ἴτενον (αμαρτίαν) ἔν» („ჯვართამაღლებას მარხვას იცავენ, არც ყურძნის ჭამა შეიძლება, დიდი ცოდვაა“).¹⁷⁰

ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით ვ. მავროპულომ ერთი განსაკუთრებული ადათი გაიხსენა: „14 სექტემბერი ითვლებოდა ახალი წლის (საეკლესიო ახალი წლის) დასაწყისად. დედაჩემი ქრისტეს ხატს 13-ში საღამოს გარეთ გაიტანდა და დილამდე დატოვებდა; დილით კი შინ შემოიტანდა და შემდეგ ვინც უნდა მოსულიყო ოჯახში, არ ჰქონდა მნიშვნელობა (ითვლებოდა, რომ ხატი იყო მეკვლე)“.¹⁷¹

მორწმუნე ბერძენ ხალხს ჯვრის მიმართ უდიდესი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა, რაც კარგად გამოჩნდა შემდეგ ფრაზეოლოგიზმებში:

- «Τὸ σταυρὸν ἔν σύμβολο τῆ Χριστιανικῆ τῆ θρησκείας, τῆ αγάπης» („ჯვარი ქრისტიანული რწმენის, სიყვარულის სიმბოლოა“);
- «Τὸ σταυρὸν ἔν ὄπλον γιὰ νὰ διώχουμε τὸν διάβολο, τὸν φόβιο» („ჯვარი ეშმაკის, შიშის, ბოროტების განსაღვენი იარაღია“);
- «Με τὸ σταυρὸν μιλοῦμε μὲ τὸ Θεό, μὲ τοὺς ἀγγέλους, μὲ τὸν οὐρανὸν» („ჯვრით ვესაუბრებით ღმერთს, ანგელოზებს, ციურ სასუფეველს“);
- «Τὸ σταυρὸν ἔν βασιλέας ντὸ ενῶν τὰ ἀμράπας» („ჯვარი მეფეა, რომელიც ადამიანებს აერთიანებს“)¹⁷² და ა.შ.

ღვთის მიმართ რწმენის გამოხატვასა და ლოცვასთან დაკავშირებით საუბრისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისევე როგორც განსაცდელის ჟამს, უფალს მიმართავდნენ „მამაო ჩვენოს“ თქმით, რომლის ბერძნული ვარიანტი «Πάτερ ἡμῶν» („პატერ იმონ“) ძალზე გავრცელებული ყოფილა ხალხში. მართალია, დღესდღეობით არსებობს „მამაო ჩვენოს“ პონტოურ დიალექტზე თარგმნილი ტექსტიც, მაგრამ მისი არსებობა

¹⁷⁰ მთქმელი თ. შავკანი - პარასკევოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 39.

¹⁷¹ «14 Σεπτεμβρίου εὐλογιᾶσονται τὸ Νέον Ἔτος. Ἡ μάμα μ' ἐβγάλνε τὴν εἰκόνα τῆ Χριστοῦ ὄξωκά τὸ βράδον σὰ 13 καὶ σὸ πρῶν ἐβάλνε τὴν ἀπέξ. Κ' ἐπεκεῖ κ' ὕστερνὰ ἂν ἐμπεναν ἀπέξ, πιδέν κὶ λογαριᾶσονται», - მთქმელი - ვ. მავროპულო - კურტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 26.

¹⁷² მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 69.

და გამოყენება ნაკლებად ყოფილა ცნობილი ზემოთ ხსენებული რეგიონის მაცხოვრებთათვის, ვინაიდან ისინი სწორედ ბერძნული ლოცვის გამოყენების ან მათ მიერ ნაცადი თარგმანის არსებობას ადასტურებენ.

პონტოურ დიალექტზე არსებულ დღესდღეობით ცნობილ „მამაო ჩვენო“ ტექსტთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებებს:

- ლოცვის სახელწოდებაში და, შესაბამისად, პირველ სტრიქონში - „მამაო ჩვენო...“, დამატებულია სიტყვა „ზეციურო“, ამასთან გამოყენებულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემო“ და არა „ჩვენო“ და „მამაო ჩვენო“-ს ნაცვლად პონტოურად ლოცვა წარმოითქმება: «Ουράνιε πατέρα μου» : „ზეციურო მამაო ჩემო!“;
- ტექსტის დასაწყისში გამოტოვებულია ფრაზა „რომელი ხარ ცათა შინა“. როგორც ჩანს, ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ თავიდანაა მოხსენიებული ტერმინი „ზეციურო“ და სწორედ ის ცვლის მას;
- ფრაზაში „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“ ჩამატებულია სიტყვები „აუცილებელი“ და „მხოლოდ“ და იგი შემდეგნაირად ჟღერს: „მხოლოდ აუცილებელი პური ჩვენი მომეც ჩვენ დღეს“;
- წინადადებაში „და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა“ ასევე ვხვდებით სახეცვლილებებს: აქ „თანანადებნი“-ს ადგილას გამოიყენება ტერმინი «τὰ ἀμαρτία» („ცოდვანი“), ხოლო „თანამდებთა მათ ჩვენთა“-ს მაგივრად კი - «ἀτείντ'ς τ' ἔβλαψαν ἑμάς» („ავისმქმნელთა ჩვენთა“, სიტყვასიტყვით მათ, ვინც ჩვენ ზიანი მოგვაყენა).

რაც შეეხება დანარჩენ ტექსტს, გარდა ზემოთ აღნიშნული გარემოებებისა, ვლინდება სიზუსტე დედანთან:

«Ουράνιε πατέρα μου, (ზეციურო მამაო ჩემო),

ν' αγιάζ' τ' όνομα σ', (წმინდა იყავნ სახელი შენი),

νὰ ἔρται ἡ βασιλεία σ', (მოვედინ სუფევან შენი)

τὸ θέλημα σ' νὰ ἴνεται, (იყავნ ნება შენი,)

ἄμὸν 'ς σὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν. (ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.)

Τ' αναγκάιον μανάχα ψαμίν εμοὺν (მხოლოდ აუცილებელი პური ჩვენი)

δοσ μὰς ὁσήμερον, („მომეც ჩვენ დღეს)

καὶ σ' χάρεσον τὰ ἁμαρτίας ἐμοὺν (და მომიტევენ ჩვენ ცოდვანი ჩვენნი)

ἀμὸν τὸ σ' χωρούμε κι ἐμεῖς ἀτείντ'ς τ' ἔβλαψαν ἐμάς. (ვითარცა ჩვენ მივუტევებთ ავისმქმნელთა ჩვენთა)

Μὴ θέκ'ς ἐμάς 'ς σὸν πειρασμὸν καὶ ἀπεμάκρυνον ἀπ' ἐμάς τὸ κακόν. Ἀμήν!»¹⁷³

(და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისა-
გან! ამინ!)

საინტერესოა ჩვენ მიერ ჩაწერილი „მამაო ჩვენო“-ს ვარიანტიც, რომელიც ლოცვის პონტოურ დიალექტზე ზუსტად თარგმნის კარგ მცდელობას წარმოადგენს:

«Πατέρα τεμέτερον, ποὺ εὐρίεσαι σὸν οὐρανὸν,

(მამაო ჩვენო, რომელი ხარ (იმყოფები) ცათა შინა,)

νὰ ἔν ἁγιασμένον τ' ὀνομάς, ἔρθεν ἡ βασιλεία तेσόν, νὰ γεννίουμες τὸ θελημά ς,

(წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი,)

ἄμὸν 'ς σὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν.

(ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.)

Τὸ κυριώτερο τὸ τρόφημαν, ψαμίν δοσ μὰς ὁσήμερον

¹⁷³ ობოლეთ: <http://www.imth.gr/default.aspx?page=245#pontiaka>

(უმნიშვნელოვანესი საკვები, პური, მომეც ჩვენ დღეს)

καὶ συγχώρα μὰς τὰ λάθιμ', ἄμον κ'εμείς νὰ συγχωρούμε τ'ἄλλους

(და მომიტევენ ჩვენ შემცდომები ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევეთ სხვებს)

καὶ μὴ ἀφήνεις μὰς νὰ μπούμε στὸ πειρασμό, στὰ βάσανα καὶ στὰ στεναχώριας,

(და ნუ შემოყვანებ ჩვენ ცოდვას, ტანჯვასა და განსაცდელსა შინა,)

ἀλλὰ γλύτωσε μὰς ἀπ'αυτὰ. (არამედ გვიხსნენ ჩვენ მათგან.)

Γιατί εἶσαι βασιλέας τοῦ κόσμου καὶ ἔχεις τὴ δύναμη τῆς βασιλείας καὶ τὴ δόξα

(რამეთუ შენ ხარ მეუფე და შეგწევს მეუფების ძალი და დიდება)

Εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων! Ἀμήν!»

(აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!) ¹⁷⁴

თ. შავკანი - პარასკევოპულო ლოცვის სრულიად განსხვავებულ ვერსიას გვიზიარებს, რომელიც მისი თქმით მისთვის აჭარაში გამოთხოვების შემდეგ უსწავლებიათ:

«Χριστέ μ' καὶ Παναγίτσα μ' ! (ჩემო ქრისტევ და ჩემო ღვთისმშობელო,)

᾽Όλο τὸν κόσμο νὰ κρατεῖς, (მთელი სამყარო გეჭიროთ,)

᾽Όλο τὸν κόσμο νὰ ἡσυχάεις, (მთელი სამყარო დაგემშვიდებინოთ,)

Εἰρήνη καὶ ἀγάπη νὰ ἔν! (მშვიდობა და სიყვარული სუფევდეს!)

Νὰ μὴν δείχνεις μὰς πόλεμους, λιμούς, πλημύρας

(ნუ გადაგვატანინებ ¹⁷⁵ ომებს, შიმშილს, წყალდიდობებს,)

¹⁷⁴ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 69-70.

ἀς ὅλα νὰ παραδεβᾶις μας, Χριστέ μ' καὶ Παναγίτσα μ!

(ყველა დაბრკოლება გადაგვაღახინე, ჩემო ქრისტევ და ჩემო ღვთისმშობელო!)

Ἐμένα τὴν ἀμάρτολεσσα νὰ σῶνεις τ'ἀμαρτίας μου Χριστέ μ' καὶ Παναγίτσα μ'!

(მე, ცოდვილი, მიხსენი ჩემი ცოდვებისგან, ჩემო ქრისტევ და ჩემო ღვთისმშობელო,)

Ποῦ ἐφτάγω πολλά ἀμαρτίας, Θεέ μου, σῶσον τ'ἀμαρτίας ἡμ» -3 φορές

(ბევრ ცოდვას ვიდენ, უფალო, მიხსენი ცოდვებისგან!) 3- ჯერ...¹⁷⁶

მთქმელის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, ზემოთ მოყვანილი ლოცვის ბოლოს შესაძლებელია შემდეგის დამატება:

«Βάλε με σοῦ Θεοῦ σὸ δρόμον, Χριστέ μ' καὶ Παναγίτσα μ'!

(სწორ ღვთის გზაზე დამაყენე, ჩემო ქრისტევ და ჩემო ღვთისმშობელო!)

Αὐτο τὸ στόμα μ' νὰ μὴ λέει περσὰ ὅτι κὶ πρεπ', Χριστέ μ' καὶ Παναγίτσα μ'!»

(ამ ჩემს პირს არ ეთქვას ზედმეტი, ჩემო ქრისტევ და ჩემო ღვთისმშობელო!“) - ამბობდნენ და ამასთან პირზე 3-ჯერ გადაიწერდნენ პირჯვარსო“.¹⁷⁷

სექტემბრის თვე დასათესად კარგ თვედ ითვლებოდა, ვინაიდან, ხალხის აზრით, ამ დროს დათესილი მცენარე აუცილებლად გაიხარებდა: «Ὁ Σταυρίτες ραντισιάρτης, ἕναν σπέρτης καὶ πέντε παίρτης» (Γαλανίδου..., 1999: 223) - („სექტემბერი მიწათმოქმედების თვეა, ერთს დათესავ და ხუთს მოიმკიო“).

¹⁷⁵ ფრაზაში «Νὰ μὴν δείχνεις μας πόλεμους, λιμούς, πλημύρας» იგულისხმება: ნუ გადაგვატანინებთ ომებს, შიმშილს, წყალდიდობებსო. პირდაპირი მნიშვნელობით ზმნა «δείχνα» ჩვენებას ნიშნავს.

¹⁷⁶ მთქმელი თ. შავკანი - პარასკევოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 39-40.

¹⁷⁷ მთქმელი თ. შავკანი - პარასკევოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 40.

სექტემბრის თვეში ამინდის შესახებ იტყობდნენ: «Ὁ Σταυρίτης ροῦζ τὰ φύλλα καὶ ξεραίντανε τὰ ξύλα» (Ευσταθιάδης, 1992: 229) - („სექტემბერი ფოთლებს აცვენს და ხეებს ახმობსო“) და ა.შ.

ოქტომბერი (ბერძნულად «Ὀκτώμησιος» - „ოქტომვიოს“), მიუხედავად იმისა, რომ კალენდარული წლის მეათე თვეა, სახელწოდებას ღებულობს სიტყვიდან „ოქტო“, რაც ლათინურად ნიშნავს რვას და ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს იულიუს კეისრის რეფორმამდელი კალენდრის გავლენას, სადაც ოქტომბერი მერვე თვე იყო. პონტოელმა ბერძნებმა არც ამ შემთხვევაში გაიზიარეს ლათინური სახელწოდება და ოქტომბერს «Ὁ Τρυγομηνάς» („ო ტრილომინას“) დაარქვეს, რაც ითარგმნება როგორც „რთველის თვე“.

ოქტომბრის შესახებ ხალხში ამბობდნენ:

- «Ἐρθεν καὶ ὁ Τρυγομηνάς, ἄλλο σὸ ραχχὶν μὴ πας» („მოვიდა ოქტომბრის თვე, ნულარ წახვალ მთაში“);
- «Ὁ Τρυγομηνάς φέρ' ξύλα καὶ μαράιν' καὶ ροῦζ' τὰ φύλλα» (Γαλανίδου..., 1999: 226-227) („ოქტომბერს შემა მოაქვს, ფოთლებს აჭკნობს და მიწაზე აგდებსო“).

მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბერი შემოდგომის მეორე თვე იყო, საკმაოდ სუსხიანი ამინდით გამოირჩეოდა. ესაა ხაზგასმული ხალხურ ლექსში:

«Τρυγομηναῖ χειμὸς καιρός καὶ χιόνια τὰ ραχία,

(ოქტომბრის თვე სუსხიანი, თოვლი იცის მთებში,)

ἄσα παρχάρια ἔφυγαν κὶ ἐκλῶσταν σὰ χάρια» (Ευσταθιάδης, 1992: 229)

(სადოვრები დატოვეს და დაბრუნდნენ სახლებში).

ოქტომბრის თვის 26-ში პონტოში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა «τ' Ἀϊ-Δημήτρη» - წმ. დიმიტრის ხსენების დღე; აჭარაში ამ წმინდანს ორი კვირის შემდეგ მიაგებდნენ პატივს. როგორც წესი, ამ დღეს მორწმუნენი წმინდანის სახელზე

აგებულ ეკლესიებში მიდიოდნენ, ხოლო მისი სახელის მქონე ადამიანებს ტაძრებში პური, ღვინო და ზეთი მიჰქონდათ. ეკლესიაში მისულ სტუმრებს ტრადიციული პონტოური კერძებით უმასპინძლებოდნენ (Γαλανίδου..., 1999: 230).

წმინდა დიმიტრის ხსენების დღეს ხშირი იყო უამინდობა, ამიტომაც ამბობდნენ ხალხში: «Είχε και ὁ Ἅη-Δημήτριος τὴν κακοκαιρία του» („წმინდა დიმიტრის დღესასწაულზე ჩვეული ცუდამინდიანობა იყო“) ან «Ἦ Ἅϊ-Δημητρή φουρτούνα» („წმინდა დიმიტრის ფურტუნამ გადაიარაო“) და როგორც წესი, ამ დღესასწაულისთვის თბილ ტანსაცმელს ამზადებდნენ.

წმინდა დიმიტრის სახელზე პონტოში არაერთი ეკლესია იყო აშენებული. პონტოელ ბერძნებს სწამდათ, რომ წმინდანს შავი ჭირის დამარცხება შეეძლო, ასევე მოუხმობდნენ მას დასახმარებლად ავი თვალის არსებობის შემთხვევაში, რასაც ადასტურებენ შემდეგი სტრიქონები:

«Ἄερ κι Ἄε Δημήτρι, Ἄε θόδωρε, Ἄε Νικόλα, („წმინდაო გიორგი და წმინდაო დიმიტრი, წმინდაო თეოდორე, წმინდა ნიკოლოზო,“)

τ'ομάτ' ντ' ομματάζ' νὰ σπὰν' καὶ νὰ τσακίζ'» (Γαλανίδου..., 1999: 232) („თვალი, რომელიც გათვალავს, გასკდეს და დაიმსხვრესო.“)

ნოემბერი: ნოემბერმა, (ბერძნულად «Νοέμβριος» - „ნოემვიოს“) ანუ კალენდარული წლის მეთერთმეტე თვემ, ისევე როგორც სექტემბრისა და ოქტომბრის შემთხვევაში, თავისი სახელწოდება მიიღო იულიუს კეისრის რეფორმამდელი კალენდრიდან და ლათინური სიტყვიდან „ნოვემ“, რაც ცხრას ნიშნავს.

პონტოელი ბერძნები ნოემბერს „გიორგობის თვეს“, «Ἀεργίτες» („აერლიტეს“), «Αγιοαργίτης» („აიორლიტის“), «Αγιοαργίτες» („აიორლიტეს“) ან «Αἰγιοαργίτης» („აილიორლიტის“) ეძახიან. მათ საყვარელი წმინდანის დღესასწაულს დაუკავშირეს თვის სახელი. პონტოში წმ. გიორგის დღესასწაული 3 ნოემბერს აღინიშნებოდა «Ἄεργ

ας' ὄλα δσνατός ἔν καὶ φοβίσσαν ἀτόν» („წმინდა გიორგი ყველაზე ძლიერი წმინდანია და ეშინოდათ მისი“)178 - აღნიშნა ერთ-ერთმა მთქმელმა.

ნოემბრის თვესთან დაკავშირებით პონტოელი ბერძნები იტყოდნენ:

- «Ἐξέβεν ὁ Τρυγομηνάς κ'εσέβεν Ἀεργίτες, τὰ χόνα ἔγκεν κ'έστρωσεν ἄμον καλός τεχνίτες»

(„ოქტომბრის თვე წავიდა და დადგა ნოემბერი, თოვლმა მიდამო დაფარა, როგორც კარგმა ხელოსანმა“)

- «Ἀεργίτες ἔν' Ἰαγκίντς, φέρ' κρύα νερά καὶ πίντς» (Γαλανίδου..., 1999: 237)

(„გიორგობისთვე ხვავიანია, მოაქვს ცივი წყალი და გასმევს“); იგულისხმებოდა, „ნოემბერს სიცივე მოაქვს“.

წმინდა გიორგი, ბიზანტიიდან მოყოლებული, ითვლებოდა ქალაქებისა და სახელმწიფოების მფარველად, ამიტომაც გვხვდება მისი გამოსახულება დროშებზე და სხვადასხვა სახელმწიფო სიმბოლოებზე. წმინდა გიორგის, რომელიც მიჩნეული იყო მიწათმოქმედებისა და მწყემსების მფარველ წმინდანადაც, პონტოელი ბერძნები დიდ პატივს სცემდნენ, მის სახელზე ეკლესიებს აგებდნენ და განსაცდელის ჟამს შემდეგნაირად მიმართავდნენ:

«Ἄερ' - ἰμ' ἀλήγορε!» („წმინდა გიორგი, სწრაფო!“);

ან: «Ἄερ' - ἰμ' πρόφτασον!» („წმინდა გიორგი, მოგვისწარი!“)¹⁷⁹

მორწმუნე პონტოელ ხალხს მიაჩნდა, რომ თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი შეისმენდა მათ ვედრებას და სწრაფად აღმოუჩენდა დახმარებას.

საყურადღებოა ჩვენ მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსის შემდეგი სტრიქონები:

«Σ' ἔναν ἔμορφον ρακάνι πετούσε παλικάρι,

(ყმაწვილი დაფრინავდა ერთ ლამაზ მთაზეო,)

¹⁷⁸ მთქმელი კ. ავლოპულო - ოსიძე, პირადი არქივიდან, გვ. 49

¹⁷⁹ მთქმელი თ. სავვიდი - პარასკევოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 36.

Ἄυτοῖν ποῦ ἔχνε ἀναγγές , αὐτός σ'όλους προφτάνει,

(ვისაც კი დასჭირდება, დაუდგება მხარშიო.)

Ἄγλήγορος, ἀνίκητος, δὲν ἔχει ἀναλόγους,

(სწრაფი, დაუმარცხებელი, არავინ არის მისი ბადალი,)

Ἄέρτς μὲ τ'άσπρῳ τ'άλογον προφτάνει πάντα ὅλους».

(თეთრ რაშზე ამხედრებული ყველგან ასწრებს ეს წმინდანი).¹⁸⁰

წმინდა გიორგის სახელზე უამრავი ეკლესია აუშენებია პონტოელ ბერძენთა მოდგმას. ეს ტრადიცია აჭარაში მიგრირების შემდეგაც გაგრძელდა.

«Τὰ ρακάνια μοῦ τὰ ἐμορφά μὲ τ'ατουνού τ' αξία,

(ლამაზია ჩემი მთები, აღსავსე მისი ღირსებით,)

ἐκεῖ ποῦ πέρνει τὸ πόνδιν ατ , ἐχτήσαν ἐγκλεισία.»

(იქ, სადაც კი ფეხი დაჰკრა, აშენდა ეკლესიები) - ამზობდნენ ხალხში.

პონტოელი ბერძენების რწმენით, წმინდა გიორგის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მართლმადიდებელი ქრისტიანების წინაშე, რასაც ისინი არასდროს ივიწყებენ. სწორედ ეს აზრია გატარებული ზემოთ ხსენებული ლექსის შემდეგ სტრიქონებში:

«Ἐσὺ ντὸ ἔκανες για τὸν Χριστό, για τ'όλους παραδείγμεις,

(ის, რაც ქრისტესთვის შენ გააკეთე, ყველასთვის მისაბამია,)

Ἵρθόδοξοι οἱ Χριστιανοί παντοῖνοι οἱ φίλοι-ς.»

(ორთოდოქსი ქრისტიანები შენი მარადი მეგობარნია).¹⁸¹

¹⁸⁰ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 66-67.

¹⁸¹ მთქმელი მ. მურატიდუ - პეტრიაშვილი, პირადი არქივიდან, გვ. 67.

სოფელ აჭყვის მკვიდრმა - ეკ. პაპადოპულუ - ღავრილიდომ წმინდა გიორგის ტროპარის ტექსტი ჩაგვაწერინა, რომელსაც მისი თქმით, მორწმუნენი წმინდა გიორგის ეკლესიის ირგვლივ წრის შემოვლის დროს გალობდნენ:

«Άγιε Γεώργιε, ἀφέντη μοῦ καὶ ἀφέντη καβαλάρη,

(წმინდაო გიორგი, ჩემო ბატონო და წინამძღვარო,)

ἀρματομένο με σπαθί καὶ με χρυσό κοντάρι!

(ხმლით და ოქროს ფართით შემოსილო! (აღჭურვილო)

Ἄγγελος εἶσαι στὴν θωρία καὶ Ἅγιος στὴν θεότη,

(ანგელოზი ხარ დედამიწაზე, წმინდანი - ღვთის სასუფეველში,)

Παρακαλῶ-σέ, βοήθα με Ἅγιε στρατιότη!»

(წმინდანო მეომარო, დამეხმარე, გევედრები!)¹⁸²

საინტერესო გართმული სტრიქონებით დაასრულა მთქმელმა, მ. ლაზარიდუ-მელეტიდომ პონტოურ დიალექტზე თქმულება წმინდა გიორგის შესახებ, რომელიც წინაპრებისგან გაუგონია: «Ὄνταν ὁ Ἀέρις σκότωσε τὸν δράκο καὶ ἔσωσε τὴν κόρη τοῦ βασιλέα, ὁ Βασιλέας εἶπε νὰ τοῦ δώσει μισὸ βασιλῆιο. Ὁ Ἀέρις κι θέλνε καὶ εἶπεν σὸν βασιλέα» („როცა წმინდა გიორგიმ მოკლა ურჩხული და გადაარჩინა დედოფალი, მეფემ მას ნახევარი სამეფო შესთავაზა. წმინდა გიორგიმ უპასუხა მეფეს:)

«Ἐβγα σο ψυλὸ σὸ ρασσίν απάν (ადი მაღალი მთის თავზე,

καὶ χτίσων ἐκκλησίαν ააშენე ეკლესია“

και απές βάλεν εικόνισμαν და იქ ხატები დადე

Χριστοῦ και Παναγίαν. ქრისტესი და ღვთისმშობლისა).¹⁸³

¹⁸² მთქმელი ე. პაპადოპულუ - ღავრილიდი, პირადი არქივიდან, გვ. 12.

წმინდა გიორგის ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაშიც. განსაცდელის ჟამს ქართველები პირველად სწორედ თეთრ რაშზე ამხედრებულ წმინდანს მიმართავდნენ. ქართველთა მოდგმის სახელწოდებაც, „გიორგიელები“, წმინდა გიორგის სახელთანაა დაკავშირებული. წარმართულ ეპოქაში ძველ ბერძენთაგან ქართველთათვის შერქმეული სახელი „გეორგოსები“, ანუ მიწათმოქმედები, ქრისტიანულ ეპოქაში გადააზრებული იქნა როგორც „წმინდა გიორგის მიმდევარნი“, რადგან ურჩხულის დამთრგუნველი წმინდანის სახე ყველაზე უფრო გაითავისა და შეიყვარა ქართველმა ხალხმა. საყვარელი წმინდანის დასახასიათებლად 30 ეპიტეტის გამოყენება ამის ნათელი დასტურია.

საყურადღებოა წმინდა გიორგის შესახებ გამოთქმული ერთ-ერთი ქართული ხალხური ლექსი:

„დღესამ დღეობა ვისია? წმინდა გიორგისია!

ყმათაღ უმატე, გიორგი, თუ გინდან მოსახელენი,

პურსაღ უმატე, გიორგი, თუ გინდა კოდნი სავსენი,

ცხვარსაც უმატე, გიორგი, თუ გინდან რქა-ჯანგიანი“ (გიორგაძე, 1993: 99).

გიორგობის დღესასწაულზე აჭარაში მიგრირებული პონტოელი ბერძნები სოფლებში - კვირიკესა და აჭყვაში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებს მიაშურებდნენ. საინტერესო გადმოცემა არსებობს ხალხში კვირიკეს ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით; 94 წლის იანის მავროპულოსის თქმით, „როცა კვირიკეს წმ. გიორგის ეკლესიას აშენებდნენ, დაგველ მშენებელს მოელაპარაკენ, რომ მშენებლობის ხელმძღვანელობისთვის სამი ათას მანეთს მისცემდნენ გასამრჯელოდ. ხალხს არ ჰქონდა ამდენი ფული და მშენებლობა შეჩერდა. რატომ არ მიდიხარ სამსახურში? - შეეკითხნენ მშენებელს. ფულს არ იხდით, ამხელა სოფელია და გადასახადი თანხა არ გაქვთო? - უპასუხა მან. მშენებელი, წავიდა სახლში და დაიძინა. იმ ღამით დაესიზმრა, რომ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი მოვიდა

¹⁸³ მთქმელი მ. ლაზარიძე - მელეტიდი, პირადი არქივიდან, გვ. 55.

მასთან და ცემა დაუწყო. რა ხდებაო? – შეეკითხა მშენებელმა. არა გრცხვენია, 3 ათასის გადახდა რომ ვერ შეძლეს, უარი უთხარი და უკან გააგზავნე ხალხიო? ამიტომ მოგიწია ჩემგანო, - უთხრა წმინდა გიორგიმ. ოღონდ თავი დამანებე და მივხედავ ამ საქმეს და არც ფულს გამოვართმევ, გვედრები: თავი დამანებეო, - სთხოვა მშენებელმა. როცა გაიღვიძა, თქვა: წავალ, მოვძებნი იმათ, ვინც მშენებლობის ხელმძღვანელობა მთხოვაო. მივიდა მასთან და უთხრა: იცოდე, როგორც კი მოვრჩები, ამა და ამ დროს მოვალ და ეკლესიის მშენებლობას უსასყიდლოდ დავიწყებო. კვირიკელებმა უთხრეს: ჩვენ გადაგიხდით გასამრჯელოს და როცა თავისი საქმე გააკეთა ძალით აიღო მათგან სამუშაოს ფული“.¹⁸⁴

კვირიკეს წმ. გიორგის სახელობის ტაძართან დაკავშირებით დაგველმა მთქმელმა შემდეგი რეალური ფაქტი გაიხსენა: „კვირიკეს წმ. გიორგის ეკლესია როცა ააშენეს (იგი პონტოელმა ბერძნებმა ააშენეს), კომუნისტებმა რაღაც მასალები შეიტანეს, საწყობად აქციეს და წვიმების გამო თანდათან დაზიანდა. თავდაპირველად ხის ტაძარი იყო აშენებული, შემდეგ კი - ქვის. 70 წლის განმავლობაში ეკლესია კომუნისტების ხელში იყო. იქვე ახლოს, ეკლესიის ქვემოთ, ერთი აჭარელი კაცი ცხოვრობდა (მაღალმთიანი რაიონიდან იყო გადმოსახლებული), რომელმაც სახლის მშენებლობისთვის ეკლესიის ეზოდან ქვები წამოიღო, მაგრამ, მგონი, ბევრი არ წაუღია, ერთი - ორი ქვა. ცოტა ხანი არ გასულა და სამ თვეში ორი შვილი დაკარგა. მაშინ უთხრეს ხანდაზმულმა კვირიკელებმა (ჭკვიანი ხალხი იყო): „შენ ასე მოიქეცი, ეკლესიიდან წამოღებული ქვები სახლში შეიტანე, ახლა ადექი და გამოიღე ის ქვებიო. ასეც მოიქცა: გამოიღო ქვები და დააბრუნა იქ, საიდანაც წამოიღო. ამის შემდეგ ყველაფერი დამშვიდდა მის ოჯახში“.¹⁸⁵

¹⁸⁴ «ὄνταν ἔχτιζαν τὴν ἐγκλῆσιάν τοῦ Ἁγίου Γεωργίου σὴν Κούρικα, ὁ μάστορας ὁποῖος ἔτونه(ἀσὴν Ντάκοβα μερ) ἐποίκαν μ'εκείνον νταγκαβαριτσα καὶ εἶπαν πόσο νὰ χτιζεται ἀπὸ – τρία χιλιάδες...Κ'είχανε χρήματα νὰ δείγνε (ὄλαον) καὶ ἐστάθε. Γιάτι κ'έρχεται σὴ δουλεῖα; Χρήμαν κ'έχουμε... Ὅλονε χωρίον καὶ κ'έχχετε χρήμα; Ἀραέτς πὰ, ἐπήγεν σὸ σπιτνὰτ καὶ ἐπεσεν κὰ. Τὴν νύχτα ἐλέπ ὄραμα, ντὸ ἔρθεν Ἀέρτς μετ' ἄλογο, κρούει, κρούει...Ἀτός πὰ ντὸ πράμαν ἔν; Κε ντρέπεσαι;(εἶπεν) γιὰ τρία χιλιάδες, κε πόρνανε νὰ πληρῶννε κ'εσὺ ἐποίκες ἀτκάτ καὶ ἔστειλες ὅπῃς. Γιὰτ'ἀτὸ καὶ μόνον τρωε ξυλέας. Ὁ, ἐγὼ μόνον νὰ γλητῶνω ἀπαδακὰ, ἐπεκεί νὰ πάω χτιζω ἀπὸ, καὶ πδέν κὶ θέλω, μόνον ἀφήστε με! Κ'ἐπεκεί ὄνταν ἐγνέφσεν(ἀσὸ ὄραμα) ἐσκῶθεν καὶ λέει, θὰ πάω νὰ ἐβρῶ ἐκείνον ντὸ εἶπε μὲ νὰ χτιζνε. Ἐρθεν καὶ λέει ἀτόν –ἀε ἐξέρς, ἐγὼ τὰ δεκαῖρον θὰ ἔρχουμε νὰ χτιζω τὴν ἐγκλῆσιάν, μόνον ἄε λαρούμε, κε πορῶ ἀκόμα. Καλὰ κοπάνισε ἀτόν. Ἀέτς πα ἐποίκε-ελαρῶθεν, ἐπίεν καὶ εἶπεν ατς-ἐγὼ νὰ χτιζω, πδέν κὶ θέλω, τὸ χρήμαν... Εἶπαν ἀτόν: ἐμεῖς θα ξοφλιζομαι σὲ, ἐπήγαν, ἐδέκαν ἀτόν καὶ μὲ τὰ ζῶρια ἐπέρεν...», - მთქმელი - ი. მავროპულოსი, პირადი არქივიდან, გვ. 42-43.

¹⁸⁵ «Τὴν Κούρικας τὸν Ἀέρ ὄνταν ἔχτιζαν ἀπὸ, (οἱ Ρωμαῖοι ἔχτιζαν ἀπὸ) οἱ καμουνίστ ἐπήγαν καὶ κατ' ἐβάλλαν ἀπέε: τ' ἔναν, τ' ἄλλον καὶ ἐποίκαν ἄμον ἀποθήκη ἐκεκὰ καὶ χάλασαν ἀπὸ. ..Ἀσὰ βρεχχία χάλᾶε καὶ ἄλλο κε τέρεσαν ἀπὸ

დეკემბერი: კალენდარული წლის მეთორმეტე თვის, დეკემბრის (ბერძნულად «Δεκέμβριος» - „დეკემერიოს“) სახელწოდება წარმოსდგა სიტყვიდან „დეცემ“, რაც ლათინურად ათს ნიშნავს. დეკემბერი იულიუს კეისრის რეფორმამდელი კალენდრის მეათე თვე იყო. პონტოურ დიალექტში წელიწადის ბოლო თვე ცნობილი იყო სახელწოდებით «Ὁ Χριστιανάρης» („ო ხრისტიანარც“), ანუ „ქრისტეშობის თვე“.

დეკემბრის შესახებ ხალხში იტყოდნენ:

«Ὁ Χριστιανάρ' τς φέρ' τὸν κρῦον, νασάν ἐκείνον π' ἔχ' τὸ βίον» (Ευσταθιάδης, 1992: 229) („დეკემბერს სიცვიე მოაქვს, ნეტავ იმას, ვინც შეძლებულია“).

ასევე: «Ἔρθαμε σὸν Χριστιανάρ', ὁ Χριστὸν ἐγεννέθεν,

(„ქრისტეშობის თვე დადგა, ქრისტე დაიბადა,“)

Τὰ μήνας γίνταν δώδεκα, ὁ χρόνος πὰ ἐτελέθει» (Ευσταθιάδης, 1992: 229).

(„ათავდა თორმეტი თვე, წელიწადიც დამთავრდა“).

დეკემბრის თვეში აღინიშნებოდა წმ. ნიკოლოზის ხსენების დღეც. წმინდა ნიკოლოზს მიიჩნევდნენ მეზღვაურთა მფარველად; სწორედ მას შესთხოვდნენ აზობოქრებული ზღვის დაწყნარებას. ლოცვის დროს ხატის წინ დანთებული კანდილიდან იღებდნენ ზეთს და ზღვაში ასხამდნენ. პონტოს ზღვისპირა ქალაქებში ბევრი ტაძარი იყო აგებული წმინდანის სახელზე. წმინდა ნიკოლოზს ხშირად მოუხმობდნენ როგორც მოწმეს და ჰპირდებოდნენ, რომ აუცილებლად შეასრულებდნენ მიცემულ სიტყვას.

«Σὴν Παναγαίαν ἔταξα δύο χρυσά εἰκόνας,

...Πρώτα ἔτονε ξύλινο, ἅμα ἡστρνά ἐκτιζάν ἀτό μὲ τὰ πέτρας. Ἐβδομήντα χρόνια ἐκείνοι εἶχαν ἀτό (οἱ καμουνίστ)... Ἐκεῖ ὀλίγον κάτω ἦνας ἄτσαρალς ντὸ κατήβεναν ἀσά βουνά, ἐπήγεν καὶ ὀλίγον κάτω ἐκτηζεν σπιτ. Ἐπέρενα π' ἐκεκά πέτρας. Ἄμα θαρρῶ πολλά κε πέρεν, δύο ἐπέρεν ἢ ἓναν ἐπέρεν.... Καὶ ἡστერνά πολλά κε πέρασαν, σε τρία μήνας τὰ δύο παιδία ἐχάσεν.....καὶ εἶπαν ἀτόν οἱ κούρικαλιδες, οἱ γεροντάτες ἔσανε πολὺ ἔξυπνοι, εἶπαν- εὐσὺν ἄετς ἐποίκες, ἐκείνα τὰ πέτρας ἀπές σὸ σπιτ ἐσέγγες ἀτά, ἀτῶρα χάλασον τὸ σπιტი ς....Χάλασε τὸ σπιτν ατ' καὶ ἐκείνο τὴν πέτρα ἐξέγγαν (ὄσον ντὸ ἐπέρεν), ἐπέρε καὶ πῆγεν ἐκεκά καὶ ἐπεκεί καὶ ἡστერνά ἰσάεν ὁ κόσμος», - მთქმელი - მ. მურატიდუ - პეტრიავილი, პირადი არქივიდან, გვ.71.

(„ღვთისმშობელს ორი ოქროს ხატის შეწირვა შევპირდი,“)

Μάρτυρας ντὸ θὰ διγ'ατὰ ας ἐν Ἁε-Νικόλας» (Γαλανίδου..., 1999: 267).

(„მოწმე იმისა, რომ გავცემ, იყოს წმინდა ნიკოლოზი“).

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ მორწმუნე პონტოელი ბერძნები სიკვდილის წინ მათ საფლავზე წმ. დიმიტრის და წმ. ნიკოლოზის ხატების მოტანას ითხოვდნენ. ამ უკანასკნელ სურვილში უთუოდ ვლინდება მათი დამოკიდებულება ზემოთ ხსენებულ წმინდანებთან, რაც გაჟღერდა ხალხურ სტრიქონებშიც:

«Χτίσαν τὸ κοιμητήρι μου, βάλεν ἅπᾶν' εἰκόναν,

(გამიკეთე საფლავი და ზედ დამადე ორი ხატი,)

Τὸν Ἅγιον Δημήτριον καὶ τὸν Ἁε- Νικόλαν» (Γαλανίδου..., 1999: 267).

(ერთი - წმინდა დიმიტრის და მეორე - წმინდა ნიკოლოზის).

ამგვარად, ცნობილი და ჩვენ მიერ მოძიებული მასალის საფუძველზე, შეიძლება, დავასკვნათ, რომ თვეებთან დაკავშირებული ფოლკლორი განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რადგან აქ რელიგიური დღესასწაულები და მათთან დაკავშირებული ადათ-წესებიც განიხილება. ამასთან, თვეებზე საუბრისას წარმოვაჩინეთ მათთან მჭიდროდ დაკავშირებული პარემიები და კალენდარულის ფოლკლორის სხვა საინტერესო ნიმუშები, რომლებიც საკვლევი თემის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ და მის სიღრმისეულად წარმოჩენაში გვეხმარებიან.

3.2. კვირის დღეებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და

ზეპირსიტყვიერება

კვირის დღეები პონტოურ დიალექტში მოიხსენიება როგორც «Τὰ ἡμέρας τῆ εἵβδιμαδα» („ტა იმერას ტი ევდომადა“), ისევე როგორც თანამედროვე ბერძნულში «Οι μέρες τῆς εἵβδιμαδας» („ი მერეს ტის ევდომადას“). განსაკუთრებით მკვეთრი სხვაობა არც კვირის დღეების სახელწოდებების შემთხვევაში იჩენს თავს, კერძოდ:

- ორშაბათს პონტოელ ბერძნებთან «Δευτέρα» („დევტერა“) ჰქვია, ისევე როგორც თანამედროვე ბერძნულში - «Δευτέρα» („დევტერა“);
- სამშაბათს პონტოურ დიალექტში ეძახიან «Τρίτ» („ტრიტ“), თანამედროვე ბერძნულში - «Τρίτη» („ტრიტი“);
- ოთხშაბათი პონტოელი ბერძნებისთვის «Τετράδ’» („ტეტრად“)-ია, თანამედროვე ბერძნულში აღინიშნება ტერმინით «Τετάρτη» („ტეტარტი“);
- ხუთშაბათი პონტოურ დიალექტში აღინიშნება სიტყვით «Πεφτ’» („პეფტ“), თანამედროვე ბერძნულში - «Πέμπτη» („პემპტი“),
- პარასკევი ორივე შემთხვევაში აღინიშნება სიტყვით «Παρασκευή» („პარასკევი“), ისევე როგორც ქართულში;
- რაც შეეხება შაბათს, პონტოურ დიალექტში მისი აღმნიშვნელი ტერმინია «Σάββα» („სავვა“), ბერძნულად კი გადმოიცემა სიტყვით «Σάββατο» („სავვატო“);
- კვირა პონტოელ ბერძნებთან «Κεραή» („კერეკი“)-ა, თანამედროვე ბერძნულში «Κυριακή» („კირიაკი“).

პონტოურ დიალექტში კვირის ყველა დღე მდებარეობითი სქესის არსებითი სახელითაა გადმოცემული; თანამედროვე ბერძნულშიც კვირის დღეები, ასევე, მდებარეობითი სქესისაა, გარდა შაბათისა (იგი საშუალო სქესის არსებითი სახელითაა გადმოცემული): «Το Σάββατο» („ტო სავვატო“).

კვირის დღეებთან დაკავშირებით განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენდნენ აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები, რაც თავისთავად აისახა მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და ტრადიციებში.

თ. შავკანი - პარასკევოპულოსაგან ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, «Ὁ Θεὸς ἀέτις εἶπεν, ντὸ ἕνα βδομάδα χαρίζω σὰς, ὅτι θέλετε ποιησέτε, ἅμα Κερεκὴ ἡμέρα για τεμένῆν, νὰ ἐρχουσταν σ' ἐμὸν σ' ὀσπίτ... (Ἐγκλεσία ἕν τὸ σπιτ' τῆ Θεοῦ). Νὰ ἐρχεσνε, νὰ παρακαλείτε, νὰ φτάτε μετάνοιας.» („უფალმა ასე თქვა: ერთ კვირას გზუქნით თქვენ (ადამიანებს) რაც გინდათ გააკეთეთ, მაგრამ კვირა დღე ჩემთვის დაიტოვეთ, ჩემს სახლში მოდიეთ. ეკლესია ღვთის სახლია! მოდიეთ, შემევედრეთ, მეტანია გააკეთეთ“).¹⁸⁶

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში მთქმელები ორშაბათს მოიხსენიებენ ისეთ დღედ, როცა იკრძალებოდა ტანის დაბანა: «Τὴν Δευτέρα κὶ γύνεται νὰ λούσκεσαι, κ' ἕν καλ» („ორშაბათს არ შეიძლება ტანის დაბანა, არ არის კარგი“).

პონტოში სამშაბათს «Ἡ Τρίτ'» („ი ტრიტ“) მიიჩნევდნენ მძიმე დღედ; ამიტომაც არაფრის დაწყებას არ ურჩევდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით ერიდებოდნენ სიტყვის მიცემას, ნიშნობას და ა.შ (Ἐγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(10): 368). აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნები კი აღნიშნავენ: «Ἡ Τρίτη ἔτονε ἡ καλύτερη ἡμέρα»¹⁸⁷ - „სამშაბათი საუკეთესო დღე იყო“. ითვლებოდა, რომ ამ დღეს გაკეთებული საქმე კარგ შედეგს გამოიღებდა.

ოთხშაბათ დღეს «Ἡ Τετράδ'» („ი ტეტრად“) პონტოში იკრძალებოდა ქათმის კრუხად დასმა, ცხოველების დაწყვილება და ადამიანებისთვის ფრჩხილების მოჭრა (Ἐγκυκλ.Ποντ.Ελλην., 2007(10): 166). აჭარაში მიგრირებულთა თქმით: «Ἡ τετράδ 'κ' Παρασκευὴ Θεοτικὰ ἡμέρας ἕν, ἐπορείς νὰ φτας κατ' γιὰτ' ἀποθαμέντς, νὰ ἀγγεὺ' σ' ατς» - „ოთხშაბათი და პარასკევი ღვთის დღეებია, მიცვალებულთათვის, მათ მოსახსენებლად უნდა გააკეთო რაიმე“.

ხუთშაბათი «Ἡ Πέφτ'» („ი პეფტ“) პონტოელი ბერძნებისთვის ყველაზე ხელსაყრელი დღე იყო ნებისმიერი საქმის გასაკეთებლად. ხალხში ამბობდნენ: «Ἡ

¹⁸⁶ მთქმელი თ. შავკანი - პარასკევოპულო, პირადი არქივიდან, გვ. 40.

¹⁸⁷ მთქმელი თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 35.

Πέφτ' ἔν πολλὰ καλὸν ἡμέραν» („ხუთშაბათი ძალიან კარგი დღეა“);¹⁸⁸ ამ აზრს იზიარებდნენ აჭარის რეგიონის მცხოვრებნიც.

პარასკევს «Ἡ Παρασκευή» („ი პარასკევინ“) იკრძალებოდა დაბანა, ეს დღე ითვლებოდა მიცვალებულთა მოხსენიების დღედ და მიღებული იყო სასაფლაოებზე გასვლა: «Ἄμα ἐλούστες τὴν παρασκευήν ἐφτά φορὰς, μὴν λογαριάζεις ντὸ εἶσαι βαφτιμένος, χανς τὴν βάφτηση σοῦ» - „თუ შვიდჯერ დაიბან ტანს პარასკევ დღეს, ნულარ ჩათვლი თავს მონათლულად, კარგავ ნათლობის მაღლსო“.¹⁸⁹

შაბათი «Ἡ Σάββαν» („ი სავვან“) იყო სისუფთავის დღე. «Τὴν Σάββαν πὰ πρεπ' νὰ λούσκεσαι καὶ νὰ πας σὴν ἐγκλεσία λουσιμένος» („შაბათს ტანი უნდა დაიბანო და ტანდაბანილი წახვიდე ეკლესიაში“-ო. შაბათს საღამოდან მოყოლებული მთელი კვირა დღის ჩათვლით იკრძალებოდა ოჯახის საქმეების კეთება, ნაგვის გადაყრა; ეს იყო დასვენების დღე. როგორც ერთ-ერთმა რესპოდენტმა განმარტა, «Τὴν σάββα ἀσὸ βράδν ὡς τὴν Κυριακὴ τὸ βράδον τὸ βελὸν κὶ κράτνε γιὰ νὰ μὴν τσιμπὰ τὸν διάβολον καὶ ὁ διάβολος πὰ νὰ μὴν ἐφτάει κακὸν σ'εαίνον» („შაბათ საღამოდან მოყოლებული კვირას საღამოს ჩათვლით იკრძალებოდა ნემსის ხელში დაჭერა, რათა არ ეჩხვლიტათ ეშმაკისთვის და შემდეგ ეშმაკს არ ევნო მისთვის“).¹⁹⁰

თუკი ვინმე კვირა დღის ადათს («τὴν Κερεκὴ τὸ ἀτιάτ») დაარღვევდა და კვირას საოჯახო-სამეურნეო სამუშაოებს შეასრულებდა, მიიჩნევდნენ, რომ მთელი კვირის საქმეები უკან წავიდოდა, ფუჭად კეთდებოდა, რაც კარგად ჩანს გამონათქვამში: «Ἡ εἰδομάδα ντὸ φέρνει, ἡ Κερεκὴ τὸ παίρνει» („მთელ კვირას რაც მოაქვს, კვირა დღე წაიღებსო“)¹⁹¹ ანუ თუ მთელი კვირა იღვაწე და კვირის ადათი არ დაიცავი (იმუშავე), წინა დღეებში გაკეთებულებიც ფუჭი იქნებაო. ასე რომ, ცდილობდნენ, კვირა დღის

¹⁸⁸ მთქმელი კ. ავლოპულო - ოსიძე, პირადი არქივიდან, გვ. 50.

¹⁸⁹ მთქმელი თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 33-34.

¹⁹⁰ მთქმელი თ. ტაქსიდი - სეიდიდი, პირადი არქივიდან, გვ. 33-34.

¹⁹¹ მთქმელი კ. ავლოპულო - ოსიძე, პირადი არქივიდან, გვ. 50.

ადათი მკაცრად დაეცვათ: «Τὸν ἔξεργον , τὰ ἔξεργάδια κι δούλευαν» („უქმე დღეებში არ მუშაობდნენ“).¹⁹²

აჭარაში მიგრირებულ პონტოელ ბერძენთათვისაც ცნობილი ყოფილა კვირის დღეებთან დაკავშირებული მოკლე ხალხური ლექსი:

«Δευτέρα, Τρίτ', Τετράδ' καὶ Πέφτ', Παρασκευή δούλεψα ,

(ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს ვმუშაობ,)

Τὴν Σάββα τρώγατὰ καὶ Κερεκή γυρεύω.» (Ευσταθιάδης, 1992: 205)

(შაბათს ყველაფერს მზას მივირთმევ და კვირას კი ვსეირნობ.)

კვირის დღეებთან პონტოელი ბერძენების დამოკიდებულებას სრულყოფილად წარმოაჩენს შემდეგი ხალხური ლექსი:

«Τὴν Δευτέραν κετσινεύ'νε οἱ τεμπέλ' , που 'κι δούλεψ'νε

(ორშაბათს თავს რით გაიტანენ უქნარები, თუ არ მუშაობენ?)

Τὴν Τρίτ' μ' ἀρχινᾷς δουλείαν, θὰ εὐρίκ' σὲ ἀναποδίαν

(სამშაბათს არ წამოიწყო საქმე, ფუჭია, არ გამოვა რამე)

Ποῦ νηστεύνε τὴν Τετράδ', κόφνε τὴ δαβόλ' τ' οὐράδ'.

(ოთხშაბათს ვინც მარხულობს, ეშმავს მოაჭრის კუდს უთუოდ.)

Δούλεψον ὅλεν τὴν Πέφτ' καὶ ὅσον ντό θέλ'τα κουρφοῦτ'

